

ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი  
**Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences**

**ISSN 1987-7323**

**სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი**

**ენა და კულტურა**

**№24**

**Language and Culture**

**Scientific Peer Reviewed Journal**

ქუთაისი 2020 Kutaisi

მთავარი რედაქტორი: მანანა მიქაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი: თამარ ლომთაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**სარედაქციო კოლეგია:** ა. არაბული, ე. არუტუნიანი, ვ. ასათიანი ც. ახვლედიანი, მ. ახმადი, ა. ბერდიჩევსკი, ნ. გელდიაშვილი, რ. ენოხი, ნ. კაკაურიძე, თ. მახარობლიძე, მ. მეგრელიშვილი, ნ. ჟანპეისოვა, ა. ჟდანოვიჩი, გ. სანიკიძე, შ. ფაზიევი, მ. უგრეხელიძე, ტ. ხოლუმენკო.

მთარგმნელთა საბჭოს ხელმძღვანელი: ნ. კვირიკაძე

ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური

ავტორის პოზიცია შეიძლება არ დაემთხვეს სარედაქციო კოლეგიის მეცნიერულ აზრს.

Chief Editor: **Manana Mikadze**, Doctor of pedagogical sciences, full professor  
Responsible Editor: **Tamar Lomtadze**, Doctor of Philology, full professor

#### **Editorial board:**

Arabuli A., Arutuniani E., Asatiani V., Akhvlediani Ts., Akhmadi M., Berdichevski A., Geldiashvili N., Enokhi R., Kakauridze N., Faziev Sh., Makharoblidze T., Megrelishvili M., Janpeisova N., Jdanovich A., Sanikidze G., Ugrehelidze M., Skolumenko T.

**Head of the Board of Translators:** Kvirikadze N.

Languages of scientific journal: Georgian, Russian, English, German, Franch, Spanish.  
Possition of authors may be out of the possition of Editorial Board.

<https://enadakultura.com>

[www.enadakultura.blogspot.com](http://www.enadakultura.blogspot.com)

**ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:**

- არაბული ავთანდილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიკობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- არუტუნიანი ედუარდ** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- ასათიანი ვალერი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახვლედიანი ციური** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახმადი მამედი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტ. მორადესის სახელობის თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი.
- ბერდიჩევსკი ალენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბურგენლანდის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი, ავსტრია.
- გელდიაშვილი ნუნუ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ენუქაშვილი რუბენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, იერუსალიმისა და არიელის უნივერსიტეტების პროფესორი, იერუსალიმი, ისრაელი
- კაკაურიძე ნანული** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ლომათაძე თამარ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
- მახაროზიძე თამარ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მეგრელიშვილი მადონა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- მიქაძე მანანა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჟანპეისოვა ნაზია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ს. ბაიმევის სახელობის აკტიუბინსკის უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- ჟდანოვიჩი ანასტასია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- სანიკიძე გუბაზ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- უგრეხელიძე მინდია** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტრასბურგი, ევროპის უნივერსიტეტი, საფრანგეთი.
- ვაზიევი შოხრუდ** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ტაშკენტი, უზბეკეთი
- ხოლუმენკო ტიმოთე** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო პედაგოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა.

**Editorial Board :**

- Arabuli Avtandil** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Arutunian Eduard** - Doctor of Philisophy sciences. Professor. Yerevan State University. Armenia.
- Akhvlediani Tsiuri** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Akhmadi Mamed** - Doctor of Linguistics. Professor. Teiran T. Moradesi State University. Iran.
- Asatiani Valeri** - Doctor of Art. Professor. Tbilisi I.Jfvkhisvili State University.
- Berdichevsky Alen** - Doctor of Linguistics. Professor. Burgeland International Economic Institute. Austria.
- Geldiashvili Nunu** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Enokhi Reuven** - Doctor of Linguistic. Ierushalaim and Arieli state universities, Izrail.

- Fayziev Shohrud** - Doctor of Science in Law. Associate Professor. Chief editor at Tadqiqot.uz., Tashkent, Uzbekistan
- Janpeisova Nazia** - Doctor of Art. Professor. S. Baishevi Actiubin National university. Kazakstan.
- Jdanovich Anastasia** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kakauridze Nanuli** - Doctor of Art. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kholumenko T.** - Doctor of Psychological sciences. Professor. Kharkov National Pedagogical University. Ukrain.
- Lomtadze Tamar** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Makharoblidze Tamar** - Doctor of Linguistics. Professor. Iliia State University. Georgia.
- Megrelishvili Madona** - Doctor of Linguistics. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Mikadze Manana** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Sanikidze Gubazi** - Doctor of Historical sciences. Professor. Tbilisi. Georgia.
- Sikharulidze Gomari** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of theatre and cinema. Georgia.
- Ugrekhelidze Mindia** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.

### ჟურნალის ექსპერტ-რეცენზენტთა საბჭო:

- ავანესიანი გრანტ** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ერევანი, სომხეთი.
- აიდუკოვიჩი იან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბელგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სერბია.
- ანისიმოვა დარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მოსკოვის სლავისტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რუსეთი.
- არველაძე ანა** – ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- არსლან ხ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტამბულის ოკანის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.
- აფანასიადი მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფრაკის დემოკრიტეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. კომოტინი, საბერძნეთი.
- ბალანჩივაძე რეზო** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბარხალოვი გ.** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი.
- ბახტაძე დალი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბენიძე ვენედი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო
- ბუნიაკოვა ე.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ალბის სალენტოს უნივერსიტეტი, ალბა, იტალია.
- გავრილინა მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საერო უნივერსიტეტი, ლატვია
- განკევიჩი ვიქტორ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვ. ვერნადსკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- გერსამია რუსუდან** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ილიაუნი, თბილისი, საქართველო
- გოგოლაშვილი გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- გომიხეთელიანი ირინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- გუსევა ოლგა** – პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სტამბულის ფატიხის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.
- დიომიდოვა ანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- დროზდოვა-დიესი ტ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მადრიდი, ესპანეთი.

- დუმილოვი ევგენი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, როსტოვი, რუსეთი.
- ეკმბეევა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალ ჰარაბის სახელობის საერო უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- ვასილევა ნელი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვარნის ნ. ვანცაროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო ინსტიტუტი, ვარნა, ბულგარეთი.
- ზვიადაძე ნათია** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- თავდგირიძე ლელა** – პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რისთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- თუმანიშვილი ხათუნა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- იზბულე ვ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რიგის პრაქტიკული ფსიქოლოგიის უმაღლესი სკოლა, რიგა, ლატვია.
- ატია იუსუფ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აშს, კოლუმბიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
- კაიციანი რობერტ** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ერევნის ვ. ბრიუსოვის სახელობის სახელმწიფო ენათმეცნიერების უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- კარტოზია ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კვირიკაძე ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- კირვალიძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კიროვა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ტირნის წმინდა კირილისა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტი, ტირნა, ბულგარეთი.
- კობეშავიძე მარინე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კოვტუნი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის ვიტაუტას დიდის სახელობის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- კორენოვსკა ლ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კრაკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი.
- კოროტკაია სვეტლანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- კოჭლოშვილი ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ლევცივი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ლეშაკი ოლეგ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ი. კონოვსკის სახელობის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ქ. კელცე, პოლონეთი.
- ლორთქიფანიძე რუსუდან** – ხელოვნების დოქტორი, პროფესორი, სამუსიკო კოლეჯი ქუთაისი, საქართველო.
- მამადოვი აზად** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აზერბაიჯანის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აზერბაიჯანი.
- მარგველაშვილი ვლადიმერ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი საქართველო.
- მალააკელიძე ნათელა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მახმუდოვა გ.** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბაქოს სამუსიკო აკადემია, ბაქო, აზერბაიჯანი.
- მუჯირი სოფიო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ნადარეიშვილი აკაკი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

- ნიკოლეიშვილი სოფიო** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მისური კოლუმბიის უნივერსიტეტი, აშშ; მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ესპანეთი.
- პეტროსიანი ემმა** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ერევანი, სომხეთი.
- პილიშვილი ს.** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ხმელნიცის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ჟოლნეროვიჩი პეტრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- როვენკო ალექსანდრე** – ხელოვნებამცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ოდესის სახელმწიფო კონსერვატორია, ოდესა, უკრაინა.
- სვანიძე რამაზ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სიგუა სოსო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- სიმიანი ტიგრან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- სირბილაძე მარინა** – ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სიჭინავა ნელი** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სტარიჩენოვი ვასილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მ. ტანკას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- ტოკარევი გრიგოლ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლ. ტოლსტოის სახელობის ტულის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ტულა, უკრაინა.
- ფადავა მამია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- ქაცარავა მარინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
- ყუფარაძე გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- შაიკენოვა ს.** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ალმა-ატის კასპისპირეთის საზოგადოებრივი უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- შენგელია ვაჟა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- შიოშვილი ირმა** – ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ჩერნოვატი ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო უნივერსიტეტი, უკრაინა.
- ჩიხლაძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჭუმბურიძე იოსებ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხაჭაპურიძე რამაზ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
- ხეჩინაშვილი გიორგი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხეჩინაშვილი თამარ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

### Expert Review Board of the Journal:

**Avanesian Grant** - Doctor of pshiqology. Professor. Yerevan. Armenia .

**Aidukovich Ian** - Doctor of Linguistics. Professor. Belgradi State University. Serbia.

**Anisimova Daria** - Doctor of Linguistics. Dosent. Moscow Academy of Sciences, Institute of Slavistic. Russia.

**Arveladze Ann** - Doctor of Art. accoss. - Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University.

- Arslan Kh.** - Doctor of Art. Professor. Stambuli State University. Turkey.
- Aphanasiadi Maria** - Doctor of Art. Professor. Frakia Democrite State University. Greece.
- Balanchivadze Rezo** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Tbilisi State University of Art. Georgia.
- Barkhalovi G.** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Baku State University of Slavistics. Azerbaidjan.
- Bakhtadze Dali** - Doctor of Linguistics. Professor. I. Chavchavadze State University. Tbilisi. Georgia
- Benidze Venedi** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.
- Buniakova E.** - Doctor of Linguistics. Professor. Alba, Salento State University. Italy.
- Chernovati L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kharkovi National University. Ukrain.
- Chikhladze Nino** - Doctor of Law. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Chumburidze Josef** - Doctor of Art. Professor. Tbilisi. Georgia.
- Garibashvili Manana** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Gavrilina Maria** - Doctor of Art. Professor. State University. Latvia.
- Gankevish Victor** - Doctor of Historical sciences. Vernadsky National University. Ukrain.
- Gersamia Rusudan** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Tbilisi. Georgia.
- Gogolasvili George** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Goshkheteliani Iran** - Doctor of Linguistics. Professor. Batumi State University. Georgia.
- Guseva Olga** - Kandidat of Pedagogical sciences. Docent. Stambuli Fatikh University. Turkey.
- Diomidova Ann** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius State University. Litvua.
- Drozdova-Dies T.** - Doctor of Art. Professor. Madridi State University, Spain.
- Dumilovi Evgeni** - Doctor of Law. Professor. Russia.
- Ekshembeeva L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Al Harabi National University. Kazakhstan.
- Vasilieva Neli** - Doctor of Linguistic sciences. Professor. Varna Vantsarova State Army and Flot Institute. Bulgaria.
- Izbule V.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Riga Psycological Institute. Latvia.
- Jolnerovich Petr** - Doctor of Art. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kaitsuni Robert** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Yerevan Briusov State Linguistic University. Armenia.
- Kartozia Aleksandre** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Ivane Javakhishvili State University. Georgia.
- Katsarava Marina** - Doctor of Linguistics. full- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kvirikadze Nino** - Doctor of Art. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kirvalidze Nino** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi. Illia State University. Georgia.
- Kirova L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tirna St. Kiril and Mefodi State University. Bulgaria.
- Khechinashvili George** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Khechinashvili Tamar** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Kobeshavidze Marine** - Doctor of Linguistics. Assist. Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Kochloshvili Nino** - Doctor of Art. Professor. Telavi State University. Georgia.
- Kovtuni Aleksandr** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius Vitautas Grait National University. Litva.
- Korenovska L.** - Doctor of Art. Professor. Krakov State Pedagogical University. Poland.
- Korotkaia Svetlana** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kuparardze Giorgi** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Levitsky Aleksandr** - Doctor of Art. Professor. Kievi T. Shevchenko National University. Ukrain.
- Leshak O.** - Doctor of Linguistics. Professor. Konovsky Humanitarian University. Keltse. Poland.
- Lortkipanidze Rusudan** - Doctor of Art. Professor. Kutaisi Musical college. Georgia.
- Margvelashvili Vladimer** - Doctor of medicine. Professor. Javakhishvili State University. Tbilisi. Georgia.
- Maglakelidze Natela** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tbilisi Chavchavadze State University. Georgia.
- Makhmudova G.** - Doctor of Art. Baku musical academy. Azerbaidjan.
- Mudjiri Sophia** - Doctor of Linguistics. Assist.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Nadareishvili Akaki** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Nikoleishvili Sophia** - Doctor of Philosophy. Misuri-Columbia University. USA.
- Pagava Mamia** - Doctor of Linguistics. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
- Petrosiani Emma** - Doctor of Historical sciences. Professor. Armenia.
- Pilishek S.** - Doctor of Psycology. Docent. Khmelnitsky National University. Ukrain.

- Rovenko Aleksandr** - Doctor of Art. Odessa State Conservatory. Ukrain.
- Sigua Soso** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of Literature. Georgia.
- Simiani Tigran** - Doctor of Art. Docent. Yerevan State University. Armenia.
- Sirbiladze Marina** - Doctor of Psychological sciences. Assoc.- Professor. Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Sitchinava Neli** - Doctor of Linguistics. Assoc. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Khachapuridze Ramaz** - Doctor of Linguistics. Associate Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Shaikenova S.** - Doctor of Law. Docent. Alma-ata University. Kazakstan.
- Shengelia Vaja** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Shioshvili Irma** - Doctor of Philosophy. Professor. Telavi State University. Georgia.
- Starichenko Vasil** - Doctor of Art. Professor. Tanka State Pedagogical University. Minsk. Belorussia.
- Tavdgiridze Lela** - Doctor of Pedagogical Sciences. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
- Tumanishvili Khatuna** - Doctor of Linguistics. Assoc.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Attia Youseif** - Doctor of Linguistics. Assoc.- Professor. USA, Kolumbis University
- Zviadadze Natia** - Doctor of Linguistic. Assist.- Professor. Akaki Tsereteli State University. Georgia.



## ენათმეცნიერება Linguistic

### არაბული ყალიბის მოხელეობის სახელები აჭარულ დიალექტში

ლელა ავალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail:l.avaliani@yandex.ru

*სიტყვათა სესხება, როგორც ენის ლექსიკური ფონდის შევსებისა და გამდიდრების საშუალება, ენის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. უცხო ენებიდან შეთვისებული ლინგვისტური ერთეულების გამოვლენა ყოველი ენის ისტორიის შესწავლის აუცილებელი ეტაპია. ნასესხობათა გამოყოფას, ძირეული ლექსიკისაგან მის გამოიჯენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენათა შორის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობების დადგენისას.*

*ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს აღმოსავლური ენებიდან, მ.შ. არაბულიდან ნასესხობანი. არაბულიდან ქართულში დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა დროისა და ხასიათისაა. აქ შეიძლება შეგვხვდეს სესხების ყველა სახე, იქნება ეს ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის შედეგად შეთვისებული თუ წიგნიერი გზით შემოსული უშუალოდ არაბულიდან თუ სხვა ენების მეშვეობით.*

*ნაშრომის მიზანია აჭარულ დიალექტში არსებული არაბული წარმოშობის პროფესიული ლექსიკის ფონეტიკურ-სემანტიკური ანალიზი და შემოსვლის გზების გარკვევა.*

*ნაშრომში გაანალიზებული სიტყვები აჭარულში საკუთრივ არაბული ყალიბითაა გადმოსული. სესხებისას პოლისემანტური სიტყვის ყველა მნიშვნელობა არ გადმოვიდა აჭარულში. არაბული სიტყვები ქართულში შემოსვლისას ინარჩუნებენ მხოლოდ ძირითად მნიშვნელობას.*

*ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს აღმოსავლური ენებიდან, მათ შორის არაბულიდან ნასესხები სიტყვები და გამოთქმები.*

არაბულიდან ქართულში დამკვიდრებული სიტყვები სხვადასხვა დროისა და ხასიათისაა. აქ შეიძლება შევხვდეთ სესხების ყველა სახეს, იქნება ეს ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის შედეგად შეთვისებული თუ წიგნური გზით შემოსული ლექსიკური ერთეულები, უშუალოდ არაბულიდან თუ სხვა ენათა მეშვეობით (სპასულის, თურქულის და სხვ.) შემოსული სიტყვები.

ნაშრომში მოცემულია აჭარულ დიალექტში დადასტურებული არაბული წარმოშობის ხელობის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინის (მუდერისი, მუემძინი, მუდირი, მუფთი) ფონეტიკურ-სემანტიკური ანალიზი.

სტატიაში განსახილველი ლექსიკური ერთეულები არაბული მიმღეობის (კერძოდ, მეორე და მეოთხე თემების) ფორმებს უკავშირდება. ძველსა და ახალ არაბულ ლექსიკაში ჩვენ ვხვდებით „მოსაქმის“ აღმნიშვნელ უამრავ ტერმინს, რომელთა საწარმოებლად გამოყენებულია მიმღეობის როგორც პირველი, ასევე სხვა თემების ფორმებიც. ნაწარმოები თემების მიმღეობათა ფორმები მიიღება შესაბამისი თემის იმპერფექტივის ფუმიდან  $\mu$  (mu) პრეფიქსით. მაგალითად, მეორე თემის მიმღეობის ფორმებია: مؤاد - მასწავლებელი, აღმზრდელი (ხ.ბარანოვი, 1989:28). ამოსავალია მეორე თემის ზმნა أب: „აღზარდა“; آخ ისტორიკოსი (ხ.ბარანოვი, 1989:31). ამოსავალია მეორე თემის ზმნა أر „დაათარიდა“, „დაწერა ისტორია“; محر - მწერალი, ჟურნალისტი (ხ.ბარანოვი, 1989:163). ამოსავალია მეორე თემის ზმნა حر „რედაქცია გაუკეთა“, „შეამოწმა“, „შეადგინა“, „დაწერა“; مصم - დამპროექტებელი, კონსტრუქტორი (ხ.ბარანოვი, 1989:445). ამოსავალია მეორე თემის ზმნა صم „დააპროექტა“; مصور - მხატვარი, ფოტოგრაფი, კინო(ოპერატორი) (ხ.ბარანოვი, 1989:450). ამოსავალია მეორე თემის ზმნა صور „დახატა“, „აღწერა“, „მისცა ფორმა“, „გადაუღო სურათი“; معلم - მასწავლებელი, ოსტატი (ხ.ბარანოვი, 1989:535). ამოსავალია მეორე თემის ზმნა علم „ასწავლა“, „შეასწავლა“, „მისცა ინსტრუქცია“; مكيس - მასაჟისტი მექისე (ხ.ბარანოვი, 1989:706). ამოსავალია მეორე თემის ზმნა كيس „დაპრესა“; ملحن - კომპოზიტორი, მომღერალი (ხ.ბარანოვი, 1989:717). ამოსავალია მეორე თემის ზმნა لحن „შექმნა, დაწერა მუსიკა“ და სხვ.

არაბულში მეოთხე თემის მიმღეობათა مفعول ტიპის მაგალითებია: مبرق - ტელეგრაფისტი (ხ.ბარანოვი, 1989: 67). ← ზმნიდან أبرق „ამზავი შეატყობინა დეპეშით“; مخرج - რეჟისორი (ხ.ბარანოვი, 1989:216). ← ზმნიდან أخرج „დადგა წარმოდგენა“; معيد -

რეპეტიტორი, ასისტენტი (ხ.ბარანოვი, 1989:549). ← ზმნიდან اءء „აღადგინა“, „გაიმეორა“, „დააბრუნა“ და სხვ.

**მუდერისი** - უმაღლესი სასულიერო პირი, სასულიერო განათლების მქონე, განსწავლული, მაღალი თანამდებობის მქონე რევოლუციამდელ აჭარაში (შ.ნიჟარაძე, 1961:258). „შუათანამ თქვა, რომ მე იმდენი უნდა ვისწავლო, რომ მუდერისი უნდა გავხდეთ“ (ლ.კოტაშვილი, 1985:85). ← مدرس: მასწავლებელი, პედაგოგი (ხ.ბარანოვი, 1989:251). მის ამოსავალს არაბულში წარმოადგენს ზმნა درء (darrasa) ზმნა, რაც ნიშნავს „ასწავლა“, „ყურადღებით შეასწავლა“. مدرء ნაწარმოებია მეორე თემის მიმღეობის ყალიბით. საანალიზო ტერმინი აჭარულში თურქულის გზით არის შემოსული (შდრ.: თურქ. müderris -1. მედრესეს მასწავლებელი; 2. პროფესორი; ლ. ბუდაგოვი, 1871: 219, დ.მაგაზანიკი, 1945:432, ფ.დეველიოღლუ, 1962:846, თურქულ-რუსული ლექსიკონი, 1977:649, თურქულ-ქართული ლექსიკონი, 2002:1025). მსგავსია თურქული და აჭარული ფორმების სემანტიკა და ფორმა.

**მუეძინი** - მუსლიმური კულტის მსახური, რომელიც მინარეთიდან მოუხმობს ხალხს სალოცავად (შ.ნიჟარაძე, 1971: 276). სალიტერატურო ქართულში ამავე მნიშვნელობით დასტურდება მუეძინი ფორმა (ქეგლ). ← مؤء: პიროვნება, რომელიც ხალხს ლოცვისკენ მოუხმობს, მუეძინი (ხ.ბარანოვი, 1989:30). ამოსავალია انء ზმნა: 1. აუწყო ლოცვის დრო, მოუწოდა ლოცვისკენ; 2. მისცა ნიშანი, სიგნალი (ხ. ბარანოვი, 1989:29). مؤء ნაწარმოებია მეორე თემის მიმღეობის ყალიბით. ვ. ლეკიაშვილის ვარაუდით, სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულ მუეძინ ფორმაში (ء-ს ؤ-დ გადმოსვლაში) გარკვეული როლი ითამაშა გლოტალურმა ხშვამ (ვ.ლეკიაშვილი, 1992:64). აჭარულში ის აშკარად თურქულიდან არის დამკვიდრებული. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით შენარჩუნებულია გემინაცია. შდრ. ოსმალური مؤء ვ.რადლოვი, 1911:2170, ფ.დეველიოღლუ, 1962:846). თურქულში müezzin („სასულიერო პირი, რომელიც მინარეთიდან მოუხმობს ხალხს სალოცავად“) ფორმა არაბულ ნასესხობად არის მიჩნეული დ. მაგაზანიკისა (დ.მაგაზანიკი, 1945:432) და დიდ თურქულ-რუსულ (1977:650) ლექსიკონებში.

**მუდირი** - მოხელე, ბოქაული; შარიათის კანონ-წყესების გამტარებელი თავის სამოქმედო უბანზე (შ.ნიჟარაძე, 1971:276). ← مدير: მმართველი, გამგე, დირექტორი,

რექტორი, მუდირი, პროვინციის მეთაური (ხ.ბარანოვი, 1989:276). ამოსავალია **أراد** ზმნა: 1.იტრიალა, მობრუნდა; 2. მართა, გაუწია ხელმძღვანელობა (ხ.ბარანოვი, 1989:266). აჭარულში დადასტურებული ლექსიკური ერთეული თურქულიდან ჩანს ნასესხები (მუდირი ← **müdür ü** → ი ფონეტიკური პროცესის საფუძველზე). შდრ. გუმიში ← თურქ. **gümüş** „ვერცხლი“, მინქინი თურქ.← **münkün** „შესაძლებლობა“ და სხვ. მუდირი ნაწარმოებია მეოთხე თემის მიმღეობის - **مفعول** ყალიბით.

**მუფთი** - მუსლიმთა მეცნიერი, ღვთისმეტყველი, ყურანის მცოდნე და განმმარტებელი (შ.ნიჟარაძე, 1961:258). ← **مفت**: პირი, რომელიც იძლევა დასკვნას იურიდიული კაზუსის გამო. აღნიშნული ფორმა ნაწარმოებია IV თემის ზმნისაგან **افت**: „მისცა დასკვნა ამა თუ იმ იურიდიული კაზუსის გამო“ (გ.წერეთელი, 1951:180). მუფთი ფორმა აჭარულში თუქრულის გზით არის დამკვიდრებული. ოსმალურში **مفت** (**müfti**) ლექსემას არაბულ ნასესხობად მიიჩნევს ვ.რადლოვი (ვ.რადლოვი, 1911:2215). არაბულად არის ჩათვლილი **müfti/müftü** ფორმები თურქულ-რუსულ (დ.მაგაზანიკი, 1945:433), დიდ თურქულ-რუსულ (1977:650) და თურქულ-ქართულ (20021:1027) ლექსიკონებში. **მუფთი** ლექსემა, ისევე როგორც **მუდირი**, ნაწარმოებია მეოთხე თემის მიმღეობის - **مفعول** ყალიბით.

ამრიგად, სტატიაში გაანალიზებული ლექსიკური ერთეულები აჭარულში საკუთრივ არაბული ყალიბითაა გადმოსული. სესხების დროს პოლისემანტიური სიტყვის ყველა მნიშვნელობა არ გადმოვიდა აჭარულში. მათი სემანტიკა ძირითადად უკავშირდება თურქულ ვარიანტში გააქტიურებულ მნიშვნელობას. მცირედ არაერთგვაროვან სურათს გვაძლევს აჭარულში დამკვიდრებული სიტყვების ფონოტაქტიკა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქმე ეხება სესხებას ისეთ ორ სრულიად განსხვავებულ ფონოლოგიურ სისტემას შორის, როგორც ქართული და არაბულია (მით უმეტეს, თუ შუამავალი ენა თურქულია).

### ლიტერატურა:

- ხ. ბარანოვი, 1989 - Баранов Х., Арабско-русский словарь, М., 1989  
 ვ. ბელკინი, 1975 – Б . М. Белкин, Арабская лексикология, М., 1975

- კ. ბროკელმანი, 1928 – C.Brockelmann, Lexicon Syriacum, Cottingae, 1928
- კ. ბროკელმანი, 1960 - C.Brockelmann, Arabische Grammatik, Leipzig, 1960
- ლ. ბუდაგოვი, 1871 – Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, Т. II
- მ. გაფაროვი, 1974 – М.А. Гаффаров, Персидско- русский словарь, М., 1974
- ვ. გირგასი, 1881 – В. Гиргас, Словарь к арабской хрестоматии и Корану, Казань, 1881
- ნ. გურგენიძე, 1973 – ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბ., 1973
- ფ. დეველიოღლუ, 1962 – F.Devellioğlu, Osmanlica-Türkce Ansiklopedik Lügat, Ankara, 1962
- ე. ლენი, 1863-1893 - E.W. Lane, Arabic-English Lexicon, 1863-1893, New York
- დ. მაგაზანიკი, 1945 – Д.Л. Магазаник, Турецко- русский словарь, М., 1945
- მ. ნედოსპასოვა, 1978 - მ. ნედოსპასოვა, უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბ. 1978
- შ. ნიჟარაძე, 1971 - შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათ., 1971
- ჯ. ნოლაიდელი, 1936 - ჯ. ნოლაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათ., 1936
- ვ. რადლოვი, 1899 – В.В. Радлов, Опыт словаря тюрских наречий, Т. II
- უ. რაიტი, 1967 – W.A. Wright, Grammar of the Arabic Language, I, Cambridge
- გ. შარბატოვი, 1961 – Г.Ш. Шарбатов, Современный Арабский язык
- გ. წერეთელი, 1951 - გ. წერეთელი, 1951, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951

Lela Avaliani

**The names of the officials of the Arabic form in the Adjarian dialect**

**Abstract**

Borrowing words as a means of replenishing and enriching the lexical fund of the language is an important factor in the development of the language. Identifying linguistic units learned from foreign languages is a necessary step in studying the history of each language. Separation of borrowings from its

basic vocabulary is of great importance in determining the regular phonetic correspondences between languages.

Oriental languages occupy an important place in the lexical composition of the Georgian language, including Borrowed from Arabic. The lexical units established from Arabic to Georgian are of different times and characters. Here you can find all kinds of loans, whether it is acquired through a living linguistic relationship or entered in a literal way directly from Arabic or through other languages.

The aim of the paper is phonetic-semantic analysis of professional vocabulary of Arabic origin in Adjara dialect and to clarify the ways of entry.

The words analyzed in the paper are in Adjara in their own Arabic format. Not all meanings of the word polysemantic were borrowed in Adjara. Arabic words retain only the basic meaning when entering Georgian.

რეცენზენტი: ატტია იუსუფი

## ქვეტექსტი როგორც მეტყველი სუბიექტის მიზანდასახულობის გამოხატვის საშუალება

(XX საუკუნის ინგლისური და ქართული მხატვრული პროზიდან შერჩეულ  
მასალაზე დაყრდნობით)

ეკატერინე არჩვაძე

კავკასიის უნივერსიტეტი;  
e-mail: earchvadze @ cu.edu.ge

მოსაუბრის კომუნიკაციური მიზანდასახულობა ხშირად გამონათქვამის სიღრმეში, ე.ი. იმპლიციტურადაა გადმოცემული, თუმცა ეს ხელს სულაც არ უშლის კომუნიკაციის წარმატებულობას. მოცემულ სტატიაში ჩვენ ვახდენთ იმპლიკაციური ტექსტის სტრუქტურების კომუნიკაციური ინტენციების დადგენას XX საუკუნის ინგლისური და ქართული მხატვრული პროზიდან შერჩეულ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით. ჩვენს მიერ შერჩეულ ემპირიულ მასალაში ჩვენ უპირველესად მივმართავთ იმპლიციტური მნიშვნელობის ექსპლიკაციის მეთოდს, რაც უზრუნველყოფს ავტორის მიერ ნაგულისხმევი აზრის, მისი სათქმელის, ქვეტექსტის ნათლად წარმოჩენას, შემდეგ კი ვცდილობთ მათი ინტენციონალური მნიშვნელობების განსაზღვრას. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებში სახეზეა სათქმელის ქვეტექსტურად გადმოცემის შემთხვევები როგორც დიალოგურ, ასევე გაბმულ მეტყველებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ქვეტექსტი, მოსაუბრე

ცნობილია რომ, ნებისმიერ ენობრივ ქმედებას, მათ შორის, აზრის იმპლიციტურად გადმოცემას, მოსაუბრის მხრიდან აქვს კონკრეტული მიზანი. მეტყველი სუბიექტი განზრახ მიმართავს იმპლიკაციის მეთოდს და კომუნიკაციის მონაწილეებს არ აწვდის ინფორმაციას პირდაპირი გზით, რაც იმით აიხსნება რომ, მნიშვნელობის იმპლიციტურად გამოხატვას საფუძვლად უდევს მეტყველი სუბიექტის ინტენცია, ანუ კომუნიკაციური მიზანდასახულობა.

ტერმინი ინტენცია უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში და გაიგება როგორც ნებისმიერი ქმედების (მათ შორის ენობრივი) განმაპირობებელი ძალა, რომელიც განიხილება, როგორც მოქმედების მონაწილე სუბიექტთა მიზანდასახულობა.

თუმცა, ვიდრე განვიხილავდეთ ინტენციას, როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის შესწავლის საგანს, ვფიქრობთ, საინტერესოა, გავეცნოთ მოსაზრებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ინტენციის მნიშვნელობას არა მხოლოდ კომუნიკაციის, არამედ, ზოგადად, ნებისმიერი ქმედების სპექტრში. ასეთია მაგალითად ბრატმანის (Bratman) „დაგეგმარების თეორია“, რომლის თანახმად, ინტენციას წამყვანი ადგილი უჭირავს ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, იქნება ეს სამეტყველო თუ არასამეტყველო ქმედება. სწორედ ინტენცია გვამღვებს საშუალებას, მოვახდინოთ კოორდინირება სხვა ინდივიდებთან. ნებისმიერი სახის ინტენცია, სამეტყველო თუ არასამეტყველო, გავლენას ახდენს თავად მოქმედ სუბიექტზე და ასევე მსმენელ აუდიტორიაზე [ბრატმანი, 1999]. აღნიშნული თეორიის თანახმად, ადამიანები დაგეგმარების აგენტები ვართ, რომელთაც მუდმივად გვაქვს კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვით ვახდენთ საკუთარი ქმედების ორგანიზებას კონკრეტულ დროსა და სივრცეში. თავად დაგეგმარების პროცესი კი მიმდინარეობს იმ კონტექსტის შესაბამისად, რომელშიც ვცხოვრობთ, ვმოღვაწეობთ და ვფუნქციობთ როგორც სოციალური ინდივიდები [ბრატმანი, 1999].

თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში ენობრივი გამონათქვამის „ეფექტურობა“, ანუ მსმენელზე მისი ზემოქმედების ხარისხი მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ მახასიათებელთან, როგორცაა გამონათქვამის მიზანდასახულობა, ანუ კომუნიკაციური ინტენცია. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ, ცალკეული სამეტყველო აქტი იწყება მოტივითა და პლანით და მთავრდება დასახული მიზნის მიღწევით. სწორედ ამ მიზნის მიღწევის საშუალებაა კონკრეტული გამონათქვამი, წინადადება, ან სამეტყველო ნაწარმოები - მთელი ტექსტი. საგულისხმოა, რომ ყოველ კონკრეტულ სამეტყველო აქტში გარდა ძირითადი მიზნისა, კერძოდ ინფორმაციულობისა, არის კიდევ რაღაც არასამეტყველო მიზანი. სამეტყველო აქტის საშუალებით გადმოცემული შეტყობინება შეიძლება გამოხატავდეს წინასწარმეტყველებას, ბრძანებას, ვარაუდს, შეურაცხყოფას, მუქარას, თხოვნას, დაპირებას და სხვა, რაც შეტყობინების ილოკუციურ (არასამეტყველო) პოტენციალს განეკუთვნება. როგორც გ. ლებანიძე მიიჩნევს, ყოველი გამონათქვამი ემსახურება კომუნიკაციას, და ყოველი გამონათქვამის სტრუქტურა და პირველ რიგში ის გეგმა, რომლის მიხედვითაც ის იგება, ექვემდებარება კომუნიკაციურ ინტენციას. სწორედ კომუნიკაციური ინტენციის გარკვეულობა წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტურობის ერთ-ერთ ფაქტორს. მკვლევარის მოსაზრებით, კომუნიკაციური ინტენციის ცნება



დაკავშირებულია ლინგვისტიკაში ისეთ ცნებასთან, როგორცაა ილოკუციური ძალა, რომელიც თავის მხრივ, უკავშირდება პერფორმატიულობის ცნებას [ლებანიძე გ. 2004].

ყოველი საკომუნიკაციო აქტის განმავლობაში, ჩვენ კომუნიკაციის სხვა მონაწილეებს ვუზიარებთ ჩვენს მოსაზრებებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს, მიზნებს. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა არის ჩვენთვის პრიორიტეტი, ინფორმაციის გადაცემა თუ აუდიტორიაზე გავლენის მოხდენა, შეასძლოა განვასხვავოთ ინფორმაციული და კომუნიკაციური ინტენცია. ეს უკანასკნელი, მოსაუბრის ინტენციაა, რომელიც გულისხმობს მსმენელთა კოგნიტურ მახასიათებლებზე, შეხედულებებზე, შთაბეჭდილებებზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენას. ინფორმაციული ინტენცია კი თავისუფალია ასეთი მიზნებისგან, ინფორმაციულ ინტენციას საფუძვლად მხოლოდ ინფორმაციის გაზიარება უდევს. ინფორმაციული და კომუნიკაციური ინტენცია, მეორეს მხრივ შეიძლება განისაზღვროს, როგორც გაგებინება და დარწმუნება [სპერბერი და უილსონი. 1986].

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ გამონათქვამის ილოკუციური ძალის ცნება კომუნიკაციური ინტენციის ცნების უშუალო დაკონკრეტებაა. ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ერთხელ მითითებული ავტორი მიიჩნევს, რომ „ყოველი ქმედება გულისხმობს მიზანს, ყოველი გამონათქვაში შეიცავს ილოკუციურ ძალას. არ არსებობს გამონათქვაში ილოკუციური ძალის გარეშე. ამიტომ ყოველი ენობრივი ქმედების მომენტს შეადგენს ილოკუციური აქტი, რომელიც შეიძლება იყოს მოცემული, როგორც გამონათქვამის ზედაპირზე, ისე მის სიღრმეში. მეტყველი პირის კომუნიკაციური ინტენცია მუდამ გვაქვს გამონათქვამის სიღრმეში - მუდამ გვაქვს ფარული სახით და მუდამ შესაძლებელია მისი ექსპლიკაცია“ [ლებანიძე გ. 200].

ვიზიარებთ რა ზემოთაღნიშნულ მოსაზრებებს, მოცემულ სტატიაში შევეცდებით დავადასტუროთ, რომ მოსაუბრის კომუნიკაციური მიზანდასახულობა ხშირად გამონათქვამის სიღრმეში, ე.ი. იმპლიციტურადაა გადმოცემული და გავიხსენებთ იმლიკაციის თეორიის ფუძემდებლის პოლ გრაისის აზრს, რომლის თანახმად, „იმპლიკაციაში“ იგულისხმება პოტენციური დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს პროპოზიციის ანალიზის საფუძველზე. „გრისის იმპლიკაციის თეორია გვთავაზობს მოსაზრებას იმის შესახებ, როგორ შეიძლება იგულისხმებოდეს უფრო მეტი, ვიდრე ეს სინამდვილეშია ნათქვამი, ე.ი. უფრო მეტი, ვიდრე გამონათქვამის კონცეპტუალური მნიშვნელობა“ [Levinson S.C. 1983].

მოცემულ სტატიაში ჩვენ ვახდენთ იმპლიკაციური ტექსტის სტრუქტურების კომუნიკაციური ინტენციების დადგენას XX საუკუნის ინგლისური და ქართული მხატვრული პროზიდან შერჩეულ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით. ჩვენს მიერ შერჩეულ ემპირიულ

მასალაში ჩვენ უპირველესად ვახდენთ იმპლიციტური მნიშვნელობის ექსპლიკაციას, ავტორის მიერ ნაგულისხმევი აზრის, მისი სათქმელის, ქვეტექსტის ნათლად წარმოჩენას, შემდეგ კი ვცდილობთ მათი ინტენციონალური მნიშვნელობების განსაზღვრას.

1. The navy guy and I told each other we were glad to have met each other, which always kills me. I am always saying "glad to have met you" to somebody I am not at all glad I met ( Salinger J.D. „ The Catcher In The Rye“).

—————> If I had acted honestly, I would not have told him a lie.

მოცემულ მაგალითში რეალიზდება საკუთარი ნაკლის აღიარების, სინანულის გამოხატვის კომუნიკაციური ინტენცია.

2. I wonder why he jumped, the old man thought. He jumped almost as though to show me how big he was. I wish I could show him what sort of man I am. But then he would see the cramped hand ( Hemingway E. „ The Old Man and the Sea“ )

—————> If my hand wasn't cramped I would show him what I could really do...

ჩვენს მიერ საილუსტრაციოდ წარმოდგენილ აბზაცში პერსონაჟის შინაგანი მეტყველების საშუალებით გადმოიცემა სევდანარევი ნატვრის გამოხატვის კომუნიკაციური ინტენცია.

3. He was an old man who fished alone in a skiff in the Gulf Stream and he had gone eighty-four days now without taking a fish. In the first forty days a boy had been with him. But after forty days without a fish the boy's parents had told him that the old man was now definitely and finally salao, which is the worst form of unlucky and the boy had gone at their orders in another boat which caught three good fish the first week (Hemingway E. „ The Old Man and the Sea“ ).

—————> If the boy's parents had not been so demanding, they would not have sent the boy to another boat, which had caught three good fish the first week.

მოცემულ ტექსტის სტრუქტურაში ბრაზის გამოხატვასთან ერთად რეალიზდება სინანულის კომუნიკაციური ინტენცია.

4. I must hold his pain where it is, he thought. Mine does not matter. I can control mine. But his pain could drive him mad (Heminhway E. „ The Old Man and the Sea“ ).

—————> If I do not hold his pain, the fish will probably free himself....( As for his own pain, the man is superior to beast being able to withstand the pain.)

აქ რეალიზდება მსჯელობის, თავის გამხნეების, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულობის გამოხატვის კომუნიკაციური ინტენცია.

5. Why then do we continue in this miserable condition? Because nearly the whole of the produce of our labour is stolen from us by human beings. There, comrades, is the answer to all our problems. It is

summed up in a single word — Man. Man is the only real enemy we have. Remove Man from the scene, and the root cause of hunger and overwork is abolished for ever (Orwell G. „ Animal Farm” ).

—————> If we are strong enough to fight against the men who steal what we produce, hunger and overwork will be abolished for ever.

მოცემული ნაწყვეტი ჯორჯ ორველის დისტოპიური ნაწარმოებიდან ბრძოლისაკენ მოწოდებას, წაქეზებას, კომუნიკაციაში მონაწილე სხვა პერსონაჟების სიმართლეში დარწმუნებას ისახავს მიზნად.

6. “Is it not crystal clear, then, comrades, that all the evils of this life of ours spring from the tyranny of human beings? Only get rid of Man, and the produce of our labour would be our own. Almost overnight we could become rich and free ( Orwell G. „ Animal Farm“).

—————> If we get rid of the men who oppress us, we will become rich and free.

იგივე შეიძლება ითქვას მოცემული აზრის შესახებ. მეტყველი სუბიექტი სვამს შეკითხვას, რომელსაც თავადვე სცემს პასუხს ბრძოლისაკენ მოწოდების კომუნიკაციური ინტენციის გამოხატვით.

7. Freddy: I tried as far as Charing Cross Station. Did you expect me to walk to Hammersmith?

The daughter: You have not tried at all.

The mother: You really are very helpless, Freddy. Go again. And do not come back until you have found a cab ( Shaw G. B. „ Pygmalion“).

—————> If Freddy had tried harder, he would have found a cab.

მოცემული დიალოგი სიბრაზის და მუქარის გამოხატვის კომუნიკაციური ინტენციის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვიყენოთ.

სტატიაში ასევე საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მასალას ქართველ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებებიდან და ვცდილობთ დავადგინოთ მოცემული ტექსტის სტრუქტურების ქვეტექსტური კომუნიკაციური მიზანდასახულობები, რომელთა საშუალებით პროზაიკოსები უკეთ ამბობენ სათქმელს, რაც ხშირად წარმატებული კომუნიკაციის საწინდარია.

1. -გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ, ან უარეს უბანში გადამიყვანენ. - და მაშინვე გადაწყვიტა : - რაც უნდა მიყონ, თუნდ მომკლან, სულ ერთია, ამაღამ ერთი ქურდი ან „სიცილისტი” უნდა დავიჭირო. არ დავიძინებ, ორ დღე-ღამეს არ დავიძინებ და დავიჭერ (ჯავახიშვილი, მ. „ ჩანჩურა“).

—————> თუ არ ვიყოჩარებ, სამსახურს დავკარგავ,ან მდგომარეობას გავიუარესებ...

მწერალი იყენებს შინაგანი მეტყველების ფორმას, რომლის საშუალებით პერსონაჟი საკუთარ თავს მოქმედებისკენ მოუწოდებს, წააქეზებს და საკუთარ შესაძლებლობებში არწმუნებს.

2. და რაკი ყვავილს პატრონი არ ჰყავდა, იმან მოწყვიტა, ვინც პირველმა მოისურვა - ერთ იქაურ შუახნის მწყემსს ცოლად გააყოლეს ნათესავებმა ლელა ( ჩოხელი გ. „სარკე“ ).

—————> ნამდვილი გულშემატკივარი რომ ჰყოლოდა მშვენიერ ლელას, მისი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა....

ჩვენს მიერ საილუსტრაციოდ წარმოდგენილ ტექსტის სტრუქტურაში რეალიზდება სინანულის გამოხატვის კომუნიკაციური მიზანდასახულობა.

3. — ცოცხალი თავით არ გაგატან! — იკივლა ბებია. — თავის ქალა ახადო, რავა, კვახი ხომ არ არის? რა სჭირს საოპერაციო კეტივით ბაღანას. ღმერთო კი მომკალი. ადექი, ბიჭო, ზედ, შენ მაგას მართლა ავად ხომ არ ჰგონიხარ, ავად კი არა, კერკეტა ნიგოზივითაა, ენაცვალოს ბებია! (დუმბაძე ნ. „ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ )

—————> თუ დროულად არ ადგები ფეხზე, ექიმს მართლა ავადმყოფი ეგონები.

მოცემულ დიალოგში რეალიზდება ზრუნვის, საყვარელი ადამიანისთვის საფრთხის არიდების და მოქმედებისკენ მოწოდების კომუნიკაციური ინტენცია.

4. — რატომ ხელი არ გამიხმება და თვალები არ დამეფსება, — თქვა ილარიონმა.

— რა შენი ბრალა, ილარიონ, ნამთვრალეები იყავი, თანაც იმ კურდღელმა სულ ახლოს ჩამირბინა, იმას ძაღლის ბედი აღმოაჩნდა, ტყვია აცილდა და მე მომხვდა, მერე შენი თოფიც ისეთია, მტერს (დუმბაძე ნ. „ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“).

—————> ნამთვრალეები რომ არ ყოფილიყავი, ეს საქმე არ დაგემართებოდა.

აქ რეალიზდება ერთის მხრივ სინანულის გამოხატვის, ხოლო მეორეს მხრივ გამხნეების, დამშვიდების კომუნიკაციური ინტენცია.

5. — ჩამოდი, გელაპარაკები!

— არ ჩამოვალ!

— არ ჩამოხვალ?

— არა!

— აბა, იყავი მანდ და ვნახავ რამდენ ხანს გაძლებ, მე არსად არ მეჩქარება (დუმბაძე ნ. „ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ).

—————> თუ არ ჩამოხვალ, მეც აქ ვიქნები და დაგელოდები.

მოცემულ დიალოგში მოცემულია მუქარის გამოხატვის კომუნიკაციური ინტენცია.

6. - წადი, ქუჩაში გაიარე, სულ ასე ზიხარ, აღარ შემიძლია შენი ყურება, - ამბობს ლია.

- რა თქვი? - ვეკითხები უაზროდ, - რა აღარ შეგიძლია?

- ასე ერთ ადგილას რომ ზიხარ, გაგაწამე. გააღე ფანჯარა. ( ჭილაძე თ. „ პოსეიდონის სასახლე“ )

—————> თუ გარეთ არ გახვალ, სინდის ქენჯნა მომკლავს....

ვფიქრობთ, მოცემულ დიალოგში ქვეტექსტის საშუალებით მეტყველი სუბიექტი გამოხატავს წუხილს არსებული რეალობის გამო და კომუნიკაციის მონაწილეს მოქმედებისკენ, რეალობის შეცვლისკენ მოუწოდებს.

განხილული ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე გვაქვს საშუალება ვიფიქროთ, რომ იმპლიკაციის ლინგვისტური მოვლენა უნივერსალური ფენომენია. განსხვავებული ეროვნული ტრადიციისა და კულტურის მქონე ორი სხვადასხვა ერი სათქმელს არა მხოლოდ ექსპლიციტურად, არამედ იმპლიციტურადაც გამოხატავს და წარმოაჩენს ქვეტექსტის როლს კომუნიკაციის წარმატებულად წარმართვის პროცესში. იმპლიკაციის ხასიათი ერთნაირია ქართულ და ინგლისურ ენებში, თუმცა სახეზეა გამოხატვის ფორმათა შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი. როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაში თითქმის ერთნაირი სიხშირით გვხვდება შემთხვევები, როცა ავტორი იყენებს ქვეტექსტს, როგორც მთავარი სათქმელის გამოხატვის საშუალებას როგორც დიალოგურ, ასევე გაბმულ მეტყველებაში. ორივე ენაში ვხვდებით სევდისა და სინანულის, მოქმედებისაკენ მოწოდების, გამხნეების, რჩევის , მუქარისა და პროტესტის გამოხატვის კომუნიკაციურ ინტენციებს და ვრწმუნდებით, რომ კომუნიკაციური მიზანდასახულობის გარკვეულობა წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

#### ლიტერატურა:

1. დუმბაძე ნ. (1982). ნოდარ დუმბაძე; „მე ბებია ილიკო და ილარიონი“ ; "მერანი", თბილისი;
2. ლებანიძე გ. (2004). გურამ ლებანიძე; კომუნიკაციური ლინგვისტიკა, "ენა და კულტურა", თბილისი.
3. ჩოხელი გ. (2017) გოდერძი ჩოხელი; „სარკე“; მოთხრობები; ელფის გამომცემლობა; თბილისი;
4. ჭილაძე თ. (2012) თამაზ ჭილაძე; „ პოსეიდონის სასახლე“; ჩემი რჩეული; თამაზ ჭილაძის ექვსტომეული; ტ.3. თბილისი;
5. ჯავახიშვილი მ. (2011) მიხეილ ჯავახიშვილი „ ჩანჩურა“ ; ჩემი რჩეული; მიხეილ ჯავახიშვილის შვიდტომეული; ტ. 7; თბილისი;

6. ბრატმანი 1999 - Bratman, M., (1999). Faces of intention: Selected Essays on Intention and Agency, Cambridge University Press, Cambridge;
7. გრაისი, 1989 - Grice, H. P., (1989). Logic and conversation. In Studies in the way of words. Cambridge, MA: Harvard University Press;
8. ლევინსონი 1983 - Levinson, Stephen C., (1983). Conversational implicature. In Pragmatics. Cambridge: Cambridge University Press;
9. სპერბერი და უილსონი 1986 - Sperber, D., & Wilson, D., (1986a). Relevance: Communication and Cognition, Cambridge, MA: Harvard University Press;
10. Internet resources:  
<https://www.marxists.org/subject/art/literature/children/texts/orwell/animal-farm/ch01.htm>  
[https://www.goodreads.com/book/show/5107.The\\_Catcher\\_in\\_the\\_Rye](https://www.goodreads.com/book/show/5107.The_Catcher_in_the_Rye)  
[https://www.researchgate.net/publication/332107823\\_The\\_Old\\_Man\\_and\\_the\\_Sea\\_learning\\_chan](https://www.researchgate.net/publication/332107823_The_Old_Man_and_the_Sea_learning_chan)  
<http://www.learn-english-network.org/books/pygmalion/pygmalion1.html>

Ekaterine Archvadze

**Overtone as a Means of Expressing the Communicative Intention of a Speaker**

**(On the material of XX century English and Georgian fiction )**

**Abstract**

The communicative intention of the speaker is not always expressed explicitly, but implicitly, though it doesn't hinder the participants to achieve the successful communication. In this paper we try to define the communicative intentions of implicit text units on the material of XX century English and Georgian prose works (fiction). First, we define the explicit meaning of utterances through the method of explication to reveal the overtone of the speaker, then we try to define multiple intentional meanings they convey. There are different ways of expressing overtone in English as well as in Georgian fictional material in dialogues or coherent utterances.

რეცენზენტი: პროფესორი მ. ღარიბაშვილი

## სიტყვათა სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com; kuparadze.george@gmail.com; keti\_gabunia@yahoo.com

*ენაში გამუდმებით ჩნდება სიტყვათა ახალი მნიშვნელობები. როგორც ცნობილია, ცნება „დერივაცია“, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება, ვრცელდება ისეთ სფეროშიც, როგორცაა სემანტიკა; კერძოდ, გამოიყენება მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის ახალ მნიშვნელობათა გაჩენის პროცესის დასახასიათებლად (სემანტიკური დერივაცია). სემანტიკური დერივაციის პროდუქტიულობა თანამედროვე ლინგვისტთა დიდ ინტერესს იწვევს, რომლებიც მას ხშირად მიიჩნევენ პოლისემიის განვითარების მექანიზმად. სემანტიკური დერივაცია წარმოგვიდგება როგორც ლექსიკური დერივაციის კერძო შემთხვევა. იგი განსხვავდება სიტყვაწარმოებისაგან მხოლოდ იმით, რომ არ მოითხოვს ფორმალურ მაჩვენებლებს.*

*წინამდებარე სტატიაში, სემანტიკურ დერივაციას განვიხილავთ როგორც ნეოლოგიზმთა წარმოების ერთ-ერთ საშუალებას. სემანტიკური დერივაცია წარმოადგენს ახალი სიტყვების შექმნის საშუალებას, უფრო ზუსტად კი, ნაცნობი სიტყვების ახალი მნიშვნელობების შექმნის საშუალებას, არ მიმართავს რა სიტყვათა ახალი ფორმების შექმნას და არც ნასესხობებს. სემანტიკური ნეოლოგიზმები (ასე იწოდებიან სიტყვები, რომელთაც შეიძინეს ახალი მნიშვნელობები) არაერთგვარად გაიგებიან თანამედროვე ლინგვისტიკაში.*

*ფრანგი მეცნიერის ლ. ჟილბერის მიხედვით, სემანტიკური ნეოლოგია არის მნიშვნელობის ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ხდება ლექსემის აღსანიშნ სამ ასპექტთაგან ერთ-ერთში, აღმნიშვნელის ფორმის ცვლილების გარეშე და გამოჰყოფს სემანტიკური ნეოლოგიის სამ ფორმას:*

1. სემანტა ჯგუფის ცვლილება, 2. კონვერსია, 3. სემანტიკური ნეოლოგიის სოციოლოგიკური ფორმა.

გამოვეყნეთ ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ - სემანტიკურ ჯგუფებს, რომლებიც შეიცავენ:

1. ფუნქციის შეცვლა (კონვერსია და სინტაქსიკურ/ლექსიკური შეწყობა/შეხამება);
2. მნიშვნელობის გადააზრება (მეტაფორა, მეტონიმია და სხვა სტილისტიკური საშუალებები).

**მნიშვნელობის გადააზრება** - არის წმინდად სემანტიკური დერივაცია, რომელიც ძალზე პროდუქტიულია თანამედროვე ენაში. სემანტიკური დერივაციის ძირითადი სახეობებია: მეტაფორა, მეტონიმია, მნიშვნელობის გაფართოება და შევიწროება. სიტყვათა სემანტიკური ევოლუცია საუკუნეების მანძილზე გრძელდება; ზოგი სიტყვა გამოდის ხმარებიდან, ზოგიერთი კი შედის ენაში ახალი მნიშვნელობით.

ფუნქციის შეცვლა, სახელდობრ, კონვერსია და ლექსიკურ-სინტაქსური შეხამება, განიხილება როგორც ენის სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია, რადგან აუცილებლად გაითვალისწინება არა მხოლოდ გრამატიკული და სინტაქსური ცვლილებები, არამედ სიტყვათა მნიშვნელობის ცვლაც.

აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში, სასაუბრო ენის ნეოლოგიური კონსტრუქციები გადადის საერთო სალიტერატურო ენაში პრესის, ტელევიზიის, რეკლამის გზით: ისინი ასახვენ მოდის მიმართულებას ენაში.

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ განგვესაზღვრა იმ ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია, რომლებიც შევიდნენ ფრანგულ და ინგლისურ ენებში ბოლო ათწლეულებში. ახალი სიტყვები, რომლებიც შეიქმნენ სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუციის გზით და დამკვიდრდნენ ამ ენათა ლექსიკურ ფონდში, ვერ პოულობენ სრულ ასახვას თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ლექსიკოგრაფიაში.

**საკვანძო სიტყვები:** სემანტიკური დერივაცია, სემანტიკური ნეოლოგიზმი, მნიშვნელობის გადააზრება, კონვერსია, სიტყვაშეხამებითი ნეოლოგია, შიდა ნასესხობანი.

ენაში გამუდმებით ჩნდება სიტყვათა ახალი მნიშვნელობები. როგორც ცნობილია, ცნება „დერივაცია“, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება, ვრცელდება ისეთ სფეროშიც, როგორცაა სემანტიკა; კერძოდ, გამოიყენება მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის ახალ მნიშვნელობათა გაჩენის პროცესის დასახასიათებლად (სემანტიკური დერივაცია). სემანტიკური დერივაციის პროდუქტიულობა თანამედროვე ლინგვისტთა დიდ ინტერესს იწვევს, რომლებიც მას ხშირად მიიჩნევენ პოლისემიის განვითარების მექანიზმად. სემანტიკური დერივაცია



წარმოგვიდგება როგორც ლექსიკური დერივაციის კერძო შემთხვევა. იგი განსხვავდება სიტყვაწარმოებისაგან მხოლოდ იმით, რომ არ მოითხოვს ფორმალურ მაჩვენებლებს.

წინამდებარე სტატიაში, სემანტიკურ დერივაციას განვიხილავთ როგორც ნეოლოგიზმთა წარმოების ერთ-ერთ საშუალებას. გარკვეული დროის წინათ, ფრანგები და ინგლისელები არ იყენებდნენ ქვემოთ მოცემულ სიტყვებს ახალი მნიშვნელობებით: **garage** (musique house appréciée à New York, qui doit son nom au club Paradise Garage), **compilation** (disque qui peut rassembler plusieurs artistes autour d'un thème ou d'un courant musical), **pirate** informatique (hacker), **souris et mulot** (d'ordinateur), **renseigner** (compléter un formulaire) (Le Petit Robert, 2009). ამჟამად კი, ეს სიტყვები გასაგებია მოსახლეობის ფართო ფენისათვის. სემანტიკური დერივაცია წარმოადგენს ახალი სიტყვების შექმნის საშუალებას, უფრო ზუსტად კი, ნაცნობი სიტყვების ახალი მნიშვნელობების შექმნის საშუალებას, არ მიმართავს რა სიტყვათა ახალი ფორმების შექმნას და არც ნასესხობებს. სემანტიკური ნეოლოგიზმები (ასე იწოდებიან სიტყვები, რომელთაც შეიძინეს ახალი მნიშვნელობები) არაერთგვარად გაიგებიან თანამედროვე ლინგვისტიკაში.

როგორ შევაფასოთ ცნობილ სიტყვათა ახალი მნიშვნელობები, მართებულია თუ არა მათთვის ნეოლოგიზმების წოდება: **une icône** (symbole graphique affiché sur l'écran), **la Toile** (réseau Internet, le Web), **une économie parallèle** (qui existe, s'exerce en même temps qu'autre chose, mais en dehors d'un cadre légal ou officiel)?

ფრანგი მეცნიერის ლ. ჟილბერის მიხედვით, **სემანტიკური ნეოლოგია** არის მნიშვნელობის ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ხდება ლექსემის აღსანიშნ სამ ასპექტთაგან ერთ-ერთში, აღმნიშვნელის ფორმის ცვლილების გარეშე და გამოჰყოფს სემანტიკური ნეოლოგიის სამ ფორმას: 1. სემათა ჯგუფის ცვლილება, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ ლექსემას, მეტაფორის, მეტონიმისა, შედარებისა და ა. შ. გზით; 2. კონვერსია (მოდელი «**belle > les belles**» = “**beautiful > beauty**” ატარებს სემანტიკურ ცვლილებას, ანუ მეტს, ვიდრე ერთი გრამატიკული კატეგორიიდან მეორეში გადასვლაა); 3. სემანტიკური ნეოლოგიის სოციოლოგიკური ფორმა: სიტყვების გადანაცვლება ხმარების ერთი ფორმიდან მეორეში [Gilbert L. 1972, გვ. 21-23].

ფრანგულ და ინგლისურ ენებში, შიდა ნასესხობათა მაგალითად შეიძლება ითვლებოდეს, მაგალითად, არგოტიზმები, რომლებიც იქმნებიან ბგერებისა და მარცვლების გადაადგილების გზით და წარმოადგენენ „ვერლანს“. მრავალმა მათგანმა ფართო გავრცელება ჰპოვა დღეს და ლექსიკონებშიც არიან ასახულნი: **meuf (femme)= chick, ouf (fou)= ouf!, chelou (louche)= weird, méfu(fumer)**. (In the French language, verlan is the inversion of syllables in a word which is found in slang and youth language. It rests on a long French tradition of transposing syllables of individual words to create slang words). ინგლისურ ენაში არგოტიზმების - (slang)-ის მაგალითებია: **acrolect\_;** **basilect\_;** **cant\_;** **colloquialism;** **conlang;** **\_legalese\_;** **lingo\_;** **lingua franca;** ლინგვისტთა უმეტესობა კონვერსიას

მიაკუთვნებს სიტყვამაწარმოებელ საშუალებებს. კონვერსია არის სიტყვაწარმოების მორფოლოგიურ-სინტაქსური ხერხი, რომლის საშუალებითაც სიტყვა გადადის მეტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში. რაც შეეხება კონვერსივით სემანტიკას, სემანტიკურად საწყისი (ამოსავალი) და კონვერტირებული სიტყვები შეიძლება იყვნენ ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად მჭიდროდ დაკავშირებულნი. ზოგ შემთხვევაში, კონვერტირებული სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის განსაზღვრა არ არის ძნელი; თუმცა უმეტეს შემთხვევაში (მაგალითად, თვისებითი ზედსართავების სუბსტანტივაციის დროს) კონვერტირებული სიტყვები - მრავალმნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ კონვერსიის დროს არ ხდება გარეგანი, მატერიალური ცვლილებები სიტყვის მორფოლოგიურ წყობაში, აუცილებელია ვაღიაროთ, რომ ნაწარმოები სიტყვის მეტყველების ნაწილის ცვლილების თვით ფაქტი არ გვაძლევს საშუალებას, რომ კონვერსია მივაკუთვნოთ სემანტიკურ პროცესებს. სიტყვამაწარმოებელი საშუალებების განსხვავება სემანტიკური ხერხებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ სემანტიკური ხერხების გამოყენებისას არავითარი ცვლილებები არ ხდება სიტყვის მორფოლოგიურ წყობაში. თუმცა კონვერსირებულ წარმონაქმნთა სემანტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ერთეული ნაწარმოებია სემანტიკური პროცესების მონაწილეობით, ანუ ასეთ შემთხვევებში, სემანტიკური ევოლუციის მოდელები (მეტაფორა, მეტონიმია, აზრის შევიწროება) გამოიყენებიან სიტყვამაწარმოებელ საშუალებებთან ერთად.

კონვერსიები მიდრეკილნი არიან მეტაფორიზაციის პროცესისაკენ; მაგალითად: **gratter= scratch=** Grate, v. t. [OF grater to scrape, scratch, F. gratter, LL. gratare, cratare; of German origin; To rub roughly or harshly, as one body against another, causing a... ... ('ფხაჭნა') > **la grate = guitar** ('გიტარა'). ზოგი კონვერსივი იწარმოება მეტონიმით: **une grolle= shoe** ('ფეხსაცმელი') > **groller= kick (smb.)** ('პანდურის ამორტყმა').

ვითვალისწინებთ რა ყოველივე ზემოთ თქმულს და ვეყრდნობით რა ფრანგი ლინგვისტების ჟ. პრუვოსა და ჟ. საბრეიროლის [Pruvost J., Sablayrolles J., 2003] თვალსაზრისს, გამოვეყოფთ **ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ - სემანტიკურ ჯგუფებს**, რომლებიც შეიცავენ:

1. ფუნქციის შეცვლა (კონვერსია და სინტაქსიკურ/ლექსიკური შეწყობა/შეხამება);
2. მნიშვნელობის გადააზრება (მეტაფორა, მეტონიმია და სხვა სტილისტიკური საშუალებები).

ზოგიერთი მკვლევარი სემანტიკურ ნეოლოგიზმებად მიიჩნევს ნასესხობათა სხვადასხვა სახეობებს, ზოგის აზრით კი, სხვა ენებიდან ნასესხობები ცალკე ჯგუფს შეადგენენ და უნდა განიხილებოდნენ სხვა პოზიციებით.

სიტყვათა სემანტიკური ევოლუციის ანალიზისას, ცხადია, გაითვალისწინება ის გარემოებაც, რომ სიტყვა შეიძლება შემოვიდა ენაში და დამკვიდრდა რამოდენიმე ათეული ან ასწლეულის წინაც კი ერთი მნიშვნელობით და მან სხვა მნიშვნელობაც მოიპოვა თანამედროვე ეტაპზე; მაგალითად, ინგლისური სიტყვა **icon** შევიდა ფრანგულ ენაში 1970 წელს როგორც **un icône**, მნიშვნელობით «**Signe qui ressemble à ce qu'il désigne, à son référent (didact.)**» - „ნიშანი, სიმბოლო“; 90-იანი წლებიდან კი მან შეიძინა ახალი მნიშვნელობა - „იარლიყი, ეტიკეტი“ (*une icône: symbole graphique affiché sur un écran d'ordinateur, qui représente et permet d'activer une fonction du logiciel (inform.)*). ახალი მნიშვნელობით, ეს არსებითი სახელი იხმარება როგორც მდედრობითი სქესის არსებითი სახელი (*Le Petit Robert 2009*). ამგვარად, ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ-სემანტიკურ ჯგუფში შედის შიდა ნასესხობებიც.

**მნიშვნელობის გადააზრება** - არის წმინდად სემანტიკური დერივაცია, რომელიც ძალზე პროდუქტიულია თანამედროვე ენაში. სემანტიკური დერივაციის ძირითადი სახეობებია: მეტაფორა, მეტონიმია, მნიშვნელობის გაფართოება და შევიწროება. სიტყვათა სემანტიკური ევოლუცია საუკუნეების მანძილზე გრძელდება; ზოგი სიტყვა გამოდის ხმარებიდან, ზოგიერთი კი შედის ენაში ახალი მნიშვნელობით; მაგალითად, სიტყვა **casserole (f); saucepan** თანამედროვე ენაში იხმარება მნიშვნელობით «**affaire compromettante**» = “**compromising case**”; “**compromising affair**”; მაგალითად, პოლიტიკაში: **il a une casserole / il n'a pas de casserole = It is a compromising case (affair)**. ეტიმოლოგიურად ეს სიტყვა მომდინარეობს ძველფრანგულიდან **casse = case, poêle = pan** და თანამედროვე ეტაპზე აქვს შემდეგი მნიშვნელობები (ლექსიკონში *Le Petit Larousse 2009*):

**1. Ustensile de cuisine cylindrique à fond plat et à manche qui sert à cuire des aliments. Belgique. Casserole à pression : autocuiseur. Familier. Passer à la casserole : être tué ; subir une épreuve pénible.**  
**2. Familier. Son, voix, instrument de musique discordants, peu mélodieux. Chanter comme une casserole.**  
**3. Familier. Événement, action dont les conséquences négatives nuisent à la réputation de quelqu'un. Traîner une casserole.**  
**4. Astron. La Grande Casserole: la Grande Ourse. Constellation de la Casserole.**

ლექსიკონში *Le Petit Robert (2009)* აქვს კიდევ ერთი მნიშვნელობა

ინგლისურ ენაში ამ სიტყვის ეტიმოლოგია და მისი პოლისემიური ბუნება ასე წარმოგვიდგება:

**Saucepan - enamelled [BrE] saucepan ou pan - 1680s, from sauce (n.) + pan (n.). Originally a pan for cooking sauces - ქვაბი**

**Idiomes:**

**chanter/jouer comme une casserole — (colloq) to sing/to play atrociously (საშინლად).**

**passer à la casserole** ( se faire disputer) to get into trouble; ( subir un rapport sexuel) to be coerced (იძულება, ძალდატანება) into sex;

1. Honky-tonk piano, tinny instrument singularly in need of attention. 2. 'Jalopy', 'banger', ramshackle motor car. 3. Trollop, low-class prostitute. 4. (of person): 'Wash-out', failure.

5. 'Snout', 'grass', police mformer.

**Passer à la casserole (fig.):**

**a)** To 'get the chop', to be dispensed with once and for all; **b)** To be 'screwed', to be fucked, to have intercourse. (The implication within this meaning is of coerced sex which leaves the partner feeling that she has been 'used'.)

ფუნქციის შეცვლა, სახელდობრ, კონვერსია და ლექსიკურ-სინტაქსური შეხამება, განიხილება როგორც ენის სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია, რადგან აუცილებლად გაითვალისწინება არა მხოლოდ გრამატიკული და სინტაქსური ცვლილებები, არამედ სიტყვათა მნიშვნელობის ცვლაც.

ამჟამად, ფრანგულ და ინგლისურ სასაუბრო ენებში, გვხვდება კონვერსივითა დიდი რაოდენობა. რეკლამის გავლენითა და გამონათქვამის გამარტივების მიზნით, იხმარება ზედსართავი სახელი ზმნიზედის ნაცვლად. ეს ტენდენცია, რომელიც არაკორექტულია გრამატიკული თვალსაზრისით, ფართოდაა გავრცელებილი თანამედროვე სასაუბრო ენაში: - **Ça s'ouvre facile. (facilement) - facile = easy; easy-going; (= facilement) (inf!) easily ; (= au moins) (inf!) at least; (colloq) adverbe (facilement) easily; il a soixante ans facile — he's easily sixty; - Il faut vivre jeune. (à la manière des jeunes). You have to live young.** (One must live young). (youthful style; juvenile style; juvenile; youth style). ეს ფორმები აგებულია ერთი და იმავე მოდელით: **sentir bon= smell good; smell nice, voler bas= fly low; low fly, chanter faux= to sing in tune/out of tune, coûter cher= cost a lot; cost expensive; cost a lot of money, parler for= speak up; speak loudly; speak out; speak loud, voir clair= see clear; see straight; see through; see clearly;** [Larger N., Mimran R. 2004, გვ. 173].

აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში, სასაუბრო ენის ნეოლოგიური კონსტრუქციები გადადის საერთო სალიტერატურო ენაში პრესის, ტელევიზიის, რეკლამის გზით: ისინი ასახვენ მოდის მიმართულებას ენაში.

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ განგვესაზღვრა იმ ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია, რომლებიც შევიდნენ ფრანგულ ენაში ბოლო ათწლეულებში. ახალი სიტყვები, რომლებიც შეიქმნენ სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუციის გზით და დამკვიდრდნენ ფრანგული ენის სიტყვათა შემადგენლობაში, ვერ პოულობენ სრულ ასახვას თანამედროვე ფრანგულ ლექსიკოგრაფიაში.

## ლიტერატურა

1. Gilbert L. Théorie du néologisme. Cahiers de l'Association internationale des études françaises. Volume 25. N° 1. Paris, 1973.
2. Larger N., Mimran R. Vocabulaire expliqué du français. Paris, 2004.
3. Sablayrolles J.-F. Néologismes et nouveauté. Cahier de lexicologie. Volume LX, Paris, 1996.
4. Vanhove, Martine (2008), From Polysemy to Semantic change: Towards a Typology of Lexical Semantic Associations, Studies in Language Companion Series 106, Amsterdam, New York: Benjamins.
5. Grzeg, Joachim (2000), "Historical Semantics in the Light of Cognitive Linguistics: Aspects of a new reference book reviewed", *Arbeiten aus Anglistik und Amerikanistik* 25: 233–244.
6. Blank, Andreas (1999), "Why do new meanings occur? A cognitive typology of the motivations for lexical Semantic change", in Blank, Andreas; Koch, Peter (eds.), *Historical Semantics and Cognition*, Berlin/New York: Mouton de Gruyter, pp. 61–90

## ლექსიკონები:

Le nouveau Petit Robert. Paris, 2009.

Le Petit Larousse, Paris, 2009.

Cambridge English Dictionary, 1999

Merriam-Webster Dictionary, since 1828

**Akhvlediani Tsiuri, Kuparadze Giorgi, Gabunia Ketevan**

**Syntactical-semantic Evolution of Words in Modern French and English**

**Abstract**

New coinages constantly appear in the language. It is well known, that the concept of "derivation", as one of the means of word formation, also embraces such an area as semantics is; In particular, it is used to characterize the process of emergence of new coinages of a poly-semantic word (semantic derivation). The productivity of semantic derivation is the subject of great interest among the modern linguists, who often consider it to be a mechanism for the development of polysemy. Semantic derivation is presented as a special case of lexical derivation. It differs from the word formation only in that it does not require formal indicators.

In the present paper, we have tried to deal with the semantic derivation as one of the means of forming neologisms. Semantic derivation is the linguistic tool to create new words, or more precisely, it is the phenomenon to create new meanings of already known lexical units, neither resorting nor forming new forms of words or borrowings. Semantic neologisms (so-called words that have acquired new meanings) are differently understood in modern linguistics. According to French linguist L. Gilbert, semantic neology is any change in meaning that occurs in one of the three aspects of the lexeme, without changing the form of the

signifier, and distinguishes three forms of semantic neology: 1. change of semantic group, 2. conversion, 3. sociological form of semantic neology. We distinguish between the following syntactic and semantic groups of neologisms:

**1. Changing of the function (conversion and lexical/ syntactic matching);**

**2. Rethinking(transferring) of the meaning (metaphor, metonymy, and other stylistic devices).**

**Rethinking(transferring) of the meaning** – is a purely semantic derivation that is very productive in the modern language. The main types of semantic derivation are: metaphor, metonymy, expansion and narrowing of the meaning. The semantic evolution of words has been on going for centuries; Some words come out of usage (become trite), while others enter the language with a new meaning. Changing the function, namely, conversion and lexical-syntactic matching, is considered to be a syntactic-semantic evolution of the language, because not only grammatical and syntactic changes are taken into account, but the change of the meaning of words too.

It is noteworthy that in most cases, the neological constructions of the colloquial language are transferred to the common literary language through mass-media, television, advertising: they reflect the direction of fashion in the language.

To sum up, we have tried to define the syntactic-semantic evolution of the neologisms that have entered the French and the English languages in recent decades. New coinages, being created through syntactic-semantic evolution and established in the lexical inventory of these languages, cannot find a full reflection in modern French and English lexicography.

**Key Words:** semantic derivation, semantic neologism, transferring of the meaning, conversion, word-matching neology, inner borrowings

რეცენზენტი: პროფესორი ა. ლევიცკი

## რამდენიმე არაბული ნასესხობის შესახებ ქართულ-სომხურ საერთო ლექსიკაში

რამაზ გორგაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

სოფიო იმედაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail: s.imedadze@hotmail.com

სტატიაში განხილულია არაბული წარმომავლობის ის ქართული სიტყვები, რომლებსაც ანალოგიური შესატყვისები მოეპოვებათ სომხურში და, ამდენად, „ქართულ-სომხური საერთო ლექსიკის“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

**აბი** ბურთულეზად გაკეთებული წამალი [ქეგლ, 1986:14] < არაბული **حب/حباء** **habb/hubæb** - „მარცვალი, კენკრა, თესლი, აბი“ ლექსიკური ერთეულიდან. საგულისხმოა აღნიშნული ლექსემის უშუალოდ არაბულიდან წერილობითი გზით შემოსვლა.

სომხური - **դեղახաբ** [დეღ-ა-ჰაბ] / დ. **hup** „წამლის მარცვალი, აბის ფორმის წამალი“ - ლექსემა აგრეთვე მომდინარეობს არაბ. **habb** ლექსიკური ერთეულიდან [სტ.მალხასიანცი, 1944, ტ. III: 7].

**აზაბი** - “ ხელუხლებელი, ხასხასი, ქალწული, ცირა“ [ჯავახური ლექსიკონი, 2014:370]; **აყაყ** [აზაბ] / **აყაყ** [აზაპ] განიმარტება სომხ. **սაზიქი** [ამური] სინონიმით - „სრულწლოვანი უცოლო მამაკაცი ან გაუთხოვარი ქალი; [თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1969, I: 61]. სიტყვა მომდინარეობს არაბ. **عزب/عزب** - [’azab / ’a÷zab] – „უცოლო, მარტოხელა“ ლექსემიდან [გ.წერეთელი, 1951; გირგასი, 2006:524].

**ალალი-ი** 1.მართალი, პატიოსანი. 2.ვისიმე ნამდვილი მკვიდრი [ქეგლ, 1986: 23] < არაბ. **ألا/ألا** – „ნებადართული, კანონიერი მოქმედება“ [ზარანოვი, 1984:189].

სავარაუდოა, არაბ. **ألا/ألا** > ქართ. **ალალი** ლექსემის შემოსვლა თურქულის გზით.

*hıyay* [ჰალაჲ] „მართალი, ალალი...“ ლექსემა ასევე თურქულის გზით შესულად მიაჩნიათ სომხურში [სტ. მალხასიანი, 1945, ტ. III:10].

**ალბათ** „[არაბ.] შესაძლოა; როგორც ჩანს; უნდა ვიფიქროთ, რომ ...[ქეგლ, 1986:23 ] < არაბ. البتة/albatta იმავე მნიშვნელობის სიტყვიდან [ჯონსონი, 1852:146].

სომხურში ფიქსირებული **Հալբათ** [ჰალბათ] „რასაკვირველია, უეჭველად“ თურქული გზით შესული არაბულ ნასესხობაა [სტ. მალხასიანი, 1944, ტ. III, 11].

**არზა** „წერილობითი თხოვნა, საჩივარი“ [ქეგლ, 1986:37]. ქართულ ლექსიკოგრაფიაში **არზა** სიტყვა ფიქსირდება არაბული წარმომავლობის მინიშნებით [დ. ჩუბინაშვილი, 1984:45]. უკავშირდება **أرض/arḏ** ლექსემას: „პეტიცია, მოთხოვნა“ [ჯონსონი, 1852:848].

სომხურში **Արզ** [არზ] / **արգայ** [არზა] „სურვილი, წადილი, თხოვნა“ სიტყვა სპარსულ **ārzu** ლექსემასთან კავშირდება [მალხასიანი, 1944, ტ. I:263].

**საკვანძო სიტყვები:** არაბული წარმომავლობის ქართული და სომხური სიტყვები

სტატიის მიზანს წარმოადგენს არაბული წარმომავლობის იმ ქართული სიტყვების წარმოჩენა, რომლებსაც ანალოგიური შესატყვისები მოეპოვებათ სომხურში და, ამდენად, შეიძლება ჩაითვალოს „ქართულ-სომხური საერთო ლექსიკის“ შემადგენელ ნაწილად.

ფაქტობრივი მასალა საკვლევ ენათა ლექსიკონებიდან არის აღებული, ქართული - აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის კომისიის“ მასალებიდან. აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური ერთეულები თანამედროვე სალიტერატურო სომხურის განმარტებით ლექსიკონებში ძირითადად დიალექტური ნიშნით არის წარმოდგენილი და სომხურ სინონიმებზე მითითებით განმარტებული, რაც ენაში მიმდინარე უცხო სიტყვებისგან „თვითგანწმენდის“ პროცესის გამოხატულებაა.

**აბი** - ქეგ ლ-ში საკვლევ სიტყვა წარმომავლობის მინიშნების გარეშეა წარმოდგენილი: **აბი** ბურთულებად გაკეთებული წამალი [ქეგლ, 1986:14]. ფიქსირდება ქართველ ლექსიკოგრაფებთან: **აბი** ქაშთაჯი, пилюля. т. ჰაბ (არაბ.) [ნ. ჩუბინაშვილი, 1961:132]. დ. ჩუბინაშვილთან დამოწმებულია იმავე ფორმით და მნიშვნელობით, მაგრამ სპარსული წარმომავლობის მინიშნებით [დ. ჩუბინაშვილი, 1984:3]. ი. ბაგრატიონი თათრულ ნასესხობად მიიჩნევს შემდეგი განმარტებით - მკურნალობასა შინა ჩასაყლაპი წამალი. საბასეულ ლექსიკონში ფიქსირდება **ჰაბი** ფორმა [ს.-ს. ორბელიანი, 1991:464].

მოცემული ლექსემა ჯერ კიდევ XI საუკუნის სამედიცინო წიგნში გვხვდება: **აბი** - حاب (ჰაბ) მარცვალი, თესლი. წამალი [წიგნი სააქიმო:299]; არაბ. **ჰაბ/აბი** პილული [იადიგარ დაუდი,



1938:735]; არაბ. ჰაბ. მარცვალი, თესლი, შემარცვლებული წამალი. პილული [უსწორო კარაბადინი,471].

**აბი** მომდინარეობს არაბული ح/ب/حب – habb/hubæb „მარცვალი, კენკრა, თესლი, აბი სიტყვიდან ( არაბული ფარინგალური ح/Ī ქართულში ძირითადად იკარგება სიტყვის თავში: حملا/Īamala > ამალა; ح/Īġib > ეჯიბი). დასტურდება ყურანში [ჯონსონი, 1852:463; ბარანოვი, 1984:152; ალ–ვასიტი, 2004:150].

რადგან **აბი** ლექსემა უძველეს სამედიცინო წიგნებში დასტურდება, საგულისხმოა აღნიშნული ლექსემის უშუალოდ არაბულიდან წერილობითი გზით შემოსვლა.

ჩვენთვის საინტერესო ნასესხობა თანამედროვე სალიტერატურო სომხურის ყველა, განმარტებით თუ თარგმნით, ლექსიკონში დამოწმებულია და განმარტებული სომხური **դէլახაჟ** [დედ-ა-ჰაბ] სინონიმით (დიალექტებში **huap**), რომელიც კომპოზიტს წარმოადგენს და ითარგმნება როგორც „წამლის მარცვალი, აბის ფორმის წამალი [თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1974, ტ. III:250; ედ.აღაიანი, 1976, ტ. I:250; ა.სუქიასიანი, 1967:349]. შევნიშნავთ, რომ საკვლევი სიტყვა ძვ.სომხურის ლექსიკონებში არ გვხვდება.

ჰრ.აჭარიანის ცნობილ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ განიხილება მოცემული ლექსიკური ერთეული. ამ სიტყვის შესახებ ეტიმოლოგიას იძლევა სტ.მალხასიანცი. მისი ცნობით, საკვლევი ლექსემა დიალექტურია და მომდინარეობს არაბ. **habb** ლექსემიდან [სტ.მალხასიანცი, 1944, ტ. III: 7].

**აზაპი** - საკვლევი სიტყვა მომდინარეობს არაბ. اعز/ابز - 'azab / 'a=zab – უცოლო, მარტოხელა ლექსემიდან [გ.წერეთელი, 1951; ბარანოვი, 1984:153; გირგასი, 2006:524; ალ–ვასიტი, 2004:598; ჯონსონი, 1854:852]. დასტურდება იმავე მნიშვნელობებით ყურანში.

ქართულში არაბ. ჯ დაკარგულია სიტყვის თავში. იქ, სადაც არაბულ სიტყვაში არის ბილაბიალური მჟღერი ხშული **ჰ/ხ**, ქართულში შემოსულ სიტყვებში მას შეესაბამება ბილაბიალური მჟღერი ხშული **ბ**, ბილაბიალური ყრუ მკვეთრი **პ**, ბილაბიალური ფშვინვიერი **ფ**, ბილაბიალური ნაზალი **მ** [ლეკიაშვილი, 1992:56].

**აზაპი** ლექსიკური ერთეული არ იძებნება ქ ე გ ლ-ში, საბასეულ და ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. იგი არაა დამოწმებული არც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, რაც მის გვიანდელ ნასესხობაზე მიუთითებს. სავარაუდოა მისი ზეპირი შემოსვლის გზა.

ისტორიის კუთვნილი ეს სიტყვა დამოწმებულია “ქალაქურ ლექსიკონში” - ხელუხლებელი, ხასხასი, ქალწული, ცირა - მნიშვნელობით. ხაშხედაც ამბობენ: „დღეს **აზაპი** ხაში მომიხარშია“, „**აზაპი** ხაში გაქვს“? და სხვ. [ი.გრიშაშვილი, 1997:304].

გვხვდება მეგრულ დიალექტში: აზაპ–ი (აზაპის) – ქალწული. აზაპი ძღაბი ქაშეცოთუ ხემა – ქალწული გოგო ჩაიგდო ხელში. შდრ. იმერ. აზაპი – გაუთხოვარი, ქალწული [ვ.ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს.-პეტერბურგი, 1912.]

იგივე ნასესხობა სომხურში **აզაპ** [აზაპ] და **აզაყ** [აზაპ] ფორმებით ფიქსირდება. განიმარტება სომხ. **սամուքի** [ამური] სინონიმით – „სრულწლოვანი უცოლო, უქმრო“ [სომხ.ენის განმ.ლექსიკონი, 1969, I: 61].

შედარებით მოგვიანებით გამოცემულ სხვა განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა კუთხური ლექსიკის მინიშნებით, იმავე ორი ფორმით, მაგრამ გაფართოებული სემანტიკით არის წარმოდგენილი. ზემოთ აღნიშნულის გარდა, გამოხატავს: 1. მსახურს; 2. მექორწილე სიძის თანმხლებ უცოლო ახალგაზრდას [ედ.აღაიანი, 1976, I:4]. სინონიმთა ლექსიკონში ქალწულის მნიშვნელობითაც არის დამოწმებული. [ა.სუქიასიანი, 1967:14].

ეტიმოლოგია, სიტყვის არაბული წარმომავლობის შესახებ, რომელსაც იზიარებს ჰრ.აჭარიანი, ეკუთვნის ჰიუბშმანს. სომეხი მკვლევარი აგრეთვე შენიშნავს, რომ არაბული ჟღერადობითვე წარმოითქმის ეს სიტყვა სხვადასხვა სომხურ დიალექტში [აჭარიანი, I:82-3]. სტ.მალხასიანცს არაბული ეს სიტყვა თურქულიდან მომდინარედ მიაჩნია სომხურში [სტ.მალხასიანცი, 1944, I:6].

**ალალი** – ქართული ნასესხობა მომდინარეობს არაბ. **ألا/ألال** – „ნებადართული, კანონიერი მოქმედება“ – ლექსემიდან [ბარანოვი, 1984:189; ზენკერი, 1886:393; ალ–ვასიტი, 2004:194; ვულერსი, 1855:623; მოინი, 1966:1368]. დასტურდება ყურანში – „ნებადართული, ხელმისაწვდომი“ [გირგასი, 2006:179]. „1.იყო მართალი, კანონიერი, ლეგიტიმური (ნაზარეველის პირობის შესრულების ვადა), რომლის თანახმადაც დაქვრივებულ, მგლოვიარე ქალს 110 დღის განმავლობაში არ ჰქონდა უფლება ხელახლა დაქორწინებულიყო. 2. კანონიერი ცოლი, კანონიერი ქმარი [ჯონსონი, 1852:489].

ქართველ ლექსიკოგრაფებთან: **ჰალალი** – ალალი თათრულად შენდობილი, სჯულიერი [ნ. ჩუბინაშვილი, 1963:479]. **ჰალალ-ი** ნ. **ალალი** (არაბ.), სამართლიანი, რჯულიანი...“ [დ.ჩუბ., 1984:18]. ქეგლ-ის მიხედვით, **ალალ-ი** 1.მართალი, პატიოსანი. 2. ვისიმე ნამდვილი მკვიდრი [ქეგლ, 1986: 23].

არაბული წარმომავლობაა მითითებული გ. წერეთლის [1951], დ.ჩუბინაშვილის [1984:18], ი. ყიფშიძის [1994] ლექსიკონებში .

იოსებ გრიშაშვილის “ქალაქურ ლექსიკონში” აღნიშნული ლექსიკური ერთეული არაბულ–ქართული სინონიმური კონტამინაციით გვხვდება: „**ალალ-მართალი კაცი**“. „ალალმართლობა კაცსა სიმშლითა ჰკლავს“ [1997:304]. იქვე ვხვდებით ერთ საინტერესო სიტყვათა შეთანხმებას

“ალალმუქები” – ადამიანის დაფარული ავანტურისტული ოინები. „კიკოლას ალალმუქები სულ გადმოვუყაჭე“. [ი.გრიშაშვილი [1997:304]. ამ შემთხვევაში აღნიშნული სინტაგმის პირველი ნაწილი “ალალი” არაბ, **ألى** /ʾalÁl “უშედეგო, ყალბი, მეწვრილმანე” მნიშვნელობისაა [ჯონსონი, 1852:145], რომელიც საპირისპიროა არაბ. **حلال**/halÁl “ნებადართული, კანონიერი მოქმედება” ფორმის, რადგან არაბ. **ح/Ī** სიტყვის თავში იკარგება, ორივე შემთხვევაში მოგვცა ქართული ალალი, ანტონიმური მნიშვნელობებით.

ძველი წერილობითი ძეგლებიდან “ალალი” დასტურდება აღორძინების ხანის ნაწარმოებში, რუსუდანთანში: „ასე ეკუთვნის, სამართლიანია, ღირსია, ახია, ალალი მიყავო [რუსუდანთან [1957:702].

თანამედროვე ქართულში ალალის სინონიმებია: მართალი, ალალმართალი, უდანაშაულო, უბრალო, ნამდვილი, (ფრინვ.) ქორი [ალ. ნეიმანი, 1978:559].

სავარაუდოა, არაბ. **حلال/ĪalÁl** > ქართ. **ალალი** ლექსემის შემოსვლა თურქულის გზით.

არაბული წარმომავლობის დიალექტური **huyul** [ჰალალ ] „მართალი, ალალი...“ ლექსემა ასევე თურქულის გზით შესულად მიაჩნიათ სომხურში [მალხ., 1945;III,10]. ქართულისაგან განსხვავებით, სომხური სიტყვა შორისდებულის - „გაუმარჯოს! ვაშა!“ - მნიშვნელობითაც გამოიყენება, ხოლო ზმნიზედის შემთხვევაში - „ზუსტად“ სიტყვის სინონიმია [ედ.აღიანი, 1976, ტ.I:189].

**ალბათ** - ნასესხობა მომდინარეობს არაბ. **البته**/albatta „რა თქმა უნდა, აუცილებლად, ყველანაირად“ ლექსემიდან [ჯონსონი, 1852:146). გვხვდება **بته** batta „გადაწყვეტილება“ ფორმაზე **ال**/al არტიკლის დართვით - „სრულიად, გადაჭრით, კატეგორიულად“ [ბარანოვი, 1984:55]. გ.წერეთელთან არაბ. ზმნისართი - „აუცილებლად, ნამდვილად“ (შდრ; ქართ. ალბათ). არაბ. „ეგების“ [დ. ჩუბინაშვილი, 1984:19]. დასტურდება ყურანში [გირგასი, 2006:45]. არაბული ეტიმოლოგია დასტურდება ზენკერის [1888:85], ალ-ვასიტის ლექსიკონებში - “აუცილებლად, ყველანაირად” მნიშვნელობით. **يقال: لا افعله بته, ولا افعله البته**/ გააკეთე აუცილებლად [ალ-ვასიტი, 2004:37].

ქართულ ენაში არაბულმა **albatta** ფორმამ მოდიფიკაცია განიცადა. რადგანაც აღნიშნული ლექსემა არაა დამოწმებული საბასეულ ლექსიკონში, სავარაუდოა მისი მოგვიანებით ზეპირი გზით გავრცელება.

იგივე ნასესხობა სომხურში **Հալբათ** [ჰალბათ] ფორმით და სომხურ სინონიმზე მითითებით, შემდეგი განმარტებითაა წარმოდგენილი: „რასაკვირველია, უეჭველად“ [ედ.აღიანი,1976, ტ. I, 790]. აღიარებული თვალსაზრისით, არაბული **elbett** ნასესხობაა თურქულის გზით დამკვიდრებული სომხურში [სტ. მალხასიანცი, 1944, III, 11].

**არზა** - საკვლევი სიტყვა ქეგლ-ში სპარსული წარმომავლობის მინიშნებით და შემდეგი განმარტებით არის წარმოდგენილი: „**არზა** წერილობითი თხოვნა, საჩივარი“ [1986:37]. ლექსემა ფიქსირდება ს.-ს.ორბელიანისა და ნ.ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. **არზა** სიტყვა ქართულ ლექსიკოგრაფიაში ფიქსირდება არაბული წარმომავლობის მინიშნებით [დ.ჩუბინაშვილი, 1984:45].

ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან გვხვდება შაჰ-ნამეში: **არზა** (არაბ-თურქ.). თხოვნა, საჩივარი, პეტიცია, რაპორტი; **არზი** (არაბ.-სპარს). عرض კეთილი სახელი, პატივი, კარგად ხსენება [შაჰ-ნამე, 1916:739]. წერილობითი თხოვნა, საჩივარი [რუსუდანიანი, 1957:704].

არაბულში არსებული عرض/=arĒ ლექსემის მნიშვნელობაა - წინადადება, საქონელი, დემონსტრაცია, ჩვენება, მიმოხილვა, წარდგენა [ბარანოვი, 1984:509]; პეტიცია, მოთხოვნა [ჯონსონი' 1852:848]; არაპირდაპირი ბრძანება [გირგასი, 2006:518]. არაბული ეტიმოლოგია დასტურდება თურქულ და სპარსულ ლექსიკონებშიც: **Arz** - არაბ. 1) წარდგენა, ჩვენება, დემონსტრირება, 2) საჩუქარი, ძღვენი, 3) შეთავაზება, წინადადების წამოყენება, 4) გადმოცემა, თხრობა, მოყოლა, მოხსენება [თურქულ-რუსული ლექსიკონი, 1977:66]; **Arz** – (არაბ. عرض) et – „შეთავაზება“ [ძველთურქული ლექსიკონი, 1969: 58]; عرض )არზ( - 1) ზეპირი მოხსენება, 2) თხოვნა, 3) დემონსტრაცია, წარმოშობა [სპარსულ-ქართული ლექსიკონი, 467, [მოინი, 1966:467].

აკუსტიკურად არაბულ ض/□სთან ყველაზე ახლოს დგას ქართული **დ** და **ზ** ბგერები. არაბული ض/Ē-ის ქართ. **ზ**-თან მიმართება ძირითადად გულისხმობს მისი შემცველი არაბული სიტყვის სპარსული გზით შემოსვლას [ლევიაშვილი, 1992:67]. ანლაუტში არაბ. **ذ** დაკარგულია სესხებისას.

ჩვენც მიგვაჩნია, რომ ქართულში დამკვიდრებული **არზა** ლექსიკური ერთეული საშუალო საუკუნეებიდან მომდინარე არაბულ-სპარსული ნასესხობაა.

ისტორიული ლექსიკის კუთვნილი დიალექტური სიტყვა - **արძ** [არზ] / **არძაყ** [არზა] ფორმებით და „სურვილი, წადილი, თხოვნა“ მნიშვნელობით - სომხურში ფიქსირდება სპარსული ეტიმოლოგიით, იმავე მნიშვნელობის სპ. **ārzu** ლექსემასთან კავშირში [მალხასიანცი, 1944, ტ. I:263].

### ლიტერატურა:

1. აბულაძე იუსტ., - შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო იუსტ. აბულაძემ. ტბილისი: გამომცემლობა „ქართლი“. 1916.
2. ალ-ვასიტი - **المعجم الوسيط (2004). الطبعة الرابعة. مكتب الشروق الدولية.**

3. აღაიანი ედ., - თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-II, ერევანი, 1976 (სომხურ ენაზე).
4. აჭარიანი ჰრ., სომხური ენის ძირთა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I-IV, ერევანი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971-1979 (სომხურ ენაზე).
5. ზაგრატონები დავით და იოანე, ლექსიკოგრაფიული ნაშრომები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლილი ქუთათელაძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“ (1967).
6. ზარანოვი ხ., - БАРАНОВ Х, АРАБСКО-РУССКИЙ СЛОВАРЬ. „ИЗДАТЕЛЬ РУССКИЙ ЯЗЫК“. МОСКВА. 1984.
7. ბერიძე ვ., - სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. ს.-პტ., ТИПОГРАФИЯ ИМПЕРАТОРСКОЙ АКАДЕМИИ НАУК. 1912.
8. გირგასი ვ.ფ., - АРАБСКО-РУССКИЙ СЛОВАРЬ К КОРАНУ И ХАДИСАМ, М-СП, 2006, „ДИЛЯ“ МОСКВА. 2006.
9. გრიშაშვილი ი., - ქალაქური ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“. 1997.
10. ვულერსი – VULLERS I.A. LEXICON PERSICO-LATINUM ETYMOLOGICUM, BONNAE AD RHENUM, T. I, “IMPENSIS ADOLPHI MARCI”. 1855.
11. ზენკერი თ., - ZENKER TH DICTIONAIRE TURC-ARABE-PERSAN, LEIPZIG. 1886.
12. თანამედროვე სომხ.ენის განმარტებითი ლექსიკონი, სომხ.მეცნ.აკადემიის გამ-ა, ერევანი, 1969 (სომხურ ენაზე).
13. თურქულ – რუსული ლექსიკონი ТУРЕЦКО – РУССКИЙ СЛОВАРЬ. АКАДЕМИЯ НАУК СССР ИНСТИТУТ ВОСТОКОВЕДЕНИЯ. МОСКВА: ИЗД. “РУССКИЙ ЯЗЫК”, 1977.
14. იადიგარ–დაუდი - ლადო კოტეტიშვილის წინასიტყვაობითა და გამოკვლევით. თბილისი: „საქ. ბიომედიკა“. 1938.
15. ლეკიაშვილი ვ., - ორიენტალიზმები ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1992.
16. მალხასიანცი სტ., სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-IV, ერევანი: სომხ.სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1944-1945 (სომხურ ენაზე).
17. მოინი მ.ა., - MO'IN M.A., PERSIAN DICTIONARY, TEHRAN, “AMIR QABIR”. 1966:
18. ნეიმანი ალ., - ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. 1978
19. ორბელიანი სულხან-საბა., ლექსიკონი ქართული. ტ. I-II. თბილისი: მერანი, 1991 და 1993..

20. „რუსუდანიანი“ ილია აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. 1957.
21. სუქიასიანი ა., - სომხ.ენის სინონიმთა ლექსიკონი, ერევანი, 1967.
22. ფანასკერტელ-ციციშვილი ზ., (სამკურნალო წიგნი კარაბადინი. ტ. I. ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მ. შენგელიამ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“. 1986.
23. ქანანელი უსწორო კარაბადინი. ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა. თბილისი: „საქმედგამი“. 1940.
24. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტტ. 1–8. თბილისი სმა. 1950–1964
25. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), ერთტომეული. მთავარი რედაქტორი არნ.ჩიქოზავა, თბილისი: სსსრ მა გამომცემლობა, თბილისი, 1986
26. ჩუბინაშვილი ნ. (1971-73): „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ალ.ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით), ტ. I-II, „საბჭოთა საქართველო“. თბილისი
27. ჩუბინაშვილი დ. (1984): ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა.შანიძემ, „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
28. ყიფშიძე ი. (1994). მეგრულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი: თსუ გამომცემლობა
29. წერეთელი გ. (1951): არაბულ-ქართული ლექსიკონი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“; თბილისი.
30. ძველთურქული ლექსიკონი (1969).
31. ჯონსონი - JONSON F. A DICTIONARY PERSIAN, ARABIC AND ENGLISH. LONDON: PUBLISHED UNDER THE PATRONAGE OF THE HONOURABLE EAST-INDIA COMPANY. 1852

Ramaz Gorgadze, Sophio Imedadze

### On Some Arabic Borrowings in the Common Georgian-Armenian Vocabulary

#### Abstract

In this article, I will be discussing the Georgian words that have origins in Arabic language, which simultaneously have analogous counterparts within the Armenian language as well. Hence, making them a part of the “Georgian-Armenian Common Vocabulary”.

**Abi** – [Georgian”abi”]; pronunciation “ah-be”] – Medicine of rounded shape [Georgian Language Explanatory Dictionary (GLED) 1986:14] < Arabic حب/حب - habb/hubæb, meaning “grain, seed, berries, pill”. Since the word “abi” is confirmed to be in the oldest medical books, it is presumed to have entered

the Georgian language through Arabic in written form. Modern day Armenian acknowledges **դեղահუբ** [degh-ah-hub] (Dialectic **հუբ**), which is a composite and is translated as “a grain of medicine, pill-like medicine” [Malkhasiantsy, 1944; Vol. I:7].

**Azapi** – Virgin [Pronunciation “ah-zap-ee”] – “untouched, fluorescence, virgin, marriageable girl” [Javakhian Lexicon, 2014:370]; **ազაբ** [azab] / **აզაყ** [Azap] can be interpreted through the Arm. **Ամուրի** [Amuri] synonym – “an adolescent unwedded man or woman” [Modern Armenian Explanatory Dictionary, 1969, Vol. I:61]. The word stems from Arab. اعزاب/عزب - [’azab / ’a-zab] – “unwedded, lonesome” lexeme. [G. Tsereteli, 1951; Girgasi, 2006:524].

**Alali** – Honest [Georg. Pronunciation “ah-lally”]; “righteous, honorable, honest”; “the rightful owner” [GLED, 1986:23] < Arab. حلال/ĤalĀl – “permitted, legal action” [Baranov, 1984:189]. It is presumed that the Arab. حلال/ĤalĀl > Georg. Word “alali” has been accumulated through Turkish language.

**ჰალალ** [Halal] “truthful, honest” lexeme is also presumed to have been acquired through the Turkish language [S. Malkhasiantsy 1945, Vol. III:10].

**Albat** – Probably [Arab.] “It is probable; presumably; It can be assumed that...; [GLED, 1986:23] < Arab. البتة/albatta from a word with same meaning. [Johnson, 1852:146].

Armenian version of this is **Հაլբატ** [Halbat] “Of course; Undoubtedly” is also a borrowed word accumulated through the Turkish language. [S. Malkhasiantsy, 1944, Vol. III:11].

**Arza** – “Written complaint, petition, application” [GLED, 1986:37]. The word Arza is accounted in the Georgian lexicography with the indication of Arabic origins. [D. Chubinashvili, 1984:45]. Tied with the عرض/ʿarḏ lexeme, meaning “Petition; Request” [Johnson, 1852:848].

In Armenian, the word **Արզ** [Arz] / **արզայ** [Arza] “Wish; Desire; Plea” is connected to the Persian lexeme **ārzu** [Malkhasiantsy, 1944, Vol. I:263].

რეცენზენტი: პროფესორი ა. არაბული

## ინგლისური ნასესხობების სემანტიკური ჯგუფები და მათი პრაგმატული რეალიზაცია თანამედროვე ქართულ ენაში

ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: ketevan.gochitashvili@tsu.ge, giuli.shabashvili@tsu.ge

ნაშრომში განხილულია ქართულ ენაში დამკვიდრებული ინგლისური ნასესხობების სემანტიკური ჯგუფები, მათი შემოსვლის გზები, პრაგმატული რეალიზაციის პირობები და მოცემულია მათი სესხების ფორმები, ანგლიციზმების გამოყენების მოტივაცია. გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: კორპუსული მეთოდი, კითხვარი და მისი ანალიზი, სტატისტიკური და თეორიული ანალიზი. ნაშრომის თეორიული ჩარჩო შემუშავებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ქართული ენის თავისებურებების გათვალისწინებით.

ნაშრომში გამოყოფილია ანგლიციზმების შემდეგი ჯგუფები:

1. ფაქტორები, რომლებიც ანგლიციზმების სესხებასა და დამკვიდრებას უწყობს ხელს: სოციო-ეკონომიკური მოვლენები და გავლენების ვექტორის ცვლილება ანგლო-ამერიკული სამყაროსაკენ. ამ პროცესმა გამოიწვია ის, რომ ინგლისურმა ნასესხობებმა ჩაანაცვლა ქართული ენის ამავე სფეროში არსებული ლექსიკური ერთეულები ან შემოვიდა ახალი ცნებების აღსანიშნად. ასევეა სოციალური პრესტიჟისა და ემოციური ელფერის გადმოცემა. ანგლო-ამერიკული სამყაროდან შემოტანილი რეალიები და მათი შესაბამისი ერთეულების არქონა. მოკლე, ლაკონური და სხარტი ტერმინების აუცილებლობა. 2. გამოყენების სფეროების მიხედვით: ბიზნესი და კომერციული საქმიანობა, ტექნოლოგიებისა და მეცნიერების განვითარება; პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება, გართობა და დასვენება; მოდა, ტანსაცმელი და სილამაზის ინდუსტრია; გასტრონომია; სპორტი. 3. ანგლიციზმები ფუნქციის მიხედვით: მეტაფორები, ეფემერიზმები, განსხვავებული კონოტაციით შემოსული ერთეულები, სოციალურად მიუღებელი მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა, კომპლიმენტი, ემოციის



გამომხატველი ლექსიკა, ტერმინოლოგია, პოლიტკორექტულობა, ერთეულები, რომლებმაც შეიცვალა შინაარსი, დენოტატივისა და კონოტატივის ფუნქციები. 4. სესხების ფორმები: პირდაპირი, არაპირდაპირი, ჰიბრიდული და ცრუანგლიციზმები.

კითხვარების ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულ ენაში ანგლიციზმები უმეტესად პრესტიჟულობისა და ექსპრესიულობის მიზნით გამოიყენება და ხშირ შემთხვევაში სლენგს წარმოადგენს.

ანგლიციზმების უმეტესობა, რომლებსაც სლენგის დატვირთვა აქვს, ძირითადად გვხვდება ზეპირმეტყველებაში, ხოლო სამეცნიერო დისკურსში გამოყენებული ანგლიციზმები მკვიდრდება, როგორც სამეცნიერო ტერმინები, ამიტომ ეს ლექსიკური ნასესხობები ადვილად იკიდებს ფეხს სალიტერატურო ენაში, საიდანაც ინაცვლებს ზეპირმეტყველებაში, ამ შემთხვევაში ვიწრო სამეცნიერო ტერმინი უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს. ანგლიციზმები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის წინ შემოვიდა ქართულ ენაში, უკვე სალიტერატურო ენის კუთვნილებაა და მოიაზრება, როგორც ქართული ენის ლექსიკური ფონდის ნაწილი.

ანგლიციზმების დამკვიდრების პრაგმატული მოტივაციისა და პრაგმატული ანალიზის მიხედვით ქართული ენა მისდევს ევროპული ენების მონაცემებს. თუმცა, კვლევის შედეგად, გამოიკვეთა ქართული ენისათვის სპეციფიკური რამდენიმე შემთხვევა, მათ შორის, ანგლიციზმების გამოყენება პოლიტკორექტულობის მიზნით, ანგლიციზმები, რომლებიც ახალ მნიშვნელობას გვიჩვენებს და ინგლისური ნასესხობები, რომლებიც პრესტიჟულობის მოტივით ანაცვლებს რუსული გზით შემოსულ ძველ ფორმებს ან მათ ქართულ შესატყვისებს, რომელთაც საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული უარყოფითი კონოტაცია ახასიათებს.

თანამედროვე ქართულში ინგლისური ნასესხობები მკვიდრდება რამდენიმე გზით. ერთი მხრივ, შემოდის, როგორც საერთაშორისო ლექსიკა, სოციოლექტი და მკვიდრდება ტერმინად, მეორე მხრივ, შემოდის ახალ ტექნოლოგიებთან, ქართული კულტურისათვის უცხო რეალიებს ან გასტრონომიულ სიახლეებთან ერთად და ქართული შესატყვისის არარსებობის გამო რჩება ქართული სალიტერატურო ენის ნაწილად.

**საკვანძო სიტყვები:** ანგლიციზმები, სიტყვათა სესხება, საერთაშორისო ლექსიკა, სოციოლექტი, ტერმინი

ბუნებრივი ენა, როგორც ჰეტეროგენული დინამიკური სისტემა, მუდმივად განიცდის ცვლილებებს. ეს განსაკუთრებით ეხება ამა თუ იმ ენის ლექსიკურ ფონდს, რომელიც პერიოდულად ავლენს სემანტიკური გრადაციის ტენდენციას, ივსება, აწარმოებს ან სესხულობს ახალ ფორმებს. როგორც ცნობილია, ენობრივი ფონდის შევსების ერთ-ერთი ყველაზე

გავრცელებული ფორმა ლექსიკური ერთეულების სესხებაა, რასაც, ერთი მხრივ, განაპირობებს მიმდინარე გლობალური პროცესები, ხოლო, მეორე მხრივ, მჭიდრო ენობრივი კონტაქტები.

დღესდღეობით ენობრივი ნასესხობები ინგლისური ენიდან მომდინარეობს და მათი რაოდენობა მეოცე საუკუნიდან იზრდება. შუა საუკუნეებსა და მოგვიანო პერიოდში მათი გამოყენების შემთხვევები მინიმალური იყო [ვიერეკი. 1986: 107-109]. თანამედროვე ენებში ინგლისური ნასესხობები იმდენად დამკვიდრდა, რომ ამ მოვლენის აღსანიშნავად ფართოდ გამოიყენება ტერმინი ანგლიციზმები.

ანგლიციზმების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში სიღრმისეულად არის შესწავლილი, სხვადასხვა ენის მონაცემების მიხედვით გამოვლენილია ანგლიციზმების სემანტიკური და პრაგმატული ჯგუფები, აღწერილია და გაანალიზებული მათი სესხების მიზეზები და გზები.

რაც შეეხება ქართული ენის მონაცემებს, ამ საკითხებს მიემდგვნა ცალკეული კვლევები, შედგენილია ბარბარიზმების ლექსიკონი [ბარბარიზმების ლექსიკონი], თუმცა ანგლიციზმების ფუნქციურ-სემანტიკური და პრაგმატული მახასიათებლები და სათანადო დისკურსული მონაცემები ჯერ კიდევ საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ქართულში ინგლისური ნასესხობების/ანგლიციზმების პრაგმატული მოტივაციისა და პრაგმატული რეალიზაციის პირობების ანალიზს.

კვლევა ეფუძნება კორპუსულ მეთოდს, რომლის საშუალებითაც მოძიებულია და გადამოწმებულია ქართული ენის მონაცემები. ანგლიციზმების გამოყენების პრაგმატული მოტივაციის დასადგენად შედგენილია კითხვარები, რომლებშიც წარმოდგენილია როგორც ღია, ისე დახურული შეკითხვები. მიღებული შედეგები დამუშავებულია სტატისტიკური ანალიზის მეთოდითა და თეორიული ანალიზის პრინციპებით. მონაცემების ანალიზი ეფუძნება თეორიულ ჩარჩოს, რომელიც შემუშავდა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების შედეგად. კერძოდ, ქართულ ენაში დამკვიდრებული ანგლიციზმები გაანალიზებულია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სესხების წყაროები და სესხების ფორმები, გამოყენების სფეროები და პრაგმატული ფუნქციები. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში შეფასების არსებული კრიტერიუმების პარალელურად ნაშრომში შემოთავაზებულია ახალი ჯგუფებიც. კერძოდ: ქართული ენის მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ქართულ ენაში, სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებული სხვა მიზნების პარალელურად, ანგლიციზმები გამოიყენება პოლიტორექტულობის გადმოსაცემადაც. ასევე, ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი ახლად შემოსული ანგლიციზმები ჯგუფი, რომელიც ნეიტრალურ მნიშვნელობას ატარებს, არ გამოხატავს ემოციურ დამოკიდებულებას და შეიძლება გამოიყენებოდეს სლენგის ფუნქციით. საინტერესოა, რომ ამგვარმა ანგლიციზმებმა ჩაანაცვლა ძველი ფორმები (უმეტესად რუსული

ენიდან შემოსული ერთეულები), რომლებიც, ძირითადად, უარყოფით კონოტაციას შეიცავენ და გამოხატავენ მთქმელის ემოციურ დამოკიდებულებას. გარდა ამისა, ცალკე ჯგუფშია გაერთიანებული ერთეულები, რომლებიც თავდაპირველად სხვა მნიშვნელობით შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულში, ხოლო უკანასკნელ პერიოდში განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა.

რაც შეეხება კვლევის შეზღუდვებს, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს რესპონდენტების შედარებით მცირე რაოდენობა, გამოკითხულია სულ 50 ადამიანი, რაც ხელს უშლის მიღებული შედეგებისა და დასკვნების განზოგადებას. ამ თვალსაზრისით შემდგომი სიღრმისეული კვლევის ჩატარება უფრო მოცულობითი შედეგების მიღების საფუძველი იქნება. კვლევის შემაფერხებელ ფაქტორად უნდა მოვიანოთ, ასევე, ის ფაქტი, რომ მასალა, ძირითადად, მოძიებულია ქართული ენის ნაციონალურ კორპუსსა და სხვა წერილობითი თუ ბეჭდვით წყაროებიდან, რომლებშიც ახლად შემოსული ანგლიციზმების ნიმუშები ნაკლებად დასტურდება.

ნაშრომის პირველ ნაწილში მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია საანალიზო თეორიული ჩარჩო. ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ქართულ ენაში დამკვიდრებული ანგლიციზმების ანალიზს, რის შემდეგაც მოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგები და კითხვარების პასუხების ანალიზი. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნითი დებულებები.

ინგლისური ნასესხობების გამოყენებისა და მიმღებ ენაზე მისი გავლენის საკითხი კარგადაა დამუშავებული ევროპული ენების მონაცემთა მიხედვით. გერმანულ ენასთან მიმართებით ინგლისური ნასესხობების რამდენიმე ჯგუფი გამოყვეს იანგმა და გალინსკიმ: 1) ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული სიტყვები და იდიომები. 2) დაკონკრეტების, სიზუსტის მისაღწევად. 3) ევფემიზმები, განსაკუთრებით სექსინდუსტრიასა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ლექსიკა. 4) ვრცელი გერმანული ეკვივალენტების შეცვლა უფრო მოკლე ინგლისური ვარიანტებით. 5) სიცხადის მისაღწევად (ხშირად მეტაფორის მნიშვნელობით. 6) გამონათქვამის სხვადასხვა ვარიანტის მისაღებად [გალინსკი, 1967; იანგი, 1990].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია გერმანულში ანგლიციზმების გამოყენების ძირითადი სფეროებიც: პოლიტიკა/საზოგადოებრივი ცხოვრება; ბიზნესი/კომერციული საქმიანობა; ტექნოლოგიები და ზუსტი მეცნიერებები; გართობა და დასვენება; მოდა / ტანსაცმელი; გასტრონომია; სპორტი [ერკენბრეხერი, 2006].

კვლევების მიხედვით, ანგლიციზმების გამოყენებას სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა მიზანი აქვს. ჰილგენდორფის აზრით, გერმანულ რეალობაში ანგლიციზმებს ფორმების გამოყენების პრაგმატული მიზნიდან გამომდინარე სხვადასხვა კონოტაცია შეიძლება ჰქონდეს [ჰილგერდონფი, 2007:131-148].

რომანულ ენებში ანგლიციზმები დაყოფილია 4 ჯგუფად: 1) ფრანკოფონიური ქვეყნები-სათვის უცხო რეალიების აღმნიშვნელი სიტყვები; 2) პროფესიული კომუნიკაციისა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელი ლექსიკური ერთეულები; 3) სიტყვები, რომლებიც გამოიყენება სემანტიკური ან სტილისტური ელფერის შესატანად; 4) ნასესხობები, რომელთა გამოყენების საჭიროება არ არსებობს.

ფრანგულ ენაში, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ანგლიციზმების მასობრივი გავრცელება მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იწყება. ანგლიციზმები იმდენად დამკვიდრდა ფრანგულში, რომ მის მატარებელთა უმეტესობა მათ ნასესხობებად ვეღარ აღიქვამს. მაილეტს ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ფრანგული სიტყვა Redingote (Riding coat) ინგლისურიდან ნასესხები შესიტყვების სახემეცვლილი ვარიანტია [მაილეტი, 2014]. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ტექნოლოგიური პროგრესისა და ამერიკის ეკონომიკის განვითარების ფონზე, ფრანგულში მკვიდრდება სამხედრო ლექსიკაც [ფუშე, 2017, 18-21].

კვლევები ცხადყოფს, რომ ფრანგულში სესხების დროს სიტყვების ზუსტი მნიშვნელობით არ გადმოდის, შესაძლებელია მნიშვნელობა გაფართოვდეს, შევიწროვდეს ან ახალი მნიშვნელობა შეიძინოს. მნიშვნელობის დავიწროების შემთხვევაა ფორმა „Spoiler“, რომელიც ფრანგულში, ისევე როგორც ქართულში, გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: ახალგამოსული ფილმის ცალკეული საინტერესო ფრაგმენტების ან შინაარსის გასაჯაროება და ამით სხვებისათვის ფილმის ნახვის დროს სიამოვნების მიღებაში ხელის შეშლა. ინგლისურში ამ ზმნას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: დაზიანება, გათამამება, გართობა, საკუთარი თავისათვის სიამოვნების მინიჭება, თუმცა, ამ მნიშვნელობებით ფრანგულში არ შესულა. გარდა ამისა, ფრანგულში ემოციური, აღმატებითი და სტილისტური ეფექტის მისაცემად ფრანგი ახალგაზრდები იყენებენ ჰიბრიდულ ფორმებს: coolissime, topissime ინგლისურ სიტყვას + სუფიქსი issime [ლაზარევი: 2017: 187-193].

სპეციალური კვლევებით შესწავლილია ანგლიციზმების გავლენა იტალიურ ენაზეც. პულჩინი და სხვები გვთავაზობენ იტალიურში გავრცელებული ინგლისური ნასესხობების ფორმოზრივ კლასიფიკაციას და გამოყოფენ ანგლიციზმების 4 კატეგორიას: 1) არაადაპტირებული ანგლიციზმები; 2) ადაპტირებული ანგლიციზმები; 3) ცრუანგლიციზმები; 4) ჰიბრიდული ანგლიციზმები [პულჩინი და სხვ. 2012: 6-7].

ანგლიციზმები შესწავლილია, ასევე, რუსული ენის მონაცემების მიხედვით. აღნიშნულ ენაში ანგლიციზმების დამკვიდრების რამდენიმე ძირითად მიზეზს ასახელებენ, კერძოდ: 1. ახალი საგნის/მოვლენის სახელდება; 2. შინაარსობრივად მსგავსი, მაგრამ მაინც გარკვეულწილად განსხვავებული ცნებების გამოიყენება; 3. ამა თუ იმ სფეროში ამა თუ იმ მიზნით ცნებების

დაკონკრეტების აუცილებლობა; 4. სესხების სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები და ფაქტორები, მაგალითად, პრესტიჟულობა, ჟღერადობა, ასევე ცნების კომუნიკაციური აქტუალობა [კრისინი, 1996 : 58].

ვორობიოვას აზრით, პრესტიჟულობა რუსულში ანგლიციზმების დამკვიდრების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია [ვორობიოვა, 2003].

რაც შეეხება სემანტიკურ ჯგუფებს, რუსული ენის მაგალითზე მიჩნეულია, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანია ანგლიციზმთა ის ჯგუფი, რომელიც ტექნიკურ პროგრესს უკავშირდება. ამას მოსდევს სპორტსა და გასართობ თამაშებთან დაკავშირებული ჯგუფები [ელცინა, 2017 : 61-62].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამიჯნულია სემანტიკური ან ლექსიკური ნასესხობები. ლექსიკურ ნასესხობებად განიხილება ნასესხები სიტყვები ან ფრაზები, როდესაც ფორმაცა და მნიშვნელობაც შემოტანილია სამიზნე ენაში. ზოგიერთი მკვლევარი ამ ტიპის ნასესხობას პირდაპირ ან ინტეგრალურ ნასესხობას უწოდებს. სემანტიკური ნასესხობისას მხოლოდ მნიშვნელობა გადმოდის, ხოლო ფორმა მიმღები ენის აქვს. მაგალითად, ინგლისური Mouse (კომპიუტერული ტერმინი) გერმანულში გადასულია გერმანული ფორმით Maus. ლექსიკური და სემანტიკური ნასესხობების ნაზავი გვაძლევს ჰიბრიდულ ფორმებს. ამის მაგალითია გერმანული Soundcarte, რომელშიც სიტყვის პირველი ნაწილი ინგლისური სიტყვაა, ხოლო მეორე - გერმანული. სიტყვა ინგლისური Soundcard-ის ანალოგიას წარმოადგენს [ფიშერი, 2008: 6-7].

კლასიკური ანგლიციზმების გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ცრუანგლიციზმების ფენომენი. ცრუანგლიციზმი განმარტებულია, როგორც ფორმით ინგლისური სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც მიმღებ ენაში დამკვიდრებულია განსხვავებული ან იმ მნიშვნელობით, რომლითაც ინგლისურში არ არსებობს ან ძალიან განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ [ფურიასი, 2010: 34].

არადაპტირებული ან პირდაპირი ანგლიციზმი გულისხმობს სიტყვას ან შესიტყვებას, რომელიც ნასესხებია ინგლისურიდან მინიმალური ფორმალური ან სემანტიკური ინტეგრაციით ან საერთოდ ინტეგრაციის გარეშე, ამდენად მისი ამოცნობა მიმღებ ენაში ადვილად შესაძლებელია [პულჩინი და სხვები, 2012 : 6]. რაც შეეხება ადაპტირებულ ანგლიციზმებს, ეს არის ინგლისური ენიდან ნასესხები სიტყვები ან შესიტყვებები, რომლებიც მორფოლოგიურად, ორთოგრაფიულად ან ფონოლოგიურად ინტეგრირდნენ მიმღები ენის სტრუქტურაში [პულჩინი და სხვები, 2012 : 7]. ამ შემთხვევაში შეინიშნება ტენდენცია, რომ გავლენას განიცდის სიტყვის მორფოლოგიური ფორმა და არა მისი სემანტიკური მნიშვნელობა [იქვე].

ფურიასი გვთავაზობს ცრუანგლიციზმის განმარტებას: ეს არის სიტყვა ან იდიომი/გამოთქმა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ინგლისური ენის ფორმა, მაგრამ მიმღები ენა მას ინგლისურისაგან განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს [ფურიასი, 2010 : 34].

რაც შეეხება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას, ეს საკითხი მეტ-ნაკლებად არის დამუშავებული. ნ. კირვალიძე ქართულში ინგლისური ნასესხობების სამ ჯგუფს გამოყოფს, ესენია: ლექსიკური ანუ პირდაპირი ნასესხობები, არაპირდაპირი ნასესხობები და სემანტიკური ნასესხობები [კირვალიძე, 2017, გვ. 272], მსჯელობს მათ სოციო-კულტურულ და ფუნქციურ-სემანტიკურ თავისებურებებზეც ქართული ენის სხვადასხვა ტიპის დისკურსში [კირვალიძე, 2017, გვ. 277]. მისი აზრით, ანგლიციზმთა უმრავლესობა რეალიზებულია ყოველდღიურ ქართულში [იქვე, გვ. 278].

თ. მარგალიტაძე განიხილავს ინგლისურენოვანი ბარბარიზმების საკითხს თანამედროვე ქართულში, ასახელებს იმ პრობლემებს, რომლებიც მათ ქართულში შემოსვლასა და დამკვიდრებას მოჰყვება, ასევე, იმ ფაქტორებს, რაც მათ გავრცელებას უწყობს ხელს [მარგალიტაძე].

ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში ევროპული ენების მონაცემების მიხედვით ანგლიციზმები დაჯგუფებული და გაანალიზებულია რამდენიმე მიმართულებით: 1. ინგლისური ნასესხობები გაანალიზებულია სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით; 2. გამოყენების სფეროების მიხედვით; 3. პრაგმატული ფუნქციის მიხედვით; 4. ფორმის მიხედვით; 5. დამკვიდრების მიზეზების მიხედვით. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ნაშრომში ქართულ ენაში დამკვიდრებული ინგლისური ნასესხობები გაანალიზებულია სესხების წყაროებისა და სესხების ფორმების; სესხების მიზეზებისა, გამოყენების სფეროებისა და პრაგმატული მოტივაციის მიხედვით. კვლევა გვიჩვენებს, რომ ანგლიციზმების ჯგუფები, ფუნქციონირების პირობები და გამოყენების სფეროები მეტ-ნაკლებად უნივერსალურია ყველა ენისთვის და ქართულის შემთხვევაშიც არსებული მიდგომები უნდა გამოვიყენოთ, თუმცა ნაშრომში გამოყოფილია, ასევე, ცალკეული ჯგუფები და ცალკეული ერთეულები, რომლებიც ქართული ენისათვისაა სპეციფიკური.

პირველ რიგში, გავანალიზოთ წყაროები, რომელთა მეშვეობითაც მკვიდრდება ანგლიციზმები. ქართულში მათი სესხების შემდეგი წყაროები გამოიყოფა:

1. პირდაპირი კავშირების ზრდა ინგლისურენოვან სამყაროს წარმომადგენლებთან (ტურიზმი, თბილისში მცხოვრები ინგლისურენოვანი თემი, ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამები);
2. ტექნოლოგიების განვითარება და სოციალური მედია;
3. კულტურული კავშირები (ფილმები, ნათარგმნი ლიტერატურა, მუსიკა, შოუბიზნესი, სილამაზის ინდუსტრია,

რეკლამა, მასმედია); 4. სამეცნიერო და პროფესიული ლიტერატურა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზით შემოსული ანგლიციზმები უმეტესად მკვიდრდება ზეპირმეტყველებაში, ხოლო შემდეგ ინაცვლებს წერილობით ტექსტებში. რაც შეეხება სოციალურ მედიას, ანგლიციზმები უხვადაა აქ განთავსებულ ტექსტებში, თუმცა სოციალური მედიის ენა უფრო ზეპირმეტყველების ნიშნებს ატარებს, წერითი მეტყველებისაგან განსხვავებით. გამონაკლისია სამეცნიერო და პროფესიული ლიტერატურის გზით მეშვეობით შემოსული ინგლისური ნასესხობები. ამ შემთხვევაში ისინი იმთავითვე მკვიდრდება სამეცნიერო და პროფესიულ დისკურსში, შესაბამისად, აისახება წერილობით ტექსტებში და ავლენს სოციოლექტებად, კერძოდ, ტერმინად ქცევის ტენდენციას.

ქართული ენის მონაცემების ანალიზისას უნდა ვისაუბროთ იმ ფაქტორებზეც, რომლებიც განაპირობებს ანგლიციზმების **სესხებისა და დამკვიდრების** პროცესს. ეს ფაქტორები უნივერსალურია ენათა უმეტესობისათვის, მათ შორის, ქართულისთვის:

1. სოციო-ეკონომიკური მოვლენები და გავლენების ვექტორის ცვლილება ანგლო-ამერიკული სამყაროსაკენ. ამ პროცესმა გამოიწვია ის, რომ ინგლისურმა ნასესხობებმა ჩაანაცვლა ქართული ენის ამავე სფეროში არსებული ლექსიკური ერთეულები ან შემოვიდა ახალი ცნებების აღსანიშნად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ფორმებს აქვთ ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობა, რაც უკავშირდება საბჭოთა რეალობას. მაგალითად, ფორმამ *ბიზნესმენი* ჩაანაცვლა ქართული სიტყვა *საქმოსანი*. როგორც ცნობილია, *საქმოსანს* საბჭოთა პერიოდში უარყოფითი კონოტაცია ჰქონდა, ხოლო *ბიზნესმენი* ნეიტრალური სემანტიკის შემცველია და ზუსტად ასახავს ცნებას. ამავე ტიპის მაგალითია *კომპანიის პრეზიდენტი* ნაცვლად ფორმისა *დირექტორი*. ასევე, კომპანიის *ვიცე-პრეზიდენტი* ნაცვლად ფორმისა *დირექტორის მოადგილე*, *მენეჯერი* ნაცვლად ფორმისა *მმართველი*, *დეპარტამენტი* ნაცვლად ფორმისა *განყოფილება*.

2. ანგლიციზმების დამკვიდრების ერთ-ერთი ძლიერი განმაპირობებელი ფაქტორია სოციალური პრესტიჟი და ემოციური ელფერი. ამ შემთხვევაში ანგლიციზმები ანაცვლებენ შესატყვის ქართულ ლექსიკურ ერთეულებს, თუმცა, მათი მნიშვნელობა იდენტურია და გამოიყენება მხოლოდ აფექტური დატვირთვით. ამ ტიპის მაგალითებია *ტრენდი* ნაცვლად ფორმისა *მიმართულება*, *ტენდენცია*. *ლუზერი* ნაცვლად ფორმისა *წარუმატებელი/უიღბლო*. საინტერესოა, რომ ამ ტიპის მასალა ასახულია წერილობით ტექსტებშიც. შესაბამისად, ფიქსირდება ქართული ენის ნაციონალურ კორპუსშიც. მაგალითად: „*ტრენდი არის დაღმავალი, ტრენდი არის აშკარა და ეს უნდა განაპირობებდეს ჩვენს ამოცანებს და ჩვენს სტრატეგიას*“ (ქეევ). „*ყველაზე კატეგორიული და მკაცრი კი იტალიელთა მხრიდან „აძურინის“ იმდროინდელი მწვრთნელი მარკო ტარდელი გახლდათ, რომელმაც დომენეს იდიოტი და „ლუზერი“, ანუ „მუდამ დამარცხებული“ უწოდა*“ (ქეევ).

3. ანგლო-ამერიკული სამყაროდან შემოტანილი რეალიები და მათი შესაბამისი ქართული ლექსიკური ერთეულების არქონა: მაგალითად: *ჩისბურგერი, ჰამბურგერი, კეჩუპი, კარტოფილი ფრი* და ა. შ. ამ შემთხვევაში მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის გასტრონომიული და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ლექსიკა.

4. ქართულ ენაში ანგლიციზმების დამკვიდრების ერთ-ერთი მიზეზი არის მოკლე, ლაკონური და სხარტი ტერმინის აუცილებლობა, რომელიც ცნებას ზუსტად ასახავს, მაშინ როდესაც ქართულ ენაში გამოიყენება მხოლოდ შესიტყვება ან ვრცელი აღწერით კონსტრუქცია. მაგალითად: *აუტოსინგი* ნაცვლად ვრცელი შესიტყვებისა *ორგანიზაციაში დაქირავებული მუშახელის გარედან შემოყვანა*.

ქართულ ენაში, ისე როგორც ზემოთ აღნიშნულ ენებში, **გამოყენების სფეროების** მიხედვით ანგლიციზმები ქართულში შემდეგ ჯგუფებად ნაწილდება:

1. **ბიზნესი და კომერციული საქმიანობა:** ქართული ენის ეროვნულ კორპუსში მოძიებული მონაცემთა ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე მსხვილ ჯგუფს ქმნის ბიზნესსა და კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ აღნიშნული ცნებების უმრავლესობა და მათი შესაბამისი ლექსიკური ერთეულები ქართულში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში, დიდი ხანია დამკვიდრებულია და, შესაბამისად, ინტენსიურად აისახება წერილობით წყაროებში. ამასვე გვიჩვენებს ქართული ენის ეროვნული კორპუსი, რომელშიც ეს ლექსიკური ერთეულები საკმაოდ ინტენსიურად გვხვდება. ამ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *შოურუმი, დრესკოდი, ბაიერი, მარკეტი, სტაფი, ჩეკლისტი, შორტლისტი, ქეში, ნეთვორქინგი, ნეთვორქი, ფასილიტატორი, ჰელდ, ბორჯი* და სხვ.

2. **ტექნოლოგიებისა და მეცნიერებების განვითარება:** ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიოს არაერთ ენაზე მოახდინა გავლენა და ინგლისური ნასესხობების სხვადასხვა ფორმით დამკვიდრება. შეიძლება ითქვას, რომ ეს უნივერსალური მოვლენაა, გლობალური პროცესია და ქართულ ენაც არ არის გამონაკლისი. ქართულში ანგლიციზმები მკვიდრდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გვაქვს შესატყვისი ქართული ფორმები. ბოლო პერიოდში ინგლისური ნასესხობების დამკვიდრება მნიშვნელოვნად განაპირობა ქართულ რეალობაში სოციალური ქსელების ფართოდ გამოყენებამ, კერძოდ, ფეისბუქმა და ინსტაგრამმა. ასეთი ლექსიკური ერთეულებია, მაგალითად, *სთორი, ვოლი, ჩათი, პოსტი, ინფლუენსერი* და ა. შ. ზოგადად, ტექნოლოგიებს უკავშირდება ქართულში დამკვიდრებული ტერმინები: *მესიჯი, სქრინშოთი, სქრინი, მაუსი, იუზერი, დივაისი, გაჯეტი*. და ა. შ. ამავე ჯგუფში დიდი სიხშირით



გვხვდება კომპოზიტიური ანგლიციზმებიც, მაგალითად: *ინსტაგრამექსუნთი, კონფერენსქოლი, ფეისბუქექსუნთი, ონლაინშოფინგი...*

3. **პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება:** ამ ტიპის ლექსიკური ნასესხობების დამკვიდრება და რაოდენობრივი ზრდა უკავშირდება პოსტსაბჭოურ პერიოდს, როდესაც სახელმწიფომ პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური განვითარების დასავლური კურსი აიღო. სწორედ ამ პერიოდიდან მკვიდრდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორებიცაა: *იმიჯი, ტრენდი, ისტებლიშმენტი, პიარი, ბომონდი, ფეისი, სელებრითი, ეგზიტპოლი, მენეჯმენტი, პრაიდი, გეი, ბისექსუალი, ბულინგი, ეიჯიზმი, პრაიმერი, სუპერვაიზერი, ფრენდლისტი, შორთლისტი, ლოკაცია, ფეისკონტროლი, სელებრითი, ქრაში, პიარმენეჯერი, ეიზარი, რეალტერი, ბაბლი, სთარი, ქამინგაუთი* და ა. შ. ამ ფორმათა ნაწილი დამახასიათებელია ახალგაზრდების მეტყველებისთვის, მაგალითად: *ქრაში, ბაბლი*. ნაწილი ინტენსიურად გამოიყენება მასმედიის ენაში, მაგალითად: *ლოკაცია, ეიჯიზმი* და ა. შ. ბუნებრივია, ამგვარი ლექსიკური ერთეულების გამოყენება დაიწყო შესაბამისი აღსანიშნი ცნების შემოსვლის შემდეგ. როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფში უფრო მეტად გვხვდება არაადაპტირებული, პირდაპირი ანგლიციზმები. იშვიათად გვაქვს ჰიბრიდული ზმნური ფორმები: *გაპიარება, დამენეჯერება/დამენეჯმენტება*.

4. **გართობა და დასვენება:** შემდეგი მრავალრიცხოვანი ჯგუფი უკავშირდება გართობასა და დასვენების ინდუსტრიას. აქ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ლექსიკური ნასესხობები: *ფართი, ვიქენდი, ბესტსელერი, ბარი, მიუზიკლი, ნაითქლაბი, დენსინგი, დენსფლორი, სპოილერი, ლაუნჯი, ნიუსი, ნიუსმეიქერი, პორტალი, ჰაიკინგი, ჰიჩჰაიკინტი, თრიპი, დრაივი, ქლაბინგი, ქლაბერი. შოპინგი, შოუმენი, გეიმერი, გემბლერი, გემბლინგი*. ამ ფორმათა ნაწილმა ჩაანაცვლა იმავე მნიშვნელობის ქართული ლექსიკური ერთეულები, მაგალითად: *ვიქენდი, ფართი*. უმეტესი ნაწილი კი ასრულებს სლენგის ფუნქციას.

5. **მოდა, ტანსაცმელი და სილამაზის ინდუსტრია:** ისევე როგორც სხვა ევროპულ ენებში, ქართული ენის შემთხვევაშიც გამოიყოფა ანგლიციზმების ჯგუფი, რომელიც უკავშირდება მოდისა და ტანსაცმლის, ასევე, სილამაზის ინდუსტრიას. ამ ჯგუფში ერთიანდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორებიცაა: *დიზაინი, დიზაინერი, ფემენისტა, თაითი, ბოიფრენდები, ბრენდი, ფემენვიქი, ლუქი, ვიზუალი, მეიქაფი, კონსილერი, ბრონზერი, ტოპმოდელი, ოვერსაიზი, ჰუდი* და ა. შ.

6. **გასტრონომია:** ამ ჯგუფში შესაძლოა რამდენიმე ქვეჯგუფის გამოყოფა, კერძოდ: საკვები: *ლაგაქეიქი, ფენქეიქი, ფასთფუდი, ჯანქფუდი, ჰამბურგერი, ბურგერი, სტეიკი, ჩიზქეიქი, მაფინი, მილქშეიქი, სმუსი, ჩიფსი, სნექი, ტოსტი, სპრედი* და ა. შ.

მომსახურე პერსონალი: *შევი, რესტორატორი, ბარისტა, ბარმენი* და ა. შ.

სამზარეულო ტექნიკა: *ბლენდერი, ჩოფერი, მიქსერი, ტოსტერი*, და ა. შ.

სუფრის/საკვების მიღების ფორმები: *ლანჩი, ბრანჩი, დინერი, კოფიბრეიჯი, სნეკი*.

შეიძლება ითქვას, რომ ამ კატეგორიაში გაერთიანებული ერთეულები, ძირითადად, უკავშირდება იმ ცნებებს, რომლებიც უცხოა ქართული სამზარეულოსა და კულტურისათვის და, შესაბამისად, მკვიდრდება ცნების შემოსვლასთან ერთად.

7. **სპორტი:** სხვა ენების მსგავსად, სპორტთან დაკავშირებული ანგლიციზმები ქართულ ენაშიც გვხვდება. მათმა ნაწილმა სოციოლექტების, პროფესიული ლექსიკის ფუნქცია შეიძინა: *ფიტნესი, ჯიმი, აუტი, ტაიმაუტი, ბრეიჯი, ფორვარდი, გოლკიპერი, გეიმი* და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანს აქვს შესატყვისი ქართული ფორმა.

ნაშრომის ამ ნაწილში უნდა გავანალიზოთ ანგლიციზმების ჯგუფები, რომლებიც **სხვადასხვა ფუნქციით** გამოიყენება ენაში. ქართული ენა ამ მხრივაც მისდევს უნივერსალურ ტენდენციას, თუმცა ამ ჯგუფში გამოვყავით ქართული ენისათვის დამახასიათებელი ერთეულებიც.

1. მეტაფორები: როგორც ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, ზოგიერთ ენაში ანგლიციზმებს მეტაფორული დატვირთვა აქვს. ქართულში მეტაფორის ფუნქციის მხოლოდ რამდენიმე ინგლისურენოვანი ფორმა იქნა მოძიებული, მაგალითად: *ბრეინვოშინგი, ბრეინდრეინი*.

2. ევფემიზმები: ქართულში ევფემიზმის ფუნქციის მატარებელი ანგლიციზმები იშვიათად გვხვდება. ამ ტიპის მაგალითია *ესკორტი* (გულისხმობს მაღალანაზღაურებად სექსმუშაკს).

4. განსხვავებული მნიშვნელობით შემოსული ერთეულები: ცალკე უნდა გამოვყოთ ანგლიციზმები, რომლებსაც ინგლისურ ენაში უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ხოლო ქართულში ვიწრო მნიშვნელობით არის დამკვიდრებული. მაგალითად, ფორმა *ქილერი* ინგლისურში აღნიშნავს მკვლელს ზოგადად, ხოლო ქართულმა მხოლოდ მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა შეითვისა, კერძოდ დაქირავებული მკვლელი. მსგავსი მაგალითია ლექსიკური ერთეული *ბაიკერი*.

5. სოციალურად მიუღებელი მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა: სოციალურად მიუღებელი ცნებების გადმოსაცემად ენა მიმართავს ანგლიციზმებს, ამის მაგალითია ლექსიკური ერთეული *გემბლერი*, რომელიც თანამედროვე ქართულში გამოიყენება ფულზე მოთამაშე პიროვნების აღსაწერად.

6. კომპლიმენტი: საინტერესო ჯგუფს ქმნის ის ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ქართული ენის მატარებლები მიმართავენ კომპლიმენტის სამეტყველო აქტის დროს,

მაგალითად, *ქულა, მაგარი ლუქი...* ამ ტიპის ანგლიციზმები, ძირითადად, ზეპირ მეტყველებაშია დამკვიდრებული და გამოიყენება, როგორც სლენგი.

7. ემოციის გამომხატველი ლექსიკა: ამ ჯგუფში ვაერთიანებთ იმ სიტყვა-ფორმებს, რომლებიც მოლაპარკის ემოციურ დამოკიდებულებას გადმოგვცემს და, ძირითადად, შორისდებულების, ფუნქციით გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში. ასეთ ფორმებია, მაგალითად, *ვაუ, სუპერ*.

8. ტერმინოლოგია: ეს ჯგუფი გამოირჩევა მრავალფეროვნებით და დიდი მოცულობით. გვხვდება ისეთი ტერმინები, რომლებიც უკვე დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგალითად, *რეცეფცია, პროდუცირება* და ა. შ. მეორე მხრივ, გვაქვს ტერმინები, რომელთაც აქვთ შესაბამისი ქართული შესატყვისი და მათი ხმარება არ არის აუცილებელი, მაგალითად, *ფორმა ვიდბეკი*, რომლის ნაცვლადაც ქართულ სამეცნიერო დისკურსში დამკვიდრებულია ტერმინი *უკუკავშირი*.

9. პოლიტკორექტულობა: ქართულში ფიქსირდება ანგლიციზმები, რომლებიც იხმარება პოლიტკორექტულობის მიზნითაც, მაგალითად, *აფროამერიკელი, სექსმუშაკი, ეთნიკური სამზარეულო, სპეციალური საჭიროებები*. ამ ტიპის ანგლიციზმები შინაარსით ახლოს არის ევფემისტურ ანგლიციზმებთან.

10. კვლევაში გამოყოფილია ერთეულები, რომლებიც თავდაპირველად სხვა მნიშვნელობით შემოვიდა, ხოლო უკანასკნელ პერიოდში განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა: მაგალითად, ლექსიკური ერთეული *სპეკულაცია* საბჭოთა პერიოდში ქართულში გამოიყენებოდა გადამყიდველობის მნიშვნელობით და უარყოფით კონოტაციას შეიცავდა. დღეს ეს სიტყვა ნიშნავს რაღაცაზე მსჯელობას მყარი არგუმენტის გარეშე, მაშასადამე, იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც დონორ ენაში: „*ასე რომ, სპეკულაცია იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა დაბლოკა საქართველოს წარმომადგენლის მონაწილეობა უშიშროების საბჭოს სხდომაში, სიმართლეს არ შეესაბამება*“, *ნათქვამია იაკოვენკოს ოფიციალურ კომენტარში*“ (ქეეკ). შეადარე: „*იწყო სპეკულაცია და ერთ თვეში გამდიდრდა საოცრად*“ (ქეეკ). ამ ტიპის ფორმას, აგრეთვე, შემდეგი ანგლიციზმი: *ორიგინალური*. პირვანდელი მნიშვნელობით ეს ფორმა აღნიშნავს რაიმე *განსაკუთრებულს*, ხოლო ახალი მნიშვნელობით გამოხატავს *პირვანდელის* გაგებას. აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: *შეფი*. პირვანდელი გაგებით ქართულში *შეფი* აღნიშნავს უფროსს, ეს მნიშვნელობა შემოსულია რუსული ენიდან. დღეს კი ამ სიტყვამ შეიძინა ახალი გაგება და აღნიშნავს შეფმზარეულს ან უბრალოდ მზარეულს.

11. კვლევის შედეგად ცალკე გამოიყო ის ახლად შემოსული ანგლიციზმები, რომლებიც ნეიტრალურ მნიშვნელობას ატარებენ, არ გამოხატავენ ემოციურ დამოკიდებულებას და

ასრულებენ სლენგის ფუნქციას: საინტერესოა, რომ ამგვარმა ანგლიციზმებმა ჩაანაცვლეს ძველი ფორმები (უმეტესად რუსული ენიდან შემოსული ერთეულები), რომლებიც, ძირითადად, უარყოფით კონოტაციას შეიცავენ და შეიცავენ ემოციურ შეფერილობას. ქვემოთ წარმოდგენილია ამ ტიპის მაგალითები: მაგალითად, დენოტატია *რეალტერი*, ხოლო იმავე მნიშვნელობის მქონე *მაკლერი* გარკვეულ უარყოფით კონოტაციას შეიცავს. ასეთივე განაწილება გვხვდება *კომოსექსუალის/გეის (დენოტატები)* და *პიდარასტის, სტილისტისა და პარიკმახერის* შემთხვევებში.

ქართულ ენაში სესხების ფორმის მიხედვით ანგლიციზმების 4 კატეგორია გამოიყოფა:

1) **პირდაპირი/არადაპტირებული ანგლიციზმების** ნიმუშებია: *მარკეტინგი, ლიზინგი, იმეილი, ბიზნესი, ბიზნესმენი, დეფოლტი* და სხვ. ამავე ჯგუფში ერთიანდება კომპოზიტური ფორმები, რომლებიც, ასევე, შეუცვლელადაა შემოსული და დამკვიდრებული ქართულში. პირდაპირი ანგლიციზმების მაგალითებია: *ონლაინშოპინგი, სექსშოპი, ვებფეიჯი, ინსტაგრამექსუნთი, ვებდეველოპერი, ფლეისთორი, ფლეისთეიშენი, ფეიქნიუსი, ოვერსაიზი.*

2) **ადაპტირებული ანგლიციზმებია:** *ბიუჯეტი, ბანკროტი, სპეკულაცია, ფსევდონიმი.* უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფორმები შემოსულია შუალედური ენის, კერძოდ, რუსულის გზით და დამკვიდრებულია რუსულ ენაში მიღებული ფორმით. საინტერესოა, რომ ქართულ ენაში **ადაპტირებული ანგლიციზმების** ჯგუფში, ძირითადად, გვხვდება ზმნური ფორმები. ამ შემთხვევაში ფორმის ძირი არის ინგლისური ნასესხობა, რომელიც ექცევა ქართულ ზმნურ ყალიბში. მაგალითად: *დაპოსტვა, გაშეარება, დაჩექინება, დასეივება, დაკოპირება, ამოპრინტვა, ჩასკანერება, დამესიჯება, დაჰაჰავება, დატვიტვა, დალოვება.* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ადაპტირებული ზმნური ფორმები უმეტესად უკავშირდება ტექნოლოგიებსა და სოციალურ ქსელებს.

3) **ცრუანგლიციზმები:** ქართულში ენაში გვხვდება ცრუანგლიციზმების გამოყენების მაგალითებიც. მაგალითად, *სტილისტი, როლინგი, შუზი.*

ქართულში ცრუანგლიციზმის სახით გამოიყენება ფორმა *მეილი*, რომელიც გამოიყენება არა საფოსტო, არამედ ელექტრონული გზავნილის/წერილის ფუნქციით. ამ მხრივ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართულში ცრუანგლიციზმი - *მეილი* უფრო დამკვიდრებულია, ვიდრე პირდაპირი ანგლიციზმი - *იმეილი*. საინტერესოა სურათს გვიჩვენებს პირდაპირი ცრუანგლიციზმის რაოდენობრივი გადანაწილება, კერძოდ *მეილი* და *იმეილი* ფორმების დისტრიბუცია. როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ცრუანგლიციზმი, კერძოდ *მეილი*, კორპუსში გვხვდება 102-ჯერ, ხოლო პირდაპირი ანგლიციზმი *იმეილი* ბევრად იშვიათად იხმარება, დაფიქსირდა სულ 43 ფორმა.

4) **ჰიბრიდული ანგლიციზმები:** ქართულში გვხვდება ჰიბრიდული ანგლიციზმების ნიმუშებიც. როგორც წესი, ამ ფორმებში კომპოზიტის პირველი ნაწილი ინგლისური ენიდანაა შემოსული და მას მოსდევს ქართული სიტყვა. მაგალითად, *ინტერნეტგვერდი, ონლაინმაღაზია, ტოპათეული, ფეისბუქგვერდი, ვებგვერდი, ონლაინგაკვეთილი, ნლაინშეხვედრა, ონლაინშესყიდვები, ინსტანგრამანგარიში, ონლაინმაღაზია*.

ნაშრომის მომდევნო ნაწილში წარმოდგენილია ჩატარებული კვლევის შედეგები და მათი ანალიზი. კვლევა მიზნად ისახავდა ქართულენოვანი რესპონდენტების მიერ ანგლიციზმების გამოყენების მოტივაციისა და ტენდენციების დადგენას. ამ მიზნით შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც მოიცავდა ცხრა ღია და ერთ დახურულ შეკითხვას. შეკითხვები ეხებოდა ანგლიციზმების გამოყენების საკითხს როგორც ყოველდღიურ, ისე საქმიან კომუნიკაციაში. რესპოდენტებს შეეძლოთ, აერჩიათ ერთზე მეტი სასურველი პასუხი. ზოგ შემთხვევაში რესპოდენტებმა კითხვების ნაწილი უპასუხოდ დატოვეს.

კვლევაში ჩართული იყო 50 ადამიანი, აქედან 18-25 წლის ახალგაზრდები (12 რესპოდენტი), 26-40 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (15 რესპოდენტი), 40-60 წლამდე წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (15 რესპოდენტი), 60 წლის ზემოთ - 8 რესპოდენტი.

კითხვარების პასუხების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინგლისურ სიტყვებს ყოველდღიურ მეტყველებაში იყენებს გამოკითხულთა 54%, თუმცა გამოყენების სიხშირე განსხვავებულია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, ახალგაზრდა და საშუალო თაობის ადამიანები გაცილებით უფრო ხშირად მიმართავენ ინგლისურ ნასესხობებს, ვიდრე 60 წელს გადაცილებული პირები.

კითხვაზე, რატომ იყენებენ ინგლისურ ნასესხობებს საუბარში, ნაწილმა გვიპასუხა, რომ ამგვარ ფორმებს იყენებენ გაუაზრებლად (28%). ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ სიტყვების გამოყენებით უფრო ზუსტად გადმოსცემს სათქმელს, (14%), ნაწილი ფიქრობს, რომ ამით ენას პრესტიჟულობას ჰმატებს (8%), უმცირესი ნაწილი კი ფიქრობს, რომ ამით თავს უფრო დამაჯერებლად წარმოადგენს (4%). საინტერესოა, რომ ზოგიერთი რესპოდენტი პასუხის რამდენიმე ვარიანტს წერდა, კერძოდ, ინგლისური ნასესხობების გამოყენება საუბრის დროს მათთვის, ერთი მხრივ, სათქმელის პრესტიჟულობას უსვამს ხაზს, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო ზუსტად გადმოსცემს სათქმელს. გამოკითხულთა მხოლოდ 22% ამბობს, რომ ანგლიციზმებს იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი შესატყვისი ქართული სიტყვა არ არსებობს. ამ შემთხვევაში ადვილად და ზუსტად გადმოსცემენ სათქმელს.

ჩვენთვის საინტერესო შემდეგი შეკითხვა ეხებოდა საქმიან კომუნიკაციაში ანგლიციზმების ჩართვასა და გამოყენებას: **იყენებთ თუ არა საქმიან ურთიერთობებში ინგლისურ სიტყვებს?**

გამოკითხულთა 24% აცხადებს, რომ ანგლიციზმებს იყენებს, რადგან მიღებული ფორმა საქმიან კომუნიკაციაში. ნაწილი (32%) ამბობს, რომ იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ქართული შესატყვისი ან ამით უფრო ადვილად დაამყარებენ კომუნიკაციას და გააგებინებენ აზრს.

**შეკითხვაზე - გქონიათ თუ არა შემთხვევა, როდესაც ქართულ ენაზე საუბრისას/წერისას ინგლისურ სიტყვებს იყენებთ და თანამოსაუბრეს ვერ იგებს ამ სიტყვებს** რესპონდენტთა ნაწილი (28%) ფიქრობს, რომ პრობლემას ქმნის მხოლოდ ვიწრო დარგობრივი ლექსიკის გაგება, რადგან ეს უკავშირდება დარგის ან უცხო ენის სიღრმისეულად ცოდნას.

რესპონდენტთა 24% მიიჩნევს, რომ ხშირად პრობლემა ექმნება უფროსი თაობის თანამოსაუბრეებთან, როდესაც იყენებენ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სიტყვებს და შედარებით ახალ ნასესხობებს.

რაც შეეხება ფართოდ გავრცელებულ ტერმინებს (ბიზნესი, მარკეტინგი, იმიჯი), კითხვარის მიხედვით, მათი გაგება არ არის პრობლემა თანამოსაუბრეებისათვის (76%).

შეკითხვაზე, გქონიათ თუ არა შემთხვევა, როდესაც თქვენი თანამოსაუბრე იყენებს ქართულ ენაზე საუბრისას/წერისას ინგლისურ სიტყვებს და თქვენ ვერ იგებთ ამ სიტყვებს? რესპონდენტთა 56% პასუხობს, რომ ამგვარი შემთხვევა არ ჰქონია. რესპონდენტთა 22 % ამბობს, რომ ძალიან იშვითად, ხოლო 6% ამბობს, რომ ვერ იხსენებს.

შეკითხვაზე, თუ რომელ სიტყვებს იყენებენ ყველაზე ხშირად, რესპონდენტები ასახელებენ შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს (განვიხილეთ მხოლოდ არასალიტერატურო, საჭიროების გარეშე გამოყენებული ლექსიკური ერთეულები/სლენგი): ქეში, სუპერ, ოქეი, დაპოსტვა, დალაიქება, ფეისი, ბრენდი, ლუქი, სტილისტი, სეილი, ბაიკი, დამესიჯება, დასინვა.

შეკითხვას, რომელიც ეხება საკითხს, მისაღებია თუ არა საზოგადოებისათვის ანგლიციზმების/ინგლისური სიტყვების გამოყენება მათი გამოცდილებით, რესპონდენტების პასუხობიდან გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პასუხები:

გააჩნია რა თემაზე და ვისთან ვსაუბრობ - 22%. უფროსი თაობის ადამიანები ზოგჯერ გვთხოვენ ამ სიტყვების ახსნას - 18%. არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს -24%. თანამოსაუბრისთვის უმეტეს შემთხვევებში (52%) მიუღებელია საჭიროების გარეშე ამგვარი ფორმების გამოყენება.

რაც შეეხება ინგლისური ნასესხობების წყაროებს, რესპონდენტები ასახელებენ რამდენიმე ძირითად წყაროს (ზოგ შემთხვევაში ერთი რესპონდენტი ერთზე მეტს), რომელთაგანაც წამყვან ადგილს იკავებს სოციალური მედია, კერძოდ, ფეისბუქი და ინსტაგრამი (28%). საკმაოდ დიდ ჯგუფს ქმნის სხვების ლაპარაკი - 26%. გარდა ამისა, ანგლიციზმების წყაროს წარმოადგენს

ინგლისურენოვანი ფილმები და სიმღერები (18%), წიგნები და პროფესიული ლიტერატურა - 14%, ტელეშოუები/ტელეგადაცემები - 6%. რეკლამა - 8%. არ ვიცი - 12%.

კითხვარების ანალიზი, ასევე, გვიჩვენებს იმას, რომ ინგლისური ენის საშუალო და მაღალ დონეზე მცოდნეები უფრო მრავალფეროვან ანგლიციზმებს იყენებენ, ვიდრე ისინი, ვისთვისაც ანგლიციზმების წყარო მხოლოდ სოციალური მედია და სხვების გავლენაა და ცუდად ან საერთოდ არ ფლობენ ინგლისურს.

კითხვარების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენის მატარებლები ანგლიციზმებს იყენებენ როგორც ყოველდღიურ, ისე საქმიან მეტყველებაში. ყოველდღიურ მეტყველებაში ანგლიციზმებს მიმართავენ პრესტიჟულობისა და ექსპრესიულობის ხაზგასასმელად, შესაბამისად, ყოველდღიურ საუბარში ანგლიციზმები ხშირ შემთხვევაში სლენგს წარმოადგენს. რაც შეეხება საქმიან კომუნიკაციას, ვერბალური ურთიერთობის ამ ფორმის დროს ინგლისურ ნასესხობებს აქვს კონკრეტული საქმიანი დანიშნულება, როგორც წესი, ტერმინებია და არ მოიძებნება შესაბამისი ქართული ეკვივალენტი, ამდენად, მათი გამოყენება ენობრივად არის განპირობებული.

ანგლიციზმების უმეტესობა, რომლებსაც სლენგის დატვირთვა აქვს, ძირითადად გვხვდება ზეპირმეტყველებაში, შესაბამისად, ნაკლებად აისახება წერილობით ტექსტებში და ქართული ენის ეროვნულ კორპუსში. ეს განსაკუთრებით ახლად შემოსულ ანგლიციზმებს ეხება.

ის ანგლიციზმები, რომლებიც სამეცნიერო დისკურსში გვხვდება, მკვიდრდება როგორც სამეცნიერო ტერმინები, ამიტომ ეს ლექსიკური ნასესხობები ადვილად იკიდებს ფეხს სალიტერატურო ენაში, საიდანაც ინაცვლებს ზეპირმეტყველებაში, მათ შორის პოლიტიკოსებისა და სხვა საჯარო პირების გამოსვლაში. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ვიწრო სამეცნიერო ტერმინი უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს.

ანგლიციზმები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის წინ შემოვიდა ქართულ ენაში, უკვე სალიტერატურო ენის კუთვნილებაა და მოიაზრება, როგორც ქართული ენის ლექსიკური ფონდის ნაწილი, ისევე როგორც ერთ დროს სხვადასხვა ენიდან, მათ შორის არაბულიდან და სპარსულიდან შემოსული უცხო სიტყვები.

ანგლიციზმების დამკვიდრების პრაგმატული მოტივაციისა და გამოყენების მიხედვით ქართული ენა მისდევს ევროპული ენების მონაცემებს. თუმცა, კვლევის შედეგად, გამოიკვეთა ქართული ენისათვის სპეციფიკური რამდენიმე შემთხვევა, მათ შორის, ანგლიციზმების გამოყენება პოლიტორექტულობის მიზნით, ანგლიციზმები, რომლებიც ახალ მნიშვნელობას გვიჩვენებს და ინგლისური ნასესხობები, რომლებიც პრესტიჟულობის მოტივით ანაცვლებს

რუსული ენის გზით შემოსულ ძველ ფორმებს ან მათ ქართულ შესატყვისებს, რომელთაც საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული უარყოფითი კონოტაცია ახასიათებს.

შეჯამების სახით შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართულში ინგლისური ნასესხობები მკვიდრდება რამდენიმე გზით. ერთი მხრივ, შემოდის, როგორც საერთაშორისო ლექსიკა, სოციოლექტი და მკვიდრდება, როგორც ტერმინი, ხოლო, მეორე მხრივ, შემოდის ახალ ტექნოლოგიებთან, ქართული კულტურისათვის უცხო რეაქციებს ან გასტრონომიულ სიახლეებთან ერთად და ქართული შესატყვისის არარსებობის გამო ხდება ქართული სალიტერატურო ენის ნაწილი.

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება როგორც კულტუროლოგიური, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით, რადგან ასახავს ენაში მიმდინარე ცოცხალ პროცესებს და წარმოადგენს ამ პროცესების ახსნის მცდელობას.

#### ლიტერატურა:

1. კირვალიძე, - Journal of Teaching and Education, CD-ROM. ISSN: 2165-6266 :: 06(02):269–280 (2017)
2. მარგალიტაძე თ. - სჭირდება თუ არა ქართულ ენას გაინგლისურება? <https://barbarisms.ge/article1/> (ნანახია: 05/09/2020)
3. Erkenbrecher C. - 2006. Anglicisms in German. How many prominent Anglicisms are actually Pseudo-Anglicisms? Hauptseminar Intracultural and Intercultural Pragmatics: Language Variation According to Communicative Situation. Available online at <http://www1.kueichstaett.de/SLF/EngluVglSW/schule32.pdf>
4. Galinsky, Hans - Stylistic Aspects of Linguistic Borrowings. A Stylistic View of American Elements in Modern German. In Amerikanismen der Deutschen Gegenwartssprache, ed. Broder Carstensen & Hans Galinsky. 2nd edition. Heidelberg. 1967.
5. Fischer R. - Anglicisms in Europe: Linguistic Diversity in a Global Context. 2008
6. Hilgendorf, Susanne K. 2007. English in Germany: contact, spread and attitudes. In World Englishes, Vol. 26, No. 2. 131-148.,
7. Lazarev A. V. - Journal of History Culture and Art Research (ISSN: 2147-0626), Vol. 6, No. 6, December 2017, Revue des Recherches en Histoire Culture et Art Copyright © Karabuk University; pp.187-193.
8. Maillet, J. - Langue française: arrêtez le massacre! Paris: Les éditions de l'Opportun. Tank, Bulldozer, Scooter, Jeep, Hit Parade, 2014



9. Fouché, N. - Les américains en France (18-21 siècles). 2017 URL: <http://www.histoire-immigration.fr/dossiers-thematiques/caracteristiques-migratoires-selon-les-pays-d-origine/les-americains-en-france> (ნანახია: 15/08/2020)
10. Minutella v. - Direct Anglicisms In Dubbed Italian , A preliminary study on animated films; *Lingue e Linguaggi* 28 (2018), 193-209.
11. González F. - (eds.), *The Anglicization of European Lexis*, John Benjamins, Amsterdam, pp. 1-24.
12. Pulcini V., Furiassi C. and Rodríguez González F. - The lexical influence of English on European languages: From words to phraseology, in Furiassi C., Pulcini V. and Rodríguez Go, 2012
13. Pruvost, J. - *La langue française : une longue histoire riche d'emprunts*. Université de Cergy-Pontoise. 2012
14. Viereck, 1986; 107-109; Viereck, Wolfgang. 1986. The influence of English on German in the Past and in the Federal Republic of Germany. In *English in contact with other languages: studies in honour of Broder Carstensen on the occasion of his 60th birthday*, ed. Wolfgang Viereck and Wolf Dietrich Bald, 107-128. Budapest: Akadémiai Kiadó
15. Yang 1990, Yang, Wenliang. 1990. *Anglicizmen im Deutschen: am Beispiel des Nachrichtenmagazins Der Spiegel*. Tübingen: Niemeyer.
16. Крысин Л.П. - Иноязычные слова в современной жизни // *Русский язык конца XX столетия*. М., 1996.
17. Ельцина Б. Н. - **НОВЕЙШИЕ АНГЛИЦИЗМЫ В СИСТЕМЕ СОВРЕМЕННОГО РУССКОГО ЯЗЫКА**, Материалы ежегодной международной конференции. 1-2 июня 2017 г. Екатеринбург

**წყაროები:**

ქართული ენის ეროვნული კორპუსი, <http://gnc.gov.ge/gnc/static/portal/gnc.html>

ბარბარიზმების ლექსიკონი, <https://barbarisms.ge/>

Ketevan Gochitashvili, Giuli Shabashvili

**Semantic groups of English borrowings and their pragmatic realization in contemporary  
Georgian language**

**Abstract**

The paper discusses the semantic groups of English borrowings used in the Georgian language, the ways of their entry, the conditions of pragmatic realization of these words and the forms of borrowing. The motivation for using Anglicisms is also discussed. Used methods are as follows: corpora method, questionnaire and its analysis, statistical and theoretical analysis. The theoretical framework of the paper is developed based on the latest scientific literature. The peculiarities of the Georgian language are taken into account as well.

The paper presents the following groups of Anglicisms: 1. Factors contributing to the borrowing and establishment of the Anglicisms in the Georgian language: Socio-Economic processes and an increased interest in the Anglo-American world. As a result, existing lexical units were replaced by English borrowings or were used to convey new concepts, unfamiliar to Georgian culture. Another reason is conveying social prestige and emotional resonance. To denote realities from the Anglo-American world and the lack of their corresponding notions. The need for short, concise and laconic terms. 2. The areas of application: business and commercial activities, development of technologies and science; politics and public life, fun and relaxation; fashion, clothing and beauty industry; gastronomy; sport. 3. Anglicisms by function: metaphors, euphemisms, units with different connotations, the vocabulary of socially unacceptable events, compliments, vocabulary expressing emotions, terminology, politically correct words, units that have changed meanings, denotative and connotative meanings of words. 4. Forms of transfer: direct borrowings, indirect borrowings, hybrid forms and false Anglicisms.

Analyzes of the questionnaires revealed, that the anglicisms in Georgian are more used to focus on prestigious and emotionality. Often many of them serve as slangs. Majority of these anglicisms are met in oral speech.

Anglicisms used in scientific discourse are set as the particular scientific terms. Consequently, those borrowings are easily spread into a literary language, from where they are transferred to oral speech. In this case, the meaning of the narrow term is gradually widening.

Those of anglicisms borrowed a few decades ago are already considered as the part of literary language.

According to the pragmatic motivation and pragmatic analysis of anglicisms, the Georgian Language follows the data of European languages. Although research revealed specific cases for Georgian including

using anglicisms in terms of being politically correct, anglicisms which show new meaning and finally anglicisms which replaces previous Georgian forms or forms transferred from Russian. Notably, these last forms present negative connotation since the soviet times.

In Modern Georgian anglicisms are established in several ways. On the one hand, these forms are borrowed as international vocabulary/sociolects transferred as terms and they continue to exist as slang. On the other hand, English forms are borrowed in parallel with modern technologies, foreign cultural attributes or gastronomic innovations. Because of the absence of the Georgian equivalent, they stay in the Georgian literary language and enrich it.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მეგრელიძე

## К вопросу о семиотике личных имен

Яговкина Елена

Кутаисский государственный университет им.А.Церетели

e-mail: helen.yagovkina@list.ru

*Аннотация. Наука об именах носит междисциплинарный характер, объединяя в себе данные истории, географии, культурологии, социологии, психологии, лингвистики, антропонимии и многих других наук, что делает ее особенно привлекательной для исследователей. Имя - это и слово, и знак, и символ, и единица языка. В предлагаемой статье сделана попытка дать анализ некоторых явлений антропонимии, определить системность в личных именах и фамилиях.*

**Ключевые слова:** семиотика, имя собственное, ономастика, антропонимия, системность.

Имена собственные занимают значительное место в составе лексики любого языка. Их специфика издавна привлекала внимание исследователей в самых разных областях науки — истории, географии, лингвистики, философии и многих других (Аристотель, Платон, Декарт, Локк, Милл, Гардинер, Павиленис, Суперанская, Ермолович и др.). Свообразие имен собственных позволило выделить их изучение в отдельную науку - ономастику, которая, в свою очередь, подразделяется на множество разделов в зависимости от изучаемого аспекта - антропонимику, топонимику и т.д. Попытки семиотической интерпретации антропонимов были предприняты в ряде работ отечественных и зарубежных лингвистов. Однако многое здесь еще остается неясным. Между тем, возникновение, история и взаимодействие антропонимических систем (родственных и неродственных) в ходе их исторического развития не могут быть по-настоящему поняты без анализа их с позиций семиотики.

Имена собственные, являясь частью языка, развиваются по законам языка. Но имя собственное – особенное слово, существующее в языке и по своим законам. Так, от слова лев можно образовать прилагательное львиный, а от имени Лев – нельзя. Наоборот, от имени Лев можно создать уменьшительное Лёва, но назвать Лёвой даже самого смиренного льва можно лишь в шутку.

В теории имени собственного существует множество вопросов, противоречивых теорий, нерешённых проблем, поэтому в последнее время им посвящается большое количество публикаций в разных странах.

В настоящей работе сделана попытка дать анализ некоторых явлений антропонимии, определить системность в личных именах и фамилиях.

Язык человека, его речь ощущается во всех культурах как продолжение его личности. Этим объясняется тот факт, что язык повсеместно используется для обозначения или идентификации людей. Во всем мире людям даются имена, т.е. слова, которые обозначают и выделяют их как индивидуумов.

Имя имеет как указательные, так и символические свойства. Подобно местоимению оно обозначает человека и обычно указывает на его этническое происхождение; в то же время имя символично, потому что является продуктом исторического развития общества и поэтому привязано к общепринятой системе обозначений. Реже имена и клички появляются для обозначения характерных особенностей человека или животных. Обычные, но поучительные примеры этого мы находим в именах или прозвищах, которыми мы награждаем наших домашних животных, например: Мурка (англ. Pussy), Хрюша, Квакуша и другие. Изучение собственных имен происходит как в семиотике, так и в лингвистике, и эта отрасль науки называется «ономастикой» (греч. *Онома* – имя).

Сам по себе факт называния человека определенным именем является удивительным явлением во многих отношениях. Во всех цивилизациях человек не считался и не считается полноправным членом общества до тех пор, пока ему не дано имя. Наречение новорожденного именем – первая церемония, предпринимаемая для того, чтобы тот вошел в общество людей как полноправная личность со своими особыми свойствами характера. Если ребенку по какой-либо причине семья не дает имени, это делает общество. С детства чувство собственного «я» каким-то образом всегда связано с именем. В некоторых племенах, например, считается, что личность обязательно должна иметь тело, душу и имя; человек не воспринимается как нечто целое, если у него нет всех этих трех составляющих.

Нередко имя выступало как оберег, т.е. как амулет или заклинание, оберегающее его носителя от несчастья.

Апокриф «Семьдесят имен Богу» (рукопись XVI – XVII вв. Иосифо-Волоколамского монастыря) советовал для самообороны записать, выкупить и носить с собой 70 «имен» (символических и метафорических наименований) Христа и 70 имен Богородицы, т.к. человек «от всякого зла избавлен будет: власть, сила, слово, живот, милость...».

В древности, выбирая имя родившемуся ребенку, человек нередко как бы играл с духами в прятки: то он хранил в тайне «настоящее» имя ребенка (и ребенок вырос под другим, не «секретным» именем); то нарекали детей названиями «худое имя» - чтобы злые духи не видели в его носителе ценной добычи.

Несколько лет тому назад Британское телевидение представило программу «Заклоченный». В ней показано, как в тоталитарном государстве с целью лучшего контроля за людьми им присваивались вместо обычных имен порядковые номера: номер Первый, номер Второй, номер Сто тридцать первый и т.д. Вся программа была направлена на то, чтобы показать, как люди борются против их обезличивания, за осознание самих себя, ради раскрытия своей внутренней сущности. Использование

номеров для заключенных и рабов – это отрицание их индивидуальности, и в конечном итоге, их ценности.

В западном обществе иудейско-христианское влияние на имена было особенно сильным. В некоторых странах, например таких, как Бразилия, ребенок получал христианское имя раньше, чем свидетельство о рождении. В современных западноевропейских странах выбор имени не всегда регулируемый процесс, но даже здесь родители следуют определенным обычаям и тенденциям.

В разных странах, например, детям часто дают имена определенных месяцев (англ. May), используются названия драгоценных камней (Ruby-англ. «рубин»), растений и цветов (Blossom – англ. «цветение»; русск. Роза, Флора, Лавр; груз. Ия), географические названия (Georgia – англ. Джорджия). Имена часто даются в честь каких-либо известных событий, знаменитостей: Октябрин, Спартак, Аврора, Элвис, Мерилин и др.

Еще во времена Средневековья одного личного имени было вполне достаточно для идентификации человека. Однако уже тогда так часто стали появляться дубликаты имен, что появление добавочных названий для людей стало просто необходимым. Тем не менее, сначала фамилии (сравн. англ. family – «семья») давались только людям, чем-то отличным от других. Обращалось внимание либо на его профессию, либо на социальное положение, место проживания, происхождение и т.д. В Англии, например, человек, живущий недалеко от того места, где росли яблони, мог называться John Appleby, т.е. «Джон оттуда, где растут яблони». Вот несколько примеров топографических фамилий, связанных с англоязычной культурой: Вуд (лес), Черч (церковь), Хилл (гора, холм), Риверс (река) и пр.

Обращаясь к периоду становления русских фамилий, как постоянного элемента оригинального именования людей (17-18 вв.), следует отметить, что в записи мужчин того времени, помимо личного имени и прозвища, попадали главным образом следующие элементы: указание на род занятий или социальное положение; указание на место происхождения или национальную принадлежность; имя или группа именованных отца. Например, пушкарь Тимошка Кузьмин сын Стрелкин, Черкашенин Иван Хорошков и пр.

Дальнейшая эволюция именованных шла в абсолютном большинстве случаев по линии развития и упрочения фамилий из имен и прозвищ отца. Дети, а затем и их потомки, могли получать от своих родителей фамилии, образованные часто с помощью таких суффиксов как son (англ. «сын»), -dze; --shvili (груз.), -sen или dottir (сканд.), префиксов Mac-, Mc- (шотл.) Ap- (Уэльс); Johnson (сын Джона), Jakobsdottir (дочь Якоба) и др.

Основная масса русских фамилий имеет типовые конечные морфемы -ов, -ев, -ский, -ской, -их, -ых, -ой, -ий (например, Ильин – потомок Ильи; Иванов – потомок Ивана). Фамилии, отражающие средневековую жизнь и занятия, часто являлись продуктивным источником индивидуализации. Например, русск. Кузнецов имеет эквиваленты в английском (Smith), испанском (Ferrer), немецком (Schmidt), венгерском (Kovacs), грузинском (Mchedeli); Плотников – в англ. Carpenter, Портнов в англ. Tailor и другие.

Обычай давать имена прошел через века и культуры, распространившись и на неживые объекты. Когда это случилось, то предметы как бы благодаря особой магии стали принимать на себя черты живых существ. Так сильны наши представления о связи между именем и жизнью, что совершенно не вызывает удивления тот факт, что тропическим ураганам, штормам дают имена людей. При этом кажется, будто они действительно приобретают какую-то особую человеческую индивидуальность, и это как бы подталкивает нас обратиться с просьбой, мольбой, заклинанием к этим стихийным силам.

Итак, личные имена, обладая особой семантикой, являются своеобразными ярлыками, знаками, помогающими узнавать людей и отличать их друг от друга. Конкретность имени собственного не следует ставить в прямую связь с единичностью предмета. Единичность дает право предмету на свое имя. Однако оно вполне может служить обозначением нескольких предметов. Важно, чтобы все они мыслились как индивидуальные. Так, имена Сергей, Татьяна называют в настоящее время сотни тысяч мужчин и женщин, оставаясь для каждого из них индивидуальными обозначениями.

### Использованная литература

1. Marcel Danesi and Paul Perron. Analyzing Cultures. Indiana University Press. 1999.
2. Basso, K.H. Meaning in Anthropology. University of New Mexico Press. 1976
3. Бондалетов В.Д. Русская ономастика. М. 2016
4. Лахно А.В. Автореферат диссертации «Имя собственное как объект сопоставительного изучения» М. 2006

Helen Iagovkina

### On the question of the semiotics of personal name

#### Abstract

Like the body, language is felt across cultures to be an extension of persona. This would explain why language is used universally to identify people. Throughout the world people are given names, i.e. words that stand for them as individuals. A name has both indexical and symbolic properties because, like a pronoun, it identifies the person and, usually, his/her ethnic origin; it is symbolic because, like any word, it is a product of historical forces and thus is tied to conventional system of signification.

The study of names falls more properly under a branch of both semiotics and linguistics called onomastics.

რეცენზენტი: პროფესორი ო. გუსევა

## ლიტერატურული ალუზიები და ენობრივი პარალელები ნ.

### ბარათაშვილის „მერანისა“ და ა. მიცკევიჩის „ფარისის“ მიხედვით<sup>1</sup>

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: manana-mikadze@rambler.ru

„ქართველი რომანტიკოსებიდან ნიკოლოზ ბარათაშვილი ყველაზე დიდი პოეტი და დიდი ფილოსოფოსია“, პროფესორ გიორგი ჯიბლაძის ეს სიტყვები ყველაზე უკეთ გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალობას, რომელმაც 26 წლის ასაკში დაასრულა თავისი დაუოკებელი, სევდიანი, აღმასვლის სწრაფვაში ოცნება; მიუღწეველი მწვერვალები, რომელიც გიმნაზიაში მიღებულმა ფიზიკურმა ტრამვამ დააკარგინა, სიყვარულში გამოცდილმა სულიერმა ტრაგედიამ განაცდევინა, მაგრამ ეკატერინე ჭავჭავაძისადმი უსაზღვრო სიყვარულმა იხსნა მისი პოეზია სამარადჟამო მტვერისაგან. დედოფალმა ჭავჭავაძე-დადიანმა ბარათაშვილის ლექსების კრებული დიდი რუდუნებით გადასცა ილია ჭავჭავაძეს და ქართულ პოეზიას დაუბრუნა დიდი პოეტი, რომელიც სამწუხაროდ, დავიწყებას მისცემოდა.

**შედარება ფარისთან:** ადამ მიცკევიჩის „ფარისს“, ჩვენი აზრით, ნ. ბარათაშვილი რუსული თარგმანიდან უნდა გასცნობოდა. ამ გარემოებამ დაბადა აზრი, რომ „მერანი“ პოლონელი პოეტის ლექსის ერთგვარი ზემოქმედებით შეიქმნა (იონა მეუნარგია, კიტა აბაშიძე). ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, მოკლებულია რეალურ საფუძველს, პირველ რიგში იმის გამოც, რომ ეს ორი ნაწარმოები თავისი მხატვრული ფორმით, მეტად შორეული, თითქმის უმნიშვნელო მსგავსებას ამჟღავნებს, რაც შეეხება იდეურ ნათესაობას, იგი უდავოა. მიცკევიჩის პოეზიის სულისკვეთება უთუოდ ახლობელი იყო ბარათაშვილისათვის.

<sup>1</sup> სამეცნიერო ნაშრომი წაკითხულია პოლონეთში, ბელოსტოკის მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე "Cultural, literal and linguistic influences" 2019 წ.



მიცკვეიჩმა პოემა დაწერა რაჟევსკის სახსოვრად, რომელსაც ის ბედი ეწია, რაც პოემის გმირს. ვაცლავ რაჟევსკი სამეცნიერო კვლევებისათვის იყო წასული არაბეთში და დაიღუპა. მიცკვეიჩი თავისი მხედრის გმირობას გვიხატავს, რომელიც ვერაფერს შეუძინებია. ბარათაშვილი კი - თავისი მხედრის სასოწარკვეთილებას, რომელიც იმ მდგომარეობაშია, რომ არაფერი არად მიაჩნია და სიცოცხლეს სიკვდილს არჩევს, მაგრამ სიკვდილს აზრიანს, შთამომავლობისათვის თავგანწირულს.

„ფარისში“ გადმოცემულია ბედუინის ხეტიალი უდაბნოში. მაგრამ საკმარისია ზერელე გადაკითხვა ამ ორი ნაწარმოებისა, რომ აშკარა გახდეს მათი უდიდესი განსხვავება, როგორც ძირითადი იდეის, ისე ჟანრისა და სტილის მხრივ. „მერანში“ თვით ავტორია მხედარი და ამიტომ ლექსი აღწერისა და თხრობის ფორმით კი არაა დაწერილი, არამედ რეალური მდგომარეობის გადმომცემი რიტმით [ ასათიანი, 206]

„ფარისი“ მიცკვეიჩის ერთი უბრწყინვალესი ძეგლია პოლონური პოეზიისა. მიცკვეიჩმა იდეა ამ ნაწარმოებისა არაბული თქმულებიდან აიღო.

„მერანში“ წამოყენებული პრობლემა არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის მასშტაბის, მასში მსოფლიო მნიშვნელობის იდეებია გაშლილი უაღრესად ნაციონალური ფორმით, გენიალური შემოქმედებითი ოსტატობით და ამაშია „მერანის“ ორიგინალობის უძლიერესი მხარე, მეორეს მხრივ, ლიტერატურის ისტორიის წინაშე ტენდენციურ დამოკიდებულებად მიგვაჩნია მტკიცება, თითქოს „მერანისა“ და „ფარისის“ არც ერთი მხატვრული სამკაული, არც ერთი ეპიტეთი მსგავსი არ იყოს. ჩვენი აზრით, და ვეთანხმებით აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს, რომ „არავითარი გავლენა, არავითარი მიბაძვა არ არის, არის მხოლოდ ზოგიერთი პოეტური სახის უნებლიე დამთხვევა“. ასეთ შეხვედრათა მრავალი მაგალითი იცის მსოფლიო ლიტერატურამ. რამეთუ გენიოსები ხშირად ანალოგიურად აზროვნებენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეპოქებსა და გეოგრაფიულ არიალებში.

როცა ფრანგი რენე ფრანსუას (სიული პრუდომის) „ჭენების“ («Вскачь») რუსულ თარგმანს წაიკითხავ (დაიწერა „მერანის“ დაწერიდან 20 წლის შემდეგ) იგი ძლიერ უახლოვდება „მერანს“, თუმცა არ ვიცით, იცნობდა თუ არა ფრანგი პოეტი ქართველი პოეტის უკვდავ ქმნილებას.

ბარათაშვილი:

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,

უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი...

რენე ფრანსუა:

«Мчись, мой конь, вздымая искры огненным дождем!

По горам и по долинам вихрем промелькнем!

ადამ მიცკევიჩი

«Шибче! Шибче! Он скользит,

До песку едва касаясь.

Дальше! Дальше! Поднимаясь

С вихрем пыли, он летит!..

**შექმნის ისტორია:** „მერანი“ შეიქმნა ისტორიული ამბის გამო, 1842 წელს დაღესტანში მთიელთა რაზმებმა დაატყვევეს ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის ძმა - ილია ორბელიანი, კავკასიის ჯარების ოფიცერი და პოეტის სკოლის მეგობარი. ილიას ვაჟკაცური თავდაჭერილობა და სიმედგრე სამაგალითო აღმოჩნდა. ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილების გუვერნიორ ფრანგ ქალს დრანსეს, რომელიც ასევე ტყვედ გაიტაცეს მთიელებმა 1854-1855 წლებში, თავის მოგონებებში მოთხრობილი აქვს მთაში გაგონილი ამბავი ილია ორბელიანის ხასიათის სიმტკიცისა და არაჩვეულებრივი გამბედაობის შესახებ. პოეტის ბიძის რაინდობას შამილი გაუკვირვებია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დედის მეორე ძმას, ცნობილ გენერალსა და პოეტს, გრიგოლ ორბელიანს უამბობს მისი უმცროსი ძმის (ილიას) თავგადასავალს და თან უგზავნის ლექსს (რომელსაც დღეს ვიცნობთ სათურით „მერანი, მაშინ ლექსი უსათაურო იყო) და დასძენს:“ არ ვიცი, ეს ლექსი როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი დაინთხა ამის წაკითხვაზე, იმიტომ რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა - მე....” (ბარათი დათარიღებულია 1842 წლის 2 მაისით).

ბიოგრაფიული ხასიათის მოვლენა იქცა თავდაპირველ ბიძგად, რომელმაც გამოიწვია პოეტის ძლიერი ვნებათა ღელვა.

**შინაარსობრივ შტრიხები:** „მერანში“ გვაქვს გმირული შერკინება ბედთან. ფრთებასხმულ, სივრცეში მსრბოლ მერანზე მჯდარ მხედარს უკან მოსჩხავის ტრაგიკული აღსასრულის მაუწყებელი შავი ყორანი. პოეტიც უყვივს თავის მერანს - გარდაატაროს ბედის საზღვარი. იმდენად ძლიერი და სტიქიურია ნ. ბარათაშვილის ამბოხი ბედისწერის ძალების წინააღმდეგ, რომ იგი მზადაა დათმოს მამული, ნათესავები და გულის სატრფოც, ტიალ მინდორში და უცხო ცის ქვეშ ჰპოვოს საფლავი, ოღონდ ბედისწერას არ ემონოს. ეს არის გმირული ყიჟინა სოფლის დათმობაზე, „გიჟური ლტოლვა“ კოსმიურ სფეროში გადასვლი-სათვის, ყველა მიწიერი, მატერიალური ხუნდისაგან თავის დაღწევა სრული განთავისუფლების მიზნით. ეს არის თავდავიწყებული ტკობა თვითონ სრბოლით, ქროლვით. პოეტის შავად მღელვარე ფიქრები ხან ერთ მთლიან ენერგიად გვევლინება და ტალღის მძვინვარებას მიაგავს, ხან უმაღლესი პოეტური მედიტაციის ფორმებში, ვრცელ ტემპის მხრივ შენელებულ სტროფებში იშლებიან და ტალღის

დროებით დაწყნარებასა და ყრუ გმინვას ემსგავსებიან. „მერანი“ ნამდვილი სიმფონიაა, რომელშიც ენერგიული ტემპით გადმოცემულ ძირითად მოტივს მოსდევს მსჯელობა ბედზე, თვითონ პოეტის ხვედრსა და ადამიანურ მოვალეობებზე მოძმეთა შორის.

ბარათაშვილმა ჩინებულად გამოიყენა მიცკევიჩის ლექსის საერთო ფონი. «ფარისში» არავინ იცის, რატომ გადმოჭრილა არაბი და სად მისწრაფის იგი! ბარათაშვილის ლექსში კი მხედრის განზრახვა ცხადია. ის მირბის და მიფრინავს, რომ გაექცეს კაცს, სწორსა და მეგობარს, მამულს, რომელთანაც ყოფნა მოსწყენია, რომ ან ნიავს მისცეს მისი შავად მღელვარე ფიქრი, ან თან გაატანოს მერნის გიჟურ ლტოლვას. არაბულ მერანზე ბარათაშვილმა მისი სულით ობოლი კაცი შესვა, რომელსაც როგორც ვიცით, კაცთაშორის ყოფნა ეზარება. ეს მერანი უგზო-უკვლოდ მიაფრენს მის მხედარს, რომელიც ბედს არ ეურჩება.

**შედარება მსოფლიო პოეზიაში:** წინააღმდეგობებთან შეჭიდებული მხედრის სახე სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი ნაირსახაობით საკმაოდ ხშირად გვხვდება როგორც ქართულ, ისე უცხოური ლიტერატურის ძეგლებშიც. ამის შესახებ სამართლიანად შენიშნავს ქართველი პოეტი სიმონ ჩიქოვანი: „არიოსტოს ეპიკური სიმღერით „დაუდგრომელი როლანდით“ დაწყებული სიული პიუდომის ლირიკულ „ჭენებამდე“ ცხენოსანი, ბედთან შეჭიდებული ვაჟკაცი მრავალი ვარიანტით გაელვებულა პოეზიაში.

ყოველ დიდ ნაწარმოებს მსოფლიო მწერლობაში მრავალი მონათესავე პოეტური ნაწარმოები გააჩნია. „მერანსაც“ შორეულად ეხმიანება ადამ მიცკევიჩის „ფარისი“, რომელიც თავად აღმოსავლურ პოეტურ ქმნილებათა ანარეკლია. მას ენათესავება პუშკინის «Шуми, шуми, послушное ветрило», რომელიც ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის“ ერთი ნაწყვეტის თავისუფალი თარგმანია.. მაგრამ ყველა ეს შეხვედრა საუკუნის სულიერი მღელვარების შეხვედრაა და არა გავლენები.

ჩემი ღრმა რწმენით, „მერანს“ ეხმიანება პუშკინის მიერ „ჩაილდ ჰაროლდიდან“ გადმოკეთებული ლექსი:

Лети корабль, неси меня к пределам дальним

По грозной прихоти обманчивых морей,

Но только не к берегам печальным

Туманной родины моей. (ს. ჩიქოვანი, რჩეული წერილები, 1963, გვ. 162-165.

ს. ჩიქოვანის პარალელი უთუოდ ღირსშესანიშნავია. გ. ასათიანის აზრით, აქვე შეიძლება გაგვეხსენებია ლერმონტოვის ცნობილი სტრიქონებიც „თეთრი იალქნიდან“, რომლებიც თავისი შინაარსით განსაკუთრებით ახლო დგას ბაირონის პოემის ამ ნაწყვეტთან.

აღსანიშნავია, რომ უგზო-უკვლოდ მქროლავი რაშის სახე გვხვდება ბაირონის შემოქმედებაშიც. „ჩაილდ ჰაროლდის“ ავტორის ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის მკვლევართა მიერ მისი პოეზიის უბრწყინვალეს ნიმუშად აღიარებულია ის ადგილი პოემა „მაზეპადან“, სადაც სწორედ ამგვარი სურათია აღწერილი.

შიშველი მაზეპა, მტრების მიერ ველური ცხენის ზურგს გულადმა მიკრული, უგზო-უკვლოდ მიჰქრის თვალუწვედენელ ტრამალზე. მისი გაშმაგებული რაში ქარიშხალივით მიაპობს სივრცეს, შეუპოვრად სძლევს ათასგვარ წინააღმდეგობას და ბოლოს, დაღლილობით ღონემიხდილი, უსულოდ ვარდება მიწაზე.

პ. ინგოროყვამ ყურადღება მიაქცია ნიშანდობლივ თანხვედრას „ვეფხისტყაოსანსა“ და „მერანს“ შორის. ბარათაშვილი, თავგანწირული მხედარი, ამბობს:

„სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,  
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“

ამასვე ამბობს რუსთაველი მომმისათვის თანგანწირული ავთანდილის შესახებ:

„რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა იამებოდის,  
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის!“

დეტალური ლიტერატურული ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ რუსთაველსა და ბარათაშვილს შორის, მიუხედავად მათი პოეტური ბუნებისა და მხატვრული სტილის რადიკალური სხვაობისა, არის საგულისხმო შეხვედრის ხაზები. ბარათაშვილთან იგრძნობა რუსთაველის პოეზიის სტიქია.

მაგრამ, რასაკვირველია, ბარათაშვილის „მერანის“ გმირი თავგანწირული მხედარი მაინც სრულიად სხვაა, ვიდრე რუსთაველის თავგანწირული მხედარი ავთანდილი, ისევე როგორც სხვაა მე-12 საუკუნის საქართველო და ბარათაშვილის ეპოქის „ქართლი“.

„მერანი“ ისეთ პოეტურ ნაწარმოებთა რიგს ეკუთვნის, რომლებშიც შინაარსი, იდეა, ემოციური განწყობილება სრულად და ამომწურავად არის გამოხატული პოეზიის მთელი ფორმალური არსენალის საშუალებით.

ეს არის ერთ-ერთი უბრწყინვალესი გამოვლინება ქართველი ერის პოეტური გენიისა და ამის გამო მას გარდუვალი მხატვრული შემოქმედების ძალა გააჩნია [ასათიანი, 215].

ილია ჭავჭავაძის თქმით: „ბაირონის კენმა ამისათვის ლიუციფერი აირჩია, გოეთეს ფაუსტმა - მეფისტოფელი და ბარათაშვილმა თავისი მერანი, ე.ი. თავისი სულის ქროლვა“.

**ენისათვის:** „მერანის“ ავტორი ხშირად მიმართავს ტავტოლოგიურ და გამაძლიერებელ პოეტურ საშუალებებს, არსებითად მისი ენა აქ საოცრად ლაკონიური და ზუსტია. აქ ნაპოვნია ის

ერთადერთი სიტყვები, ის ერთადერთი საღებავები და მხატვრული შტრიხები, რომლებიც გამოხატავენ ნაწარმოების იდეის შინაგან არსებას.

პოეტური წარმოსახვის საოცარი ლაკონიზმით გვხიბლავს უკვე ამ ლექსის პირველი ორი სტრიქონი, რომელშიც სიმბოლური სურათია დახატული:

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!“

ყოველი საგანი უაღრესი რელიეფურობით არის გამოკვეთილი, შესაბამისად იცვლება ლექსის ბგერადი ფაქტურაც, მისი მუსიკალური ჟღერადობა.

„გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,  
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!“

აქ ერთი და იმავე გვარის მოქმედების გამომხატველი ზმნები, თავისი დაჟინებული, შეგნებულად „მონოტონური“ ინტონაციით, ჩვენს წარმოდგენაში ქმნიან მარადიული, მუდმივი სრბოლის შთაბეჭდილებას.

„მერანის“ არქიტექტონიკა, მისი რთული მეტრული წყობა და სხვადასხვა ზომის სტროფების ერთმანეთთან შეხამების სისტემა ამახელს, რომ ეს ნაწარმოები დიდხანს მწიფდებოდა ბარათაშვილის არსებაში.

პოეტმა ყველაზე დიდი დატვირთვით ზმნები და ნაწილაკები მიიჩნია, მეტყველების ამ ორი ნაწილის საშუალებით ზებუნებრივი ძალა მიანიჭა ბედისადმი დაუმორჩილებლობის, უკეთესისაკენ სწრაფვის იდეას.

ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ ენა დატვირთულია ეპითეტებით, ზედსართავი სახელებითა და ზმნებით დატვირთული ტექსტი საუცხოოდ აღწერს, თუ როგორ ეძებს ბედუინი ვარსკვლავების იმ საოცნებო ქვეყანას, სადაც ჯერ ადამიანი არ ყოფილა, ბედუინის ცხენი შავია, როგორც ჭექა-ქუხილის მაუწყებელი ღრუბელი, შუბლზე კი ვარსკვლავი უბრწყინავს, როგორც დღის სინათლე:

«Конь – огонь; мелькают ноги.

Лес и горы! Прочь с дороги!»

ეს სტროფი მცირედი ცვლილებით მთელ კასიდაში რეფრენად არის ქცეული. ფარისს ხვდება პალმა, კლდეები, ძერა, ღრუბელი, ჩონჩხები, გრიგალი, ურაგანი, მათთან გამარჯვებული, მაგრამ ცისაკენ წასული ფარისი მარადიულს უერთდება და თვითონაც მასში გაქრა. თავგანწირულ ბრძოლაში ჰპოვა ფარისმა პირადი ბედნიერება.

**დავასკვნით :** „მერანის“ ავტორის გენიალობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მან თავისი შავბნელი დროის სიღრმიდან მაინც შეძლო ადამიანის მომავალი გამარჯვებისა და ზეიმის

განჭვრეტა. მან შეძლო გონებისა და რწმენის შეერთება და ბრმა ბედისწერასთან მათ თავგანწირულ, ტიტანურ ჭიდილში დაინახა ადამიანის არსებობის უმაღლესი აზრი და გამართლება .

„მერანი“ ქართული პოეზიის ისეთივე მაღალი მწერვალია, როგორც რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. თუ რუსთველის პოემაში თავისი სრულქმნილი გამოხატულება ჰპოვა კლასიკურმა ეპიკურმა აზროვნებამ, „მერანი“ რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი ლირიკული თვითგამოხატვის უბრწყინვალესი ნიმუშია.

### ლიტერატურა

- გურამ ასათიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გამომცემლობა „ნაკადული“ თბ., 1975, 216 გვ.  
 აკაკი გაწერელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., გამ-ა ხელოვნება, თბ., 1968. 200 გვ.  
 პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გამ-ა ხელოვნება, თბ., 1969, 180 გვ.  
 იონა მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, გამ-ა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1968, 94 გვ.  
 А.Мицкевич, Собрание сочинений, 1913, т. 1, стр. 170 -177.  
 გიორგი ნატროშვილი, შემოთენება მთაწმინდაზე, გამ-ა „განათლება“, თბ., 1968, 114 გვ.  
 Н.Бараташвили, Стихи, «Накадули», Тбилиси, 1980. 34 стр.  
 გიორგი ჯიბლაძე, ბარათაშვილის პოეტური გენია, გამ-ა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1968, 488 გვ.  
<https://www.stihi.ru/2009/01/29/4993>

Manana Mikadze

### Literary allusions and linguistic parallels n. Baratashvili's "Merani" and A. According to Mitskevich "Faris"

#### Abstract

"Nikoloz Baratashvili is the greatest poet and philosopher among Georgian romantics", these words of Professor Giorgi Jibladze best express the genius of Nikoloz Baratashvili, who at the age of 26 completed his unbridled, sad, dream of ascending; The unattainable peaks lost by the physical trauma received in the gymnasium were experienced by a spiritual tragedy experienced in love, but boundless love for Ekaterine Chavchavadze saved her poetry from the dust of eternity. Queen Chavchavadze-Dadiani handed over the

collection of Baratashvili's poems to Ilia Chavchvadze with great care and returned the great poet to Georgian poetry, which, unfortunately, would be forgotten.

Adam Mitskevich's "shield", in our opinion, N. Baratashvili should have read the Russian translation. This circumstance gave rise to the idea that "Merani" was created under the influence of a poem by a Polish poet (Iona Meunargia, Kita Abashidze). This view, in our view, lacks a real basis, primarily because these two works bear a very distant, almost insignificant similarity in their artistic form, as far as ideological kinship is concerned, it is indisputable. The spirit of Mitskevich's poetry was undoubtedly close to Baratashvili.

The genius of the author of "Merani" is reflected in the fact that he was able to foretell the future victory and celebration of man from the depths of his dark time. He was able to unite mind and faith, and in their selfless, titanic wrestling with blind destiny, he saw the highest meaning and justification of human existence.

"Merani" is as high a writer of Georgian poetry as Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin". If classical epic thinking found its perfect expression in Rustaveli's poem, Merani is the most brilliant example of lyrical self-expression characteristic of romantic poetry.

რეცენზენტი: პროფესორი: ლუდმილა დაცევიძი

ლიტერატურა Literature

1924 წლის აჯანყება და მისი რეცეფცია ჭაბუა ამირეჯიბის

„გორა მზორგალში“

ნონა ამბოკაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

namboka@gmail.com

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ხელისუფლება მეთოდურად შეუდგა საქართველოში რეპრესიების გატარებას, რომლებმაც მასობრივი ხასიათი მიიღო ბოლშევიკებისთვის არასასურველ სოციალურ ფენებთან, მათ შორის, ეკლესიის წარმომადგენლებთან<sup>1</sup>, მიმართებით. ქართული საზოგადოება ვერ ეგუებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვასა და კვლავ რუსული ჩექმის ქვეშ მოქცევას; შესაბამისად, გასაბჭოების შემდგომ პერიოდში ბოლშევიკების წინააღმდეგ პერმანენტურად მიმდინარეობდა გამოსვლები. ემიგრაციაში გახიზნული მთავრობაც არ კარგავდა იმედს და საქართველოსთან კავშირს. ცხადია, მას სამშობლოში დაბრუნებისა და ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი ამოძრავებდა.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს საგანგებო კომისიამ დააპატიმრა სამხედრო ცენტრის მეთაურები და ზოგი სხვა ლიდერიც (ნოე ხომერიკი, გოგიტა ფაღავა, გიორგი წინამძღვრიშვილი....) პარიტეტულმა კომიტეტმა აჯანყების დაწყების გადაწყვეტილება მაინც მიიღო და თარიღად განსაზღვრა 1924 წლის 29 აგვისტოს ღამის 2 საათი; თუმცა, ჭიათურელმა აჯანყებულებმა გეგმას გადაუხვიეს და ერთი დღით ადრე დაიწყეს მოქმედება, რამაც აჯანყებულთა გეგმები გაამჟღავნა და მნიშვნელოვნად დააზარალა. დაიწყო მასობრივი

<sup>1</sup> გაუქმდა 1500-ზე მეტი ეკლესია, ბევრი მათგანი, დამცირების მიზნით, გომურებად გადააქციეს; საფლავებიდან ამოყარეს ეროვნული გმირების – წმინდანებად შერაცხული ძმების – დავითისა და კონსტანტინეს ძვლები; დააპატიმრეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია იმის გამო, რომ მან 1922 წელს გენუის კონფერენციას გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ითხოვდა დახმარებას საქართველოსთვის წართმეული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენაში.



დაპატიმრებები, დახვერტები (მაგ., ჭიათურის მაზრის აჯანყებულები - ექვს ვაგონში განთავსებული 96 ადამიანი - არგვეთის რკინიგზის ხიდის სიახლოვეს დახვერტეს).

ბოლშევიკებმა სამაგალითოდ დასაჯეს არა მხოლოდ აჯანყებულები, არამედ მათი ოჯახის წევრები, ახლობლები და სრულიად ნეიტრალური პირებიც კი - ყველანი, ვისაც რაიმე შეხება ჰქონდა აჯანყებულებთან. ამ რეპრესიებს, სხვადასხვა მონაცემებით, თორმეტი ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ცხადია, აჯანყების მარცხს თავისი მიზეზები ჰქონდა, რომელთა შორის მკვლევრები აღნიშნავენ არაორგანიზებულობას, დაქსაქსულობას და სხვ.; თუმცა, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მარცხის ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების განხილვა. ჩვენ გვსურს იმის წარმოჩენა, რომ 1924 წლის აჯანყების ტრაგიკულმა მოვლენებმა ათწლეულების შემდგომაც პოვა გამოძახილი კოლონიურ/პოსტკოლონიურ ქართულ ნარატივში, რადგან ეს იყო გაუგონარი სისასტიკით განხორციელებული რეპრესიები ქართველი ერის წინააღმდეგ.

1924 წლის თემა აქტუალურია ქართულ ნარატოლოგიაში. არაერთი ნაწარმოებია ამ ტრაგიკული თარიღის ინსპირაციის წყარო. ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „გორა მბორგალი“ ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთია.

**საკვანძო სიტყვები:** 1924 წლის აჯანყების ლიტერატურული პასაჟები, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია, რეპრესიები, დამოუკიდებლობის დაკარგვა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა; სერგო ორჯონიკიძემ თბილისიდან სამწუხაროდ ცნობილი ელვა-დეპეშა აფრინა: „მოსკოვი, კრემლი. ლენინს, სტალინს. თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

1922 წლის ოქტომბერში კი უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები: ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვალიკო ჯულელი და სხვ. სამშობლოში დაბრუნებული მთავრობის წევრები ხალხში ავრცელებდნენ ხმას, რომ საფრანგეთი და ინგლისი მზად იყვნენ, დახმარებოდნენ საქართველოს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში; საჭირო იყო ქართველების მხრიდან ინიციატივის გამოჩენა. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ სამწუხაროდ, ნოე ჟორდანიას მთავრობამ ვერ გათვალა საკუთარი ძალები; წამოეგო ბოლშევიკების მიერ დაგებულ მახეს და არაორგანიზებული (და ბოლშევიკებისთვის სტრუქტურულად ცნობილი) აჯანყების დაწყებას ნიშანი მისცა, რასაც კატასტროფული შედეგები მოჰყვა.

ჭაბუა ამირეჯიბი გამოეხმაურა ამ მოვლენას და რომანში „გორა მბორგალი“ ეპიზოდურად გადმოგვცა ამ ტრაგედიის სიმწვავე. მწერლის ოჯახსაც უშუალოდ შეეხო 1924 წლის მოვლენები, რადგან მისი მონაწილე გახლდათ მწერლის ბიძა, შალვა ამირეჯიბი - გასული საუკუნის

დასაწყისის ქართული ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე. ოცდაათი წლის ასაკში იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წ.წ.) ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი იყო. 1924 წელს შალვა ამირეჯიბი ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვერდიგვერდ იბრძოდა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, თუმცა, აჯანყების მარცხის შემდეგ იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. იგი ჯერ გერმანიაში ცხოვრობდა, შემდეგ საფრანგეთში, სადაც საბოლოო განსასვენებელი პოვა 57 წლის ასაკში. სულისშემძვრელია მისი ჩანაწერები, რომლებშიც წინასწარ განჭვრეტს ემიგრანტის მწარე ხვედრს: „ხოფაში გემზედ აგვიყვანეს, მაგრამ ჩვენამდე ოთხასი ხარი და ძროხა ჩასხეს შიგ. ამრიგად, ოთხასი სული საქონელი და ცხრა ემიგრანტი! ვილა ვართ ჩვენ – აჯანყების გამირები თუ ამ ოთხასი ხარის ფილოსოფიური დამატება, რათა ჩვენ თავად და ამ ოთხასი ხარის მაგივრად მხოლოდ ამქვეყნიური ამოების შესახებ ვიფიქროთ?!.“ [ამირეჯიბი, 1930:45 (ელექტრონული ვერსია)].

რომანში გორა იხსენებს, რომ 1924 წლის მოვლენების დროს იგი მხოლოდ ხუთი წლისა იყო, თუმცა ბავშვის გონებაში მკაფიოდ აღიბეჭდა, თუ როგორ შეცვივდნენ შუაღამისას შალვა ამირეჯიბის ძეხნით დაკავებული ჩეკისტები მათ სახლში და მთელი ოჯახი ააწიოკეს. სწორედ აქედან იწყება მწერლის გონებაში მეხსიერების ათვლა და მოგონებების თანამიმდევრულად გადმოცემის შესაძლებლობა. შეიძლება ითქვას, რომ გორას მთელი ოჯახი (რა თქმა უნდა, ბიძის ჩათვლით) მაღალზნეობრიობის მაგალითს წარმოადგენდა. გორას გადმოცემით, ბიძამისმა ბედი ახალგაზრდა მსახიობ ქალს დაუკავშირა, რომლის სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ, ჯერ კიდევ საქართველოში მყოფი შალვა ამირეჯიბი იმალებოდა, რადგან არ სურდა სამშობლოს დატოვება. მისი ახალგაზრდა ცოლ-შვილი ჩეკისტებმა სატყუარად გამოიყენეს და მის ბინაში მორიგეობა დააწესეს. გორას ბიძას რამდენჯერმე ჰქონდა გაქცევის შანსი, მაგრამ ეძნელებოდა საქართველოს დატოვება. ბოლოს, ემიგრაციაში მყოფმა თანამოაზრეებმა გაიწვიეს.

მწერლის თანახმად, განსაკუთრებით ბევრი ადამიანი დახვრიტეს სამეგრელოსა და ზემო იმერეთში, სადაც ყველაზე ძლიერი იყო აჯანყებულთა გამოსვლები. იმის მიუხედავად, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყებას ნაკლებად ჰქონდა მასობრივი ხასიათი, რეპრესიები მაინც შეეხო ქართლ-კახეთის თავადაზნაურობასაც: „...განადგურდა ეროვნულ-პოლიტიკური ოპოზიციის დიდი ნაწილი, განადგურდა ქართველი ოფიცრობა, რომელთა ნაწილი შეთქმულებაში იყო ჩართული ან თანაუგრძნობდა მათ, ხოლო ნაწილი - ყოველგვარი პოლიტიკის მიღმა იდგა. ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე დაიხვრიტა უამრავი ადამიანი“ [ამირეჯიბი, 1995:455]. მწერალი აღწერს, რომ „...წითელრაზმელები კარ-კარ

დადიოდნენ, სიაში შეტანილი ხალხი სახლებიდან გამოჰყავდათ და ხვრეტდნენ: გეგმით ათი ათასი კაცი დაუყოვნებლივ უნდა დახვრეტილიყო. ეს გადაჭარბებით შესრულდა. შემდეგი რეპრესიები შერჩევითი წესით უნდა გაგრძელებულიყო: ვის - ტყვია, ვის - ციმბირი. საყურადღებოა, რომ ზოგან საფლავებიც კი წინასწარ გამზადებული აღმოჩნდა - გრძელი, არც თუ ღრმა თხრილები..“ [ამირეჯიბი, 1995:456].

გორას მოგონებებში ცოცხლდება 1924 წლის აგვისტოში სამეგრელოში მომხდარი შემამრწუნებელი ამბავი: თხრილის პირას დაუყენებიათ და დაუცხრილავთ ასობით უდანაშაულო ადამიანი. სადამსჯელო რაზმის წევრებს მაჯებში გადაუბამთ მსხვილი მავთულით ორ-ორი კაცი; მათ შორის, ორი ძმა ყოფილა ასე გადაბმული. სროლისას ერთ-ერთს გული წასვლია და გონს მხოლოდ თხრილში, მიწადაყრილი მოეგო. დახვრეტილი ძმის გვამი მიწაში ღრმად ყოფილა ჩამარხული და სიკვდილგადარჩენილს ვერანაირად ამოუთხრია. გამწარებულს ისლა მოუფიქრებია, რომ ძმის მკლავი მაჯაში გადაეღრღნა და ისე ამოსულიყო სამმო საფლავიდან... ამ შემამრწუნებელ ფაქტს მწერალი შემდეგნაირად ასრულებს: „შინ დაბრუნებულმა, ვიდრე მამას ძმის მკლავი არ აჩვენა, კარს არ უღებდა: შენ უღირსი საქციელით გადარჩებოდიო“ [ამირეჯიბი, 1995:538].

გორა იხსენებს, რომ პაპა იაგორა ხშირად სტუმრობდა ზემელის ბაღს, რომელსაც სასაფლაოს უწოდებდა. გორას მართლა სასაფლაო ეგონა და პაპამ იქ რომ მიიყვანა, სიცოცხლის ნიშანწყალმოკლებული მოხუცები ნახა, რომლებიც 1924 წლის აჯანყების მონაწილენი იყვნენ და დახვრეტას სასწაულებრივად გადაურჩნენ. ეს „მოჰიკანები“, ძირითადად, რევოლუციის გამო თუ რევოლუციამდე გადატაკებულ ქართულ არისტოკრატიას წარმოადგენდნენ. გორას კითხვაზე, ბაღს სასაფლაო რატომ დაარქვია, პაპამ გაიცინა: „ეგენი შვილო დიდი ხნის მკვდრები არიან. ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, მაშინ დაიხოცნენ და მანდ მარხიანო...“ [ამირეჯიბი, 1995:88]. პაპა იაგორა ამ მოხუცებს ბერწ მროხებსაც ეძახდა და ამასთან დაკავშირებით გორას შემდეგი განმარტება მისცა: „მეცხრამეტე საუკუნეში ყოველი წესიერი ქართველი საქართველოს დამოუკიდებლობით იყო მაკედ. ყველა ბერწი აღმოჩნდა. ვერც ხბო მოვიგეთ, ვერც ბოჩოლა“. [ამირეჯიბი, 1995:89].

ზემოთ ნახსენები ყველა მაგალითი, ნიუანსობრივი სიზუსტეებით, ქართული საზოგადოების ტრავმული მეხსიერების წარმოჩენაა. ჭაბუა ამირეჯიბის აზრით, ქართველი ხალხი 1924 წლის აჯანყებას თავიდან იმედით შესცქეროდა, მაგრამ აჯანყების სასტიკმა მარცხმა, თითქოს, დააძაბუნა და პროტესტის უნარი ჩაუკლა. 1920-იანი წლების სისხლიანი რეპრესიების შემდეგ ქართულ საზოგადოებაში შიშმა დაისადგურა; ტოტალიტარულმა მმართველობამ და სისხლიანმა რეჟიმმა კარგა ხნით წინააღმდეგობის უნარი ჩაახშო ქართველებში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ამირეჯიბი ჭაბუა. გორა მბორგალი; თბ., „ჭაბუა“, 1994, 650 გვ.
2. ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალი. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს თებერვალ-მარტის ომის გმირები. 03.2015. ელექტრონული რესურსი: <https://gmas.ge/>

**Nona Ambokadze**

**The uprising of 1924 and its reception in Chabua Amirejibi's "Gora Mborgal"**

**Abstract**

After the annexation of Georgia by Russia, the authorities began to carry out methodical repressions in Georgia, which took on a mass character in relation to social strata unfavorable to the Bolsheviks, including members of the Church.

Georgian society could not get used to the loss of independence and being under Russian boots again; Consequently, in the post-Soviet period, protests against the Bolsheviks were permanent.

The government, which was emigrating, did not lose hope and ties with Georgia. Clearly, he was driven by a desire to return to his homeland and come to power.

Although the Georgian Special Commission arrested the commanders of the military center and some other leaders (Noe Khomeriki, Gogita Paghava, Giorgi Tsinamdzgvrishvili ...), the Parity Committee still decided to start the uprising and set August 29, 1924 as 2:00 pm;

However, the Chiatura insurgents deviated from the plan and took action a day earlier, which exposed the insurgents' plans and caused significant damage. Mass arrests and shootings began (for example, insurgents in Chiatura district - 96 people in six carriages - were shot near the Argveti railway bridge).

The Bolsheviks, for example, punished not only the insurgents, but also their family members, relatives, and even completely neutral individuals - anyone who had any contact with the insurgents.

However, our purpose is not to discuss objective or subjective reasons for failure. We want to show that the tragic events of the 1924 uprising decades later found an echo in the colonial / postcolonial Georgian narrative, as it was a repression of unheard of brutality against the Georgian nation. The theme of 1924 is relevant in Georgian narratology. Numerous works are the source of inspiration for this tragic date. Chabua Amirejibi's novel "Gora Mborgali" is one of the works created on this topic.

რეცენზენტი: პროფესორი ს. ნიკოლეიშვილი

## პარადოქსი, როგორც მხატვრული ხერხი, ჯონ დონის ლექსთა ციკლში *La Corona*

ლილიანა გოგიჩაიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: lilianngogichaishvili@gmail.com

მეტაფიზიკური სკოლის მთავარი წარმომადგენლის, ჯონ დონის, საღვთო ლექსები, (*Divine Poems*) წმინდა სონეტების (*Holy Sonnets*) მგავსად, 1609-1617 წლებს შორის დაიწერა. ამ დროს კრიტიკოსები ხშირად პოეტის ცხოვრების ყველაზე ბოზოქარ და ამაღელვებელ წლებად მიიჩნევენ. ჯონ დონის ანა მურთან ქორწინებიდან მოყოლებული, მისი უკანასკნელი რელიგიური ლექსის შექმნამდე, ავტორის ყოფითმა და ეგზისტენციალურმა სირთულეებმა პიკს მიაღწიეს. მუდმივი პრობლემები მეუღლის ოჯახთან, სოციალური მდგომარეობისა და ქონების დაკარგვა, პერიოდული ავადმყოფობა და მზარდი დეპრესია, კითხვისნიშნები საკუთარ პიროვნებასთან, დიდი სულიერი კრიზისი- ყველაფერი ერთად ქმნიდა რაღაც დიდის შექმნის საფუძველს ჯონ დონის შემოქმედებაში.

კათოლიკურ ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა ავტორმა, რომლისთვისაც კათოლიციზმს ბევრი ვერაფერი სიკეთე მოეტანა, (რი წლისას ბიძა მღვდლობის გამო ჩამოუხრჩეს, ოთხი წლისას უმცროსი ძმა ჰენრი, რომელიც სასჯელს მღვდლის მფარველობის გამო იხდიდა, ციხეში გარდაეცვალა, თავად მან კი, კემბრიჯისა და ოქსფორდის გამორჩეულმა სტუდენტმა, აღმსარებლობის გამო ხარისხი ვერ მიიღო.) საღვთო ლექსების შექმნის პერიოდამდე რამოდენიმე წლით ადრე, აღმსარებლობა შეიცვალა, კათოლიციზმს ზურგია აქცია და ინგლისის ეკლესიის მიმდევარი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიურად დონის სარწმუნოების შეცვლისა და სონეტების დაწერის პერიოდი ერთმანეთს არ ემთხვევა, მოქცევა წინ უსწრებს საღვთო სონეტების შექმნას, თითოეული სონეტის კითხვისას იგრძნობა ის სულიერი კრიზისი და მელანქოლია, რაც დონის აღმსარებლობის ცვლილებას ახლდა თან.

თავად ტერმინი „მეტაფიზიკური“ მეტყველებს იმაზე, რომ ჯონ დონის პოეზია სხვა პოეტური მიმდინარეობებისგან განსხვავებით, ფიზიკური სამყაროს მიღმა არსებულ რეალობას ასახავს. ამის მისაღწევად ავტორი იყენებს ისეთ მხატვრულ ხერხებს, როგორცაა აზრის ემოციური ეკვივალენტი- აზრისა და ემოციის აღრევა; მეტაფიზიკური მახვილგონიერება, იგივე კონსიტი- რთული, გავრცობილი მეტაფორა; პარადოქსებით აზროვნება- ურთიერთსაწინააღმდეგოთა ძალდატანებითი კავშირი და სხვა. გასაკვირი არაა, რომ მეტაფიზიკურ სიღრმეებთან მუდმივად ჭიდილში მყოფი ავტორის დაძაბულობა, სკეპსისი და სათუთი, მგრძნობიარე ბუნება მის ლირიკულ ნაწარმოებებშიც მძაფრად იჩენს თავს; ეს განსაკუთრებით მის რელიგიურ პოეზიას ეხება. ჯონ დონის „საღვთო ლექსები“ ზუსტად გამოხატავენ პოეტის შინაგან უძლიურებას, მუდმივი დანაშაულის განცდას და იმედის უპოვნელობის შიშს. მის საღვთო პოეზიაში, განსხვავებით სატრფიალო ლირიკისა, აღარ ისმის საკუთარ თავში დარწმუნებული, მომთხოვნი, თამამი ავტორის ხმა; სანაცვლოდ იმ გაორებული, დაბნეული სულის ღმერთისადმი ქებასა და ვედრებას ვისმენთ, ვინც საკუთარ რწმენაშიც არაა ბოლომდე დარწმუნებული.

*La Corona* ჯონ დონის რელიგიური ლექსებიდან ერთ-ერთი უმთავრესი სონეტების ციკლია. მისი წაკითხვის შემდეგ გვიჩნდება განცდა, რომ ღვთის სადიდებელი შვიდი სონეტით ავტორი საკუთარი თავისა და მკითხველის სხვადასხვა ჭეშმარიტებაში დარწმუნებას ცდილობს. სონეტების ციკლი რამდენიმე, ძირითადად, ბიბლიურ პასაჟზე დაყრდნობითაა აგებული და ქრისტეს ცხოვრების გარდამტეხ ეპიზოდებს აცოცხლებს. ავტორი, ნაბიჯ-ნაბიჯ, მიჰყვება ქრისტეს გზას ხარებიდან ამაღლებამდე და უსასრულოდ იმეორებს სიბნელიდან სინათლისკენ მავალი ადამიანის მითოლოგიას.

**საკვანძო სიტყვები:** ჯონ დონი, მეტაფიზიკური სკოლა, პარადოქსი, როგორც მხატვრული ხერხი

განსხვავებით პროზაული ნაწარმოებისგან, პოეზიის კითხვისას არ გვაქვს იმის მოლოდინი, რომ ლექსის შინაარსს გავიგებთ ან სიუჟეტის განვითარების მომსწრენი გავხდებით. არ გაგვიჩნდება კითხვა „ბოლოს როგორ დამთავრდა?“ „რა ბედი ეწია მთავარ პერსონაჟს?“ და ასე შემდეგ. პოეზიის მთავარი ხიბლი არა შინაარსში, არამედ მის ფორმასა და მხატვრულ სახეებში უნდა ვეძებოთ. რა საკვირველია, პროზაც და პოეზიაც სხვადასხვა ხარისხისა და გაქანების შეიძლება იყოს და, შესაბამისად, ასეთი მსჯელობა, შესაძლოა, არასაკმარისი აღმოჩნდეს; თუმცა, როდესაც საუბარი მეტაფიზიკურ პოეზიაზე, კერძოდ, ჯონ დონის შემოქმედებასა და უფრო კონკრეტულად მის რელიგიურ პოეზიაზე, მკითხველის მოლოდინიც უდაოდ დიდია. ლექსების

ციკლ *La Corona*-ს (მზის გვირგვინი) მსგავსად, ჩემი მსჯელობაც პარადოქსული გამოდგა, ვინაიდან ჯონ დონის ამ შვიდ რელიგიურ ლექსში ნამდვილად იკითხება შინაარსი და გვეძლევა კონკრეტული ფაქტობრივი ინფორმაცია, თუმცა, ამ შემთხვევაში, ავტორი არა კონკრეტულ ბიბლიურ პასაჟებზე დაყრდნობით აგებს თავის პოეტურ ნაწარმოებს, არამედ ამ მოცემულობას, ფაქტებს ბიბლიიდან, საკუთარი ხატოვანი აზროვნების გასაფორმებლად იყენებს.

*La Corona* -ს თითოეული სონეტი ქრისტეს ცხოვრების ერთ კონკრეტულ ეპიზოდს ასახავს. ყოველი ლექსის ფინალური სტრიქონი შემდგომი ლექსის შესავალია; ეს განმეორებითობა კი, საბოლოო ჯამში, ერთიანი წრის, გვირგვინის სახეს იღებს. ლექსის პირველი პარადოქსი სწორედ გვირგვინის სიმბოლიკაში იკითხება. ის, ერთის მხრივ, ქრისტეს სადიდებელი გვირგვინი, მეორეს მხრივ კი მისივე სისხლით შეღებილი ეკლებიანი “წრის” გამომხატველი სიმბოლოა. ამდენად, სათაურიდან ირკვევა, რომ თითოეული ლექსი, ავტორის ქრისტესადმი ლოცვისა და ხოტბის (prayer and praise) გარდა, იესოს სიხარულითა და ტანჯვით სავსე, განვლილი გზის შესახებ შეგვახსენებს. ლექსის სათაურსა და ქრისტეს „ეკალჩაწულ“ გვირგვინს შორის არსებული კავშირის რეალურობას ლექსების ციკლის სტრუქტურის გარდა, პირველი სონეტის შესავალიც მოწმობს, სადაც ავტორი ქრისტეს შემდეგნაირად მიმართავს:

*Deign at my hands this crown of prayer and praise,*

*Weaved in my lone devout melancholy* [Carey, 1996:197]

(*ჩემი ხელიდან შენზე სალოცავად და შენს სადიდებლად მიიღე ჩემს მარტოსულ, თავგანწირულ მელანქოლიაშია ჩაწული ეს გვირგვინი.*<sup>1</sup>)

ლექსის პირველივე ტაქში ნახსენები სიტყვა *weaved* (ჩაწული), მკითხველში, გოლგოთას გზაზე შემდგარი ეკლისგვირგვინიანი ქრისტეს ასოციაციას აღძრავს, თუმცა მოცემულ ეპიზოდში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ დონი „ჩაწულს“ არა ქრისტეს, არამედ საკუთარ თავთან მიმართებით იყენებს. ავტორის მთავარი მოტივი სულიერი ხსნის მოპოვებაა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ლექსის ქმნის პროცესით ის, გარკვეულწილად, იმეორებს ქრისტეს გზას დაბადებიდან ამაღლებამდე (ლექსის შინაარსიც ამას მოწმობს) და, ამდენად მის მიერ განვლილი გზის გამზიარებელი, თანამონაწილე ხდება.

როგორც უკვე აღვნიშნე, *La Corona* შვიდი ნაწილისგან შემდგარი ლექსების ციკლია. როგორც დიდი ავტორების შემთხვევაში ხდება ხოლმე, შვიდი არაა შემთხვევით არჩეული ციფრი და მას სიმბოლოური დატვირთვა ენიჭება. პირველი რაც ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გაგვახსენდეს, ღმერთის მიერ შვიდ დღეში შექმნილი სამყაროა. გარდა ამისა, „შვიდი არის

<sup>1</sup> ეს და ყველა შემდგომი თარგმანი ეკუთვნის ავტორს. ლ. გოგიჩაიშვილს

მოწყალების, მწყალებლობის, სულიწმიდის აღმნიშვნელი სიმბოლური ციფრი. ის აგრეთვე სრულყოფილების აღმნიშვნელი სიმბოლოა. არსებობს შვიდი საეკლესიო საიდუმლო, სულიწმიდის შვიდი ნიჭი, შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა, შვიდი სიხარული და ღვთისმშობლის შვიდი მწყობრება.“ (*Seven is the symbolic number of charity, grace, and the Holy Spirit. It is the term that stands for perfection. There are seven sacraments, seven gifts of the Holy Spirit, seven deadly sins, seven joys, and seven sorrows of Our Lady.*)<sup>1</sup> გარდა რელიგიური სიმბოლოკისა, სონეტების შვიდ ნაწილად დაყოფა ერთი ცენტრალური სონეტის გამოყოფის საშუალებასაც იძლევა. ამ შემთხვევაში ცენტრალურ ფუნქციას, მეოთხე ლექსი „ტაძარი“ (*Temple*) კისრულობს. მეოთხე სონეტის შინაარსი სიმბოლურ თანხვედრაშია მის ნუმერაციასთან. „ტაძარში“ მოთხრობილია თორმეტი წლის ქრისტეს „ღვთის სახლში“ სტუმრობის პასაჟზე. ოთხი სახარებიდან ამ ეპიზოდს მხოლოდ ლუკას სახარება ეხმიანება: 42. და როცა თორმეტი წლისა გახდა, ავიდნენ იერუსალიმში ჩვეულებისამებრ, სადღესასწაულოდ. 43. ხოლო დღესასწაულის დამთავრების შემდეგ, უკან რომ დაბრუნდნენ, ყრმა იესო დარჩა იერუსალიმში, და არ იცოდნენ იოსებმა და მისმა დედამ. 44. ეგონათ, რომ მგზავრთა შორის იყო და ერთი დღის გზა რომ გაიარეს, დაუწყეს ძებნა ნათესავებსა და ნაცნობებს შორის. 45. რომ ვერ იპოვეს იგი, დაბრუნდნენ იერუსალიმში და ეძებდნენ მას. 46. სამი დღის შემდეგ იპოვეს ტაძარში მჯდომი მოძღვართა შორის, უსმენდა და ეკითხებოდა მათ. 47. და გაცეხული იყო ყველა მისი მსმენელი მისი გონებითა და პასუხებით... 52. ხოლო იესოს ემატებოდა სიბრძნე და ტანი, და მაღლი ღვთისა და ადამიანთა წინაშე.<sup>2</sup>

სონეტების ციკლიდან პირველი, შესავალი, სახობო ლექსია, მეორე და მესამე ხარებასა და ქრისტეს დაბადებას შეეხება, ბოლო სამი სონეტი ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ წლებზე მოგვითხრობენ. ერთადერთი ლექსი, სადაც ქრისტეს სიყრმის წლებზეა საუბარი „ტაძარია“. თემატიკის მიხედვით თუ ვისმჯელებთ, დანარჩენი ექვსი სონეტის ფონზე, მოცემული ლექსი თითქოს კონტექსტიდანაა ამოვარდნილი; მის ნაცვლად ავტორს თავისუფლად შეეძლო ნებისმიერი სხვა ბიბლიური პასაჟი გამოეყენებინა, თუმცა ის ასე არ მოიქცა, რადგან როგორც ლექსის სტრუქტურის, ისე შინაარსის თვალსაზრისით, სწორედ ეს ბიბლიური ეპიზოდი ავსებს და ასრულებს სონეტების მოცემულ ციკლს. აქ იკვეთება გარდამტეხი ფაზა, ქრისტეს ადამიანურ და ღვთაებრივ ბუნებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ჯეროვნად მომწიფებულად კი არაა, ქრისტე აქედან მოყოლებული იწყებს თავისი ღვთაებრივი მოვალეობის შესრულებას.

<sup>1</sup> <https://www.catholicculture.org/culture/library/dictionary/index.cfm?id=35179>

<sup>2</sup> <http://www.orthodoxy.ge/tserili/kiknadze/luka.htm>



*His Godhead was not soul to His manhood*

*Nor had time mellow'd Him to this ripeness* [Carey, 1996:198]

მოცემული ბიბლიური პასაჟი დონისთვის რომ შემთხვევითი და რიგითი ეპიზოდი არ ყოფილა, ამას მისი ერთერთი ქადაგებაც მოწმობს: “*let us ask his miracles, and they will make us understand Christ; In his miraculous birth of a virgin, in his miraculous disputatuin with doctors at twelve years of age... Christ spoke, in himself, in the language of miracles...*”<sup>1</sup> სასწაულების ენით მოლაპარაკე ქრისტემ მისი მქადაგებლური მოღვაწეობა „ტაძრის“ ეპიზოდიდან დაიწყო; აქედან იწყებს ის მამა ღმერთის მიერ დაკისრებული მოვალეობის განხორციელებას და იმ სასწაულების ქმნას, რაც „ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება“.

*With the sun to begin His business,*

*He in His age's morning thus began,*

*By miracles exceeding power of man* [Carey, 1996:198]

დონის მოცემული სონეტების ანალიზისას ჩვენს ყურადღებას იპყრობს მათში „გაბნეული“ სამების სიმბოლიკაც. ლექსში *La Corona* ავტორი მამა ღმერთს მიმართავს: *Thou which of good hast, yea, art treasury, All changing unchanged Ancient of days* [Carey, 1996:197]

თუმცა, იქვე ეკლიანი გვირგვინის ხსენებით *But what Thy thorny crown gain'd* [Carey, 1996:197] ჩვენში ქრისტეს ასოციაციას იწვევს და ამდენად შესაძლოა, ირიბად, სამების ერთარსებობაზე მიუთითებდეს. ამ აზრს ადასტურებს ისიც, რომ შემდეგი ხუთი სონეტი მთლიანად ძე ღმერთის მიმართაა თქმული, ბოლოს კი, მეშვიდე სონეტში სულიწმიდას სახეა გაცოცხლებული. *And if Thy Holy Spirit my Muse did raise,*

*Deign at my hands this crown of prayer and praise.* [Carey, 1996:199]

სამების ერთსახოვნებას სონეტების სტრუქტურაც მოწმობს, სადაც უკანასკნელი სონეტის ფინალი პირველის დასაწყისს ემთხვევა. ამდენად არა მხოლოდ ლექსის სტრუქტურას ენიჭება წრის ფორმა, არა მხოლოდ მისი არსი გამოხატავს იდეალურ წრეს, არამედ ფინალისა და დასაწყისის იგივეობა სამების „გაერთიანების“ საშუალებასაც იძლევა: დასაწყისი- მამა ღმერთი, ძირითადი ნაწილი- ძე ღმერთი- ფინალი- სულიწმიდა და ასე უსასრულოდ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლოკა, რომელსაც ლექსი ეყრდნობა ნათლისა და ბნელის ურთიერთშეპირისპირებაა. სონეტში „გამოცხადება“ ავტორი ღვთისმშობელს შემდეგი პარადოქსით მიმართავს: *Thou hast light in dark.* [Carey, 1996:197] (შენს სიბნელეში სინათლეა) დონის ეს განაცხადი ღვთისმშობლის საშვილოსნოში „გამომწყვდეული“ ქრისტეს შესახებ,

<sup>1</sup> Alford, Henry WORKS OF JOHN DONNE, D.D WITH A MEMOIR OF HIS LIFE. Vol II. London pp168

მოგვაგონებს მუდმივად მბრუნავ ბორბალს, რომლის ცენტრში ოდითგანვე უძრავი წერტილი ანუ ღმერთია; სინათლე სიბნელეში, უძრაობა მოძრაობაში- ორივე მათგანს საერთო იდეა-ღვთაებრივი ძალა აერთიანებს. თავად ეს დუალიზმი და ურთიერთსაპირისპირისპიროთა ერთსახოვნება კი, ზოგადად ბაროკოს ესთეტიკის „დისონანსურ“ ბუნებაზე მიუთითებს.

სინათლის სიმბოლიკას სონეტიდან სონეტამდე უფროდაუფრო მეტი დატვირთვა ენიჭება. „დაბადებაში“ ქრისტეს შობისას უკუნ სიბნელეში სინათლის ერთადერთი წყარო მანათობელი ვარსკვლავებია; „ტამარში“ მოუმწიფებელი ქრისტე ადრეულ მზესთანაა შედარებული:

*With the sun to begin His business,*

*He in His age's morning thus began,*

*By miracles exceeding power of man* [Carey, 1996:198]

ფინალურ სონეტში ანალოგიური მეტაფორა ყოვლისმომცველ ხასიათს იძენს. ავტორი აქ ქრისტეს პირდაპირ მზედ მოიხსენიებს *Salute the last and everlasting day, Joy at th' uprising of this Sun, and Son,* [Carey, 1996:199] და ამ კალამბურს აგვირგვინებს ძე ღმერთის კამკაშა ჩირაღდანთან გაიგივებით *Bright Torch, which shinest, that I the way may see !* [Carey, 1996:197]

ჯონ დონის შემოქმედების ანალიზისას, იქნება ეს სატირა, სატრფიალო ლირიკა თუ რელიგიური პოეზია, ჟანრობრივ დაყოფას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ერთი საერთო მახასიათებელი იკვეთება- დონთან პარადოქსს ყველგან ვხვდებით. *La Corona* ამ მხატვრული ხერხის ოსტატურად გამოყენების ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითია. თითქმის ყოველ სონეტში შეგვიძლია მიმოვანტული პარადოქსების „დაჭერა“, *changing unchanged; The first last end;* [Carey, 1996:197] თუმცა „ხარება“ შეიძლება ითქვას, მთლიანად სონეტი პარადოქსია.

*Salvation to...*

*Which cannot sin, and yet all sins must bear,*

*Which cannot die, yet cannot choose but die,...*

... *Can take no sin, nor thou give, yet He'll wear...* [Carey, 1996:197] და ასე შემდეგ. თუმცა დონის, როგორც რელიგიური სონეტებისა და ქადაგებების ავტორის, მოგვიანებით კი თავად სამღვდელო პირის პარადოქსით, როგორც მხატვრული ხერხით, დაინტერესება, გასაკვირი არაა, ვინაიდან ფაქტობრივად, ყველა განვითარებული რელიგია მორწმუნეებს „პარადოქსების ენით“ ელაპარაკება. პარადოქსზეა დაფუძნებული ქრისტიანული თეოლოგიაც. სამების ცნება ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, რადგან ერთის სამობა და სამის ერთობა ადამიანური ლოგიკისთვის წარმოუდგენელი ფენომენია. ქრისტე „სიკვდილისა სიკვდილით დამთრგუნველი“, წყლის ღვინოდ მქცეველი და, რაც ყველაზე მთავარია, ქალწულისგან უმანკოდ

ჩასახული ღმერთ-კაცია. ამ უკანასკნელ პასაჟს დონის „ხარებაშიც“ ვხვდებით, სადაც ავტორი ღვთისმშობელს მოიხსენიებს, როგორც მისი შემქმნელის შემქმნელს, მისი შვილის დას და მამის დედას:

*Ere by the spheres time was created, thou  
Wast in his mind, who is thy Son, and Brother,  
Whom thou conceiv'st, conceiv'd; yea thou art now  
Thy maker's maker, and thy Father's mother.* [Carey, 1996:197]

(სფეროთა მიერ დროის შექმნამდე იყავი მის გონებაში, ვინც ვაჟიცაა შენი და ძმაც,

ვინც ჩაგესახა, თავად იყო ჩამსახველი და ახლა შენ ხარ შენივე შემქმნელის შემქმნელი და შენი მამის დედა.) დონი არ ყოფილა ქრისტიანობის პარადოქსული ბუნებით დაინტერესებული პირველი ავტორი. ქრისტეს შობის პასაჟზე დაყრდნობით საუკუნეების განმავლობაში არაერთი მხატვრული ნაწარმოები შექმნილა. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ლექსის ავტორი მერვე საუკუნეში მოღვაწე კელტი პოეტი კუ ჩუიმნია. (Cu Chuimne) მის ლექსში ღვთისმშობლის შესახებ ვკითხულობთ: "*Mary, wondrous mother, bore her own father, through whom the whole world, washed in water, believed.*"<sup>1</sup>(მარიამმა, სასწაულებრივმა დედამ, შობა საკუთარი მამა, რომლისაც მთელ წყალში განბანილ მსოფლიოს სწამდა.)

კუ ჩუიმნის მოღვაწეობიდან ხუთი საუკუნის შემდეგ ანალოგიურ პარადოქსს მიმართავს იტალიელი დანტე ალიგიერი, რომელიც თავის „ღვთაებრივ კომედიაში“ ღვთისმშობელს თავისი ვაჟის ასულად მოიხსენიებს. "*Vergine madre, figlia del tuo figlio*"(ქალწულო დედავ, შენი ვაჟის ასულო.)(„სამოთხე“, ქება XXXIII). XX საუკუნეში დანტეს ამ პარადოქსს უცვლელად იყენებს ელიოტი თავის „ოთხ კვარტეტში“:(*Four Quartets*)<sup>2</sup>

*Repeat a prayer also on behalf of  
Women who have seen their sons or husbands  
Setting forth, and not returning:  
Figlia del tuo figlio,  
Queen of Heaven.*

(იმ ქალებისთვისაც ილოცე, რომელთაც შვილები გაუშვეს და უკან აღარ დაბრუნებიათ: ქალწულო დედავ, შენი ვაჟის ასულო.)

<sup>1</sup> [https://www.telegraph.co.uk/comment/columnists/christopherhowse/3560986/John-Donne-on-a-chill-island.html?fbclid=IwAR2Vie\\_q54Qxn0qy2nzx6o2c6CiwjiWsPkCqnO7DYc7c8r0RYM6gljQvW0w](https://www.telegraph.co.uk/comment/columnists/christopherhowse/3560986/John-Donne-on-a-chill-island.html?fbclid=IwAR2Vie_q54Qxn0qy2nzx6o2c6CiwjiWsPkCqnO7DYc7c8r0RYM6gljQvW0w)

<sup>2</sup> <http://www.paikassociates.com/pdf/fourquartets.pdf>

დონის თანამედროვე პოეტი და სასულიერო პირი რობერტ საუთველი თავის ცნობილ ლექსში *The Burning Babe*<sup>1</sup> ქრისტეს მოიხსენიებს მამად, რომელიც თავის ქალიშვილის ვაჟია.

*Beholde, the father is his daughter's sonne:*

*The bird that built the nest is hatched therein:*

*The olde of yeares an houre hath not outrunne:*

*Eternall life to live doth now beginne.*

(ხედავ? მამა თავისი ქალიშვილის ვაჟია:ჩიტი თავისსავე მოწყობილ ბუდეში გამოიჩეკა:წლების სიძველეს საათი ვერ გადაწონის:მარადიული სიცოცხლე ახლა იწყება.)

განხილული ლექსების ავტორების უმეტესობა არა მხოლოდ მწერალი, არამედ სასულიერო პირიცაა. მაგალითად, დონისა და ელიოტის შემთხვევაში ქრისტიანული პარადოქსებისადმი ინტერესი მათივე სულიერი კრიზისით იყო გამოწვეული. მუდმივი დაეჭვება, რელიგიური მიმდინარეობების შეცვლა, სასულიერო მოღვაწეობა-- ეს ყველაფერი საბოლოოდ უმაღლესი დონის რელიგიური პოეზიის შექმნის მყარ ნიადაგს ქმნიდა.

როგორც განხილულ მაგალითებში ვნახეთ, სხვადასხვა ეპოქის ავტორები, საკუთარი მხატვრული აზროვნების გასაფორმებლად, ხშირად მიმართავენ ხოლმე ერთიანი დამკვიდრებელი რელიგიური პარადოქსებს; ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ისინი, ერთმანეთისგან ურთიერთდამოუკიდებლად, ლიტერატურას მეტაფორულად რელიგიასთან აიგივებენ. ვფიქრობ, ამ მოსაზრებას ჯონ დონის მოცემული სონეტების ციკლიც ადასტურებს. *La Corona*-ს შემთხვევაში რელიგიის, პოეზიისა და პოეტის ბედი საერთოა- მუდმივი სვლა სიბნელიდან სინათლისკენ, ხარებიდან ამაღლებისკენ, უიმედობიდან სულიერი ხსნისკენ; თუცა ეს უკანასკნელი „*the salvation*“, რისკენაც ასე მიილტვოდა ავტორი, დასასრული არაა. ლექსის სტრუქტურა არ გვამღევეს ასე ფიქრის ფუფუნებას. სონეტის ბოლო სტრიქონი მკითხველს კვლავ პირველისკენ უბიძგებს და აიძულებს ისევ და ისევ, უსასრულოდ, ავტორთან ერთად, იყოს ქრისტეს გზის გამზიარებელი; თუმცა, ხსნა ამ შემთხვევაში ისაა, რომ როგორც დონს, ისე მკითხველს, სინათლე (*light in dark*) უკვე ნანახი აქვს და უკან, სიბნელეში, დაბრუნების აღარ ეშინია.

#### ლიტერატურა:

1. ალიგიერი დ. ღვთაებრივი კომედია, თბილისი, “პალიტრა L” 2012
2. კობახიძე თ. ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა, თბილისი, „უნივერსალი“ 2015

<sup>1</sup> <https://www.poetryfoundation.org/poems/45183/the-burning-babe>

3. A. B. Chambers. The Meaning of the "Temple" in Donne's "La Corona" *The Journal of English and Germanic Philology* Vol. 59, No. 2 (Apr., 1960), pp. 212-217 (6 pages)
4. Alfrod, Henry WORKS OF JOHN DONNE, D.D WITH A MEMOIR OF HIS LIFE. Vol II. London pp168
5. Carey John. John Donne Selected Poetry. Oxford University Press 1996 pp197-199
6. JOHN NANIA and P.J. KLEMP. John Donne's "La Corona": A Second Structure. *Renaissance and Reformation / Renaissance et Réforme*, New Series / Nouvelle Série, Vol. 2, No. 1 (1978), pp. 49-54 (6 pages)  
Published by: University of Illinois Press
7. Karen R. Knudson. John Donne ' s sacred aesthetics and protestant eschatology in La Corona. University of Richmond May, 1991

### ინტერნეტ წყაროები

Eliot T.S. Four Quartets

<http://www.paikassociates.com/pdf/fourquartets.pdf>

Howse Christoher. John Donne on a Chill Island. July, 2008

[https://www.telegraph.co.uk/comment/columnists/christopherhowse/3560986/John-Donne-on-a-chill-island.html?fbclid=IwAR2Vie\\_q54Qxn0qy2nzx6o2c6CiwjiWsPkCqnO7DYc7c8r0RYM6gljQyW0w](https://www.telegraph.co.uk/comment/columnists/christopherhowse/3560986/John-Donne-on-a-chill-island.html?fbclid=IwAR2Vie_q54Qxn0qy2nzx6o2c6CiwjiWsPkCqnO7DYc7c8r0RYM6gljQyW0w)

Southwell Robert. The Burning Babe

<https://www.poetryfoundation.org/poems/45183/the-burning-babe>

ლუკას სახარება

<http://www.orthodoxy.ge/tserili/kiknadze/luka.htm>

**Liliana Gogichaishvili**

### **Paradox, as a Poetic Device, in John Donne's Sonnet Cycle *La Corona***

#### **Abstract**

The Divine Poems, just like The Holy Sonnets, of the leading representator of the metaphysical school, John Donne, were published between 1609-1617. This time is often perceived, by literary critics, as one of the roughest and the hardest period of the poet's life. Since Donne's marriage with Anne Moore, till the time he had created his last religious verse, the author's every day and existential problems were on its peak. Constant difficulties with his wife's family, losing of property and social condition, periodic illness and increasing depression, self-doubt and spiritual crisis- taken together, everything was paving the way for creating something great in John Donne's works.

The author, who had been born and raised in a catholic family and who found nothing useful in Catholicism, (at the age of two, his uncle was hung because of being a priest; his younger brother Henry, who was paying the penalty for protecting a priest, died in a prison when Donne was four; and the author himself, the distinguished student of Cambridge and Oxford, could not get a degree because of his faith.) had changed his faith some years before writing Divine Poems; had turned his back on Catholicism and had become the follower of the church of England. Despite the fact that Donne had converted some time before writing religious verses, each and every Divine Sonnet shows this spiritual crisis and melancholy that had followed his conversion.

The term “metaphysical” itself indicates that John Donne’s poetry, as opposed to other poetic movements, reflects the reality beyond the physical world. To achieve this effect, the author uses the following poetic devices: the “passionate thinking”- a fusion of thinking and feeling; metaphysical wit, also known as Conceit- a complicated, extended metaphor; thinking by paradoxes- a forced connection of two dissimilar things etc.

It is not a surprise, that the intensity, skepticism, and the tender, sensible nature of the poet, constantly dealing with the metaphysical depths, is clearly conveyed in his lyrical works as well. This is especially true for his religious verses. John Donne’s Divine Poems thoroughly express the poet’s inner weakness, constant feeling of guilt and the fear of not finding a hope. In his religious verses, as opposed to his love poetry, Donne does not speak as a confident communicant with God, but as a troubled soul who is none too sure of him.

*La Corona* is one of the most important Sonnet cycles among John Donne’s religious poems. After reading it, one has a feeling, that, by these seven poems, the author tries to persuade himself, as well as a reader, to believe in different truths. The sonnet cycle is composed on the ground of several Biblical passages and it tells us about some turning episodes of Christ’s life. Step by step, the author follows Christ’s path from annunciation to ascension and thus endlessly repeats the mythologem of a man going from darkness to light.

რეცენზენტი: პროფესორი დ. ბახტაძე

## სარფი და სასაზღვრო მოტივი XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში

ნინო თურმანიძე, შოთა როდინაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nini-turmanidze@mail.ru  
shota.rodinadze@bsu.edu.ge

*ნაშრომში განხილულია XX საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური პროცესები, რომელმაც განსაზღვრა თემის ლიტერატურული ინტერპრეტაციის თავისებურებანი.*

*ნაშრომის მიზანია სახელმწიფო საზღვართ გაყოფილი ერთერთი ქართული სოფლისადმი მიძღვნილი ლიტერატურული პროდუქციის ანალიზი. სარფი საქართველოს სხეულიდან საუკუნეთა განმავლობაში ჩამოჭრილი ნაწილის, ხელოვნურად დადებული საზღვრის სიმბოლოა. ეს თემა ქართული მწერლობისთვის მეტად არსებითია და, შესაბამისად, წლების განმავლობაში მრავალი საინტერესო ნაწარმოებიც შეიქმნა.*

**საკვანძო სიტყვები:** სარფი- საქართველოს სასაზღვრო სოფელი

მხატვრული ლიტერატურა ეპოქის კვალს მრავალი კომპონენტით აღბეჭდავს, ხოლო როცა საქმე ეხება ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ კარგავენ აქტუალობას (ჩვენს შემთხვევაში საქართველო-თურქეთის სასაზღვრო სოფლებს) - ეს კონკრეტული ტექსტები, სახეები და მოტივები ზეგავლენას ახდენს მრავალი თაობის ლიტერატურულ პროდუქციაზე მაშინაც, როცა პრობლემის მიმართ დამოკიდებულება ამა თუ იმ თაობაში იდენტურია და მაშინაც, როცა პრობლემების მიმართ თაობათა დამოკიდებულება ანტაგონისტურია.

საზღვრისპირა სოფელთან დაკავშირებული ძველი თემები და მოტივები XX საუკუნის მეორე ნახევარშიც დარჩა ქართულ მწერლობაში, მაგრამ გაჩნდა ახალიც - რაც ახალმა რეალობამ მოიტანა. წმინდა ლირიკული სტრიქონები წინათაც იწერებოდა, მაგრამ თანამედროვე პოეზიაში უფრო გახშირდა პოლიტიკური კონტექსტისგან დისტანცირება.

გიორგი სალუქვაძის სტრიქონები, მაგალითად, სარფის მარინისტულ პეიზაჟებს ემყარება უპირველესად და შესაბამის განწყობასაც ქმნის, მაგრამ შთაგონების წყარო მაინც პატრიოტული სულისკვეთებაა, რომელიც პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარეობს:

„ზღვა აქ არ არის თითქოს ღელველი,  
ზღვა სარფთან თითქოს დინჯია განგებ  
და არის წმინდა ლაზის ცრემლივით,  
სამშობლოს გარეთ რომ გადაკარგეს“ [სალუქვაძე, 1982:13].

თუ წინათ თემატური რკალები და შესაბამისად, პოეტური ხატები გამოისახებოდა ისეთი სურათებით, როგორცაა ზღვა, ავტომატიანი ჯარისკაცი, საკოლმეურნეო შრომა, გაყოფილი სოფელი, - ახლა, გამომდინარე არსებული რეალობიდან, პოეტური ხატები შეიძლება სხვაგვარადაც დაჯგუფდეს: ზღვა, პლაჟი, სასტუმრო, საბაჟო და სხვა. მეტიც, სარფი ამიერიდან შეიძლება იყოს არა ჩაკეტილი, არამედ ღია სივრცის სიმბოლო და საზღვრის გადაკვეთაც სამშობლოსთან დაშორების ტკივილს შობს:

„სტუმრად მოვედი, სამშობლოვ ჩემო,  
შენთან შეხვედრა როგორ მაშინებს,  
გადამიკეტე სარფის საზღვარი,  
გთხოვ, ემიგრანტად ნულარ გამიშვებ“ (ყიფიანი, 2014).

ეპოქათა მსგავსი შედარებები არ ისახავს მიზნად პოეზიის კლასიფიკაციას „უკეთესის“ და „უარესის“ ნიშნით. ღირებულებათა შედარებას კი არ ვცდილობთ, არამედ ლიტერატურულ თაობათა პოეტურ სპეციფიკაზე, იდეურ და თემატურ დიაპაზონზე მინიშნებას. მითუმეტეს, შეუძლებელია საუბარი რაიმე კატეგორიულად ჩამოყალიბებულ სისტემაზე. ამ თვალსაზრისით, ლირიკას არც შეიძლება გააჩნდეს მკაცრად შემოსაზღვრული ჩარჩო. ამასთან, XX საუკუნის 20-იან წლებში საზღვრად ჩავლებული სატკივარი არავის წაუშლია ქართველი შემოქმედის მეხსიერებიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა ლიტერატურულ ეპოქას გააჩნია თავისი კონკრეტული სახე, რომელსაც დროთა მდინარეა ქმნის, - მაშინაც, როცა საქმე ეხება ყველა თაობისთვის აქტუალურ თემას და ჩვენც, გამომდინარე აქედან, არა ეპოქათა დახასიათებას, არამედ ზოგიერთ მკრთალად თუ მკაფიოდ გამოკვეთილ ტენდენციაზე მინიშნებას ვცდილობთ.

სხვაფრივ კი არც ძველი თემები წაუშლია დროებას და არც სატკივარი. სარფული ყოფის დეტალებიც უცვლელია მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე:

„აფრინდა შაშვი ძირგამომპალ  
ხურმის ტოტიდან,  
ხბო გაჯიუტდა ვანილიშის



ჩამტყდარ ბოგირთან“.

ეს იმპრესიონისტული სურათი დავით თედორაძის ლექსიდანაა („ტირილი იყო სარფში“).  
ამავე ლექსში თვალსაჩინოა თანადგომა-თანაგრძნობის აწ უკვე ამზად დარჩენილი მოტივი:

„ხანდახან საქმე არ წაუვა  
კაცს ხოლმე წაღმა,  
ტირილი იყო გამოღმა და  
ტიროდნენ გაღმაც“ – [თედორაძე, 1999:52].

ამავე თემას ეხმიანება შოთა ზოიძის სტრიქონები:

„იქ, მარადიდში შენი ცრემლი ისევ ცხელია,  
და სარფის ცრემლი ისევ ისე თუთქავს წამწამებს...“ – [ზოიძე, 2013:87]

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, უფრო კი - საუკუნეთა მიჯნაზე, მას შემდეგ, რაც გაძლიერდა ეროვნული მოძრაობა, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, სასაზღვრო კაზმულსიტყვაობამაც ეპოქის შესაფერისი ცვლილებები განიცადა. ცხადია, ეს ცვლილებები შეეხო როგორც იდეურ მარკერებს, ასევე თემატიკასაც, მაგრამ დრომ ძველ თემებშიც დააზუსტა პოეტური ხატები. ერთი კონკრეტული მაგალითისთვის მესაზღვრის სახეც გამოდგება: თუ წინათ გაღმა-გამოღმა ჯარისკაცები, ძირითადად მაინც, კონტრასტულად იყვნენ წარმოდგენილი (თურქი ასკერი - ცუდი, საბჭოთა ჯარისკაცი - კარგი), ახლა ასკერიც და სალდათიც (საუბარია რუსი მესაზღვრეების გასვლამდე პერიოდზე) ერთ სიბრტყეზეა წარმოდგენილი: უადგილო ადგილას გავლებული საზღვრის ცოდვა ორივეს მხრებზეა:

„...ჩემს ბებერ სისხლს ხომ  
ამ ქედების სილაღე ახსოვს,  
მაგრამ რა?  
გაღმა ხიშტიანი დგას სერასკირი,  
გამოღმა ხიდზეც  
ხიშტიანი მისინჯავს პასპორტს“ – წერს ი. თანდილავა [თანდილავა, 1990:3].

იმპერიათა ბუნება თითქოს შეიცვალა, მაგრამ მათ მიერ დაკანონებული საზღვარი - არა! თუმცა, ახალმა დროებამ მაინც მოიტანა სიკეთე - ახლა ძმათა შორის ურთიერთობა ნებადართულია:

„ოცდაჩვიდმეტში ჩაკეტილ სოფელს,  
ჩაკეტილ გულებს, დაწყვეტილ გულებს,  
ყელში გაჩხერილ ცრემლის ნიაღვარს,  
ამინ! მას ვინაც ჯებირებს უნგრევს“.

ის დრო აღარ არის, როცა გაღმა გახედვა თუ გამოღმა გამოხედვა ცოდვად ითვლებოდა და ისჯებოდა კიდევ. ამ რეალობასაც ხატოვნად წარმოადგენს პოეტი:

„დაგილპებაო თითი, თუ გაღმა  
გაიშვერ და ეს იხილა ხალხმა.  
მას შემდეგ ბევრი ვენახი გახმა,  
ვაიმ ვერ უშველა და ვედარც ახმა“.

ახლა ბევრი რამ შეიცვალა და თითქოს ჭრილობებმაც შეხორცებისკენ ქნა პირი, მაგრამ საზღვარი საზღვრად დარჩა:

„მავთულხლართებით ჩახერგილ სოფელს  
ეფერებოდა კვლავ ორი მთვარე“ [თანდილავა, 1990:33].

და, რა თქმა უნდა, ამ განცდის საფუძველთა საფუძველი ისაა, რომ სარფი ტკივილია, ტკივილი, რომელსაც დაამება არ უწერია, რომელიც მოურჩენელია, თაობების ტვირთი იყო წარსულში და იქნება მომავალშიც:

„ქვეყნად ტკივილია მრავალი,  
სარფიც ტკივილია ერთი,  
სად ვპოვო მე მისი წამალი,  
მიტხარით, შეგინდობთ ღმერთი“.

ამიტომაც გასაგებია ამ ტკივილის მატარებელი პოეტის ემოცია:

„მთები გაკიდულან ცაზე,  
ღრუბლებს ეტოლებიანო თითქოს,  
ზღვა ადიდებიათ ლაზებს,  
სული გადარჩენას ითხოვს...“ [თანდილავა, 1995:82]

სარფის თემაზე მიძღვნილ პოეზიაზე საუბრისას, შეუძლებელია, გვერდი აუარო ხასან ჰელიმიშის, ამ უაღრესად რთული ბიოგრაფიის პიროვნებას და მრავალმხრივ შემოქმედს.

ის ორთახოფაშია დაბადებული (1907 წ.). 1932 წელს, 25 წლის ახალგაზრდა, პოლიტიკურ ნიადაგზე, იძულებული გახდა თურქეთიდან საბჭოთა კავშირში გადმოსახლებულიყო. სწავლობდა, მუშაობდა, ცხოვრობდა - ბათუმში, ლენინგრადში, სოხუმში, თბილისში... ტრაგიკული შემთხვევის გამო, სრულიად ახალგაზრდამ დაკარგა ცალი ფეხი, 1949-54 წლებში იყო რეპრესირებული და ოჯახთან ერთად ციმბირში, ნარიმას მხარეში გადასახლებული. გარდაიცვალა 1976 წელს. მისი ნახატების და ლექსების ძირითადი თემა ლაზეთია.

ხასან ჰელიმიშმა საკუთარი ბედისწერა, ტკივილით სავსე ბიოგრაფია თითქოს მთელი ლაზეთის ტრაგიკული ისტორიის სიმბოლოდ მოიაზრა. ეს საოცრად ბუნებრივი, უშუალო და

გულწრფელი განცდაა მშობლიური მიწა-მამულისა. პოეტის პირადი „მე“ ისეა ჩაწნულ-შენივთებული სამშობლოსთან, რომ თითქოს დაკარგულია ზღვარი, თითქოს გათანაბრებულია, ერთ განზომილებაშია, ერთმანეთთან შერწყმულია პოეტი და მთელი ლაზეთი [ჩოხარაძე, 2016:244]. ეს განცდა საზღვრად დადებული პატარა მდინარისადმი მიძღვნილ ლექსშიც („სინორიშლალი“) იჩენს თავს:

„საზღვრის ღელეო, საზღვარი არ ხარ

შენ ორ ძმას შორის ცრემლი ხარ ცხარე“, -

მიმართავს პოეტი საზღვრის ღელეს და მაშინვე საკუთარ ბედისწერაზე მიუთითებს:

„შენც ხომ ჩემსავით გულდამწვარი ხარ,

ასე უგულოდ ზღვას ჩამდინარე“.

ღელე ძმათა გამყოფია, პოეტის გული კი ციმბირის ყინვამ ვერ გააცივა, კვლავაც ცოცხლობს იგი და ფეთქავს, „მარად თბილი და დაუღეველია“.

თუ პოეტის გულს არ აშინებს უცხოობა და ერთგულების ძალა არ მოჰკლებია, ვერც სახელმწიფო საზღვრებმა, კონკრეტულ შემთხვევაში, სასაზღვრო ღელემ ვერ უნდა შეძლოს გაღმა-გამოღმა დარჩენილ ძმათა გაუცხოება, ამ განცდას აძლიერებს უკანასკნელ სტრიქონში სიტყვა „ლაზურის“ გამოყენება:

„ტანჯულ სხეულში კვლავ მიდგას სული,

რათა ლაზურად გიმღერო შენა“. – [ჰელიმიში, 2005:50].

ტექსტის მიხედვით, სარფის განუმეორებელ სილამაზეს ქმნის ზღვისპირეთის სიმყუდროვე, ყვავილნარი და ბაღები, ციტრუსების, ჩაის პლანტაციები და ბულბულების სტვენა:

„ყველანი მას ვითომ უცინის,

აქ ბულბულიც ყვავილებს უმღერის,

ნაპირზე კი მშვიდი ზღვა წევს,

ყვავილების სუნით ქარი ქრის“.

მიუხედავად ყველაფრისა, მთლიანობაში ლექსი იმდენად პოზიტიურ განწყობას ქმნის, რომ გამოღმა სარფის ვოკალურ ჯგუფებზე რომ არაფერი ვთქვათ, ქაზიმ ქოიუნჯუს, ცნობილი ლაზი მომღერლის, რეპერტუარში დამკვიდრდა უცვლელი ტექსტით და, შესაბამისად, „კოლმანის“ ჩათვლით [ჩოხარაძე, 2016:249]. პოზიტიური განწყობის საფუძველი კი სარფული პეიზაჟები, აშკარად გამოხატული სითბო და ხალისიანი რიტმია. სოფლის სურათების ნაწილია თვით ჩაის კრეფაც, ჩაის პლანტაციები კი იმხანად ორივე სარფის პეიზაჟის განუყოფელი ნაწილი იყო:

„გოგონები კვლავ ჩაის კრეფენ,

კრეფენ და ლაზურადაც მღერიან,

ხიდან ხეზე დაფრინავენ ჩიტები

ამ კოლმეურნეობაში ქვაც და ხეც იხარებს“. – [ლაზური...2007:70].

როგორც აღვნიშნეთ, ჰელიმიშის პოეზიაში ერთმანეთთან ჩაწნულია პირადი და საზოგადო, მაგრამ პოეტის ყველაზე დიდი ტკივილი მაინც არა საკუთარი ბედის ტრიალი, თავს გადახდენილი უბედურებებია, არამედ, უპირველესად, საზღვრის ღელე, წამებული ლაზეთი, ძველი კოლხეთი, მთელი საქართველო - თავისი წარსულით და დღევანდელით. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ მისი ერთსტროფიანი ლექსის „სო მწკუფს დო სო მიზარ“ („სად მტკივა და სად მიბერავ“) ამონაკვეთი მთელი მისი შემოქმედების ბუნებას გამოხატავს:

„სად მტკივა და სად მიბერავ სულს,

შენც, ექიმი, ვერ მიპოვი გულს,

ვიდრე მყვანან მე ობოლი ლაზები

ვის ვუნდივარ, ვისთვის გავლამაზდები?“ – [ჰელიმიში, 2005:50].

სარფული პოეზიის მეტად საინტერესო ნაწილია თურქეთის სარფის მკვიდრი პოეტის, შერაფეთთინ ოზმაჰინის პოეზია.

შერაფეთთინ ოზმაჰინი წერს როგორც თურქულად, ასევე ლაზურად, მის კრებულებში, მართალია, რაოდენობრივად თურქული მეტია, მაგრამ საკმაოდ ბევრია სრულიად დამოუკიდებელი, ორიგინალური ლაზური ლექსი.

ავტორი ცდილობს, დააკვირდეს ლაზის ბუნებას, გარეგნობას, მოქმედებას... პოეტის თქმით, ლაზი მოუთმენელია, სწრაფი, ვერ იტანს დაყოვნებას, საქმეშიც მალაია. საქმეშიც გაგყვება და საუბარშიც. სიტყვას არ დაგიძვირებს, სათქმელსაც პირდაპირ გეტყვის. მაღალფარდოვნებას ვერ იტანს, მაგრამ, რაც მთავარია, სიტყვის კაცია.

ჩვენ მხოლოდ შერაფეთთინ ოზმაჰინის შემოქმედების სარფულ თემატიკას ვეხებით და აღვნიშნავთ, რომ მის პოეზიაში კონკრეტულ, ყოველდღიურ ორომტრიალში დანახული და განცდილი შთაბეჭდილებები სჭარბობს. მასალას მხატვრული შემოქმედებისთვის პოეტი იღებს ტრადიციული ყოფისთვის დამახასიათებელი წვრილმანებიდან. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ პრაქტიკულად ყველა კრებულის ერთ-ერთი ძირითადი თემა ავტორის მშობლიური სოფელი - სარფი. თითქმის ყველგან სალექსო განწყობა შემოსაზღვრულია თურქეთის სარფით. საქართველოს სარფისაკენ პოეტი არ „იხედება“ [ჩოხარაძე, 2016:261]. პოეტი აღფრთოვანებულია მწვანეში ჩაფლული ზღვისპირა სოფლის სილამაზით, მშვიდი, იდილიური გარემოთი, სადაც ერთდროულად შეიძლება ტკობა ზღვის წარმტაცი პეიზაჟებით, ტყიანი ფერდობების სიმწვანით, დაღარული ხეობების იდუმალებით:

„აქ ჩემი ფუძეა, სამოთხე, სიზმარი,  
 ეზოებს აღვიძებს ზღვისფერი ნიავი,  
 რაკრაკებს მდინარე სუფთა და ანკარა,  
 ეს ჩემი მხარეა, თბილი და მზიანი“.

პოეტისთვის ყველაზე მთავარი, ძირითადი საფუძველი სოფლის სიკეთისა, მაინც ხალხია, სარფელები, - მისი ნათესავები, მეზობლები, მეგობრები... ამ ხალხით ამაყობს იგი და მათ გამო უხარია სოფელში ყოფნა:

„აქ ჩემი გვარია, მათთან ვარ ნიადაგ,  
 აქ ყველა ჩემია, მათ ქებას ვუნდები,  
 სოფელი, სიკეთის და ძმობის გამწევი,  
 ამაყი ნაბიჯი და სავსე გულები!...“

ამიტომაც ბუნებრივია საკუთარი კერიის, სახლის, სახლისკენ მიმავალი გზის სიყვარული, სახლისა, რომელიც ერთი პატარა დეტალია, ფუნჯის ერთი მოსმაა ამ იდილიურ ტილოზე:

„ჩამოლამდება.  
 ჩამოსხდებიან და ჩამოთვლემენ:  
 ხის ტოტებზე - გარეული  
 და ქანდარაზე - შინაური ფრინველები.  
 სახლის გზა თითქოს გეძახის,  
 შენც შეუყვები შენი სახლის გზას  
 სულმოუთქმელად...“

უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი იმ დუხჭირ დროსაც ეხმიანება, როცა ლუკმა-პურის პრობლემა იდგა და როცა ხალხს „მუშაობით სული გასძვრა“, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰქონდა; ბოლოს კი ხალხს სული ჩაის კულტურის გავრცელებამ მოათქმევინა:

„ბევრი ვჭამეთ გოგრის ფაფა,  
 ჩაით მოგვცილდა მუცლის ჟანგი,  
 ახლავა დავიწყეთ სიმდიდრის ნახვა,  
 დავიწყეთ ჯამის, ქვაბის გამოცვლა“.

თუმცა, პოეტის აზრით, მატერიალურ კეთილდღეობას ბევრი სულიერი ღირებულებაც ემსხვერპლა და ამას აღნიშნავს კიდევ გულისტკივილით:

„ის არის, რომ ფულით ხასიათიც შეიცვალა...  
 დაგვწვი, შენ, ჩაი, - დაბინავდა სარფში ბინძური სიამაყე!“

ზემოთ ვთქვით, შერაფეთთინ ოზმაჰინი საქართველოს სარფისკენ არ იხედება-თქო. მის პოეზიაში თითქოს არც ჩანს ორად გაყოფილი სოფლის სევდა. მისი პოეზიის თემატიკიდან და ბუნებიდან გამომდინარე „არ ჩანს“ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ არ აწუხებს! თემის იგნორირების მიზეზი კი შესაძლოა თურქული ცენზურა იყოს. მიუხედავად ამისა, პოეტი შთაბეჭდილების გაძლიერებას სუბიექტური ლირიკული განცდების წარმოჩენითაც ცდილობს:

„ახლა მარტო ვარ; მარტო ცხოვრება ძნელია,  
 დარდით და წუხილით სავსე...  
 შერეფ, ნულარ იყურები ფანჯრიდან,  
 დარდს ნულარ იმატებ!  
 არ იდარდო, დახურე ფანჯარა და კარი“...

ფანჯარა, ყოველგვარი ინტერპრეტაციების გარეშეც, არის ერთი ტრაგიკული თემა სარფული ყოფისთვის: ფანჯრიდან სოფლის მეორე ნაწილი ჩანს, ფანჯრების დაგმანვა („ნუ იყურები ფანჯრიდან“) ორივე ქვეყნის სასაზღვრო რეჟიმის მეტისმეტად მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენცია იყო. მით უმეტეს, რომ იქვე თითქოს კიდევ ერთი მკრთალი მინიშნებაც გამოიკვეთება:

„მოსაღამოვდა და სიწყნარე დარდს ჩამოყრის იმამის ადგილებში,  
 მყუდროებას ჩქამიც არ არღვევს, მხოლოდ ღელის ხმა მოდის სახლამდე...“

ისღა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ ეს სწორედ ის ღელეა, საზღვრად რომ ჩამოდის და ორ სახელმწიფოდ ჰყოფს პატარა სოფელს.

საინტერესო მხატვრული სახეებით გაამდიდრა სარფული მოტივი კოლხობამ, რომელიც 1979 წლიდან იღებს სათავეს და რომელიც დაარსებისთანავე იქცა მრავალი შემოქმედის შთაგონების წყაროდ. კოლხობას თავიდანვე სდევდა ოქროს საწმისის, აიეტის, მედეას, არგონავტების მოტივები და იმედი, რომ იგი საერთოქართულ დღესასწაულად იქცეოდა.

ამ ხნის განმავლობაში კოლხობამ ტრადიციის ძალა შეიძინა და ბუნებრივია, რომ პოეზიაშიც დაიმკვიდრა ადგილი.

„კოლხობა! კოლხთა ულევ ქველობით,  
 სარფის ფერდობზე ოქრო იღვრება  
 თავებს მიწამდე გიხრით, ძველებო,  
 ამდენ სიხარულს რა გაემლება“, -

ასე გამოხატავს ი. თანდილავა სადღესასწაულო განწყობას და სიხარულს [თანდილავა, 1990:21]. ხოლო ის, რომ კოლხობა წარსულისკენ მიხედვაცაა და რომ ამ მიხედვას ტკივილიც ახლავს, ბუნებრივია, ვერ დარჩებოდა პოეტური სიტყვის მიღმა:

„სარფში გავმართეთ მისტერიები,  
 მოსაგონებლად გარდასულ დღეთა,  
 ეს იყო ჩვენი ისტორიების  
 გამომზევება და გულთა ფლეთა“ – [თანდილავა, 1995:47].

დასასრულ, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ იმის შესახებაც, რომ კაზმულსიტყვაობამ საკმაოდ ფართოდ ასახა სარფის თვალწარმტაცი ბუნება, - ერთი მხრივ, შემოჯარული მთები, მწვანეში ჩაფლული სახლ-კარი ლაზებისა, მეორე მხრივ, ზღვა, თავისი განუმეორებელი სილამაზით.

სწორედ სოფლის სილამაზეზე ამახვილებს ყურადღებას და ცოცხალი შთაბეჭდილებით ხატავს სოფლის სურათს ფრიდონ ხალვაში ლექსში „სარფის გზა“:

„ქედებზე სარფის ოდებო,  
 მიყვარდით, რამდენს გნახავდი,  
 ჩამრჩით ხსოვნათა ჩარჩოში,  
 ვით ჰელიმიშის ნახატი“ – [ხალვაში, 1985:186].

ბუნებრივია, მრავალი ლირიკული სტრიქონი მიექმდნა ზღვის პეიზაჟებს. გავიხსენოთ თუნდაც მამია ვარშანიძის „სარფი, გონიო“:

„ზღვა მოვარდნილა აქ სამიჯნუროდ,  
 ლოკავს ზურმუხტებს, ლოკავს სამოთხეს,  
 პატარა ღელე სად მიჩურჩულებს,  
 რად სურს, რომ სული ზღვაში ამოხდეს?“ – [ვარშანიძე, 1950:68].

როგორც აღვნიშნეთ, იშვიათია სოფელი, რომელსაც მხატვრული სიტყვის ოსტატების ესოდენი ინტერესი გამოეწვიოს. ინტერესის მიზეზებზე, ვფიქრობთ, რომ ისევ პოეზიით - თუნდაც ახმედ კვირიტიძის სტრიქონებით - უკეთ ითქმის:

„სარფი პატარა, სარფი რამხელა,  
 და მზის ნაჭერი, რა მონაკვეთი,  
 სარფი - სულ ერთი თვალის გახელა,  
 გადარჩენილი სული ლაზეთის“ – [ანთოლოგია... 1999:150].

სამხრეთ საქართველო ყოველთვის იყო ქართული კაზმულსიტყვაობის ინტერესის საგანი. საბჭოთა პერიოდში, მიუხედავად იდეოლოგიური დიქტატისა, ეროვნული მოტივი, არ აღმოფხვრილა. შესაბამისად, ცოცხლობდა სამხრეთ საქართველოს თემაც. უახლესმა ქართულმა მწერლობამ ფართოდ ასახა ეს თემა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

**ლიტერატურა:**

1. ანთოლოგია... 1999: პოეზიის ანთოლოგია, ბათუმი.
2. დუმბაძე 2009: დუმბაძე ნ., „ნუ გეშინია დედა“, თბილისი.
3. ვარშანიძე 1950: ვარშანიძე მ., „ჩემო სამშობლოვ“, ბათუმი.
4. ზოიძე 2013: ზოიძე შ., აჭარა, კრებულში „ზე-კართან“ ბათუმი.
5. თანდილავა 1990: თანდილავა ი., „სულის ხვეულებიდან“, ბათუმი.
6. თანდილავა 1995: თანდილავა ი., „მარადი ტკივილი“, ბათუმი.
7. თედორაძე 1999: თედორაძე დ., ერთტომეული, ბათუმი.
8. ლაზური... 2007: „ლაზური პოეზია“, 100 ლექსი, თბილისი.
9. სალუქვაძე 1982: სალუქვაძე გ., რჩეული, ბათუმი.
10. ჩოხარაძე 2016: ჩოხარაძე., სარფი მხატვრულ ლიტერატურაში, (კოლექტიური მონოგრაფია „სარფი“), ბათუმი.
11. ხალვაში 1985: ხალვაში ფ., „ჩემი სანატრელი“, თბილისი.
12. ჰელიმიში 2005: ხასან ჰელიმიში, „ლექსები“, ბათუმი.

**Nino Turmanidze, Shota Rodinadze**

**Sarpi and border motif in Georgian literature of the second half of the XX century**

**Abstract**

The paper discusses the political processes of the early twentieth century, which defined the peculiarities of the literary interpretation of the mentioned topic.

The aim of the paper is to analyze the literary products dedicated to one of the Georgian villages divided by the state border. Sarpi is a symbol of the artificially drawn border cut from the body of Georgia for centuries. This topic is very important for Georgian literature and, consequently, many interesting works have been created over the years.

რეცენზენტი: პროფესორი ნელი ვასილევა



## „სიბრძნე-სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი

ნათია იაშვილი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: niashvili@ymail.com

მხატვრული ლიტერატურა ერის სულიერი და კულტურული საზრდოა, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ ერის კულტურული განვითარების ეტაპებისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. სამწუხაროა, რომ ქართული ლიტერატურის მრავალი უნიკალური თხზულება თუ პოემა ჯერ კიდევ არ არის თარგმნილი უცხოურ ენებზე და უცნობია სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობისთვის. ამ თვალსაზრისით ერთერთ გამონაკლისს წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“, რომელიც თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე (რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, ჩეხურ, უნგრულ, პოლონურ, უკრაინულ და ლიტვურ ენებზე). აღსანიშნავია, რომ თხზულების ორი სრულყოფილი ინგლისური თარგმანი არსებობს, რომელიც შესრულებულია ქართული ლიტერატურის დიდი მოამაგეების: ოლივერ უროდროპისა და ქეთრინ ვივიანის მიერ. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ „სიბრძნე-სიცრუისას“ ინგლისურ თარგმანებს შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით. მიგვაჩნია, რომ მხატვრული ნაწარმოებების თარგმანების შედარება საკმაოდ მნიშვნელოვანი და ღირებულია თარგმანის შეფასების კუთხით, რადგანაც სწორედ რომ შედარების მეშვეობით ვლინდება რამდენად ზუსტად და ობიექტურად არის ასახული თარგმანში ავტორის შემოქმედებითი სამყარო, რომელი თარგმანია უფრო ზუსტი და რომელმა მთარგმნელმა შეძლო შემოქმედის მიერ წყარო ტექსტში ექსპლიციტური შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის ადეკვატური ტრანსფორმაცია სამიზნე ტექსტში და მისი სათანადოდ მიწოდება ინგლისურენოვანი მკითხველისთვის.

*საკვანძო სიტყვები:* „სიბრძნე-სიცრუისა“, შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია, ადეკვატური თარგმანი, ო. უორდროპი, ქ. ვივიანი.

ადეკვატური თარგმანის შესასრულებლად მთარგმნელს მრავალი ფაქტორის გათვალისწინება და მოთხოვნის დაკმაყოფილება უწევს. წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის ადეკვატურობის მისაღწევად ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სამიზნე ტექსტში ი.გალპერინის მიერ შემუშავებული ტექსტის ინფორმაციული კატეგორიების შენარჩუნება: შინაარსობრივ-ფაქტობრივი, შინაარსობრივ-კონცეპტუალური და შინაარსობრივ-ქვეტექსტური, რომელიც ი. მერაბიშვილმა მეოთხე, ხატობრივი ინფორმაციის კატეგორიით გაამდიდრა. ამ ოთხი კატეგორიიდან ტექსტში ყველაზე მარტივად ამოსაცნობია შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია, „რომელიც შეიცავს ცნობებს, იმ ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ როგორც რეალურ ისე წარმოსახვით სინამდვილეში და მისი გამომხატველი ენობრივი ერთეულები, ჩვეულებრივ, პირადპირი მნიშვნელობით არიან ტექსტში წარმოდგენილი“ [მერაბიშვილი 2005:57]. თარგმანში შესაძლოა ყოველთვის ვერ მოხერხდეს შინაარსობრივ-ქვეტექსტური, კონცეპტუალური ან ხატობრივი ინფორმაციის ასახვა, რაც გამოწვეულია ენებს შორის არსებული ლექსიკური თუ სტილისტური განსხვავებებით. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ მთარგმნელი მაქსიმალურად უნდა ეცადოს შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის ადეკვატურად ასახვას სამიზნე ტექსტში, რადგანაც მხატვრული თარგმანი ძირითადად შინაარსობრივ ეკვივალენტურობაზე აგებული შემოქმედებაა. მსგავს მოსაზრებას გვთავაზობს ი.ი რეცკერიც. იგი ხაზს უსვამს შინაარსისა და ფორმის ერთიანობას და მიიჩნევს, რომ „მთარგმნელის ამოცანაა სხვა ენის საშუალებით მთლიანობაში და ზუსტად გადმოსცეს დედნის შინაარსი და ამავე დროს შეინარჩუნოს მისი სტილისტური და ექსპრესიული თავისებურებანი. თარგმანის „მთლიანობაში“ მოიაზრება ფორმისა და შინაარსის ერთიანობა სხვა ენობრივ საფუძველზე“ [რეცკერი 1974:7].

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით თარგმანების შეპირისპირებით მეთოდის გამოყენებით გავაანალიზოთ, რომელი ინგლისური თარგმანია უფრო ზუსტი შინაარსობრივი კუთხით და რამდენად ადეკვატურად და ობიექტურად ასახავენ მთარგმნელები ავტორის ნააზრევს.

თარგმანში შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის ასახვის თვალსაზრისით განვიხილოთ მონაკვეთი არაკიდან „უბედური დიდვაჭარი“. მეფე ფინეზი როდესაც მძინარე ლეონს იხილავს, მას სიზმარში ნანახ პიროვნებას მიახლოებს და მისი წარმომავლობით დაინტერესდება, რაზეც ლეონი მიუგებს:

„- მე არა ვიცი სადაური ვარ, მეფობისა წინაშე რა ვიკადრო? ეს ვიცი: მე ლეონ მქვია, მამაჩემი დედის ჩემისა ჩემზედ ორსულობასა მომკვდარა და დედაჩემი ჩემსა შობასა და მე აქაიქ სვლითა გავზრდილვარ“ [ორბელიანი 1970: 21].

განვიხილოთ ამ მონაკვეთის თარგმანები:

ო.უორდროპის თარგმანში ვკითხულობთ: „I have grown up in travelling hither & thither; my name is Leon“ – „მე აქეთ-იქით მოგზაურობაში გავზრდილვარ; ჩემი სახელია ლეონი“. როგორც ვხედავთ თარგმანი საკმაოდ აცდენილია დედანთან, როგორც ფორმის ისე შინაარსის თვალსაზრისით. ო.უორდროპი არაფერს ამბობს ლეონის წარმომავლობისა და ობლობის შესახებ. შესაბამისად ინგლისურენოვანი მკითხველისთვის უცნობი რჩება თხზულების ერთერთი მთავარი პერსონაჟის შესახებ დედანში არსებული ისედაც მწირი და უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მთარგმნელი ყოველთვის უნდა ეცადოს კუბიურების თავიდან აცილებას. მართალია, რიგ შემთხვევებში ეს შეუძლებელია ენებს შორის არსებული განსხვავებული ლექსიკურ-სტილისტური და გამომსახველობითი საშუალებების გამო, თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, დედანში მოცემული შინაარსის ასახვა თარგმანში სავსებით შესაძლებელი იყო.

ციტირებული პასაჟის ქ.ვივიანისეული თარგმანი დედნის ეკვივალენტურია: „Whence I come, I do not know. What can I say to Your Majesty? This I know, that I am called Leon. My father died when my mother was carrying me, my mother died when I was born, and I grew up wandering from place to place“ – „სადაური ვარ არ ვიცი. რა შემიძლია მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას? ეს ვიცი, რომ ლეონი მქვია. მამაჩემი მაშინ გარდაიცვალა, როცა დედაჩემი ჩემზე ორსულად იყო, დედაჩემი მაშინ გარდაიცვალა როცა დავიბადე და მე ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ხეტიალში გავიზარდე“. თარგმანი ზუსტად მიყვება დედანს და ასახავს მასში მოცემულ ყველა შინაარსობრივ-ფაქტობრივ დეტალს. გარდა ამისა, მისასაღმებელია მთარგმნელის მიერ ფრაზის „Your Majesty“ გამოყენება, რომელიც სტილისტური თვალსაზრისით ადეკვატურად ასახავს წყარო ტექსტში მეფის მიმართ გამოხატულ მოწიწებასა და რაც მთავარია, სავსებით ბუნებრივად ჟღერს ინგლისურ ენაზე.

თარგმანების შეპირისპირებისას ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებდით თხზულების ერთერთ უაღრესად მნიშვნელოვან მონაკვეთს არაკიდან „მეფე და მხატვარი“, რაც უკავშირდება სამიზნე ტექსტში ფაქტობრივი ინფორმაციის არასწორ ტრანსფორმაციას. არაკიდან ვიგებთ, რომ როდესაც მეფე ფინეზი ლეონს უფლისწულის აღზრდას სთხოვს, იგი მხოლოდ იმ პირობით თანხმდება, თუკი მეფე ხელწერილს მისცემს, რომ ლეონისგან ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე, სხვა ადამიანებისგან შესმენის საფუძველზე არ მოკლავს მას. მეფე თანხმდება და აძლევს მოთხოვნილ ხელწერილს, რომელსაც ლეონი განსაკუთრებულ ადგილას ინახავს: „მისცა მეფემან

ხელითწერილი ფიცისა. წაიღო ლეონ საფიცარი იგი, მოჭედა ოქროთა და დაირჭო თავსა ზედა“ [ორბელიანი 1970: 40].

ლეონს გაცნობიერებული აქვს, რომ მტრები შეეცდებიან მეფესთან მის „დასმენას“ და ეს ხელწერილი ადრე თუ გვიან აუცილებლად დაჭირდება. შესაბამისად, ხელწერილი მუდამ თან უნდა ჰქონდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მეფეს აჩვენოს, პირობა გაახსენოს, დაუმსახურებელი სასჯელი აირიდოს და თავი გადაირჩინოს. სწორედ ამიტომ „დაირჭო თავსა ზედა“ ხელწერილი, ანუ ქუდში შეინახა. ციტირებული პასაჟის შესატყვისად ო.უორდროპი გვთავაზობს: „The king gave a written guarantee. Leon took it, put it in a golden case, and laid it under his pillow“ [Wardrop 1894:30]. სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით „მეფემ მისცა წერილობითი გარანტია. ლეონმა წაიღო, ოქროს კოლფში ჩადო და ბალიშის ქვეშ დაიღო“. წყარო ტექსტსა და სამიზნე ტექსტს შორის შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის თვალსაზრისით შეუსაბამობა აშკარაა. რაც შეეხება ქ. ვივიანის, იგი წარმატებით ართმევს თავს დედნისეული შინაარსის ადეკვატურად ტრანსფორმაციას თარგმანში: „The King gave Leon his promise, written in his own hand. Leon took the document away, sealed it with gold, and kept it in his headdress“ [Vivian 1982:20] - „მეფემ ლეონს საკუთარი ხელით დაწერილი პირობა მისცა. ლეონმა წილო დოკუმენტი, ოქროთი მოჭედა და თავსაბურავში შეინახა“.

წყარო ტექსტში ავტორის ფარული ნააზრევის, ანუ ქვეტექსტის ამოცნობისა და სამიზნე ტექსტში ადეკვატურად ტრანსფორმაციისთვის აუცილებელია მთარგმნელის მიერ მოხდეს შინაარსის ყველა შრის სწორი გააზრება და ლექსიკური ერთეულისთვის სათანადო ინვარიანტის მოძიება. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი თარგმანში ეკვივალენტობის მინიმალური პირობის დაკმაყოფილება, რაც გამოიხატება საწყისი შეტყობინების აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნებაში. ბუნებრივია, მხატვრული ნაწარმოების თარგმნა საკმაოდ რთული პროცესია და გარკვეული დანაკლისის გარეშე თითქმის შეუძლებელია. შესაბამისად თარგმნილ ტექსტებში არცთუ იშვიათია ე.წ. კუპიურები და ინტერპოლაციები. სწორედ ამიტომ, თარგმანის შეფასება – ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ინგლისური ენის ენობრივი სისტემა, რომელიც არსებითად განსხვავდება ქართული ენის სტრუქტურისგან და შესაბამისად ვერ გადმოგვცემს ორიგინალი ტექსტის მხატვრული სისტემის ყველა ელემენტს. გარდა ამისა, ნ. საყვარელიძის აზრით ასევე გასათვალისწინებელია მთარგმნელის სუბიექტური მიდგომა თარგმანისადმი, შესაბამისად თარგმანის ტექსტი და სტილი უპირველეს ყოვლისა შესწავლილი უნდა იქნეს მთარგმნელის სუბიექტურ ფაქტორთან კავშირში, რადგან „წინასწარი ფსიქოლოგიური შემართებით მთარგმნელი იწყებს უკვე საკუთარი განწყობის გამოსახატავად ადეკვატური ენობრივი ფორმების ძიებას. აქედან გამომდინარე იგი მისდაუნებურად ამძაფრებს

იმას, რაც თავად მიაჩნია არსებითად და გვერდს უვლის ისეთ დეტალებს, რომელიც მის წარმოდგენაში ნაკლებად მნიშვნელოვანია“ [საყვარელიძე, 2001:223]. ამ ფაქტორების მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ მაინც მიუღებელია მთარგმნელის მხრიდან უხეში ჩარევა და სათარგმნი ტექსტის მიმართ უაღრესად თავისუფალი მიდგომა, რაც იწვევს ორიგინალში ასახული აზრის დამახინჯებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა არაკი „ბრძენი მკურნალი“. დასწრებული ექიმის სამკურნალოდ მისული ექიმი ინტერესდება თუ რატომ არ ამკურნალებინა სნეულმა ამ უკანასკნელის სამკურნალოდ მისულ სხვა ექიმებს:

„- რად სხვათ არ აწამლებინე-მეთქი? მან მითხრა: - ყველა გამოვსცადე და სიბრძნე არც ერთსა ჰქონდა, და უსიბრძნო აქიმი სამსალას მშობელია“ [ორბელიანი 1970:181] ამ დიალოგში ავტორი ავითარებს მოსაზრებას, რომ გამოუცდელი და სიბრძნის არ მქონე ექიმი ზიანის მომტანია და მისმა მკურნალობამ შესაძლოა საწამლაკვივით იმოქმედოს სნეულზე. ციტირებული დიალოგის თარგმნისას ო.უორდროპი სრულიად თავისუფლად გრძნობს თავს: „I asked him: Why wouldst thou not suffer the older surgeons to treat thee? He answered: I tested them all, but found skill in none of them, and an ignorant surgeon produces poison; ignorant surgeons & priests are worse than worthless“ [Wardrop 1894:144]. თარგმანში ვხვდებით ინტერპოლაციას „ignorant surgeons & priests are worse than worthless“ – „უმეცარი დასტაქრები (ქირურგები) და მღვდლები უხეიროებზე უარესი არიან“.

ბუნებრივია, კონკრეტულ სიტუაციასა და კონტექსტში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორი სიტყვის შერჩევა, ვინაიდან სწორედ სიტყვის მნიშვნელობით ხდება დედნის მხატვრული ელფერისა და სტილის შენარჩუნება თარგმანში. შესაბამისად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ენათმორისი კომუნიკაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია სიტყვის როლის განსაზღვრა. რაზეც სამართლიანად მიუთითებს ი. მერაბიშვილი, რომ: „ტექსტის ლინგვისტიკური ზედმეტად გაიტაცა წინადადების მიღმა არსებული ერთეულების ძიებამ და ყურადღების მიღმა დატოვებს ტექსტის ამოსავალი და ისეთი ძირითადი ერთეული, როგორცა არის სიტყვა. სიტყვა, როგორც ფორმისა და შინაარსის შემცველი უმცირესი ერთეული, სიტყვა როგორც უდიდესი ინფორმაციის დამტვევი და სიტყვა, რომელსაც აბარია ექსპრესიის ძირითადი დატვირთვა ტექსტში“ [მერაბიშვილი 2005:52]. მიგვაჩნია, რომ ადეკვატური ლექსიკური ერთეულის შერჩევა, წყარო ტექსტში არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, განსაზღვრავს სამიზნე ტექსტის ინვარიანტულობას, სტილისტურ-ემოციურ შეფერილობას და ამავედროულად მხატვრულ მხარეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინვარიანტის შენარჩუნების მიზნით მხატვრულ თარგმანში ზოგჯერ მთარგმნელი იძულებული ხდება გარკვეულ დათმობაზე წავიდეს და შესაბამისად სამიზნე ტექსტში მივიღოთ ჩამატებული

სიტყვები ან სიტყვათშეთანხმებები. სამწუხაროდ, ციტირებულ პასაჟში არსებული ინტერპოლაცია ეწინააღმდეგება დედანში არსებულ კონტექსტს, ვინაიდან წყარო ტექსტში საუბარია მხოლოდ ხორციელ მკურნალ ექიმზე და მინიშნებაც კი არ არის რელიგიის მსახურებზე. შესაბამისად, ჩვენთვის გაუგებარია რა მიზნით მოხდა მთარგმნელის მიერ სიტყვის „მღვდლები“ ჩამატება და მკითხველისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რაც სავსებით გაუმართლებელი და მიუღებელია.

ო.უორდროპისგან განსხვავებით ქ. ვივიანი შინაარსობრივად ზუსტად მიყვება დედანს და ადეკვატურ თარგმანს გვათავაზობს: „I asked him: Why would you not allow the others to treat you? He answered: I put them all to the test. There was not one wise man among them, and a physician without wisdom is one who sows poison“ [Vivian 1982:99].

მხატვრული ნაწარმოების თარგმნისას მთარგმნელს არანაკლებ სირთულეს უქმნის დედანში არსებული ფრაზეოლოგიზმების თარგმნა, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში გააჩნიათ ნაციონალური ელფერი. ამ საკითხთან დაკავშირებით დ. ფანჯიკიძე წერს: „ფრაზეოლოგიური ერთეულები მიეკუთვნება ენის გამომსახველობით საშუალებებს, რომელთაც აქვთ დამატებითი ნაციონალური შეფერილობა. ამიტომ თვით ნეიტრალურ-სტილისტური ფრაზეოლოგიზმები იძენენ კონტექსტში ექსპრესიას“ [ფანჯიკიძე 1995:33]. აქედან გამომდინარე ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას ძირითად ორიენტირად აღებული უნდა იყოს მთლიანი შესიტყვების და არა ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ხატოვანი ფრაზეოლოგიზმების თარგმნა, არახატოვანი ფრაზეოლოგიზმებისგან განსხვავებით, გაცილებით დიდ სირთულეს უქმნის მთარგმნელს, ვინაიდან ავტორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის ამოსაცნობად მან უნდა გაანალიზოს ცალკეული ენობრივი ელემენტების შინაარსი, სტილისტური და ექსპრესიული შეფერილობა და ამის შემდეგ დაიწყოს არამხოლოდ შინაარსობრივად ზუსტი არამედ შესაბამისი სტილისტური ფორმის მქონე ლექსიკური შესატყვისის მოძიება, რაც საკამოდ ხშირად შეუძლებელია. თარგმანების შეპირისპირებისას, ბუნებრივია დავინტერესდით თუ რამდენად წარმატებით გაართვეს თავი მთარგმნელებმა ფრაზეოლოგიურ ერთეულებს და მათ ტრანსფორმაციას სამიზნე ტექსტში, რომლებიც უცხო არ არის სულხან-საბას თხორობის სტილისთვის და ასევე უხვად გვხვდება „სიბრძნე-სიცრუსაშიც“.

განვიხილოთ ქართული ენისთვის სახასიათო ფრაზეოლოგიური შესიტყვება არაკიდან „ინდოთ მეფე და ვაზირნი“, სადაც ავტორი მოგვითხრობს რომ მეფეს თავისი ხუთი ვაზირიდან, ვაზირთა უხუცესი ყველაზე მეტად უყვარდა და „თავსაცა თვისსა ერჩინა“. ო.უორდროპი ფრაზას შინაარსიდან გამომდინარე თარგმნის „The king loved the chief vizier more than his own head“ [Wardrop 1892:21] – „მეფეს უფროსი ვაზირი/ვაზირთუხუცესი საკუთარ თავზე მეტად

უყვარდა“. აშკარაა, რომ მთარგმნელი ვერ ახერხებს ამ იდიომური ფრაზისთვის თანატოლი მხატვრული შესატყვისის მოძიებას თუმცა ამ დანაკლისის კომპენსირებას შინაარსის სიზუსტის დაცვით ცდილობს. რაც შეეხება ქ. ვივიანს იგი გარკვეულწილად ცილდება დედანს და შემდეგ თარგმანს გვთავაზობს „Loved him better than his own kin“ [Vivian 1982:13]. ლექსიკური ერთეული „Kin“ აღნიშნავს „ნათესაობას, ოჯახს, სისხლით ნათესავს“. შესაბამისად ვივიანის თარგმანში ვკითხულობთ, რომ „მეფეს თავის საკუთარ ნათესაებზე მეტად უყვარდა“ ვაზირი, რაც აშკარად ეწინააღმდეგება დედანს, ვინაიდან მეფეს იგი თავის თავზე მეტად უყვარდა.

ასევე საინტერესოა რუქას მიერ წარმოთქმული ფრაზის: „თქვენ რომ ორნი-სამნი გაბიძამამიდეხულხართ“ („თხა და მელი“) ტრანსფორმაცია თარგმანში. მოცემული ფრაზა თავისთავად საკმაოდ მრავლისმეტყველია. რუქა მიაწინებს, რომ ისინი გაერთიანებული არიან, პირი აქვთ შეკრული და ერთმანეთს მხარს უჭერენ. ო.უორდროპი წარმატებით ართმევს თავს შინაარსობრივი ინფორმაციის ტრანსფორმაციას სამიზნე ტექსტში „There are two or three of you in alliance“ – „თქვენ ორნი თუ სამნი გაერთიანებულხართ“. თუმცა, დასაინათეს რომ მთარგმნელი ვერ ახერხებს სტილის შენარჩუნებას და ექსპრესიული შესიტყვების მოძიებას ინგლისურ ენაზე. ქ. ვივიანის თარგმანში კი ვკითხულობთ „You three are like kinsmen“, სიტყვასიტყვით „თქვენ სამნი ნათესაებებით ხართ“. ამ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ მთარგმნელი სცილდება დედანს, რაც გამოიხატება შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაციის დარღვევაში, რომელიც ტექსტში იმპლიციურებულია ავტორის მიერ და მისი ამოცნობა მთარგმნელის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. ინგლისური სიტყვა „kinsmen“ ნიშნავს ნათესავს, ხოლო ლექსიკური ერთეული „ნათესავი“ თავისთავად, უპირობოდ, არ გულისხმობს ერთ აზრზე მყოფს. შესაბამისად, ინგლისური მკითხველისთვის გაუგებარი რჩება ამ კონკრეტულ ფრაზაში ავტორის მიერ იმპროვიზირებული აზრი.

წინამდებარე ნაშრომში მოყვანილია ჩვენ მიერ შესწავლილი მაგალითების მხოლოდ მცირე ნაწილი. მიუხედავად ამისა, ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოთ განხილული ორი თარგმანიდან არცერთი არ არის უნაკლო. თუმცა მიგვაჩნია, რომ ქ. ვივიანის თარგმანი უმეტეს შემთხვევაში ზუსტად მიყვება დედანს, განსხვავებით ო.უორდროპის თარგმანისგან, სადაც ხშირია შინაარსობრივ-ფაქტობრივი უზუსტობები და მთარგმნელის მხრიდან თავისუფალი მიდგომის მაგალითები.

#### ლიტერატურა:

1. ბარამიძე ალ., - სულხან-საბა ორბელიანი: ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1959;

2. მერაბიშვილი ი., - „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“. საქართველოს ბაირონის საზოგადოება, თბილისი, 2005.
3. ორბელიანი ს., - „სიბრძნე-სიცრუსა“, თბილისი, 1970;
4. საყვარელიძე ნ., - თარგმანის თეორიის საკითხები, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი 2001.
5. ფანჯიკიძე დ., თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1995.
6. Vivian K., - The Book of Wisdom and Lies, publishing house “Octagon Press”, London, 1982.
7. Wardrop O., -The Book of Wisdom and Lies, London, 1894.
8. Oxford Advanced Learner’s Dictionary.
9. Рецкер И.И - Теории перевода и переводческая практика. Очерки лингвистической теории перевода. Москва, 1974.
10. <https://dictionary.ge/>
11. <https://www.multitran.com/>

**Natia Iashvili**

### **Comparative Analysis of English Translation of “The Book of Wisdom and Lies”**

#### **Abstract**

Fiction is a spiritual and cultural source of existence for the nation providing significant information regarding the stages of cultural development and life of certain people. Unfortunately, many unique Georgian literary works and poems are not translated into foreign languages and therefore are completely unknown to the world. However, “The Book of Wisdom and Lies” written by Sulikhan-Saba Orbeliani, can be considered as one of the exception, since it has been translated into many languages (English, Russian, French, German, Czech, Hungarian, Polish, Ukrainian and Lithuanian). It is noteworthy, that there are two English translations of the referred composition performed by Oliver Wardrop and Katherine Vivian. Topic of the current article is to review English translations of the “Book of Wisdom and Lies” through using the method of comparative analysis in order to determine which one is accurate and whether the translators succeeded to transform essential (semantic) – factual information from the source text to the target text.

რეცენზენტი: პროფესორი ნათია ზვიადაძე





რეალურად, განიცდიდა მას. ნაწარმოებში „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოკითხულ ისტორიულ მოვლენასა და აწმყოს შორის თითქმის მთლიანად წაშლილია ზღვარი. ლიტერატურული თვალსაზრისით, „უსახელო უფლისციხელი“ ფრიად ორიგინალური, ეკლექტიკური მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც რამდენიმე ჟანრს აერთიანებს. ის კერძო ჩანაწერიცაა, პირადი დღიურიც, ესეც, მოთხრობაც თავისი გამოგონილი გმირით, შეთხზული სიტუაციით და დოკუმენტური პროზაც. შეიძლება ითქვას, რომ „უსახელო უფლისციხელი“ ახალი ლიტერატურული ჟანრია, რომელშიც ეფექტურად და დამაჯერებლად გადმოგვცემს ავტორი თავის სათქმელს.

ისტორიულ თემატიკაზე მწერლისეული ჩანაფიქრი აუხდენელ ოცნებად დარჩა. თუმცა ამ ჟანრში რისი შექმნაც მოასწრო, ნათლად მეტყველებს მის სრულიად გამორჩეულ დამოკიდებულებაზე ამ თემისადმი. მწერლის მხატვრული ესთეტიკა ამ ჟანრთან მიმართებაში ტრადიციული მიდგომისგან განსხვავებული, ახალი, მხოლოდ მისეული და ესთეტიკური თვალსაზრისით ძალზე საინტერესო იყო.

**საკვანძო სიტყვები:** რჩეულიშვილი, მოთხრობები, ისტორიული თემატიკა.

საუკუნეთა განმავლობაში ისტორიული თემატიკა ქართული ლიტერატურის თანამდევია იყო. როცა ქართველი მწერლები ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთს აცოცხლებდნენ, დისტანცია მწერლის დროსა და წარსულის მოვლენებს შორის ყოველთვის დაცული იყო. გურამ რჩეულიშვილი კი სრულიად ახლებურად შეეხო ამ თემას. მან წარსული და აწმყო ისეთი მხატვრული დამაჯერებლობით გააერთიანა, რომ დროის ზღვარი წაიშალა. ამ საერთო დროში მწერალი უმეტესად უშუალო დამკვირვებლად, გაცხადებულად, ანუ მოქმედ პირად გვევლინება. ეს ზოგადად მისი შემოქმედებითი კრედო იყო. ამიტომ ისტორიული თემისადმიც მწერლის ამგვარი მიდგომა გასაგებია, რადგან გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულს გურამ რჩეულიშვილი თავისი ხედვით, ორიგინალური აზროვნებით, უჩვეულო, მისეული მხატვრული ხერხებით, შეიძლება ითქვას, შემოიჭრა ქართულ ლიტერატურაში და წარუშლელი კვალი დატოვა. მისი მხატვრული ესთეტიკა ისეთ დამანგრეველ ძალად შეიგრძნო ქართველმა მკითხველმა, რომ მოლოდინად იქცა იმ ახლის მისაღებად, რაც სრულიად ახალგაზრდა მწერლის ენერგეტიკაში იგრძნობოდა. მისი გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე ბუნებრივი რეალობიდან ამოვარდნილი საზოგადოებისათვის ახალი რეალობის პერსპექტივის შეგრძნებად აღიქმებოდა.

ისტორიული თემით მისი დაინტერესება არ არის შემთხვევითი, რადგან გურამ რჩეულიშვილი პროფესიით ისტორიკოსი იყო და ამ პროფესიასთან გენეტიკაც აკავშირებდა. იგი ივანე ჯავახიშვილის დის შვილიშვილი და ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნის - ლევან რჩეულიშვილის ძმისწული იყო. საარქივო დოკუმენტებით ცნობილია, რომ ის, როგორც

ისტორიკოსი, ინტენსიურად მონაწილეობდა ხოვლეს, ბიჭვინთის, ურბნისისა და სხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებში. გიორგი მელიქიშვილის ხელმძღვანელობით სწავლობდა ლურსმულ დამწერლობას. მწერლის პირად არქივში ინახება მისი ხელით გადმოწერილი ლურსმული წარწერები შესაბამისი გერმანული თარგმანებით.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება ისტორიულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებით არ არის მდიდარი, თუმცა ამ მიმართულებით მასშტაბური ჩანაფიქრი ჰქონდა, რაზეც ნათლად მიუთითებს ავტორისეული მინაწერი 1957 წელს შექმნილი ნოველისათვის („ლამაზია გურჯის ქალი“): „ეს პირველი ამბავი ალბათ დასაწყისი იქნება ნოველების დიდი ციკლისა ისტორიიდან. ჯერ ოღონდ შესწავლა უნდა. ხოშიანი მუსიკა იყო რადიოში ახლა: იმან მომაგონა ლეკიანობა, მერე სადგო წავიდა: უცებ გამივარდა კალამი“ (რჩეულიშვილი 2002, 41).

ეს მინაწერი საბედისწერო ფრაზით მთავრდება. მისი ხელიდან მართლაც უცებ გავარდნილ კალამს თან გაჰყვა ეს და კიდევ მრავალი ჩანაფიქრი. როგორც მარინე რჩეულიშვილი წერს: „გურამი მომდევნო წლებში ხშირად წერდა ხოლმე ქართული ხასიათის, საქართველოს ისტორიის კვლევასთან დაკავშირებულ გეგმებზე. „ლამაზია გურჯის ქალი“, ამ მხრივ, პირველი ნაწარმოებია“ (რჩეულიშვილი 2002, 348).

ისტორიულ თემაზე შექმნილი მისი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია „უსახელო უფლისციხელი“. ამ მოთხრობაში ხელშესახებად ჩანს ისტორიკოსის ხედვა, რასაც კარგად გრძნობდა თავადაც, რადგან აღნიშნავდა, რომ სწორედ თავისი პროფესიით განსხვავდებოდა სხვა მწერლებისგან. მას, როგორც ისტორიკოსს, სხვაგვარად მიეწოდებოდა წარსული და მძაფრად, თითქმის რეალურად, განიცდიდა მას. ნაწარმოებში „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოკითხულ ისტორიულ მოვლენასა და აწმყოს შორის თითქმის მთლიანად წაშლილია ზღვარი. მწერალი იმავე ქვაზე ზის, რომელზეც, მისი განცდით, ალბათ, უფლისციხის გარდამტეხი შეტაკების მომგები გმირი ვამეხი იჯდა. იგივე ფიქრები და საზრუნავი აშფოთებს, რაც - ვამეხს და საერთოდაც, ვამეხი იქვეა, მის გვერდით.

ოღონდ მწერალს ეფიქრება იმ უენო, უსახელო გმირის ბედი, რომელმაც უფლისციხე იხსნა და საზღაურად ისტორიაში მოხსენიებაც არ ერგო. ეს ეპიზოდი განსაკუთრებული სიმძაფრით იკითხება: „თხოვენ: თქვას თავისი ვინაობა. ის კი უენოა. თხოვენ: დაწეროს თავისი გვარი ან სახელი. მან კი წერა არ იცის. და გვერდზე საკანში ღვთისმოსავი კაცი, უფლის მონა ფურცლავს მათიანეს და წერს დიდი ასოებით: „ჟამსა ამასა და ამასა, წყალობითა ღვთისათა, დიდმა მთავარმა ვამეხმა სძლია მტერსა და უკუაქცია იგი კედლებიდან უფლისციხისა“ (რჩეულიშვილი 2002, 212). ასე მიეწერება უსახელო უფლისციხელის გმირობა დიდ მთავარ ვამეხს მხატვრულ რეალობაში. ამ ეპიზოდს მოთხრობაში მოსდევს საოცრად ბუნებრივი გადასვლა წარსულიდან აწმყოში: „მე

ვფიზიკურად ვხედავ. მზე ჩასულა. ქარი კი მატულობს. ვდგები. მეჩვენება, რომ მე ვიცი იმ კაცის სახელი. ალბათ ვაჟა ერქვა, ან, უბრალოდ, კაცებო, ან გურამი, ან რატი. იმასაც ეს ერქმეოდა. ჰო, უეჭველად რომელიმე მათგანია ის“ (რჩეულიშვილი 2002, 213).

მოთხრობაში ამ ეპიზოდს ახალი, წმინდა ფსიქოლოგიური თემატიკა შემოაქვს, თუმცა ისეთი მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული, ისე ბუნებრივად ერწყმის ძირითად სათქმელს, რომ მთავარი თემა თავის ადგილას რჩება. მოთხრობა ვრცელი ისტორიული ექსკურსით იწყება. მწერალი დასაწყისშივე გვაცნობს თავის მიზანს: „რამდენიმე ხნის წინათ გადავწყვიტე დამეწერა ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი უფლისციხეზე. ეს არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. რაღაც დაიბადა იდეასავით და მოკვდა. პირველადვე წყაროების სიმცირე მომხვდა თვალში, მაგრამ აღარ დამიხვეია უკან. გავეცანი აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს სავაჭრო გზებს. ახლა სადამოა. ვზივარ შინ და ვკითხულობ კონსპექტს; ის სულ უფრო მითრევს: რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში“ (რჩეულიშვილი 2002, 204).

მწერალი თამამად ეხება ისტორიის ამ „ცოცხალს“ და ახერხებს მკითხველსაც შეაგრძნობინოს ის. ახლა მკითხველი მწერლის მიერ „კარგად შეგრძნობილი“ უფლისციხისკენ აგრძელებს მასთან ერთად მოგზაურობას და იკვრება საოცარი წრე: მწერალი, მკითხველი, წარსული და აწმყო, რომლით ტკობასაც ვერასოდეს ახერხებს ადამიანი, რადგან ყოველი წამი იმავე წამში გადადის წარსულში. ეს არ არის მოგზაურობა ერთი გეოგრაფიული პუნქტიდან მეორემდე, ეს დროში მოგზაურობას უფრო ჰგავს. აი, აწმყო და იქვე გვერდით წარსული: „აგერ კასპის ცემენტის ქარხანა, იმის გადაღმა თეთრად დათხრილი საბადოები. მატარებელი ჩერდება. მიდის. ჩერდება. გრაკლიდან ხოვლე მოჩანს. ხოვლეს ბოლოზე უძველესი სამოსახლო ბორცვი ითხრება...მე ქვახვრელში ჩამოვდივარ...ამდენი შთაბეჭდილება ერთ დღეში! ერთი ადგილი ვერ ვნახე, რომ თავისი ისტორია არ ჰქონდეს, რომ ქვა არ იყოს ქვაზე დადებული. და ეს მონაკვეთი, რაც მე დღეს ვნახე, ნაწილია ერის დიდი ისტორიისა“ (რჩეულიშვილი 2002, 207).

ლიტერატურული თვალსაზრისით, „უსახელო უფლისციხელი“ ფრიად ორიგინალური, ეკლექტიკური მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც რამდენიმე ჟანრს აერთიანებს. ის კერძო ჩანაწერიცაა, პირადი დღიურიც, ესეც, მოთხრობაც თავისი გამოგონილი გმირითა და შეთხზული სიტუაციით და დოკუმენტური პროზაც. ეს უკანასკნელი მოგვიანებით, გურამ რჩეულიშვილის გარდაცვალების შემდეგ, გახდა პოპულარული და არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ კინემატოგრაფიაშიც.

შეიძლება ითქვას, რომ „უსახელო უფლისციხელი“ ახალი ლიტერატურული ჟანრია, რომელშიც ეფექტურად და დამაჯერებლად გადმოგვცემს ავტორი თავის სათქმელს. მოთხრობის დაწერის ისტორია პირადი და ახლობლების მოგონებებითა და გურამ რჩეულიშვილის საარქივო

მასალით აღადგინა მისმა დამ - მარინე რჩეულიშვილმა. ეს ისტორია ამგვარია: 1957 წლის გაზაფხულზე სხვა ახალგაზრდა მწერლებთან ერთად „ცისკრის“ რედაქტორმა ვახტანგ ჭელიძემ გურამ რჩეულიშვილსაც შესთავაზა ჟურნალისტთვის საქართველოს ისტორიიდან ლიტერატურულ-ისტორიული ნარკვევის დაწერა. როგორც მარინე რჩეულიშვილი გვამცნობს, მწერლის პირად არქივში ინახება მის სახელზე გაცემული 21-30 ივნისით დათარიღებული სამივლინებო ბარათი გორში. მისი ფიქრით, ეს მივლინება უკავშირდება სწორედ უფლისციხისადმი მიძღვნილი ნარკვევის დაწერას, რომელიც საბოლოოდ მხატვრულ ნაწარმოებად („უსახელო უფლისციხელი“) იქცა. მარინე რჩეულიშვილი აქვეყნებს მწერლის ჩანაწერს აღნიშნული მოთხრობის შესავლის თეთრი ვარიანტისათვის: „ისტორია და ლიტერატურა ერთ ამბავს ემსახურება სხვადასხვა მხრიდან. ორივეს საერთო ვალია, იცოდეს ხალხმა, როგორია ცხოვრება ან როგორი იყო ცხოვრება და მიიღოს ახლის შექმნისათვის გამოცდილება. ისტორია თავზე იღებს ფაქტობრივ მხარეს შორეული წინანდელისა თუ გუშინდელი დღისას, ლიტერატურა კი აცოცხლებს მას და მკითხველსაც თავისი გმირების ცხოვრებით აცხოვრებს. ისტორიაც და ლიტერატურაც ერთნაირი ძალით აშუქებენ მომავალს, სხვაობა იგივეა: ერთი იძლევა მხოლოდ მეცნიერულ ფაქტებს, მეორე ფაქტებს, ოღონდ მხატვრულად. არის რაღაც საშუალოც, არა ისეთი სრულფასოვანი, როგორც ისტორია ან ლიტერატურა ცალ-ცალკე, მაგრამ გარკვეულ დროს უდაოდ გარკვეული ღირებულების შემცველი. ეს არის ნარკვევი, ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი“. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩანაწერი არის გურამ რჩეულიშვილის მწერლური, პროფესიული და მოქალაქეობრივი კრედიო (რჩეულიშვილი 2002, 391).

გარდა „უსახელო უფლისციხელისა“, ისტორიული თემატიკა იგრძნობა დაუსრულებელ პიესაში „სურამის ციხე“ და მცირე ზომის ნოველებში: „თამარ მეფე“, „ლამაზია გურჯის ქალი“ და სხვა ნაწარმოებებში. ისტორიულ თემატიკაზე მწერლისეული ჩანაფიქრი აუხდენელ ოცნებად დარჩა. თუმცა ამ ჟანრში რისი შექმნაც მოასწრო, ნათლად მეტყველებს მის სრულიად გამორჩეულ დამოკიდებულებაზე ამ თემისადმი. მწერლის მხატვრული ესთეტიკა ამ ჟანრთან მიმართებაში ტრადიციული მიდგომისგან განსხვავებული, ახალი, მხოლოდ მისეული და ესთეტიკური თვალსაზრისით ძალზე საინტერესო იყო.

#### ლიტერატურა:

რჩეულიშვილი გ., 2002, სრული კრებული 6 ტომად, ტ. 2, თბილისი, გამომცემლობა „საარი“

Eter Kavtaradze

**Historical themes in the work of Guram Rcheulishvili****Abstract**

For centuries, historical themes have accompanied Georgian literature. When Georgian writers revived this or that part of history, the distance between the writer's time and the events of the past was always maintained.

Guram Rcheulishvili touched upon this topic in a completely new way. He combined the past and the present with such artistic conviction that the time limit was erased. In this common time, the writer is mostly a direct observer, a declared, or acting person. It was generally his creative credo. His interest in the historical topic is not accidental, as Guram Rcheulishvili was a historian by profession and he also connected genetics with this profession. It is known from archival documents that he, as a historian, participated intensively in Khoveli, Bichvinta, Urbnisi and other archeological expeditions. Guram Rcheulishvili's work is not rich in works on historical themes, but he had a large-scale idea in this direction, which is clearly indicated by the archival material.

From a literary point of view, "Untitled Uplistsikhe" is a very original, eclectic work of art, combining several genres. It is also a private record, a personal diary, an essay, a story with its fictional protagonist, a fictional situation, and a documentary prose. It can be said that "Untitled Uplistsikhe" is a new literary genre in which the author conveys his message effectively and convincingly.

Writing on a historical topic remained an unfulfilled dream. However, what he managed to create in this genre clearly shows his completely distinctive attitude towards this topic. The writer's artistic aesthetics were very interesting from a traditional, new, only aesthetic and aesthetic point of view, different from the traditional approach to this genre.

რეცენზენტი: პროფესორი მ. გავრილონა

## მარიო ვარგას ლიოსას რომანის „ქალაქი და ძაღლები“ ცენზურის ძირითადი მიზეზები ფრანსისკო ფრანკოს ესპანეთში

ნინო ჯოხაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: niniko.jokhadze@yahoo.com

დიდი პერუელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, მარიო ვარგას ლიოსას შემოქმედება უდიდესი ოსტატობით აღწერს იმ ძალადობას, სოციალურ უსამართლობას, საზოგადოებებს შორის დაპირისპირებასა და კორუფციას, რაც ლათინოამერიკული დიქტატორული რეჟიმებისთვის იყო დამახასიათებელი. ლიოსა თავის ნაწარმოებებში გვიჩვენებს მისი, როგორც პერუელის თავგადასავლებსა და გამოცდილებას, მისი თვალთ დასახულ პერუს საზოგადოებას. ავტორიტარიზმის დომინანტობამ როგორც საჯარო, ასევე პირად ცხოვრებაში, უზიდა მწერალს მკაცრად გაესამართლებინა ის პოლიტიკური თუ სამხედრო სისტემები რომლებიც აფერხებდა ინდივიდუალურ ინიციატივას და ზღუდავდა პირად თავისუფლებას. მოძალადე მამასთან ერთად ცხოვრება და ლეონსიო პრადოს სამხედრო სასწავლებელში დანახული უსამართლობა და ძალადობა, იქ მიღებული გამოცდილება გახდა მისი პირველი რომანის „ქალაქის და ძაღლები“ მთავარი თემა, რომელმაც ლიტერატურული კრიტიკოსების გარკვეული ნაწილის ვერსიით ლათინოამერიკულ ბუმს დაუდო სათავე.

ლიოსას შემოქმედებაში „ქალაქი და ძაღლები“ ყველაზე ძალადობრივ ნაწარმოებად არის მიჩნეული. რომანი აღწერს არა დიქტატურას, არამედ დიქტატორული მმართველობის პირობებში მცხოვრებ ძალადობრივ საზოგადოებას. იგი ერთის მხრივ აღწერს ძალადობას, როგორც ინდივიდის გადარჩენისთვის აუცილებელ პირობას, მეორეს მხრივ კი ინდივიდს, რომელსაც არ სურს იყოს მოძალადე, მაგრამ არსებული გარემო მას ძალადობრივი ქმედებებისკენ უზიდავს. ლიოსა გამოხატავს ისტორიულ და თანამედროვე პერუს რეალობას და გვიჩვენებს მოზარდობის პერიოდში მისი თვალთ დასახულ პატივისცემას, დისციპლინასა და პატიოსნებას, აღწერს ისეთ

ინსტიტუტებს როგორცაა ოჯახი, პოლიტიკა და რა თქმა უნდა ჯარი. რომანში ნაჩვენებია კონტრასტი, იზოლაცია და კონფლიქტი.

ლიოსამ ნაწარმოები პარიზში ცხოვრების პერიოდში დაასრულა და მისი გამოქვეყნებისათვის აქტიური მუშაობა დაიწყო. ნაწარმოების გამოქვეყნებაზე უარს ამბობდნენ სამხრეთ ამერიკული და ესპანური გამომცემლობები. ფრანკიზმის პერიოდში, რომელიც ლიტერატურაში განსაკუთრებული ცენზურით გამოირჩეოდა, ნაწარმოებს მრავალი წინააღმდეგობა ხვდა წილად. ფრანკისტული ცენზურის პირობებში აკრძალული იყო ისეთი ნაწარმოებების გამოქვეყნება, რომლებიც მიუღებელი და საფრთხის შემცველი იქნებოდა დამკვიდრებული რეჟიმისათვის, ლიოსას „ქალაქი და ძაღლები“ კი სწორედ დიქტატორული საზოგადოების კრიტიკისაკენ იყო მიმართული.

ფრანგი ესპანეთისმცოდნის, კლოდ კუფონის რჩევით, ლიოსა კატალონიური გამომცემლობის „სეიმ ბარალის“ რედაქტორს, კარლოს ბარალს დაუკავშირდა, რომელიც თანამედროვე ნაწარმოებების გამოქვეყნებით იყო დაინტერესებული. ბარალი ნაწარმოებით აღფრთოვანებული დარჩა, თუმცა აცნობიერებდა იმ წინააღმდეგობებს, რასაც მას ესპანური ცენზურა უქადდა.

**საკვანძო სიტყვები:** „ქალაქი და ძაღლები“, მარიო ვარგას ლიოსა, ფრანკისტული ცენზურა, დიქტატორული საზოგადოება, სამხედრო სისტემის კრიტიკა

მარიო ვარგას ლიოსას რომანი „ქალაქი და ძაღლები“ არის არტეფაქტი, რომელშიც ავტორი 1950-60-იანი წლების პერუს სოციო-პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობას აღწერს. ნაწარმოები გამოხატავს პროტესტს ნორმად აღქმული ძალადობისა და შიშის მიმართ. აღნიშნული რომანის საშუალებით ლიოსა აკრიტიკებს ერთის მხრივ ოდრიას პერიოდის საზოგადოებაში არსებულ ცრურწმენებსა და კლასობრივ და რასობრივ უთანასწორობას, მეორეს მხრივ კი - სამხედრო და საგანმანათლებლო სისტემას.

რომანში ძალაუფლების ცნება მორალური კონოტაციის მატარებელია და ბოროტებასთან არის გაიგივებული. ლიოსა არის ავტორი, რომელიც ცდილობს ერთგული იყოს როგორც საკუთარი ცხოვრებისეული პასაჟებისა, ასევე მის გარშემო არსებული სოციალურ რეალობისა. მას არ ეშინია საკუთარი სახელების გამოყენება ხალხის, ინსტიტუციების და გარემოს გასაკრიტიკებლად. იგი კრიტიკული რეალიზმის საშუალებით ამხელს მაჩიზმსა და ღიმილს სამხედრო კოლეჯში არსებულ ძალადობას და გვიხატავს იმდროინდელი პერუს რეალურ სახეს.

[Oviedo, 2012]



ნაწარმოებში ლეონსიო პრადოს კადეტები ძაღლებთან არიან გაიგივებულები, ცხოველთან, რომელიც უპატრონოა და უმისამართოდ დაეხეტება. მწერალი ხაზს უსვამს მოზარდების გაურკვეველ, მარტოსულ და მუდმივად საბრძოლო მდგომარეობას, რადგან სწორედ ამგვარად ხედავდა იგი ინდივიდის მდგომარეობას ისეთ ქვეყანაში, სადაც ავტორიტარიზმი, კორუფცია, უსამართლობა და უთანასწორობა იყო გაბატონებული. რთულია რომანში უდანაშაულოსა და დამნაშავეს შორის განსხვავების დანახვა, რადგან ავტორი ამ განსხვავებას მინიმუმამდე ამცირებს. [Martínez Hoyos, 2015]

ნაწარმოები მიჩნეულ იქნა, როგორც ანტიმილიტარისტული ბრალდება და შეტევა სამხედრო ინსტიტუციაზე, რადგან ავტორი სწორედ სამხედრო სასწავლებელში არსებულ გარემოს აღწერს. წიგნის გამოქვეყნების შემდეგ სამხედრო ხელისუფლებამ სწორედ აღნიშნული მიზეზით მოაწყო ლეონსიო პრადოს ეზოში წიგნის საჯარო კითხვა და შემდეგ რომანის ათასი ეგზემპლარის დაწვა. ნაწარმოები თითქმის ერთი წლის განმავლობაში ებრძოდა ფრანკისტულ ცენზურას. არ არის გასაკვირი რომ პერუში, კერძოდ კი ლიმაში, წიგნის გამოქვეყნება წინააღმდეგობებით იქნებოდა აღსავსე, მაგრამ რა პრობლემებს ხედავდა ესპანური ცენზურა ლიოსას რომანში? მისი სხვა დიქტატორული ჟანრის ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, რომანში არ ვლინდება დიქტატურის ან დიქტატორის პირდაპირი კრიტიკა, მაშინ რატომ იყო ნაწარმოები ფრანკოს რეჟიმისთვის მიუღებელი? აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა აღნიშნული სტატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრანკისტული ცენზურის პირობებში მხატვრული ლიტერატურის აკრძალვა შემდეგი ფაქტორებით იყო განპირობებული: რელიგიის შეურაცხმყოფელი თემატიკა, სექსუალობასთან დაკავშირებული თემატიკა, შეუსაბამო და პროვოკაციული ენა და რეჟიმის საწინააღმდეგო აზრების მატარებელი ლიტერატურა. აღნიშნული თემატიკა რეჟიმისთვის მიუღებლად და საფრთხის შემცველად კი აღიქმებოდა. ლიოსას რომანის ძირითად სათქმელში - პერუს საზოგადოებაში არსებული მანკიერებების პირდაპირ კრიტიკაში, ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებთან გარეგნული კავშირი არ შეიმჩნევა, თუმცა ნაწარმოების გაანალიზების შემდეგ ნათელი ხდება, რომ რომანი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ტაბუირებულ თემას მოიცავს. აღნიშნულ სტატიაში ლიოსას რომანს „ქალაქი და ძაღლები“ თითოეული ზემოთ აღნიშნული თემის ჭრილში განვიხილავთ.

რელიგიის შეურაცხმყოფელი თემატიკა - „ქალაქი და ძაღლები“ არის რომანი, რომელიც რელიგიური თემატიკისაგან საკმაოდ შორს დგას, თუმცა ლიოსა გვერდს ვერ უვლის იმდროინდელი რელიგიის გაგებასა და სასულიერო პირების როლს საზოგადოებაში. „მღვდელი პატრიოტულ ქადაგებას აღავლენს და კადეტებს წინაპრების შეურყენელ ცხოვრებაზე უამბობს,

ღმერთისა და პერუს სიყვარულს შთააგონებს, დისციპლინასა და წესრიგს განადიდებს, სამხედროებს წმინდა მისიონერებს ადარებს, გმირებს - წმინდანებს, ეკლესიას კი - ლაშქარს. კადეტებს კაპელანი უყვართ, ნამდვილი მამაკაციაო, ამბობენ; ბევრჯერ უნახავთ სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი, კალიაოს<sup>1</sup> ყველაზე საეჭვო უბნებში ალკოჰოლის სუნით აქოთებული რომ დაბორილებს და მსუნაგ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს“ [ლიოსა, 2017:145] - აღნიშნულ ეპიზოდში კარგად ჩანს ლიოსას დამოკიდებულება იმ პერიოდის სასულიერო პირების მიმართ. ლიოსა აღწერს ქადაგებას, სადაც სამხედროები, რომლებიც რომანში კორუმპირებულ, მოძალადე და უსამართლო ადამიანებს წარმოადგენენ, წმინდანებთან არიან შედარებულნი. მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოების და მმართველი პირების მსგავსად, სასულიერო სამყაროც ნორმად აღიქვამს გაბატონებულ უსამართლობას და ძალადობას, რომ ერთადერთი მღვდელი, რომელიც ნაწარმოებშია აღწერილი, თავად ეწევა ამორალურ ცხოვრებას, რაც პირდაპირ მიუთითებს მის უუნარობაზე მორალური მხარდაჭერა გაუწიოს საზოგადოების ჩაგრულ წევრებს. ლიოსა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იმდროინდელი პერუს საზოგადოებისათვის არ არსებობდა მორალური და სულიერი მხარდაჭერა, სასულიერო სამყაროს ფუნქცია დაკარგული იყო. სწორედ აღნიშნული ეპიზოდი იწვევდა ცენზურის წინააღმდეგობას, რადგან ნაწარმოები ფრანკოს მოკავშირე, ხელშეუხებელი კათოლიკური ეკლესიის მიმართ შეტევად იყო აღქმული.

სექსუალობასთან დაკავშირებული თემატიკა - რომანში „ქალაქი და ძაღლები“ სექსუალობა ყოველთვის ზედაპირზეა. მოზარდი გმირების მიერ გენიტალური მახასიათებლების მიმართ ავადმყოფობის გამომჟღავნება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მათ მიერ გაგებული მამაკაცურობა, ფალოსის, როგორც მამაკაცის ძალაუფლების სიმბოლოს თაყვანისცემას გულისხმობს. რომანში სექსუალობა არის იატაკქვეშა კონფლიქტების განმათავისუფლებელი იმპულსი, ველურული ფორმა პროტესტისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებულ თვალთმაქცობას. ეროტიკა ღიად ვლინდება მთავარი გმირების ამოუწურავ სექსუალურ ფანტაზიებში, მრავალი სექსუალური ხასიათის ქცევებში, როდესაც ალბერტო წერს ეროტიკული ხასიათის მოთხრობებს, როდესაც ის მეძავ „ოქროს ფეხებთან“ წასვლაზე ოცნებობს, კადეტების ქათამთან და ლიმასთან ზოოფილიის აქტებში, მასტურბაციაში, ბორდელის სცენებში, პორნოგრაფიასა და ექსპოზიციონალიზმში. ეროტიკული ეპიზოდები არა მხოლოდ გარკვეულ ეპიზოდებში ვლინდება, არამედ მთლიან ფონად გასდევს რომანს. კადეტების მხრიდან სექსუალობის გამოვლენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთგვარი წინააღმდეგობა იყო იმ

<sup>1</sup> ქალაქი პერუში

სამყაროს მიმართ, რომელშიც მოზარდები ცხოვრობდნენ, ლიოსას მიერ სექსუალური სცენების დეტალური აღწერა კი კიდევ ერთხელ ადასტურებს მის პროტესტს იმ დროინდელი არაჯანსაღი გარემოს მიმართ. ცენზურის წინააღმდეგობის ერთ-ერთი მიზეზი რაღა თქმა უნდა რომანის სექსუალური ხასიათი გახლდათ, ცენზორები აღნიშნავდნენ, რომ რომანი მხოლოდ და მხოლოდ უხამსობისა და გარყვნილების აღწერას წარმოადგენდა. სწორედ იმის გამო, რომ ზემოთ აღნიშნული სცენების ნაწარმოებიდან ამოღება რომანის სათქმელს მთლიანად შეცვლიდა და აზრს დაუკარგავდა, ლიოსა უარს ამბობდა ცენზურის შეზღუდვებზე და კატალონიური გამომცემლობის „სეიმ ბარალის“ რედაქტორთან, კარლოს ბარალთან ერთად აგრძელებდა ბრძოლას რომანის ორიგინალური ვერსიის გამოსაცემად.

შეუსაბამო და პროვოკაციული ენა - „ქალაქი და ძაღლების“ ცენზურის ერთ-ერთი მიზეზი იყო რომანის ენა. ლიოსა თხრობის განსხვავებულ ტექნიკას იყენებს და სურს რეალობა მაქსიმალური სიზუსტით აღწეროს, რაც ვლინდება ლიმას სხვადასხვა უბნების, პერსონაჟების და სასწავლებლის დეტალურ აღწერაში, თუმცა რომანში ასახული რეალობის ხარისხი პირდაპირ არის დაკავშირებული პერსონაჟების ენასთან. რომანში არსებული ლექსიკა უკავშირდება მოზარდობის პერიოდში ლიოსას მიერ დანახულ ცხოვრებას. ამ შემთხვევაში ენა გამოხატავს ქმედებებს და ემოციებს. რომანის გმირების მიერ გაჟღერებული გინება, ლანძღვა, ჟარგონი, უწმაწური სიტყვები და ვულგარიზმები, მათ მიერ გამოვლენილ სექსუალობასთან ერთად პროტესტის გამოხატველია. იმისათვის, რომ მკითხველს ზუსტი შთაბეჭდილება შეექმნას პერსონაჟების ხასიათსა თუ მათ შინაგან განცდებზე, ლიოსა თავს არ არიდებს მათი ნატურალისტური ენის აღწერას, რაც რომანს კიდევ უფრო მეტ სიცხადესა და ბუნებრივობას სძენს. მიუხედავად ამისა, ცენზურა ნაწარმოების წინააღმდეგობის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ლექსიკას ასახელებდა და „ყაზარმებისა და ბორდელებისათვის დამახასიათებელი“ უხამსი გამონათქვამების სიჭარბეზე მიუთითებდა.

რეჟიმის საწინააღმდეგო აზრები - „ქალაქი და ძაღლები“ არ არის რომანი, სადაც აშკარა პოლიტიკური იდეებია გამოხატული. მიუხედავად იმისა, რომ 60-70-იან წლებში ლიოსა სარტრის იდეებით იყო გატაცებული და აშკარა მემარცხენე სოციალისტურ პოზიციებზე იდგა, როგორც ლათინოამერიკელთა უმრავლესობა, რომელთაც დიქტატურის პერიოდში უწევდათ ცხოვრება, რომანს არ აქვს პოლიტიკური დატვირთვა. ეს არის კრიტიკა პერუს საზოგადოებისა, რომელიც რეპრესიული სისტემის პირობებში ცხოვრობდა. ლიოსა ხაზს უსვამს, ინდივიდის ამბოხის უნარის მნიშვნელობას, რაც სოციალიზმის გავლენით იყო განპირობებული, თუმცა აღნიშნული შეხედულება არანაირად არ მოიზარებოდა დიქტატორული რეჟიმის საწინააღმდეგო აზრების გავრცელებაში, რაც ფრანსისკო ფრანკოს რეჟიმს შესაძლოა თავის თავზე მიეღო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიოსა პირდაპირ არ აკრიტიკებს არც პოლიტიკურ სისტემას, არც დიქტატორს და არც მთავრობის პოლიტიკურ იდეოლოგიას, მაგრამ მისი კრიტიკის სამიზნე არის ჯარი, სამხედრო სისტემა, რომელიც ნებისმიერი დიქტატორული რეჟიმის საყრდენსა და საფუძველს წარმოადგენს. რომანში აღწერილია ძალადობა, რომელსაც სამხედრო სისტემა ინდივიდებზე, ინდივიდები კი ერთმანეთზე ახორციელებენ. ლეონსიო პრადოს სამხედრო სასწავლებელში არის ძალაუფლება ძალაუფლებაზე. სახეზეა ორი ძალაუფლების მქონე სისტემა: ერთი გახლავთ კოლეჯის მმართველობა, რომელიც ძალის გამოყენებით აკონტროლებს სამხედროების ქმედებებს, მეორე კი არის სტუდენტების მიერ შექმნილი „წრე“, რომელიც აკონტროლებს სხვა სტუდენტებზე განხორციელებულ ძალადობას. ცნობილი ესპანელი ფილოლოგი, ვიქტორ გარსია დე ლა კონჩა სტატიაში „რომანი წრეში“ აღნიშნავს, რომ ლიოსას მიერ აღწერილ კადეტთა სამყაროს სურს უარყო მასწავლებლების მიერ დაწესებული წესები, მათ სძულთ ის ინსტიტუცია, რომელიც მათ რყვნის, თუმცა არ ძალუძთ ჯანსაღი პროტესტის გამოხატვა. სისტემის ძალადობას ისინი მათ მიერ დაარსებულ ძალადობრივ „წრეს“ უპირისპირებენ, რაც სხვა არაფერია თუ არა ლეონსიო პრადოს სისტემის კოპირება. [García de la Concha, 2012]

პერუელი პოეტი და ლათინური ამერიკის ლიტერატურის მკვლევარი ხოსე მორალეს სარავია აღნიშნავს, რომ ლეონსიო პრადოს მიზანი იყო ბიჭების კაცებად ქცევა და მათთვის ერის ღირსების დაცვის სწავლება, რაც თავის მხრივ პარადოქსს წარმოადგენდა, რადგან ნაწარმოებში აღწერილ უსამართლო გარემოს ღირსებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. [Saravia, 2011]

მიუხედავად კადეტებზე განხორციელებული ძალადობისა, სამხედრო სასწავლებლის წარმომადგენლები მუდმივ დაუმორჩილებლობასა და დამცირებას აწყდებიან მოზარდების მხრიდან. კადეტები მუდმივად არღვევენ კოლეჯის წესებს და მითითებებს, დასცინიან მასწავლებლებს და ძალადობენ იმ სოციალურ სისტემაზე, რომელშიც თავიდან იბადებიან. [Kristal, 2012] პოლკოვნიკი ვერ აშველებს მათ ჩხუბის დროს, ფრანგულის მასწავლებელ ფონტანას ატირებენ, ლეიტენანტს აბუჩად იგდებენ: „ლეიტენანტი რემიხიო უარინა ოფიცრების სამყაროში იგივე იყო, რაც მონა - კადეტებს შორის: უცხო სხეული. მის წარმოთქმულ ბრძანებას კადეტები ქირქილით ხვდებოდნენ, რისხვაზე ყურს არ აბარტყუნებდნენ, პატაკს უგულისყუროდ აბარებდნენ და ქედმაღლურად შესცქეროდნენ“ [ლიოსა, 2017:166], პოლკოვნიკს კი პატივს არ სცემენ: „პოლკოვნიკის თეთრი და პატარა მუშტი პატივისცემას არ იწვევდა“ [ლიოსა, 2017:303] ლეიტენანტმა გამბოამ მხოლოდ ალბერტოს დასმენის შემდეგ შეიტყო სტუდენტთა შორის არსებული კორუფციის შესახებ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს რომანის მთავარ პოსტულატზე - სამხედრო სასწავლებელი უუნაროა, ის ვერ აკონტროლებს კადეტების ქცევას.

აღსანიშნავია ნაწარმოებში ჩართული მინიშნებები სამხედრო მოსამსახურეების მძიმე მდგომარეობის შესახებ. ერთ-ერთ ეპიზოდში სერჟანტი ალბერტოს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ეს ქვეყანა უსამართლოდაა მოწყობილი. ლეიტენანტმა რომ სამი დღის გაუტანელი ნაგავი ნახოს, სამდღიან სასჯელს მომაკერებს და წიხლებით შემდეგება. მე კი ჯარისკაცს რომ ერთი წავუთაქო კარცერში ჩამაგდებენ. სიმართლე გინდა იცოდე კადეტო? ჩვენზე უარეს დღეში არავინაა. ჯარისკაცები შეკრულები არიან, ერთმანეთი რქებით გააქვთ, ჩვენ კი არავინ გვზოგავს. ოფიცრებიც გვირტყამენ და ჯარისკაცებსაც ჭირის დღესავით ვძულვართ, სიცოცხლეს გვიმწარებენ. მე ჯარისკაცად ყოფნა მერჩია, უკეთესად ვიყავი კადეტო.“ [ლიოსა, 2017:360] სამხედრო სისტემის უსამართლობით იმედგაცრუებული გამბოა კი ფიქრობს: „კაპიტანი მონტერო, ნამდვილი ოფიცერი, ნეტავ კვლავ ბორხას გარნიზონში ღპება?“ [ლიოსა, 2017:450]. გარდა მოზარდების მიმართ განხორციელებული ზემოთ აღნიშნული ქმედებებისა, სახეზეა სამხედრო სისტემის მიერ განხორციელებული ჩაგვრა და დაუფასებლობა საკუთარ სისტემაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ.

რომანის ყველაზე საგულისხმო ფაქტი კი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად სამხედრო სისტემის ზემოთ აღნიშნული უუნარობისა, სასწავლებლის ადმინისტრაცია ნორმად მიიჩნევს არსებულ მდგომარეობას და მიუხედავად ამკარად გამოვლენილი ამორალური და დანაშაულებრივი ქმედებებისა სასწავლებლის შიგნით, მმართველი პირები მყარად დგანან საკუთარ პოზიციაზე და უტიფრად ამართლებენ საკუთარ საქციელს რაც თანამდებობებისა და სასწავლებლის პრესტიჟის შენარჩუნების მიზნით დანაშაულის დაფარვაში მდგომარეობს. სამხედრო პირები თავად უგულებელყოფენ ჯარის წესდებებს, რაც კოლეჯის სასწავლო სისტემის საფუძველია. კაპიტანი ამბობს: „იმას კი არ უნდა ვცდილობდეთ მოვლენები კანონებს მივუსადაგოთ, არამედ პირიქით, კანონები მოვარგოთ მოვლენებს.“ [ლიოსა, 2017:425] აღნიშნული ფრაზით ლიოსა გვეუბნება, რომ არსებულ სისტემას დემოკრატიულ და თანასწორობის ღირებულებებთან საერთო არაფერი ჰქონდა. დანაშაულის გამოძიებით დაინტერესებულ ლეიტენანტ გამბოას კაპიტანი შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „სუფთა სინდისით სასუფეველს მოიპოვებთ, მაგრამ სამხრეებს ვერა.“ [ლიოსა, 2017:425].

პოლკოვნიკი წუთითაც კი არ უშვებს საკუთარი და სასწავლებლის პასუხისმგებლობა დააყენოს. იგი ჩადენილ დანაშაულს სისულელეს უწოდებს, სიმართლის გამოვლენას კი ცილისწამებასთან აიგივებს. მას არ სურს პოეტის ჩვენება სიმართლე აღმოჩნდეს, ამიტომ მას პორნოგრაფიული ჩანაწერების გამოქვეყნებით ემუქრება და თავად ადანაშაულებს მტკიცებულებების არ ქონის გამო, რის შედეგადაც პოეტი ჩვენებაზე უარს ამბობს. სამხედროების უსამართლო დამოკიდებულებით გაღიზიანებას ალბერტო იაგუართან საუბარში ავლენს: „შენ

არა, საკუთარ ტყავს უფრო ხილდებიან, უსიამოვნებები არ უნდათ, ლაჩრები არიან.“ [ლიოსა, 2017:439]

ნაწარმოებში აქცენტი კეთდება დამარცხებულ ინდივიდზე, რომელიც სამართლიანობისთვის ბრძოლაში მარცხდება. რომანის პერსონაჟებიდან ასეთი ლეიტენანტი გამბოაა. სამხედრო წესდების და დისციპლინის, როგორც სამართლიანობის საფუძველის ერთგულ დამცველ გამბოას სწორედ სიმართლის გამოვლენის, დანაშაულის გახსნის მცდელობის გამო დაეკისრა პასუხისმგებლობა მისი ზემდგომი პირების მხრიდან და სამხედრო სასწავლებლიდან ჩამოშორებული იქნა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს სამხედრო თანამდებობის პირების მხრიდან პასუხისმგებლობის თავიდან აცილებასა და დაბალი რანგის მქონე ჯარისკაცის გაწირვაზე, რათა სიმართლე დაფარული დარჩეს.

მწერალმა აღნიშნული რომანით აქცენტი გააკეთა ლიტერატურის სოციალურ ფუნქციაზე და საბრძოლო პოზიცია დაიკავა. იგი პირდაპირ ამხელს ძალადობრივ სისტემას. რომანში იგი იყენებს სამხედრო ავტორიტარიზმს რათა გააკრიტიკოს სისტემა, რომელიც საზოგადოებაში ახორციელებს რეპრესიებს და ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ინდივიდი გაუცხოებულია, პიროვნების განვითარება კი - შეფერხებული. სამხედრო საგანმანათლებლო სისტემის მარცხში ლიოსა მთლიანად პერუს სიმბოლურ დამარცხებას გამოხატავს, რადგან სახეზეა იდეალების პრაქტიკაში განხორციელების უუნარობა.

ლიოსა აღწერს ძალადობის და ძალაუფლების შედეგებს ინდივიდზე. იგი გვიხატავს სამხედრო სისტემაში არსებულ ქაოსს, ძალადობას და უსამართლობას, სისტემას, რომელიც ამორალურ ინდივიდს აყალიბებს და აღმზრდელობით სისტემას, რომელსაც ცოდნასა და ღირებულებების გადაცემასთან საერთო არაფერი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ლიოსას სამიზნე პერუს საზოგადოება იყო, აღნიშნული კრიტიკა ესპანეთის დიქტატორული რეჟიმის მიმართ შეიძლება ყოფილიყო გაგებული, რადგან საზოგადოების დარწმუნება მათ კეთილდღეობაში, სამართლიანობის, მოქალაქეზე ზრუნვისა, არსებული წესრიგისა და ჯარის აღმატებულების პროპაგანდა ყველა დიქტატორული რეჟიმისათვის საერთოა. „ქალაქი და ძაღლები“ არის მეტაფორა, ეს არის ლეონსიო პრადო და დანარჩენი პერუ ან დიქტატურა და დანარჩენი საზოგადოება ან უფრო გლობალურად რომ ავიღოთ, რეპრესირებული საზოგადოებები და დანარჩენი მსოფლიო, რაც შეგვიძლია განვიხილოთ ყველა ქვეყნის, მაგალითად ფრანკოს რეჟიმის მაგალითზე. [Montes 2011] აქედან გამომდინარე, რომანში არსებული კრიტიკა რაღა თქმა უნდა ფრანკოს ცენზურის დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა.

მაშასადამე, სახეზეა რომანის სრული შეუსაბამობა ფრანკოს ცენზურის მიერ დაწესებულ ყველა შეზღუდვასთან. სწორედ ამ ფაქტით იყო გამოწვეული რომანის „ქალაქი და ძაღლები“

ერთწლიანი ბრძოლა ცენზურის ინსტიტუტთან. ლიოსამ რომანი 1962 წლის დასაწყისში დაასრულა პარიზში, მისი გამოქვეყნება კი მხოლოდ 1963 წლის ოქტომბერში გახდა შესაძლებელი კატალონიური გამომცემლობის „სეიშ ბარალის“ მიერ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა რომანებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ ერთ ან რამოდენიმე აკრძალულ თემას შეიცავდა, აღნიშნული ნაწარმოების გამოცემა არ გაჭიანურებულა წლების მანძილზე. ამის მიზეზად კი არა ერთი, არამედ რამოდენიმე ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ. ერთის მხრივ წიგნის გამოცემა ფრანკოს რეჟიმის ბოლო პერიოდში გატარებულმა „ლიაობის“ პოლიტიკამ განაპირობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1962-1969 წლებში. აღნიშნულ პერიოდში წინა პლანზე წამოიწია რეფორმისტული პოზიციები, ესპანურმა საზოგადოებამ კარი გაუღო დასავლეთს, მთავრობას სურდა დასავლეთისათვის ეჭვენებინა ესპანეთის კარგი იმიჯი, რაც თავისთავად გულისხმობდა რეპრესიული და ანაქრონისტული ასპექტების შენიღბვას, რაც ცენზურის შედარებით ლმობიერ ხასიათს განაპირობებდა. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მანუელ ფრავა ირიბარნეს მიერ ინფორმაციისა და ტურიზმის მინისტრის პოზიციის დაკავება 1962 წელს, ინფორმაციის სააგენტოს გენერალურ დირექტორად კი მისი სიძის, რობლეს პიკერის დანიშვნა. მიუხედავად რეპრესიების და ცენზურის უცვლელ რეჟიმში მოქმედებისა, ფრავას გუნდი რეფორმისტული მისწრაფებებით გამოირჩეოდა, მინისტრის, როგორც მსაჯის როლი მთავრობასა და საზოგადოებას შორის კი მნიშვნელოვნად არბილებდა ცენზურის ფუნქციონირებას. მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი წიგნის გამოცემის თვალსაზრისით თავად რომანის ხარისხი და მხატვრული ღირებულება გახლდათ, რაც რამოდენიმე ადამიანის ძალისხმევით საფუძველი გახდა რომანის გამოქვეყნების საქმეში, კერძოდ კი კატალონიური გამომცემლობის, „სეიშ ბარალის“ რედაქტორის კარლოს ბარალის, ბარსელონას უნივერსიტეტის პროფესორის, რომანის გამოქვეყნებით დაინტერესებული ლიტერატურის კრიტიკოსის ხოსე მარია ვალვერდესა და გარკვეულწილად ინფორმაციის სააგენტოს გენერალური დირექტორის, რობლეს პიკერისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ცენზურის უმაღლეს ინსტიტუციას ხელმძღვანელობდა.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ძალადობრივი და ამორალური სცენებისა, „ქალაქი და ძაღლები“ არის რომანი, რომელიც მკითხველს არწმუნებს ინდივიდების მორალური ენერგიების ძალაში. მისი პერსონაჟები გმირებად შეგვიძლია აღვიქვათ, რადგან მათ აქვთ სურვილი იყვნენ გმირები იმ სამყაროში რომელშიც ცხოვრობენ, თუნდაც ეს იყოს ლეონსიო პრადოს უსამართლო და ძალადობრივი სამყარო. ისინი არიან სისტემის მსხვერპლი, რომელსაც სახე არ გააჩნია. რომანში „ქალაქი და ძაღლები“ ინდივიდი განსაზღვრებით არის უდანაშაულო არსება, რომელიც დამახინჯებულია იმ სოციალური სისტემის მიერ სადაც მივიდა. რომანი არის

მიძღვნა იმ ინდივიდებისადმი, რომლებსაც აჯანყების მუდმივი უნარი გააჩნიათ. სისტემა ანგრევს, ანადგურებს ინდივიდებს, მაგრამ ისინი კვლავ აგრძელებენ აღნიშნულ სისტემასთან დაპირისპირებას, იმ შემთხვევაშიც კი თუკი მარცხის გარდაუვალობა წინასწარვე აშკარაა. ლიოსა თავის პირველ რომანში „ქალაქი და ძაღლები“ ინდივიდის აჯანყების დაუღალავ უნარს წარმოგვიჩენს. სწორედ რომანის ზოგადსაკაცობრიო სათქმელმა დათრგუნა ცენზურის სიმკაცრე და დაარწმუნა საგამომცემლო სფეროში მოღვაწე პირები, რომ მარიო ვარგას ლიოსას მსოფლიო ლიტერატურის შედეგს დღის შუქი უნდა ეხილა.

### ლიტერატურა:

1. **ლიოსა მ. ვ.**, - ქალაქი და ძაღლები. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი. 2017. გვ. 145, 166, 303, 360, 425, 439, 450.
2. **García de la Concha V.**, - Una Novela en Círculo. Rae.es. 2012.  
[https://www.rae.es/sites/default/files/Victor\\_Garcia\\_de\\_la\\_Concha\\_Una\\_novela\\_en\\_circulo.pdf](https://www.rae.es/sites/default/files/Victor_Garcia_de_la_Concha_Una_novela_en_circulo.pdf)  
(ბოლო წვდომა: 01.05.2020)
3. **Kristal E.**, - Refundiciones Literarias y Biográficas en La Ciudad y Los Perros. Rae.es. 2012.  
[https://www.rae.es/sites/default/files/Epilogo\\_Efrain\\_Kristal\\_Refundiciones\\_literarias\\_y\\_biograficas\\_en\\_La\\_ciudad\\_y\\_los\\_perros.pdf](https://www.rae.es/sites/default/files/Epilogo_Efrain_Kristal_Refundiciones_literarias_y_biograficas_en_La_ciudad_y_los_perros.pdf) (ბოლო წვდომა: 01.05.2020)
4. **Martínez Hoyos F.**, - La Fábrica de Machos en La Ciudad y Los Perros. DialnetPlus. 2015.  
[http://web.uaemex.mx/plin/colmena/Colmena\\_85/docs/3\\_La\\_fabrica\\_de\\_machos.pdf](http://web.uaemex.mx/plin/colmena/Colmena_85/docs/3_La_fabrica_de_machos.pdf) (ბოლო წვდომა: 01.05.2020)
5. **Montes C.**, - El Imaginario Perruno en “La ciudad y Los Perros” de Mario Vargas Llosa. JSTOR. 2011.  
[https://www.jstor.org/stable/41350257?Search=yes&resultItemClick=true&searchText=La&searchText=ciudad&searchText=y&searchText=los&searchText=perros&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3DLa%2Bciudad%2By%2Blos%2Bperros&ab\\_segments=0%2Fbasic\\_SYC-4946%2Fcontrol&refreqid=search%3A944706bcfcdec106342f14faa4115f2a&seq=1](https://www.jstor.org/stable/41350257?Search=yes&resultItemClick=true&searchText=La&searchText=ciudad&searchText=y&searchText=los&searchText=perros&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3DLa%2Bciudad%2By%2Blos%2Bperros&ab_segments=0%2Fbasic_SYC-4946%2Fcontrol&refreqid=search%3A944706bcfcdec106342f14faa4115f2a&seq=1) (ბოლო წვდომა: 03.05.2020)
6. **Oviedo J. M.**, - La Primera Novela de Vargas Llosa. Rae.es. 2012.  
[https://www.rae.es/sites/default/files/Jose\\_Miguel\\_Oviedo\\_La\\_primera\\_novela\\_de\\_Mario\\_Vargas\\_Llosa.pdf](https://www.rae.es/sites/default/files/Jose_Miguel_Oviedo_La_primera_novela_de_Mario_Vargas_Llosa.pdf) (ბოლო წვდომა: 01.05.2020)



7. **Saravia J. M.**, - Aisthesis en el Realismo Crítico de „La Ciudad y Los Perros“ de Mario Vargas Llosa. JSTOR. 2011.  
[https://www.jstor.org/stable/41350258?Search=yes&resultItemClick=true&searchText=La&searchText=ciudad&searchText=y&searchText=los&searchText=perros&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3DLa%2Bciudad%2By%2Blos%2Bperros&ab\\_segments=0%2Fbasic\\_SYC-4946%2Fcontrol&refreqid=search%3A944706bcfcdec106342f14faa4115f2a&seq=1](https://www.jstor.org/stable/41350258?Search=yes&resultItemClick=true&searchText=La&searchText=ciudad&searchText=y&searchText=los&searchText=perros&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3DLa%2Bciudad%2By%2Blos%2Bperros&ab_segments=0%2Fbasic_SYC-4946%2Fcontrol&refreqid=search%3A944706bcfcdec106342f14faa4115f2a&seq=1) (ბოლო წვდომა: 03.05.2020)

Nino Jokhadze

**The main reasons for the censorship of Mario Vargas Llosa's novel "City and Dogs" in Francisco Franco's Spain**

**Abstract**

The literary creation of the great Peruvian writer, Nobel Laureate Mario Vargas Llosa, masterfully describes the violence, social injustice, confrontation between societies and corruption that was characteristic for Latin American dictatorships. Llosa in his works shows his adventures and experiences as a Peruvian, the Peruvian society seen through his eyes. The dominance of authoritarianism in both public and private life prompted the writer to strongly condemn the political or military systems that hindered individual initiative and restricted personal freedom. Living with an abusive father and the injustice and violence seen at the Leoncio Prado military academy, the experience gained there, became the main theme of his first novel "The City and the Dogs", which, according to some literary critics, led to a Latin American Boom.

"The City and the Dogs" is considered to be the most violent work in Llosa's literary art. The novel describes not a dictatorship, but a violent society living under dictatorial rule. He describes violence on the one hand as a necessary condition for the survival of the individual, and on the other hand as an individual who does not want to be an abuser, but the current environment pushes him towards violent actions. Llosa reflects the historical and modern Peruvian reality and shows the respect, discipline and honesty he saw with his own eyes during his adolescence, describes institutions such as family, politics, and of course the army. The novel shows contrast, isolation, and conflict.

The novel is followed by political background and evokes negative emotions in the reader as it describes the tragedy and crime that takes place in a government institution distinguished by disciplined

teaching. The focus is on the college management that does not want to expose crime that takes place at the school, otherwise, their military careers will be jeopardized. There is indifference on the part of the school administration, avoiding responsibility and covering up the crime, which indicates the criminal activities of the school leaders.

Llosa completed the work while living in Paris and began active work for its publication. South American and Spanish publishers refused to publish the work. During Franco's period, which was marked by special censorship in literature, the work met with many objections. Under the censorship in Franco's Spain, it was forbidden to publish works that would be unacceptable and dangerous to the established regime, and Llosa's "The City and the Dogs" was aimed at criticizing the dictatorial society.

On the advice of a French scholar, Claude Cauffon, Llosa contacted Carlos Barral, editor of the Catalan publishing house "Seix Barral", who was interested in publishing contemporary works. Barral was fascinated by the work, though he was aware of the contradictions that it would be facing in Spanish censorship. The award of "Biblioteca Breve" for Best Unpublished Spanish Novel gave the author hope of publishing the work, although, for a year, censorship persistently opposed the publication of the novel. This article discusses and analyzes the main factors that led to the rejection of the work by the censors of Franco's period and Llosa's long struggle against Spanish censorship. The paper also describes the main preconditions for the publication of the novel, what decisive factors preceded the publication of the work.

**Keywords:** "The city and the Dogs", Mario Vargas Llosa, Censorship in Franco's Spain, Dictatorial society, Critique of the military system

რეცენზენტი: პროფესორი ვ. ასათიანი

პედაგოგია Pedagogic

## ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეები საქართველოში

იაგორ ბალანჩინაძე, ქეთევან მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail: ibalanchin@gmail.com

*სტატიაში საუბარია საქართველოში ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებზე, რადგან გამოირჩევა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფთა სიმრავლით. საუბარი არის ამ სტატუსის მოქმე მოსწავლეების საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართულობაზე.*

*საქართველოში მოქმედებს თანასწორობის პრინციპი, შესაბამისად საგანმანათლებლო სისტემა ცდილობს მოერგოს მათ საჭიროებებს და მშობლიური ენით სარგებლობისა და კულტურული იდენტობის შენარჩუნების უფლება აქვთ ზოგადი განათლების საფეხურზე.*

*ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეთა ჩართულობა, პრობლემას წარმოადგენს სწავლების ნებისმიერ საფეხურზე. საქართველო უზრუნველყოფს განათლების სისტემის უწყვეტ შესაძლებლობებს. აკადემიური მოსწრებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, როგორც განათლების ხელმისაწვდომობის ასევე განათლების გარემოს განვითარების მიზნით.*

*საქართველოს განათლების სამინისტროს ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეები ჩამოაყალიბონ მოქალაქედ, რომელსაც გააზრებული ექნება ის ღირებულებები, რომელიც საჭიროა საზოგადოების სრულფასოვანი წევრობისთვის.*

**საკვანძო სიტყვები:** ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეები საქართველოში, თანასწორობის პრინციპი

საქართველო გამოირჩევა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფთა სიმრავლით. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძოდ ქართულენოვან საჯარო სკოლებში.

განათლებასა და მეცნიერებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისთვის. მაღალი ხარისხის განათლება ხელს უწყობს პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც ქმნის ჯანსაღ გარემოს, ამიტომ მნიშვნელოვანია განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთათვის, რათა თავი იგრძონ სრულფასოვან მოქალაქედ.

საქართველოში მოქმედებს თანასწორობის პრინციპი, შესაბამისად საგანმანათლებლო სისტემა ცდილობს მოერგოს მათ საჭიროებებს და მშობლიური ენით სარგებლობისა და კულტურული იდენტობის შენარჩუნების უფლება აქვთ ზოგადი განათლების საფეხურზე.

საქართველო არამხოლოდ მრავალენოვანი არამედ მრავალენოვანი ქვეყანაა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ენა ქართულია, ჩვენი ქვეყანა 26 ეთნიკურ ჯგუფს აერთიანებს. მოსახლეობი 30 % არაქართულენაზე საუბრობს, რომლების მათთვის მშობლიურია. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ IV მუხლის თანახმად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეებს უფლება აქვთ საშუალო სკოლაში საკუთარ ენაზე ისწავლონ .

მოსწავლეთა კარგი აკადემიური მიღწევისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო რესურსები. მათი ნაკლებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეთა განათლებაზე.

მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე დადებითად მოქმედებს დირექტორთა ჩართულობა. იმ სკოლის მოსწავლეები, რომელთა დირექტორი ჩართულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა ხელსეწყობაზე მათი აკადემიური მოსწრება უფრო მაღალია.

აუცილებელია მეტი დროის დათმობა ენის სწავლებასთან დაკავშირებით. ენობრივი შესაძლებლობების დასაუფლებლად. ეს ეხება იმ მოსწავლეთა უმრავლესობას, რომელთა ოჯახში ქართულად არ საუბრობენ, შესაბამისად ერთ-ერთ რეკომენდაციად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მათ დიდი დრო უნდა დაუთმონ ენის შესწავლას, კითხვას, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე.

მოსწავლის აკადემიური მოსწრების განმსაზღვრელი ფაქტორია გარემო. მისი სოციო-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები. PISA - ს მონაცემებით უკეთესი შედეგი აქვთ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც კულტურის კუთხით აქვთ განათლება (ამ შემთხვევაში კულტურაში მოიაზრება წიგნის კითხვის კულტურა).

კითხვითი აქტივობები და სტრატეგიები საქართველოს მოსწავლეებისთვის მკვლევართა აზრით მნიშვნელოვანია კითხვითი წახალისება, ელექტრო რესურსების გამოყენებით, რათა კითხვა გადავიდეს სიამოვნების მიღების რეჟიმში და წახალისება უნდა გახდეს მთავარი წამყვანი დაწყებითა და საშუალო საფეხურზე ყველა მოსწავლის ჩართულობასთან ერთად.

PISA-ს კვლევის მთავარი მიზანია ჩამოაყალიბოს თანასწორობის შეგრძნების უნარი, ასევე ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და მიღება. თანასწორობის პრინციპი არ ნიშნავს ერთნაირი მოსაზრებებისა და შეხედულებების ჩამოალიბებას. ეს ნიშნავს სწავლის უფლებას ყველა მოსწავლეთათვის განურჩევლად სქესისა, რასისა, პოლიტიკური შეხედულებისა, სექსუალური ორიენტაციის რელიგიისა და ა.შ.

PISA ორ ძირითად შეხედულებაზე ამხვილებს ყურადღებას ინკლუზიასა და სამართლიანობაზე.

- ინკლუზიაში იგულისხმება ყველა ის მოსწავლე რომელსაც შეუძლია განათლებაში მინიმალური დონის მიღება. მასში მოიაზრება სსსმ, შშმ, მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფები.
- სამართლიანობაში განიხილება ყველა ის გარემოებები, რომელიც საჭიროა მოსწავლეთა განვითარებასა და განათლებისათვის.

PISA-ს კვლევებიდან გამომდინარე მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებასა და საერთაშორისო ტესტირებს შედეგების შედარებისას დადგინდა, რომ სოციო-ეკონომიკური სტატუსს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სოციო-ეკონომიკური სტატუსის მაჩვენებლით ზედა და ქვედა ფენის შედარებით მოსწავლეთა შედეგები სხვადასხვაა.

მოსწავლეთა მიღწევის ძირითადი განმსაზღვრელი არის.

- სოციო-ეკონომიკური სტატუსი
- დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეების ჩაბარების ალბათობა საბუნებისმეტყველოსა და მათემატიკაში.

PISA-ს სამართლიანობის ინდიკატორი საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია და მიღებული შედეგები ადასტურებს მას, რომ მიღწევების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სოციო-ეკონომიკური სტატუსი, რომელიც ორი მაჩვენებლით განისაზღვრება.

მოსწავლეთა შესაძლებლობების რეალიზაციისათვის მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მაღალი სტანდარტები.

საქართველოში არსებულ სკოლების სტატუსსა (კერძო თუ საჯარო) ადგილმდებარეობის (სოფლისა თუ ქალაქისა) მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო განსხვავებები იკვეთება .

გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა „ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში“ განათლების სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით. კვლევის პროცესში რამდენიმე პრობლემა წამოიჭრა განათლების კუთხით, ეთნიკური უმცირესობის დასახლების ადგილას ზოგადი განათლების მიღება მხოლოდ ცხრა კლასამდეა შესაძლებელი, მაშინ როცა სრული ზოგადი განათლება 12 კლასს მოიცავს, მათ მისაღებათ კი დამატებითი ხარჯებია გასაწევი. გოგონათა უმრავლესობას კი სურვილის მიუხედავად 9 კლასს ზემოთ განათლების მიღება არ შეუძლიათ, რადგან მათი ტრადიცია და მრწამსი გასხვავებული შეხედულებებითა და ღირებულებებით არის აღჭურვილი (გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2014). ქვემო ქართლში ჩატარებული კვლევის მიხედვით კი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების უმრავლესობის მშობლები, რომელთა შვილებს სასკოლო მზაობა აქვთ, არ ატარებენ სკოლაში ბავშვებს და მიზეზად ასახელებენ არ აქვთ სამოსის და ის ნივთებს, რომლებიც სკოლისთვის სჭირდებათ.

ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეთა ჩართულობა, პრობლემას წარმოადგენს სწავლების ნებისმიერ საფეხურზე. გაცდენები უფრო ხშირი მაღალ კლასებსა და საშუალო საფეხურის კლასებში ფიქსირდება. თუმცა არსებობს სკოლები სადაც გაცდენების რაოდენობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი და სტუდენტები ამის მიზეზად მკაცრ დამოკიდებულებას ასახელებს, როგორც დირექტორის ასევე დამრიგებლის და ამის საფუძველზე მოსწავლეთა უმრავლესობა ესწრებოდა გაკვეთილებს.

ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეები, რომლებიც არც მუშაობენ და სკოლასაც ხშირად აცდენენ გაკვეთილების დროს ძირითადად გართობისთვის იყენებენ. მშობლები ინფორმირებულები არ არიან საკუთარი შვილის ადგილსამყოფელით, ხშირად ეს ფაქტი მშობლის უყურადღებობას მიაწერენ. რაქართულენოვან სკოლებში ხშირი გაცდენების პრობლემა დირექტორებისა და მასწავლებლების გულგრილობით გამოიკვეთა.

საქართველოში 5-17 წლამდე ასაკის ბავშვებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ამ რაოდენობიდან) ბიჭების 95,4% ხოლო გოგონების - 96,5% დადის.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში სიარულის მაჩვენებელი ყველაზე დაბალი ქვემო ქართლში - 91% ხოლო სხვა დანარჩენ რეგიონში 94,5% დაფიქსირდა.

განათლების სამინისტროს (2015-2016 წლებში) ჩატარებული კვლევებიდან სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელია 3,9%, ყველაზე მცირე მაჩვენებელი აქვს იმერეთს - 1,27%, დანარჩენ რეგიონებში კი 1,55%- 2,47% მერყეობს.

სახელმწიფოს სტატისტიკის სამსახურის საფუძველზე ჩატარდა კვლევა, ბავშვთა შრომასთან დაკავშირებით. მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვიტეს პრევენციის გზით ჩაერთოს

რამდენიმე სახელმწიფო ორგანო რათა ასაკთან არაშესაბამისი შრომის პრევენციას მიაღწიონ. ამ პროექტში ჩართული იყვნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) წარმომადგენლობა საქართველოში და „WORLD VISION INTERNATIONAL“ წარმომადგენლები საქართველოში.

№ 1740 განკარგულებით, რომელიც გასცა საქართველოს მთავრობა, 2015 წლის 15 აგვისტოს, მათ დაამტკიცეს სამოქალაქო ინტეგრაციისა და თანასწორობის სტრატეგიის გეგმა, რომელიც უნდა განხორციელდეს 2017-2021 წწ.

საქართველოს განათების სისტემას საფუძვლად უდევს საკანონმდებლო აქტები და კონვენციები, ზოგადი განათლების საკანონმდებლო სისტემა მოიცავს ბავშვთა უფლებების კონვენციას.

საქართველო უზრუნველყოფს განათლების სისტემის უწყვეტ შესაძლებლობებს. აკადემიური მოსწრებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, როგორც განათლების ხელმისაწვდომობის ასევე განათლების გარემოს განვითარების მიზნით.

სტრუქტურულად და შინაარსობრივად შეცვალეს ეროვნული სასწავლო გეგმა, მიმდინარეობს საბაზისო და საშუალო საფეხურის ესგ-ს განვითარება, რომელიც მორგებული უნდა იყოს მოსწავლის განვითარების დონისა და შესაძლებლობებზე. დაწყებით საფეხურზე შესასწავლი მასალა იქნება თამაშისა და კეთების სწავლების მეთოდზე დაყრდნობილი საბაზო საფეხურზე საგნები და პროგრამები გამარტივდება.

განათლების ხელმისაწვდომობა დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილია ეს იმას მიუთითებს, რომ ნებისმიერი ფენის სოციალურ-ეკონომიკურ თუ ეთნიკური უმცირესობის მქონე მოსწავლეები განურჩევლად მათი წარმომავლობისა ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში (UNESCO 2014). ეთნიკური უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი მოსწავლეთა ინტეგრაცია და ქართული, სახელმწიფო ენის შესწავლა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად.

საშუალო საფეხურზე გადასვლა განსაკუთრებით გოგონათა შემთხვევაში (5,9%) ეთნიკური უმცირესობის მქონე მოსწავლეების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გამო ხშირად აცდენენ სკოლას და შესაბამისად პროგრამასაც ჩამორჩებიან, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით ასევე კვალიფიკაციური კადრის დეფიციტიც არის, იმ რეგიონში სადაც ეთნიკური უმცირესობის მქონე მოსწავლეთა ჯგუფებია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების სისტემამ მიზნად დაისახა თავისუფალი და რეალიზებული პიროვნების ჩამოსაყალიბებლად გაატაროს ის

ღონისძიებები, რომელიც საჭირო იქნება მოსწავლეთა სრულფასოვან და პასუხისმგებლობით გამსჭვალულ პროვენებად ჩამოსაყალიბებლად. მოქალაქედ, რომელსაც გააზრებული ექნება ის ღირებულებები, რომელიც საჭიროა სრულფასოვან საზოგადოებრივ წევრობისთვის.

ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული უმცირესობების ჯგუფთა მიმართებაში (საქართველოს მთავრობის მესამე ანგარიში) მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ დაიცვან მათი უფლებები, კანონის წინაშე იყვნენ თანასწორუფლებიანები და მიიღონ ის ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურსა და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს.

### ლიტერატურა:

1. ბრეგვაძე თამარ, ბახუტაშვილი სოფო - მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA საქართველოს ანგარიში, თბილისი, 2017 წელი.
2. ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი, თბილისი. 2019 წელი.
3. მოსიაშვილი თამარ, გორგოძე სოფიო, ჯანაშია სიმონ - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები (კვლევა და პოლიტიკის დოკუმენტები) თბილისი, 2017 წელი.
4. გზამკვლევი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016წ.
5. მალაზონია დავით, მალლაკელიძე შორენა, ჭიბრიშვილი ნინო, გახელაძე გიორგი - ინტერკულტურული განათლება, პრობლემები მათი ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017წ.
6. James A.Banks -An introduction to Multicultural education. New York. university of Washington 2017 y.
7. Vicky Donlevy Anja Meierkord ,Aaron Rajania - Study on the diversity within the teaching profession with particular focus on migrant and/or minority background. (Europhean commission ,Education and training) 2016y.



---

Iagor Balanchivadze, Ketevan Mikadze

**Ethnic minority students in Georgia**

**Abstract**

The article talks about ethnic minority students in Georgia, as it is distinguished by the abundance of different ethnic groups. We are talking about the involvement of flexible students of this status in educational institutions.

The principle of equality operates in Georgia, therefore the education system tries to adapt to their needs and has the right to use their mother tongue and maintain their cultural identity at the level of general education.

Involvement of ethnic minority students is a problem at any stage of education. Georgia provides continuous opportunities for the education system. Significant steps have been taken to improve academic achievement and the quality of learning, both in terms of access to education and in developing the education environment.

To form the ethnic minority students of the Ministry of Education of Georgia as citizens who will understand the values needed for full membership in the society.

რეკენზენტი: პროფესორი რ. ბალანჩივაძე

## სამოქალაქო განათლების თემატიკის ინტეგრირება VaKE მეთოდით ინგლისური ენის სწავლების პროცესში

მარიამ კილანავა

ევროპის უნივერსიტეტი

mkilanava@gmail.com

ელგუჯა დეისაძე

ქუთაისის უნივერსიტეტი

თანამედროვე ტენდენციების მიხედვით, სამოქალაქო განათლების საკითხი საუნივერსიტეტო დონეზე ნაკლებად პოპულარულია, რაც სამომავლოდ საზოგადოებრივი აქტივობის სხვადასხვა დონეზე შეიძლება უარყოფითად გამოვლინდეს, მაგალითად, დაბალი მოქალაქეობრივი შეგნებით, პასუხისმგებლობითა თუ ინდიფერენტულობით სოციალური საკითხების მიმართ. მისი ინტეგრირება ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც სამოქალაქო განათლების თემატიკა VaKE<sup>1</sup> მეთოდის მეშვეობით ადაპტირდება სასწავლო პროცესში.

საკვლევი საკითხის აქტუალობას ძირითადად, განაპირობებს საუნივერსიტეტო დონეზე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა. გარდა ამისა, სწავლების პროცესში VaKE<sup>2</sup> მეთოდის დანერგვის პერსპექტიულობაც.

წინამდებარე სტატიის მიზანია სასწავლო პრაქტიკის ანალიზის გზით აჩვენოს სამოქალაქო განათლების თემატიკისა და VaKE მეთოდის კორელაციის ეფექტურობა ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას.

ნაშრომში განხილულია 2018-2019 წლის შემოდგომის სემესტრის პრაქტიკული საუნივერსიტეტო შემთხვევა. სამოქალაქო თემატიკის VaKE მეთოდით ინტეგრირების

<sup>1</sup> იხ. <http://vake.eu/>;

<sup>2</sup> მეთოდის დანერგვა ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში შესაძლებელი გახდა პროექტის - CURE დახმარებით.

მაგალითმა შედეგად აჩვენა, რომ ინგლისური ენის შემსწავლელ სტუდენტთა შორის მნიშვნელოვანწილად ამაღლდა არა მხოლოდ ენობრივი კომპეტენცია, არამედ გამოიკვეთა ღირებულებათა სისტემისა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი დამოკიდებულებები.

**საკვანძო სიტყვები:** სამოქალაქო განათლება, VAKÉ მეთოდი, ინგლისური ენის სწავლება.

### შესავალი

თანამედროვე განათლების მეცნიერებებში უცხო ენის წარმატებული ათვისების წინაპირობად (სხვა ასპექტებთან ერთად) სამიზნე ენის ბუნებრივ გარემოში გამოყენება მიიჩნევა. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს განსაკუთრებით ინგლისური ენის სწავლების მასშტაბური პრაქტიკა, რომელიც სულ უფრო ინტენსიურად ინერგება არაინგლისურენოვან ქვეყანათა განათლების სისტემებში.

ინგლისურის, როგორც უცხო ენის შემსწავლელ ქართველ სტუდენტებს ეს შესაძლებლობა ნაკლებად გააჩნიათ, გამომდინარე იქიდან, რომ უცხო ენის შესწავლის პროცესი, ხშირ შემთხვევაში, სააუდიტორო სივრცეს არ სცდება და ისინი კვლავ მშობლიური ენის გარემოს უბრუნდებიან, აქ კი მცირე ალბათობაა იმისა, რომ კომუნიკაცია დაამყარონ სამიზნე ენის მატარებლებთან, ენის ფლობის გაუმჯობესების მიზნით. პრობლემა არასაკმარის ენობრივ გარემოს უკავშირდება და შესაბამისად, იქმნება აუცილებლობა სააუდიტორო აქტივობები ინტეგრირდეს რეალურ, ცხოვრებისეულ თემატიკასთან ახლოს მდგომი ელემენტებით უცხო ენის სწავლების პროცესში. ამასთან, პრაქტიკიდან გამომდინარე, მხოლოდ სააუდიტორო აქტივობები არ არის საკმარისი სტუდენტთა დაინტერესებისთვის და მოტივაციის ასამაღლებლად - გამოხატონ შესწავლილი ენობრივი კომპეტენციები პროდუქტიული უნარების დახმარებით. გამომდინარე იქიდან, რომ ენის სწავლება არ არის სწავლება ვაკუუმში, უცხო ენის სწავლების გარკვეულ ეტაპზე საჭირო ხდება შემსწავლელთათვის შერჩეული თემატიკის მიწოდება შესაბამისი ფორმით/მეთოდით, ეს შექმნის წინაპირობას სტუდენტებმა გამოხატონ საკუთარი მოსაზრება შესასწავლ ენაზე და იმ თემატიკის შესახებ, რომელიც მათთვის უფრო რეალური, ახლო და საინტერესოა. სწორად შერჩეული თემატიკისა და მეთოდის დახმარებით სტუდენტს უმაღლდება როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაცია, რაც თავის მხრივ ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად ითვლება უცხო ენის ათვისების პროცესში (Deci and Ryan: 2001) შესაბამისად, უჩნდება სურვილი საკუთარი აზრი გამოთქვას/დაასაბუთოს და ამასთან ერთად გაიუმჯობესოს სამიზნე ენის კომპეტენციები.

### სიახლე

VaKE მეთოდი, რომელიც მოცემული ეტაპისთვის უფრო მასწავლებელთა გადამზადების სფეროში გამოიყენება, არის დიდაქტიკური ხასიათის და ის ორიენტირებულია სამიზნე ჯგუფისთვის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე. VaKE მეთოდით სწავლების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიიჩნევა თემატიკის ავთენტურობა და მისი უპირობო კაშირი რეალურ გარემოსთან [Patry, 2012]. სწორედ ამ ნიშნით გახდა შესაძლებელი VaKE მეთოდის წარმატებული კორელაცია სამოქალაქო განათლების თემატიკასთან და მათი ერთობლივი იმპლემენტაცია ინგლისური ენის სწავლების პროცესში. ამასთან ერთად, საკითხის სიახლე განპირობებულია იმითაც, რომ VaKE მეთოდის დანერგვამ ინგლისური ენის სწავლებისას შექმნა საინტერესო პრეცედენტი, დანერგილიყო მისი სამოქალაქო თემატიკასთან კომბინირებული სწავლების ინოვაციური მიდგომა საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში.

### ლიტერატურა

უცხო ენის სწავლებისას მთავარია შემსწავლელის უზრუნველყოფა შესაბამისი ცოდნით (შესასწავლი ენის ლექსიკა, რესურსები...), რაც სხვა ფაქტორებთან ერთად სწავლების სწორად შერჩეული მეთოდით მიიღწევა. დღეს უცხო ენის სწავლების უამრავი მეთოდი არსებობს, თუმცა მათი ვარიაციულობა ხშირად უფრო დამაბნეველია, ვიდრე \_ კომფორტული [Richards and Rodgers. 2002].

უცხო ენის სწავლების პროცესში სამოქალაქო თემატიკის ინტეგრირება მისი ბინარული - პასიური და აქტიური - ხასიათის შესაბამისად, შეიძლება სხვადასხვაგვარად განხორციელდეს: პასიური სამოქალაქო განათლების მახასიათებელი თეორიული და ცოდნის შეძენაზე ორიენტირებული განსხვავებით აქტიურისაგან, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკულ აქტივობებზე (Kocaska: 2015).

ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი პატრი პირდაპირ უკავშირებს სამოქალაქო განათლებას/დემოკრატიული მოქალაქეობის ასპექტებს VaKE მეთოდს და მათი სამიზნე აუდიტორიასთან გამოყენების შესაძლო სქემას ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორ აუდიგერზე დაყრდნობით, შემდეგი თანმიმდევრობით წარმოადგენს: 1. აუცილებელია ეთიკური და ღირებულებითი არჩევანის გაკეთება (დააფასო თავისუფლება და თანასწორობა), 2. კოგნიტური ასპექტის გათვალისწინება (იციოდე თეორიულად, რათა გადაჭრა პრობლემა პრაქტიკულად) და 3. სოციალური ასპექტების გამოყენება (კონფლიქტთა გადაჭრა დემოკრატიულ კანონთა პრინციპებით, რათა შემდეგ მიიღო მონაწილეობა საჯარო დებატებში) [Patry et.al. 2019].

შესასწავლი თემატიკიდან გამომდინარე, საინტერესო გახდა VaKE მეთოდის კოგნიტური ასპექტით გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში, რამაც შესაძლებელი გახდა

თეორიულ დონეზე, სამიზნე ენაზე განხილულიყო პოტენციური პრაქტიკული მოქმედებები სამოქალაქო სფეროში.

### კერძო შემთხვევის ანალიზი

სამოქალაქო განათლების თემატიკის შემოტანა ინგლისური ენის სწავლებისას განხორციელდა VaKE მეთოდით და მისი იმპლიმენტაციისთვის საჭირო კოგნიტური ელემენტების დახმარებით. VaKE მეთოდი დანერგილ იქნა ბ1 დონის ინგლისური ენის ჯგუფთან და მეთოდის იმპლემენტაციის პერიოდმა შეადგინა 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სამი თვე.

კონკრეტული შემთხვევის ანალიზისთვის ვაკე მეთოდის იმპლემენტაციის პერიოდი დაიყო სამ ნაწილად: *დამოკიდებული, ნახევრადდამოკიდებული და დამოუკიდებელი*<sup>1</sup>. აღნიშნული სამი ნაწილი ამგვარი დასათაურებით თავისი ხასიათიდან გამომდინარე შეირჩა. თითოეული მათგანის განხილვა კი იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს სამივე ეტაპის ძირითადი ნიშნები და გამოიკვეთოს სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებული თემატიკის VaKE მეთოდით ინტეგრირების დადებითი შედეგები ინგლისური ენის სწავლების პროცესში.

- *დამოკიდებული* - პროცესის პირველ ნაწილში სტუდენტები ლექტორისგან გაეცნენ ვაკე მეთოდს და მისი განხორციელებისთვის საჭირო ეტაპებს. დისკუსიისთვის თემა ლექტორმა შეარჩია - ბულინგი<sup>2</sup>; და დასვა კითხვა - *უნდა<sup>3</sup> უთხრას თუ არა ბიჭმა მომხდარის შესახებ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას?* აქტივობის შესასრულებლად აუცილებელი იყო, სტუდენტები ინგლისურ ენაზე გასცნობოდნენ ბულინგთან დაკავშირებულ ინფორმაციას, გაეკეთებინათ ჩანაწერები ამავე ენაზე და დისკუსიაც წარმართულიყო სამიზნე ენაზე. სტუდენტები ყოველი მომდევნო ნაბიჯის განსახორციელებლად იყენებდნენ ლექტორის ინსტრუქციებს. პირველი ეტაპისთვის სტუდენტთა ჯგუფი დაიყო მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ინფორმაციის მოძიების შემდეგ სტუდენტებმა დისკუსიისთვის მოკლე მონახაზი გააკეთეს და ლექტორს სთხოვეს მისი რედაქტირება ენობრივი თვალსაზრისით.

მომდევნო ეტაპზე გაიმართა დილემაზე დაფუძნებული დისკუსია. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ეტაპზე მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებმა დებატებში განსაკუთრებით იაქტიურეს და გუნდებმა წარმატებას ამის ხარჯზე მიაღწიეს, თუმცა გუნდის დანარჩენი

<sup>1</sup> პერიოდთა მოცემული სახელწოდებები პირველად იქნა გამოყენებული CURE პროექტით გათვალისწინებული - The story of innovation in teacher education- კონფერენციის მასალებში (Kilanava, 2019წ).

<sup>2</sup> თემა ეხებოდა ერთ-ერთ უნივერსიტეტში მომხდარ ბულინგს, სადაც უფროსკურსელები მობილობით გადმოსულ სტუდენტს შეურაცხყოფის გზით ყოველგვარ უფლებას ართმევდნენ უნივერსიტეტში, ის კი თავის დაცვას ვერ ახერხებდა.

<sup>3</sup> კითხვის დაწყება სიტყვით - *უნდა* (should) ერთგვარი მახასიათებელია მსგავსი ტიპის აქტივობისთვის.

წევრების ფონურმა მუშაობამაც ხელი გარკვეულწილად შეუწყო. ხშირი იყო ენობრივ კოდთა არევა, რაც, როგორც წესი, გამოიხატება მშობლიური ენისა და სამიზნე ენის არევით აზრის გადმოცემისას (Crystal: 2003) და ლექტორის მიმართ დახმარების თხოვნა აზრის ინგლისურ ენაზე გამოსახატად.

- *ნახევრადდამოკიდებული* - მოცემულ ეტაპზე სტუდენტები შედარებით დამოუკიდებლად მუშაობდნენ აქტივობის ყველა ეტაპზე. ლექტორმა სტუდენტებს სადისკუსიოდ შესთავაზა ორი თემა - *ქალთა მიმართ ძალადობა*<sup>1</sup> და *გენდერული თანასწორობა*, რომელთაგან სტუდენტებმა აირჩიეს ქალთა მიმართ ძალადობის თემატიკა, კითხვა - *უნდა უჩივლოს თუ არა ქალმა ოჯახის მოძალადე წევრებს?* ინფორმაციის მოძიების, მისი დამუშავებისა და არგუმენტებად ჩამოყალიბების პროცესი ძირითადად სამიზნე ენაზე ხორციელდებოდა. სტუდენტები ეცნობოდნენ როგორც ადგილობრივ (ინფორმაცია, რომელიც ინგლისურ ენაზე იყო განთავსებული ინტერნეტსივრცეში), ასევე საერთაშორისო გამოცდილებას, რის შემდეგაც ღირებული დასკვნების გამოტანა გახდა შესაძლებელი. არგუმენტირების პროცესში კი, ზოგ შემთხვევაში, აუცილებელი გახდა ლექტორის ჩართვა.

- *დამოუკიდებელი* - ბოლო ეტაპზე სტუდენტებმა თავად შეარჩიეს თემა დიკუსიისთვის და ეს იმ დროისთვის მეტად აქტუალურ თემას - საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდებოდა. მათთვის ძირითადი კითხვა დილემისთვის იყო: *უნდა აირჩეს თუ არა საქართველოს პრეზიდენტი ელექტრონული ფორმით?*<sup>2</sup> მოცემულ ეტაპზე სტუდენტთა მიერ თემატიკის დამოუკიდებლად არჩევის შემდეგ მათ დამოუკიდებლადვე შეძლეს სასურველი ინფორმაციის მოძიება ინგლისურ ენაზე. რელევანტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოახერხეს ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოცდილების შემაჯამებელი ხასიათის არგუმენტების შემუშავება და მათი გამოყენება ჯგუფური მუშაობისას<sup>3</sup>.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად ვაკე მეთოდით გათვალისწინებული აქტივობები უცხო ენის ოთხივე უნარის ათვისებისთვის საჭირო აქტივობებს ბუნებრივად დაემთხვა -1. კითხვის უნარი - სტუდენტები გაეცნენ საჭირო ინფორმაციას სამიზნე ენაზე; 2. წერის უნარი - წერილობითი ფორმით ჩამოყალიბეს მოსაზრებები და არგუმენტები; 3. საუბრის უნარი -

<sup>1</sup> სადისკუსიო თემა ეხებოდა იმ ქალთა მიმართ ძალადობას, რომლებიც ოჯახის შექმნის შემდეგ აპირებდნენ სამსახურის დაწყებას.

<sup>2</sup> აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ სტუდენტების მიერ არჩეული საკითხი სამოქალაქო აქტივობის თემას ეხებოდა და ეს ერთ-ერთი ინდიკატორი გახდა იმისა, რომ სამოქალაქო განვითარებასთან, განათლებასთან დაკავშირებული თემატიკა აქტუალური და საინტერესო გახდა მათთვის.

<sup>3</sup> ხაზგასასმელია ისიც, რომ მიუხედავად დაშვებული ენობრივი შეცდომებისა და არგუმენტების გამოსახატავად საჭირო ინგლისური ლექსიკის არცოდნისა, სტუდენტები შეეცადნენ აზრის სხვაგვარ ფორმულირებას და მისი სხვა ლექსიკის დახმარებით გადმოცემას. მსგავსი ტიპის მოქმედება, მათი მხრიდან, ნიშნავდა იმას, რომ მათ ამისთვის უკვე საკმაო კომპეტენცია ჰქონდათ ენობრივი კუთხით.

მოახდინეს დაგროვილი ინფორმაციის სამიზნე ენით გადმოცემა და 4. მოსმენის უნარი - ოპონენტებისგან ისმენდნენ საპირისპირო მოსაზრებებს ინგლისურ ენაზე.

შესაბამისად, სამოქალაქო თემატიკის VaKE მეთოდით კონკრეტულ ჯგუფში ინტეგრირება შესაძლებელია შემდეგი სახით იქნას წარმოდგენილი:

<b>ბ 1 ჯგუფი</b> <b>(2018-2019) წლის შემოდგმის სემესტრი</b>		
<p style="text-align: center;"><b>სამოქალაქო თემატიკა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 1. ბუღინგი;</li> <li>• 2. ქალთა მიმართ ძალადობა;</li> <li>• 3. საპრეზიდენტ არჩენები;</li> </ul>	<p style="text-align: center;"><b>VaKE მეთოდი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 1. დილემაზე დაფუძნებული სწავლება;</li> <li>• 2. უცხო ენის უნართა გაუმჯობესება;</li> </ul>	
<p><b>დამოკიდებული</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 1. მასწავლებელმა შეარჩია თემა;</li> <li>• 2. სტუდენტები მუშაობენ მასწავლებლის მითითებებით;</li> <li>• 3. ხშირია ენობრივ კოდთა არევა სტუდენტთა მხრიდან;</li> <li>• 4. ჯგუფებში ლიდერობენ მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები.</li> </ul>	<p><b>ნახევრადდამოკიდებული</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 1. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ორი თემიდან სტუდენტებმა შეარჩიეს ერთ-ერთი;</li> <li>• 2. სტუდენტები საჭიროებენ დახმარებას ენობრივი კუთხით;</li> <li>• 3. დისკუსია ძირითადად სამიზნე ენაზე მიმდინარეობს.</li> <li>• 4. დისკუსიის მონაწილეთა აქტივობა დაბალანსებულია.</li> </ul>	<p><b>დამოუკიდებელი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 1. სტუდენტებმა დამოუკიდებლად შეარჩიეს თემა;</li> <li>• 2. სტუდენტები დამოუკიდებლად იძიებენ საჭირო ინფორმაციას;</li> <li>• 3. აქტიობა მთლიანად სამიზნე ენაზე მიმდინარეობს;</li> <li>• 4. ჯგუფის ყველა მონაწილე აქტიურად არის ჩართული დისკუსიაში.</li> </ul>

**დასკვნა**

ინგლისური ენის სწავლებისას VaKE მეთოდი ბუნებრივად ინტეგრირდა სამოქალაქო თემატიკასთან გამომდინარე მისი მახასიათებლებიდან - შექმნას დილემაზე დაფუძნებული დისკუსიის გამოყენების საშუალება სამიზნე ენის გარემოში.

განხილულ მაგალითზე და თვით სტუდენტების მიერ გაკეთებულ შეფასებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ VaKE მეთოდით სამოქალაქო განათლების თემატიკის ინტეგრირება წარმატებით განხორციელდა ინგლისური ენის ბ1 დონის სტუდენტთა ჯგუფთან. ამდღა სტუდენტთა მოტივაცია, ენობრივი და სამოქალაქო კომპეტენციები.

**ლიტერატურა:**

1. Crystal. D. *English as a Global Language*. Second edition. Cambridge: Cambridge University Press.2003
2. Deci and Ryan *Extrinsic Rewards and Intrinsic Motivation in Education: Reconsidered Once Again*. Review of Educational Research Spring 2001, Vol 71, No. 1, pp. 1-27;
3. Kilanava M. Teaching speaking skills with real-life aspects in EFL classes. IRCELT. Tbilisi.201
4. Jasminka Kocoska. *Teaching and learning approaches of civic education*. Macedonia.2015
5. Jean Luc Patry et al.-*Thematic Papers Based on the Conference Migration, Social Transformation, and Education for Democratic Citizenship VaKE Intervention Method: Education for Democratic Citizenship for Female Refugees;2019*
6. Jean Luc Patry - *Combining values and knowledge education - Changes in Teachers' Moral Role*. January.2012
7. Richards and Rodgers- *Approaches and methods in language teaching*. Cambridge: Cambridge University Press.2002

**Mariam Kilanava, Elguja Deisadze**

**Integrate civic education with the VaKE method in the English language teaching process**

**Abstract**

The paper deals with the issues connected to teaching English as a Foreign Language and the possible ways of bringing civic education topics in EFL classes. Generally, civic education lectures are not popular in higher educational level, as it is supposed to be learnt and taught in schools. However, bringing civic



education - related topics in EFL classes at University level is motivating and interesting for student, especially when it is introduced with the VaKE method.

The VaKE method as an innovative teaching method is oriented on combining values and knowledge in the class. The VaKE method differs from other teaching methods with its unique characteristic - uniting the values and the knowledge education in dilemma-based learning style (Patry, Weyringer. 2007). While working with the VaKE method it is essential to have a dilemma and a real-life connected topic. Civic educational topics perfectly fit in the VaKE method as the moral issues are emphasized during the working process within the method implementation.

It is essential to bring real-life connected topics into EFL classes as it is widely believed, that the process of acquiring the foreign language is beneficial if it happens in real-life context or at least is connected to it.

The present paper tries to prove the benefits of using the VaKE method in EFL classes with the dilemma topic, related to civic education.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მეგრელიშვილი

მეთოდოლოგია Methodic of Teaching

## Types of reading, specifics and role in foreign language teaching

Rusudan Gogokhia

European University  
E-mail: rusudangogokhia@yahoo.com

*Text plays an important role in the acquisition of a foreign language. Reading is of great educational and upbringing importance. Understanding the text and creating the text are key issues in language learning, without working on the text it is unthinkable to introduce new grammatical or lexical events into the lesson, to provide students with information about the country to be studied. Develops the cognitive and communicative competencies of the text as one of the main means of language acquisition. The function of working on the text is to develop students' skills that develop the competencies they need to master a foreign language. Every kind of reading takes place while working on a fictional text as a means of teaching. These types of reading will not be developed by a large proportion of students if the teacher does not develop a proper strategy for them. Reading is of great importance for intellectual development. Reading combines different skills to understand the whole text. A thoughtful question will be followed by an understanding that precedes the interpretation. The main purpose of reading teaching is to develop the learner's reading technique, to develop the ability to read the text wisely, to activate and enrich his vocabulary, to promote the ability to convey the thought orally and in writing correctly.*

Mastering reading is one of the main tasks in the study of foreign language. It has great educational and upbringing significance. Reading is an act of communication. It aims to get the information given in the text. This act of communication ends between the author of the text and his reader. Reading is a receptive form of speech communication and consists of two interrelated and inseparable processes: reading technique and reading comprehension. reading techniques are not the only process of reading, the reader must understand what he is reading. Therefore, reading is a peculiar thought operation. Reading

is seen as an informative activity in which information is passed from one person to another through a collection of conditional symbols. They emphasize that reading is an active thinking action, at the same time quite difficult, because the reader has to do a great and difficult job to grasp the author's idea. This thought process relies on a variety of skills and includes in its head a word reference, an understanding of the importance of phonetic structural analysis, an experience that has reached perfection. When working on reading problems, the following factors are distinguished: the interrelation of the process of perception and thinking, the complexity of these processes, the active nature of the reading process and the constant perfection; Its purpose in shaping personality. In the process of verbal communication, two interrelated distinctive features are distinguished: a) the process of perceiving the printed or written text, and b) the process of comprehending what is read. Physical properties of speech and perceptual quality, its role in the reading process. Perception of oral and written speech is related to the direct impact on the sense organs, its physical properties. It, due to its intellectual content, is being influenced by the reader and the reader. (Scheepers, R.A. 2008: 30-44).

Influence of reading on other speech processes. Recently, the practice of speaking has been intensified in order to practice the foreign language. This in itself is very good. However, we must not forget that reading remains an important part of the educational process. Unlike oral language, the importance of reading is that it has the potential to enrich the language of young people with new knowledge. In the process of questioning, the student is introduced to new events in the forms available to him, including the life and culture of the country in which the language to be studied. Reading helps to nurture students. Following the example of a positive literary hero, students develop the best qualities of their character. Reading also has practical significance. Some students will no longer have to use oral language in the future, and they will always be able to read in that language. Foreign language, as a subject of study, envisages that students will be able to read and understand „foreign language newspaper articles, literary texts, business or friendly letters, etc. When studying a foreign language, the focus of the question is on the nature of the speech process itself. In addition, each learning process, in turn, helps the success of the other process. This effect is noticeable when learning a foreign language. Reading a book in a foreign language significantly enriches students' vocabulary, establishes already familiar words and phraseology, and helps to expand their field of application. Intensive reading of foreign literature contributes to the development of oral habits and their solidity in memory. It can be assumed that a person is fluent in a foreign language if he or she can read and understand a non-adapted literary text without translation. All this clearly indicates the high importance of intensive reading teaching.

In order to be effective, and not boring, working on an artistic foreign language text we turn to different types of reading in the teaching process. The main purpose of working on a fictional text is a synthetic reading, e.g. Develop the habit of understanding without translating the text. Synthetic reading skills are the highest stage in the development of reading and comprehension skills in a foreign language text. During synthetic reading, the text can be understood through the synthesis of familiar grammatical forms and vocabulary, without translation and linguistic analysis. The introduction of reading of a fictional text into this type of practice is mainly carried out through extensive reading. Synthetic reading is a form of reading in which the student reads the text and directly perceives its content as a whole. Understanding the text is based on the synthesis of the known elements given in it. In the process of comprehending the text, students rely on their knowledge in grammar, vocabulary and phonetics, as well as the rules, the linguistic experience they have gained as a result of the analytical reading. Of course, the content of the reading should be accessible to students. In the process of synthetic reading, learners develop the skills of reading and understanding foreign texts. Reading helps to increase interest in foreign literature. Thoughtful reading and understanding is not an easy task. It can only be achieved through hard work and systematic hard work. (Veročnica, Z. 2008: 19).

Texts for synthetic reading should be meaningful, accessible and appropriate to students' level of knowledge, age interests, however, they should be much easier, more interesting and informative than textbooks, which will encourage students to read.

Synthetic reading is a necessary and integral part of the whole process of teaching a foreign language, through which the learner must grasp and perceive foreign fiction, explaining its content. The fictional texts that are provided to students to read at different stages of teaching differ from each other both in thematic and in ethnic complexity. The selection of fiction texts should be based on the lexical-grammatical knowledge they have acquired. The text must be selected in advance. It briefly introduces students to the content of the text. He should be so interested in and arrange the learners that they can easily understand what they are reading. In the process of conducting a synthetic reading, the learner reads the text to himself. At this point, it works at its own pace, and after reading what is read, it is given the opportunity to delve deeper into the content. As for reading aloud, the teacher is given the opportunity to find out if the students know how to read aloud by following the appropriate rhythmic-intonation norm. The teacher then reads the text aloud again. Students are given two pages of text for independent reading. The teacher helps the students to understand the meaning of the unknown words, as well as pays attention to the grammatical structure of the sentence and lexical analysis. One of the main goals of teaching synthetic reading is to repeat and reinforce previously learned vocabulary, which gives effective

results in developing reading skills and raising interest in foreign literature. Synthetic reading is one of the most important factors in mastering a foreign language.

ქეროლ დუეკის თეორიაში, ადამიანის აზროვნება განიხილება მისი ორი ტიპის შეპირისპირების კრილში – როგორც ‘მზარდი აზროვნება’ vs ‘ფიქსირებული აზროვნება’. ‘ფიქსირებული აზროვნების’ ცნების მიღმა, მკვლევარი გულისხმობს ადამიანის თანდაყოლილ, ბუნებისგან ბოძებულ ხასიათს, ინტელექტსა და შემოქმედებით შესაძლებლობებს, რის გამოც არ გვჯერა ან გამოვრიცხავთ მათი გაუმჯობესების შესაძლებლობას. ხოლო ‘მზარდ აზროვნებას’ იგი აღწერს როგორც ფსიქოლოგიურ განწყობას, როდესაც ბევრი შრომითა და შეუპოვრობით შესაძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა. როდესაც ფიქსირებული აზროვნების მქონე ადამიანი ცდილობს წარმატების მიღწევას, მაგრამ კრახს განიცდის, თავს ცუდად გრძნობს, რადგან სურს დატოვოს ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანის შთაბეჭდილება. ‘ვინ ვარ მე? გამარჯვებული თუ დამარცხებული?’ ჭკვიანურად გამოვიყურები თუ სულელურად? ამგვარი აზროვნების აღსაწერად პროფესორი დუეკი იყენებს უკვე ფართოდ დამკვიდრებულ ტერმინს „fixed mindset“ -ანუ ფსიქოლოგიური განწყობა, როცა არ გვჯერა უნარების გაუმჯობესების შესაძლებლობის. ხოლო ტერმინს „Growth Mindset“ – იგი აღწერს როგორც ფსიქოლოგიური განწყობას, როცა გვჯერა, რომ ბევრი შრომითა და შეუპოვრობით შესაძლებელია უნარების განვითარება. მზარდ აზროვნებას არ ემინია პრობლემების და წარუმატებლობას ხედავს არა როგორც სისულელის მტკიცებულებას არამედ ზრდისა და ახალი შესაძლებლობების ტრამპლინს. იმაზე, თუ როგორი აზროვნება უყალიბდება ადამიანს, დამოკიდებულია მისი კარიერული წინსვლა, ურთიერთობები და ბოლოს, ბედნიერ ადამიანად ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ფიქსირებული აზროვნება მიმართულია თვითდარწმუნებისკენ, ხოლო მზარდი აზროვნება სწავლისკენ. დუეკმა პრაქტიკულად გაარკვია რომ ფიქსირებული და მზარდი

აზროვნების მქონე ადამიანები ნამდვილად ფიქრობენ და მოქმედებენ განსხვავებულად, რამდენადაც განსხვავებულია მათი ძალისხმევა და თვითშეფასება. ფიქსირებული აზროვნების სამყაროში წარმატება ამტკიცებს რომ თქვენ ჭკვიანი და ნიჭიერი ხართ. მზარდი აზროვნების სამყაროში კი წარმატება ნიშნავს რაიმე სიახლის გაგებას, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების კვლევას. (Dweck, 2006)

**რა კავშირშია ზრდის აზროვნება და უცხოური ენის ათვისება?** მკვლევარები ბევრს საუბრობენ მოტივაციაზე, მის მნიშვნელოვან როლზე უცხოური ენის ათვისების პროცესში, მაგრამ მწირია კვლევა იმ მიმართულებით, თუ რა გავლენას ახდენს აზროვნების ტიპები, კერძოდ კი მზარდი აზროვნება მეორე ენის დაუფლების პროცესზე. სტუდენტებზე ხანგრძლივი დაკვირვებიდან გამომდინარე შემოდის თამამად ვთქვა, რომ ისინი ძალიან მტკივნეულად განიცდიან შეცდომებს, ზოგიერთი თვლის, რომ ინგლისური ენა ძალიან რთულია და მიუღწევადი. გვინახავს სტუდენტები, რომლებიც უარს აცხადებენ საუბარზე, რადგან აქვთ შეცდომების დაშვების შიში, აკვირდებიან მასწავლებლის რეაქციას და ზედმეტად სენსიტიურად განიცდიან ყოველივე ამას. ერთხელ, გამოცდის შემდეგ ვკითხე სტუდენტებს დაშვებული შეცდომების რაოდენობის შესახებ. ყველა სტუდენტმა შეცდომების იმაზე მეტი რაოდენობა დაასახელა, ვიდრე რეალურად ჰქონდათ დაშვებული. მათი თვითშეფასება აღმოჩნდა ძალიან დაბალი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დავებმართო სტუდენტებს იმის გააზრებაში, რომ სირთულე არ ნიშნავს შეუძლებელს და წავახალისოთ ისე, რომ არ შეუშინდნენ რთულ ამოცანებთან შეჭიდებას, დავებმართო დაიჯერონ, რომ ნიჭი არაფერია, თუ მას არ ახლავს მონდომება, ბევრი შრომა და შეუპოვრობა, რომელთა საშუალებითაც ყველაფრის სწავლაა შესაძლებელი. ასე რომ, სწავლის პროცესში მასწავლებლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს შექმნას სწორედ ისეთი გარემო, რომელიც მოსწავლეს სწავლისადმი დადებით განწყობას შეუქმნის, მას ინტელექტუალური შესაძლებლობების გაზრდის სტიმულს მისცემს, რადგან ხშირ შემთხვევაში, სწავლის შედეგებზე სწორედ მოსწავლის სწავლისადმი დამოკიდებულება, წინასწარი განწყობა და მოტივაცია ახდენს. მასწავლებელი მუდმივად უნდა ცდილობდეს შეცვალოს არსებული რეალობა, საგაკვეთილო პროცესი გახადოს უფრო საინტერესო, ინტერაქტიული, სტუდენტების ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე ორიენტირებული. მოგახსენებთ რამდენიმე ეფექტურ სტრატეგიას აზროვნების განვითარების თვალსაზრისით რამაც მართლაც დადებითი გავლენა იქონია სტუდენტთა უმრავლესობაზე.

**შექება როგორც კონსტრუქციული შეფასება-აღიარება** მიჩნეულია, რომ კომპლიმენტების სახით დადებითი დამოკიდებულების გამოხატვა სასარგებლო და სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარია, რადგან როდესაც სტუდენტებს ვაქებთ, ჩვენ ვებმარებით მათ, იგრძნონ თავი

მნიშვნელოვნად სხვის თვალში და ვქმნით კეთილგანწყობილ გარემოს. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ თუ კონსტრუქციული შეფასება ადამიანის მოქმედებათა ღირებულების აღიარებაა, შექება პიროვნების ღირებულების აღიარებაა. ამ დროს პირველად, აუცილებლად უნდა გამოვხატოთ დადებითი დამოკიდებულება. ამის შემდეგ კი დავაკონკრეტოთ რა მოგვეწონა და დავასაბუთოთ - რატომ. ყოველ ადამიანს სურს, მოისმინოს საკუთარი თავის შესახებ რაიმე კონკრეტული, რადგან სწორედ შექების კონკრეტულობა აძლევს შესაძლებლობას, იგრძნოს მისი ობიექტურობა და ბუნებრიობა. ამდენად, არა უნრალოდ: „შენ კარგი ბიჭი/გოგონა ხარ!“, არამედ - „კარგად ნასწავლი მასალით ბევრად უკეთ შეძელი ესე დაწერა“, არა უბრალოდ: „ჭკვიანი ხარ!“, არამედ - „ყოჩაღ, როგორ შეძელი ასეთი მდიდარი ლექსიკის გამოყენება!“... მიგვითითებენ, რომ კომპლიმენტის ჩამოყალიბებისას მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მცირედ შესამჩნევ დეტალებს და თვისებებს.

**სიტყვა “ჯერ” ის დადებითი გავლენა** ქეროლ დვეკი ხაზგასმით აღნიშნავს სიტყვა “ჯერ” - ის მნიშვნელობას და მოუწოდებს მასწავლებლებს მის ხშირად გამოყენებას, რადგან როდესაც სტუდენტი იღებს შეფასებას ‘ჩაჭრა’, ცუდი ნაწერია... ის ფიქრობს რომ მას არ შეუძლია, ის არაფერს წარმოადგენს. ხოლო შეფასება “ჯერ არა” “ჯერ არ იცი” ....სტუდენტს გზას უკაფას მომავლისკენ და დადებითი მუხტით ავსებს.

**რეფლექსია/უკუკავშირი** უკუკავშირი სტუდენტს ეხმარება მზარდი აზროვნების ფორმირებაში და დაშვებული შეცდომების უკეთ გაანალიზებაში. სტუდენტები უკეთ სწავლობენ თავიანთ შეცდომებზე როდესაც მასწავლებელი ქმნის უსაფრთხო გარემოს სადაც სტუდენტს არ ეშინია შეცდომების. პირიქით, ხედავს მათ როგორც უკეთ შემეცნების საშუალებას. შედეგად მათი გულისყური მიმართულია არა ნიშნებისაკენ არამედ სწავლის პროცესსა და მიღწეულ შედეგზე. კითხვები როგორცაა: რას მივაღწიე დღეს? რა ვისწავლე? რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი რამ რაც ვისწავლე? კიდევ რა უნდა შევისწავლო? რისი გაგება/სწავლა მაინტერესებს კიდევ ამ საკითხთან მიმართებაში? როგორ ვაპირებ ამას? What? So what? Now what? რა ვისწავლე? რა გავიგე/შევიმეცნე? ახლა რა მჭირდება? კიდევ რა?

**მოკლე ვადიანი მიზნების /გეგმების დასახვა** გულისხმობს კონკრეტულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებზე ორიენტირებულ სპეციფიურ ქმედებებს მოკლე ხანში. სტუდენტები თვითონ ირჩევენ რა სჭირდებათ მათ ან მასწავლებელი უსახავს კონკრეტულ მიზანს ძალიან მოკლე დროში მისაღწევად. მაგალითად: ეს კვირა ჩვენ ვმუშაობთ პუნქტუაციის ნიშნების სწორად გამოყენებაზე... რაც მიღწევადი მიზანია და ზრდის თვითშეფასებას, რწმენას და მოტივაციას უფრო პროდუქტიული გახდეს სწავლა.

ელექტრონული საშუალებების ეფექტურად ჩართვა უცხოური ენის სწავლების პროცესში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული ელექტრონული საშუალებები სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას. „ციფრულმა რევოლუციამ“, ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მსგავსად, მნიშვნელოვნად შეცვალა სასწავლო გარემო [გოჩიტაშვილი, 2013: 25]

პედაგოგთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას სასწავლო მიზნების შესაბამისი ინსტრუმენტების კურსში ჩართვა და იმპლიმენტაცია უნდა წარმოადგენდეს, რათა გაამრავალფეროვნოს, გაამდიდროს, გააადვილოს სწავლა-სწავლების პროცესი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაუახლოვოს ის სტუდენტებისათვის ბუნებრივ და მოხეხებულ გარემოს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე შემსწავლელთა აბსოლუტური უმრავლესობა „ციფრული რევოლუციის“ შემდგომი თაობის წარმომადგენელია, რომელთათვისაც ელექტრონული საშუალებები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით კურსის გამდიდრების მნიშვნელობა სრულიად აშკარა ხდება, რადგან ეს მათთვის მეტად კომფორტული გარემოს შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

Jeong-Bae Son-ი თავის სტატიაში „Online Tools for Language Teaching“ გვთავაზობს კითხვარს, რომელიც დამყარებულია ცნობილ პრინციპზე 5W1H (who, when, where, what, why and how 1) ვინ იყენებს? 2) როდის ვიყენებთ? 3) სად ვიყენებთ? 4) რას ვაკეთებთ მათი საშუალებით? – ვკითხულობთ? ვწერთ? ვამყარებთ კომუნიკაციას? ვიყენებთ სოციალურ ქსელებში? 5) რატომ ვიყენებთ? – 6) როგორ ვიყენებთ? როგორ მუშაობს? არსებობს ენის ტექნოლოგიებზე/კომპიუტერზე/მულტიმედიაზე დაფუძნებული სწავლების რამდენიმე თვალსაჩინო „უპირატესობა.“ პირველ ყოვლისა, ეს არის შესაძლებლობა, ერთი კურსის ფარგლებში გაერთიანდეს ტექსტი, აუდიო, ვიზუალური მასალა, გრაფიკა და მოძრავი ელემენტები, როგორებიცაა ანიმაცია და ვიდეო. ანუ, ცოდნის გადაცემა, ტრადიციულ წერილობით ტექსტებსა და ზეპირმეტყველებასთან ერთად, ხდება მრავალფეროვანი საშუალებებით. (Son, 2011)

Dictogloss - ერთ-ერთი ეფექტური აქტივობაა სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის ამაღლების მიზნით. სადაც მასწავლებელს შეუძლია ააგოს საინტერესო აქტივობა ახალი მასალის გამოყენებით. აქტივობისთვის მასწავლებელს შეუძლია YouTube სა და Vimeo - ზე ატვირთული ვიდეოების გამოყენება.

Qr code/generator ის გამოყენებით იქმნება - ძალიან სახალისო, თანამედროვე აქტივობა სადაც მთელი ჯგუფი აქტიურადაა ჩართული გარკვეულ ენობრივ თამაშში, რასაც მასწავლებელი

ისახავს მიზნად. ეს შეიძლება იყოს როგორც გრამატიკა, ასევე სასურველი ლექსიკური მასალა. მასწავლებელი ქმნის QR codes სამიზნე მასალით, აკრავს კედლებზე, სტუდენტები ჯგუფურად ასკანერებენ მათ და ასრულებენ მითითებულ დავალებას. გამარჯვებული გუნდი გამოვლინდება ყველაზე მეტი სწორი პასუხების მიხედვით.

რათქმაუნდა, ყველა ამ აქტივობას აქვს თავისი მიზანი, დრო, მისაღწევი შედეგი. თითოეული - აღძრავს სტუდენტთა ინტერესს, შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, მეთოდოლოგიას. საგრძნობლად ზრდის სტუდენტთა მოტივაციას, ჩართულობის ხარისხს და ქმნის პოზიტიურ, სასურველ გარემოს რაც ხელს უწყობს სტუდენტთა თვითშეფასების და მზარდი აზროვნების ფორმირებას.

### ლიტერატურა:

1. გოჩიტაშვილი ქ, საინფორმაციო ტექნოლოგიები უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში, საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისთვის. თბილისი, 2013. გვ.20-46.
2. Bai, B., & Wang, J. The role of growth mindset, self-efficacy and intrinsic value in self-regulated learning and English language learning achievements. *Language Teaching Research*, 1362168820933190.2020.
3. Carol S. Dweck, *The New Psychology of Success*, Random House, 2006.
4. <http://www.managementsite.com/507/learning-to-compliment-effectively-.aspx>
5. <https://davelinehan.com/what-so-what-now-what/>
6. <https://www.amazon.com/Mindset-Psychology-Success-Carol-Dweck/dp/1400062756>
7. <https://www.edutopia.org/blog/smart-goal-setting-with-students-maurice-elias>
8. Ng, B. The neuroscience of growth mindset and intrinsic motivation. *Brain sciences*, 8(2), 20. 2018.
9. Son, J. B. Online tools for language teaching. *TESL-EJ*, 15(1), 1-12, 2011.

Nino Samnidze

**“Growth Mindset” in Carol Dweck’s Theory and Teaching Strategies  
for its Development  
(Based on Teaching English)**

**A b s t r a c t**

Language acquisition is a complex process requiring effort and an extensive time commitment from learners to reach mastery. The role of mindsets presented by a professor of psychology - Carol Dweck “New Psychology for Success” (2006) is now widely acknowledged in education and beyond. She proved motivational factors to be more important than cognitive factors for success claiming that students' behaviours are actually linked to their mindsets. After decades of studies and extensive evidence, she provided a new approach about success, based on two predominant concepts, for which she coined the terms “growth mindset” vs “fixed mindset”.

The purpose of the paper is to find out the impact of mindsets on teaching and learning a foreign language. Also, it focuses on effective teaching strategies supporting and enhancing growth mindset in foreign language acquisition at university level. Moving from a fixed to a growth mindset can have a profound impact on students' learning ability and personal view, especially in learning a language in which attempting and being resilient are key in today’s teaching approaches.

რეკენზენტი: პროფესორი ი. ბასილაძე

## გრამატიკული დროის სწავლებისათვის რომანულ ენებში (ნამყო უსრული დროის თავისებურებები)

მაია ჯავახიძე

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

maia.javakhidze@tsu.ge

რომანულ ენებში ნამყო უსრული დრო ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია ამ ენების ქართულენოვანი სტუდენტებისათვის სწავლების დროს. ის გამოხატავს წარსულის დაუსრულებელ მოქმედებას (ლათინური *IMPERFECTUM* – უსრული), უფრო ზუსტად კი, წარსულში განლაგებულ ისეთ მოქმედებას, რომლის კოორდინატები – დაწყებისა და დასრულების მომენტი – არ არის გამოხატული. მისი ტემპორალური მახასიათებელია [+წარსული] და ასპექტუალური მახასიათებელია [+იმპერფექტი].

ჩვენ მიერ განხილული აღწერის (*imperfetto descrittivo*), განმეორებადი (*imperfetto iterativo*) და ნარატიული ან ისტორიული უსრული დრო (*imperfetto narrativo*) – გამოხატავს რეალურად მომხდარ მოქმედებას. მათგან პირველი ორი ქართულში უწყვეტლის მწკრივით გადმოიცემა. ისტორიული უსრული დრო იტალიურში ძალიან სპეციფიკური დროა და მას ქართულში წყვეტილის მწკრივი შეესაბამება. ეს დრო ძალიან საინტერესოა იტალიურში იმ თვალსაზრისით, რომ ამ შემთხვევაში უსრული დრო სრული დროის მნიშვნელობას იძენს, რაც ეწინააღმდეგება უსრული დროის შინაგან ბუნებას, ამიტომაც ნარატიულ (ან ისტორიულ) უსრულ დროს ქართულში ყოველთვის წყვეტილის მწკრივი შეესაბამება, შეუძლებელია მისი უწყვეტლის მწკრივით გადმოიცემა.

რომანულ ენებში დასტურდება იმპერფექტის არადროული (ე.ი. არაწარსულის) – „მოდალური“ მნიშვნელობებიც; მათ გააჩნიათ საერთო მახასიათებელი – რეალური სამყაროდან სხვა, მთქმელის მიერ შექმნილ ირეალურ სამყაროში გადასვლა. ჩვენ წარმოვადგინეთ



იმპერფექტული დროის მოდალური ხმარების შემთხვევები ქართულ ენასთან მიმართებაში. ესენია:

1. ონირიკული (სიზმრის) იმპერფექტი - ტრადიციულად აღიწერება როგორც რეალური სამყაროდან ირეალურში გადასვლის გამომხატველი.
2. ლუდიკური (თამაშის) იმპერფექტი - ბავშვების დისკურსში იმპერფექტის გამოყენება თამაშის სცენარის დაგეგმვის დროს.
3. ჰიპოქორისტული (აღერსობითი)- რომლითაც დიდი ადამიანები, ძირითადად ქალები, მიმართავენ პატარა ბავშვებსა და ცხოველებს, რომლებთანაც მათ განსაკუთრებული სითბო-სიყვარული აკავშირებს.
4. თავაზიანობის, შემარბილებელი უსრული (*imperfetto di modestia, attenuativo*) – არ გამოხატავს წარსულში მომხდარ მოქმედებას, არამედ იხმარება თავაზიანი ტონის შესატანად:
5. ჰიპოთეზური იმპერფექტი (*imperfetto ipotetico*), რომელიც გავრცელებულია სალაპარაკო ენაში და უფრო ფორმალურ ვარიანტში მას შედგენილი პირობითი კილო ანაცვლებს.

ქართულში შესაძლებელია ლექსიკურ დონეზე ლექსიკური მარკერის - „ვითომ“ - გამოყენება, რომელიც ყოველთვის არ არის წარმოდგენილი და რომელსაც რეალურიდან ირეალურ სამყაროში გადაჰყავს როგორც მოთამაშე ბავშვები, ისე სიზმრის მთხრობელიც.

რაც შეეხება „შემარბილებელ“ იმპერფექტს, „შერბილების“ მნიშვნელობით „ნდომა“ ზმნა ქართულშიც შეიძლება უწყვეტლით გადმოვიდეს, მაგრამ სხვა შემთხვევებში ჩვენ თავაზიანობის გამოხატვის სხვა სტრატეგიებს მივმართავთ.

სალაპარაკო ფორმაში გავრცელებულ ჰიპოთეზურ იმპერფექტთან დაკავშირებით კი აღვნიშნავთ, რომ შეუძლებელია მისი უწყვეტლით გადმოცემა, ის უნდა გადმოიცეს მეორე თურმეობითითა და ხოლმეობითით.

**საკვანძო სიტყვები:** ნამყო უსრული რომანულ ენებში, უწყვეტლის მწკრივი ქართულ ენაში, წყვეტილის მწკრივი ქართულ ენაში

იტალიური ენის შედარებით მაღალ საფეხურებზე (B2 და C1) სწავლებისას, ორიგინალურ ტექსტზე მუშაობის დროს, ვაწყდებით გრამატიკული დროის სისტემის გარკვეულ თავისებურებებს. წინამდებარე სტატიაში ამ კომპლექსური საკითხის მხოლოდ ერთი ნაწილის - წარსული უსრული დროის ზოგიერთ თავისებურებებზე შევჩერდებით.

როგორც ცნობილია, დროთა სისტემაში გამოიყოფა აბსოლუტური, ფარდობითი (რელატიური) და აბსოლუტურ-ფარდობითი დროები. [Comrie, 2000:36, 56, 64]

თავის მნიშვნელობაში აბსოლუტური დრო მოიცავს ახლანდელ მომენტს როგორც დეიქტურ ცენტრს. ახლანდელ მომენტთან მიმართებაში გამოიყოფა სამი აბსოლუტური დრო: აწმყო, წარსული და მომავალი. აბსოლუტური დროის ფორმალური რაპრეზენტაციისათვის განისაზღვრება ახლანდელი, საუბრის მომენტი, რომელიც აღინიშნება S-ით (moment of speech) და მოვლენის დრო – E (moment of event). მათ შორის შემდეგი ტემპორალური მიმართებები მყარდება: წინსწრების, თანადროულობისა და შემდგომობის. სამი აბსოლუტური დრო გამოიხატება ასე:

აწმყო: მოვლენის დრო (E) და საუბრის დრო (S) ემთხვევა ერთმანეთს.

წარსული: მოვლენის დრო (E) წინ უსწრებს საუბრის მომენტს (S).

მომავალი: მოვლენის დრო (E) მოსდევს საუბრის მომენტს (S).

აღსანიშნავია, რომ E ცვალებადი წერტილია, ხოლო S კი – ფიქსირებული.

აბსოლუტურ-ფარდობით დროებში შემოდის კიდევ ერთი ელემენტი – R – ათვლის წერტილი (reference point). ასეთ დროებში ათვლის წერტილი დამყარებულია ახლანდელ მომენტთან – S-თან მიმართებაში (მანამდე ან მის შემდეგ) და სიტუაცია კი დროში განლაგებულია R-თან – ათვლის წერტილთან მიმართებაში (მანამდე ან მის შემდეგ). მაგალითად, პლუსკვამპერფექტს (ნამყოწინარეწარსულს) აქვს ათვლის წერტილი (R) წარსულში (ახლანდელ მომენტამდე) და სიტუაცია განლაგებულია ამ ათვლის წერტილამდე (წინ უსწრებს მას):

*Lui ha detto che aveva comprato il pane.*

*მან თქვა (R), რომ პური უკვე ეყიდა (E).*

E განლაგებულია R-თან მიმართებაში, R კი განლაგებულია S-თან მიმართებაში, მაგრამ არ არის პირდაპირი კავშირი დამყარებული E-სა და S -ს შორის. [Comrie 2000:36,126]

ა.შანიძემ ქართული ზმნის დრო-კილოთა სისტემატიზაციისას საკლასიფიკაციო ნიშნად ზმნის ფუძის სტრუქტურა და სინტაქსური კონსტრუქცია მიიღო. [შანიძე, 1953] დრო ქართულში ე.წ. მწკრივებით გამოიხატება. ერთ მწკრივს შეიძლება რამდენიმე დროული მნიშვნელობა ჰქონდეს [გეგუჩაძე, 1978:119] აწმყოს – ახლანდელი, მომავალი და ე.წ. „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობები; უწყვეტელს – წარსულის; აწმყოს კავშირებითს – ახლანდელი და მომავალი, მყოფადს – მომავალი და ახლანდელი, ხოლმეობითს – მომავალი და წარსული, მყოფადის კავშირებითს – მომავალი, წყვეტილს – წარსული, მომავალი, ახლანდელი. II კავშირებითს – მომავალი, ახლანდელი, წარსული. I თურმეობითს – ახლანდელი, წარსული, მომავალი. II თურმეობითს – წარსული, მომავალი. III კავშირებითს – წარსული და მომავალი.

თერთმეტი მწკრივიდან მხოლოდ ერთ დროს გამოხატავს ორი მწკრივი; ორ დროს გამოხატავს ხუთი მწკრივი; სამ დროს – სამი მწკრივი; აწმყოს მწკრივს სამი დროული გაგება

შეიძლება ჰქონდეს. გოგოლაშვილის აზრით, „ერთი და იგივე ფორმა ამა თუ იმ მწკრივისა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა დროის გაგებას იძენს. ანუ მწკრივის ფორმას დროულ მნიშვნელობას კონტექსტი ანიჭებს. კონტექსტის ბუნება და ხასიათი, კონსტრუქციაში შემავალი წევრები შეაპირობებენ ამ ფორმის დროულ გაგებას“. [გოგოლაშვილი, 2010:109]

იტალიური რომანული ენაა. ზმნა იტალიურში წარმოდგენილია სინთეზური და ანალიზური ფორმებით. დრო, ასპექტი და კილო გამოხატულია ორივე აღნიშნული ფორმით. კილო ოთხია – თხრობითი, ბრძანებითი, პირობითი და კავშირებითი. დროთა მორფოლოგიური სისტემა კი ამგვარია: აწმყო (presente), ნამყო უსრული (imperfetto), ნამყო სრული შედეგით აწმყოში (passato prossimo - ახლო წარსული), ნამყო სრული შედეგით წარსულში (passato remoto - შორეული წარსული), პლუსკვამპერფექტი: ნამყო წინარეწარსული შედეგით აწმყოში (trapassato prossimo) და ნამყოწინარეწარსული შედეგით წარსულში (trapassato remoto), მარტივი მომავალი (futuro) და შედგენილი მომავალი ან წინარე მომავალი (futuro anteriore).

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ნამყო უსრულის (imperfetto) დახასიათებასა და მის თავისებურებებზე.

ნამყო უსრული ტიპური „ასპექტუალური“ დროა, გამოხატავს წარსულის დაუსრულებელ მოქმედებას (ლათინური IMPERFECTUM – უსრული), უფრო ზუსტად კი, წარსულში განლაგებულ ისეთ მოქმედებას, რომლის კოორდინატები – დაწყებისა და დასრულების მომენტი – არ არის გამოხატული. მისი ტემპორალური მახასიათებელია [+წარსული] და ასპექტუალური მახასიათებელია [+იმპერფექტი]. ძალიან კარგად გამოიკვეთება ასპექტუალური მნიშვნელობა ე.წ. აღწერის უსრულ დროში (imperfetto descrittivo):

*Era da poco trascorsa l'ora sesta. Il sole, pallido, penetrava da occidente, e quindi da poche e sottili finestre, nell'interno della chiesa. Una striscia sottile di luce toccava ancora l'altare maggiore, il cui paliotto mi parve rilucere di un fulgore aureo. Le navate laterali erano immerse nella penombra.* [Eco, 2012 :56]

*მეექვსე ჟამი ახალი გამოსული იყო. დასავლეთიდან ვერმკრთალი მზე ჭიატობდა ეკლესიის ვიწრო ფანჯრებში. სინათლის წვრილი სხივი სცემდა და ოქროსფრად აბრდღვიალებდა საკურთხეველს. ტაძრის გვერდითი ნაგები ბნელში ჩაძირულიყო.* [ეკო, 2012:77]

კიდევ უფრო დეტალურ ანალიზს იძლევა ბერტინეტო, როდესაც გამოყოფს შემდეგ სამ ასპექტუალურ მნიშვნელობას: პროგრესივი (progressive), ჰაბიტუალური (habitual) და გრძლიობითი (continuous), აი, ეს მაგალითები:

*Luigi dormiva placidamente nel suo letto, quando (all'improvviso) scoppiò un tuono formidabile.*

*ლუიჯის მშვიდად ეძინა საწოლში, როდესაც (მოულოდნელად) მეხმა დაიგრგვინა.*

*In quel periodo Pier Marco si alzava alle cinque.*

იმ დროს პიერ მარკო 5 საათზე დგებოდა ხოლმე.

*Per tutta la durata dell'incontro, Pier Marco guardava davanti a sé con aria desolata.*

მთელი შეხვედრის განმავლობაში პიერ მარკო სასოწარკვეთილი გამომეტყველებით იყურებოდა. [ბერტინეტო, 1986: 120, 140, 162]

ყოველ მოცემულ შემთხვევაში უსრული დრო, როგორც ვხედავთ, ქართულში უწყვეტლის მწკრივით გადმოიცემა და, შესაბამისად, მისი გაგების თვალსაზრისით ქართულენოვან სტუდენტებს პრობლემა არა აქვთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ე.წ. ნარატიულ ან ისტორიულ უსრულ დროზე (*imperfetto narrativo*); ეს დრო ძალიან საინტერესოა იტალიურში იმ თვალსაზრისით, რომ ამ შემთხვევაში უსრული დრო სრული დროის მნიშვნელობას იძენს, რაც ეწინააღმდეგება უსრული დროის შინაგან ბუნებას, მაგრამ სერიანი ამ მოვლენას მისი სტილისტური მიზნებით ხმარებით ხსნის, კონკრეტულად კი ის ემსახურება ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების „გაგრძელებას“, გარკვეულწილად მის „შეჩერებას“ მკითხველის თვალწინ. [Serianni, 2000:326] ქართულისთვის ამ ფორმის წყვეტილის მწკრივით გადმოიცემა ბუნებრივი და არა უწყვეტლით, მაგ.:

*Sei giorni dopo le truppe sovietiche invadevano la sventurata città. Riuscivo fortunatamente a raggiungere la frontiera austriaca a Linz, da lì mi portavo a Vienna dove mi ricongiungevo con la persona attesa e insieme risalivamo il corso del Danubio.* [Eco, 2000:11]

თუ გრამატიკულ დროს შევინარჩუნებთ, მაშინ ეს აზრადი ქართულად ასე უნდა ვთარგმნოთ:

*ექვსი დღის შემდეგ საბჭოთა ჯარები ბედრკულ ქალაქს იპყრობდნენ. მე საბედნიეროდ ვახერხებდი და ვაღწევდი ლინცს – ავსტრიის საზღვარს, იქიდან კი მივდიოდი ვენაში, სადაც ვხვდებოდი ჩემს მეგობარ ქალს და ერთად მივუყვებოდით ალმა დუნაის.*

რეალურად კი აქ წყვეტილის მწკრივის ფორმები უნდა გვქონდეს:

*ექვსი დღის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა დაიპყრეს ბედრკული ქალაქი. მე გამიმართლა და ლინცს, ავსტრიის საზღვარს, მივაღწიე, ვენაში კი ჩემს მეგობარ ქალს შევხვდი და ერთად ავუყვებით ალმა დუნაის.* [ეკო, 2012:17]

აი, კიდევ ერთი მაგალითი:

*Nel 1322 Ludovico il Bavaro batteva il suo rivale Federico.* [Eco 2000; 20]1322 წელს ლუდვიგ ბავარიელმა თავისი მეტოქე – ფრიდრიხი დაამარცხა [ამარცხებდა]<sup>1</sup>. [ეკო, 2012:29]

<sup>1</sup> კვადრატულ ფრჩხილებში მოცემულია ის ფორმა, რომელიც გამოყენებულია ორიგინალურ ტექსტში, ამ შემთხვევაში უწყვეტელი.

ნარატიულ ან ისტორიულ უსრულ დროს ქართულში ყოველთვის წყვეტილის მწკრივი შეესაბამება, შეუძლებელია მისი უწყვეტლის მწკრივით გადმოცემა.

იტალიურ ენაში დასტურდება იმპერფექტის არადროული (ე.ი. არაწარსულის) მნიშვნელობებიც, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მათი გაერთიანება ერთი სახელწოდების ქვეშ - „მოდალური“ - ვინაიდან მათ გააჩნიათ საერთო მახასიათებელი - რეალური სამყაროდან სხვა, მთქმელის მიერ შექმნილ ირეალურ სამყაროში გადასვლა.

როგორც პალმერი აღნიშნავს, მოდალობა სემანტიკური კატეგორიაა, რომლის განმარტებაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ის გამოხატულია სხვადასხვა ფორმალური საშუალებებით, როგორცაა მოდალური ზმნები, კავშირებითი კილო, ნაწილაკები [Palmer, 2013:2]

ინგლისურში არსებობს ფორმალური კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც გამოიყოფა მოდალური ზმნების ჯგუფი (will, shall, can, may, must, ought to და შედარებით ნაკლები გავრცელების dare, need, is to, used to). მათთვის დამახასიათებელია გარკვეული თვისებები, რომლითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ზმნებისაგან; გამოიყოფა მოდალობის ორი ძირითადი ტიპი - ეპისტემიური და დეონტური მოდალობა. ეპისტემიური იძლევა მოლაპარაკის მიერ პროპოზიციის შეფასებას

John may be there now. შეიძლება ჯონი ახლა იქ იყოს. (ვარაუდი)

John must be there now. ჯონი ახლა იქ უნდა იყოს. (ვარაუდი)

John may come in now. ჯონს შეუძლია შემოვიდეს ახლა.

John must come in now. ჯონი უნდა შემოვიდეს ახლა.

პირველი ორი წინადადება გამოხატავს ვარაუდს, რომლის პერიფრაზი ასეთი იქნება: რამდენადაც მე ვიცი; ანუ შესაძლებელია, რომ მოცემული ინფორმაცია (რომ ჯონი იქ არის) სიმართლე იყოს. მესამე და მეოთხე წინადადებაში წარმოდგენილია მოდალურების დეონტური ხმარება: მესამეში მოლაპარაკე უფლებას აძლევს ჯონს და მეოთხეში ის მას ავალდებულებს.

ინგლისურში მოდალობისთვის შესაძლებლობა (possibility) და ვალდებულება (necessity) ცენტრალურია და ისინი წარმოადგენენ ეპისტემიური და დეონტური მოდალობის საფუძველს. ეს ასეა ბევრ სხვა ენაში [Palmer, 2013:10]

იტალიური ენიდან ეპისტემიური მოდალობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს:

*Forse sarà stato anche complicato per loro avvicinarsi a me, chissà.*

*ვინ იცის, იქნებ მათთვის ძალიან ძნელი იყო ჩემთან მოახლოება!*

*Questa cosa deve essergli costata molto stress.*

*ეს ამბავი მას დიდ ნერვიულობად უნდა დასჯდომოდა!*

*(ვინ იცის, იქნებ დიდ ნერვიულობად დაუჯდა!)*

*Scusi, un oggetto luminoso nel cielo, lo dovrebbe vedere un' intera città.*

*უკაცრავად, მანათობელ საგანს ცაში მთელი ქალაქი უნდა ხედავდეს!*

*L' ipotesi può sembrare paradossale perché proprio D'Alema è considerato un avversario del prodismo.*

*ეს ჰიპოთეზა პარადოქსულად შეიძლება მოგვეჩვენოს, სწორედ დაღემა იყო მიჩნეული პროდის პოზიციის მოწინააღმდეგედ. [Pietrandrea 2005: 7,8]*

*დეონტური მოდალობის მაგალითებია:*

*Bisogna fermarli prima che diventino assassini.*

*მათი შეჩერება მანამდეა საჭირო, სანამ მკვლევებად ქცეულან.*

*Anche loro hanno il dovere di mettere fine a questo silenzio*

*ამ სიჩუმეს მათაც უნდა დაუდონ ბოლო.*

*Gli studenti possono sostenere gli esami negli appelli straordinari di novembre e marzo.*

*სტუდენტებს შეუძლიათ გამოცდის ჩაბარება ნოემბრისა და მარტის სპეციალურ სესიაზე.*

*Fabio, tu devi stare zitto!*

*ფაბიო, შენ ჩუმად უნდა იყო!*

*Da questo momento in poi, puoi parlare quando vuoi!*

*ამ წუთიდან უკვე შეგიძლია, როდესაც გინდა მაშინ ილაპარაკო! [Pietrandrea, 2005; 9,10]*

როგორც პიეტრანდრეა აღნიშნავს, ინგლისურისაგან განსხვავებით, იტალიურ ენაში მოდალურებს არ გააჩნიათ სხვა ზმნებისაგან (არამოდალური) განმასხვავებელი რაიმე მორფოლოგიური ან სინტაქსური ნიშნები; იტალიური მოდალურების ჯგუფი, რომელიც გავრცელებული შეხედულების მიხედვით მოიცავს *dovere* (ვალდებულება), *potere* (შესაძლებლობა) *volere*-ს (სურვილი), არ ხასიათდება მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით [Pietrandrea 2005;12].

სანამ უშუალოდ წარსული იმპერფექტის „მოდალური“ მნიშვნელობების განხილვზე გადავიდოდეთ, შევჩერდებით ტემპორალური დისტანცირების ცნებაზე, რომლის არსი შემდეგშია: დროის ძირითადი ბაზისური ფუნქციაა ქრონოლოგიურად განლაგოს სიტუაცია რეფერენციის წერტილთან მიმართებაში, ანუ დეიქტურ ცენტრთან ახლოს ან მისგან შორს. უზნობის დროისა და ადგილის უშუალო სიახლოვეში (*proximate*) მომხდარ სიტუაციას მთქმელი, ჩვეულებრივ, განიცდის როგორც რეალურსა და ნამდვილს. ისეთ სიტუაცია კი, რომელიც ხდება „არა-ახლა“ და „არა-აქ“, ანუ, რომელიც დაშორებულია (*distant*) გამოთქმის ადგილისა და დროისაგან, მას არ განუცდია როგორც „ახლა“, ამიტომ თავის ნათქვამშიც მას განსხვავებულად წარმოადგენს. შესაბამისად, სრულიად გასაგებია სივრცითი და ტემპორალური სიახლოვიდან

(proximity) უფრო ფართო და აბსტრაქტულ - კონცეპტუალურ და კოგნიტიურ სიახლოვეზე - ნამდვილი/რეალური (actuality/reality) გადასვლა და, შესაბამისად, სივრცითი და ტემპორალური დისტანცირებიდან (distance) უფრო აბსტრაქტულ - კონცეპტუალურ და კოგნიტიურ დისტანცირებაზე - არა-ნამდვილი/არა-რეალური (non-actuality/non-reality). [Fleischman, 1989: 2,3]

წინამდებარე სტატიის ფრაგლებში განვიხილავთ ტემპორალური დისტანცირების მეტაფორული რეალიზაციის სამ შემთხვევას, რომელიც აღწერილია სამეცნიერო ლიტერატურაში და მათ მიმართებას ქართულთან; ესენია ჰიპოქორისტული (ალერსობითი), ონირიკულ (სიზმრის) და ლუდიკური (თამაშის) იმპერფექტი.

დავაკვირდეთ ჰიპოქორისტული იმპერფექტის ამ მაგალითებს ფრანგული და იტალიური ენებიდან, რომლებშიც წარმოდგენილია ზმნა იმპერფექტულ დროში, რომლის თარგმანი ქართულად აუცილებლად აწმყოს გულისხმობს:

ფრანგული: *Comme il etait [IMP] sage! Comme il aimait [IMP] bien sa maman!*

*რა კარგი ბიჭუნაა [იყო]! როგორ უყვარს [უყვარდა] თავისი დედიკო!*

(მაგალითები [Grevisse 1969:671], ფლეიშმანის მიხედვით [Fleischman, 1989:13])

იტალიური: *Aveva fame [IMP] la mia bambina?*

*შია [შიოდა] ჩემს გოგონას? [Bazzanella, 1990: 444]*

ფრანგმა გრამატიკოსებმა შემოიტანეს ტერმინი “hypocoristic” (ბერძნული *υποκοιοιστικός* - 'affectionate', 'attenuative' - ალერსობითი) წარსულის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღსანიშნად, რომელიც წარმოიქმნება დისკურსის იმგვარად მარკირებულ ვარიანტში, როდესაც დიდი ადამიანები, ძირითადად ქალები, მიმართავენ პატარა ბავშვებსა და ცხოველებს, რომლებთანაც მათ განსაკუთრებული სითბო-სიყვარული აკავშირებს.

არსებობს ვარაუდი, რომ წარსულში დისტანცირება არის იმ დაშორების სიმბოლო, რაც არის მთქმელის - დიდი, ზრდასრული ადამიანისა და მისი ადრესატის - ბავშვის სამყაროებს შორის; როდესაც მთქმელი დისკურსის ამგვარად მარკირებას მიმართავს, ამით ის მოიპოვებს ერთგვარ დაშვებას ბავშვების სამყაროში, მათ დისკურსში. ზრდასრული ადამიანის მიერ ჰიპოქორისტული წარსულის გამოყენება მაშინვე ახდენს ამ სამყაროს როგორც რეალურის (real) მარკირებას წარსულის მსგავსად, თუმცა, იმგვარად, რომ ის დაშორებულია მის აწმყოსაგან. [Imbs, 1960:97]

ჰიპოქორისტული წარსულის ალტერნატიულ ინტერპრეტაციას იძლევა გუგენჰეიმი, რომელიც ასევე დასაშვებია და არ გამორიცხავს წინა განმარტებას:

[ჰიპოქორისტული წარსულის გამოყენების დროს] *on ne veut pas prendre au serieux les paroles qu'on prononce. On dit en somme, a l'adresse de l'adulte qui entend ou pourrait entendre ces propos (ou vis-*

*a-vis de soi-meme, par respect humain): Attention, je ne parle pas serieusement, je suis dans le jeu, dans le fictive.* [Gougenheim 1970;154]

ამ შეხედულების თანახმად, წარსული დიდი (ზრდასრული) ადამიანის დისკურსის გამომხატველი ნიშანია; წარსულის ამგვარი გამოყენებით მთქმელი ახდენს თავისი თავის დისტანცირებას საკუთარი ნათქვამისაგან, აღიარებს, რომ ის არ არის წარმოთქმული დიდებისათვის მისაღებ ფორმებში.

აღწერილ შემთხვევაში წარსულში გადასვლა - ტემპორალური დისტანცირება - არის მეტაფორა იმ დისტანციისა, რომელსაც ფლეიშმანი სოციოლინგვისტურსა და მოდალურ/ევიდენციალურს უწოდებს. [Fleischman, 1989:13]

სიზმრების, ჰალუცინაციებისა და სხვა არაცნობიერი მდგომარეობების გადმოცემის დროს ბევრ ენაში (ესპანური, ფრანგული, იტალიური და სხვ.) ძირითად დროდ გამოყენებულია იმპერფექტი. ამის ახსნა, ფლეიშმანის აზრით, შეიძლება იყოს შემდეგი: დისტანცირება, წარსულ დროში გადატანა, გამოყენებულია მეტაფორულად იმ მოვლენების აღსაწერად, რომლებიც ირეალურ (irrealis) სამყაროში ხდება.

იგივენაირად ხსნიან ბავშვების დისკურსში იმპერფექტის გამოყენებას თამაშის სცენარის გადმოცემის დროს ესპანურში, ფრანგულსა და იტალიურში. საქმე ეხება როლების გადანაწილებას თამაშის დაწყების წინ:

**ესპანური:** *Vamos a jugar a policias y ladrones. Yo era [IMP] el jefe de la banda; este era [IMP] el que abria [IMP] la caja fuerte; vosotros los que dabais [IMP] el asalto y estos los guardias civiles* [Warnant, 1966;349]

*მოდო, ქურდები და პოლიციელები ვიყოთ! მე ვარ/ვიქნები [ვიყავი] ბანდის მეთაური, ეს ის არის/იქნება [იყო], ვინც სეიფი გახსნა, თქვენ ხართ/იქნებით [იყავით] თავდამსხმელები და ისინი - პოლიციელები!*

**ფრანგული:** *J'etais [IMP] le malade, et tu apelais [IMP] le docteur!*

*ვითომ მე ავად ვარ [ვიყავი] და შენ ექიმი გამოიძახე [იძახებდი]!* [Grevisse, 1969:671, ფლეიშმანის მიხედვით, Fleischman, 1989:16]

**იტალიური:** *Io ero l'albero, tu il cavallo.* [Bazzanella, 1990:443]

*მე ხე ვარ/ვიქნები [ვიყავი] და შენ - ცხენი იყავი!*

ფრანგულთან მიმართებაში ვარნანტი [Warnant 1966:352] აღნიშნავს, რომ მოზრდილი ადამიანი ასეთ კონტექსტში მიმართავს აწმყოს ან მომავალ დროს, პირობით კილოს; წარსულის

<sup>1</sup> კვადრატულ ფრჩხილებში მოცემულია ის ფორმა, რომელიც გამოყენებულია ორიგინალურ ტექსტში, ამ შემთხვევებში უწყვეტელი.



იმპერფექტი მხოლოდ ბავშვების ენისათვის არის დამახასიათებელი. მისი აზრით, უშუალოდ თამაშის დაწყების წინ მოზრდილი ადამიანი ფსიქოლოგიურად „ახლაში“ რჩება და თამაშის დასაწყისს უყურებს როგორც „მერეს“, როდესაც ის აიღებს მასზე დაკისრებულ როლს, ხოლო ბავშვი, რომელსაც დიდი სურვილი აქვს მაშინვე ჩაებას თამაშში, უკვე თავის თავში ააქტიურებს თამაშის დასაწყისსა და გამოგონილი პერსონაჟის მოქმედებას (ეს „აქტუალიზაცია“ უნდა გავიგოთ როგორც ასპექტუალური და არა ტემპორალური; ბავშვი წარმოიდგენს, რომ თამაში უკვე დაწყებულია, მიმდინარეობს (იმპერფექტშია), თუმცა დროის ის მომენტი ჯერ არ დამდგარა, „მერე“ უნდა მოვიდეს), მაგრამ ვინაიდან დაგეგმილი აქტუალიზაციის ტემპორალური ლოკაცია ისევ „მერეა“, როლების განაწილების ზმნები ჩნდება „არა-ახლა“ დროში, რაც ესპანელი, ფრანგი და იტალიელი ბავშვებისთვის არის იმპერფექტი.

საინტერესო შეხედულება აქვთ ბარანძინისა და რიჩის. თამაშის კონტექსტის იმპერფექტით გადმოცემისას იცვლება ტემპორალური და ასპექტუალური ჩანაფიქრი; იმპერფექტით გამოხატული მდგომარეობა აღწერს თამაშის ფიქტიურ ფონს - ეს შეიძლება იყოს მისი შექმნის, ჩაფიქრების წარსული მომენტი, ასევე მისი მომავალი განვითარება; მაშასადამე, ტემპორალური სივრცე, რომელიც გამოხატულია იმპერფექტით, ფართო და არაერთგვაროვანია; უფრო მეტიც, იმპერფექტმა აქ შეიძლება ნებისმიერი ტიპის ასპექტუალური მნიშვნელობა გამოხატოს - ნათლად იმპერფექტული კონტექსტი ან ნათლად პერფექტული. ამგვარი „ტემპორალურ-ასპექტუალური ელასტიურობას“ ხედავენ ავტორები თამაშის სცენარის შემდეგ მაგალითში:

*Facciamo che tu eri in pericolo e io ti salvavo, sparavo al bandito, lo strozzavo e lo trasportavamo vicino al fiume...* (C. Comencini, *Matrioska*, Milano, Feltrinelli, 2002) (Baranzini, Ricci, 2015:38,39)

*მოდი, ვითომ შენ საფრთხეში ხარ/იყავი [იყავი] და მე გადაგარჩენ/გადაგარჩინე [გშველოდი], ყაჩაღს ვესვრი /ვესროლე [ვესროდი], მას დავახრჩობ/ის დავახრჩე [ვახრჩობდი] და მერე მდინარესთან გადავიტანოთ/გადავიტანეთ [გადაგვქონდა].*

ქართული თარგმანები გვიჩვენებს, რომ აღნიშნული რომანული ენებისაგან განსხვავებით, ქართულში თამაშის დაგეგმვის რაიმე განსაკუთრებული დრო არ გამოიყოფა. ზემოთ მოყვანილი მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ ამგვარ დისკურსში შესაძლებელია როგორც წყვეტილის, ისე მყოფადის ფორმებიც. ქართულში შესაძლებელია ლექსიკურ დონეზე „ვითომ“ მარკერის გამოყენება, რომელსაც რეალურიდან ირეალურ სამყაროში გადაჰყავს მოთამაშე ბავშვები.

ონირიკული იმპერფექტი (imperfetto onirico) - სიზმრის იმპერფექტი - ტრადიციულად აღიწერება როგორც რეალური სამყაროდან ირეალურში გადასვლის გამომხატველი. [Bazanella, 1990] როგორც ლ. ბარანძინი და კ. რიჩი აღნიშნავენ, ამ მნიშვნელობით იმპერფექტი შეიძლება

გამოყენებული იქნას მოვლენის ასპექტუალური მახასიათებლის გარეშე და მას შეუძლია გადმოსცეს მომხდარ მოვლენათა მთელი რიგი ნარატიულ ტექსტში:

*Ero piccola, avevo sui tre o quattro anni, e uscivo a fare una passeggiata con mia madre. Ci fermavamo a parlare con una signora turca [...]. Nel sogno mia madre diceva qualcosa [...] che faceva arrabbiare la vecchia. Questa cominciava a urlare [...]. (M. Mustian, La memoria del vento, Milano, Piemme, 2011)*

ვითომ პატარა ვიყავი, სამი ოთხი წლისა და დედაჩემთან ერთად ვსეირნობდი. ერთ თურქ ქალბატონთან სალაპარაკოდ შევჩერდით [ვჩერდებოდით] (...) სიზმარში დედამ რაღაც თქვა [ამბობდა] [...] რამაც ბებერი გააბრაზა [აბრაზებდა]. მან ყვირილი დაიწყო [იწყებდა] [...] [Baranzini, Ricci, 2015:38]

ქართული თარგმანიდან ძალიან კარგად ჩანს ორი რამ:

1. სიზმრის დროს ტემპორალურ დისტანცირებას, რასაც რომანულ ენებში ვხვდებით, ქართულში ადგილი არ აქვს; სიზმრის აღწერისას ქართულში გამოყენებულია როგორც წყვეტილის ფორმა - *შევჩერდით, თქვა, გააბრაზა, დაიწყო*, ისე უწყვეტისა - *ვსეირნობდი*. ამიტომ განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი აღნიშნულ მოვლენას რომანული ენების სწავლების დროს, რათა თარგმნისას სიზმრის წარსული იმპერფექტით გამოხატული მოქმედება არ გადმოიცეს უწყვეტლის ფორმით იქ, სადაც მას წყვეტილი შეესაბამება.

2. ირეალური სამყაროს გადმოცემის მიზნით, ნაცვლად გრამატიკული მარკერისა, ქართულში გამოიყენება ლექსიკური მარკერი - „ვითომ“ - რომელსაც ირეალურ, წარმოსახვით სამყაროში გადავყავართ.

თავაზიანობის, შემარბილებელი უსრული (*imperfetto di modestia, attenuativo*) – არ გამოხატავს წარსულში მომხდარ მოქმედებას, არამედ იხმარება თავაზიანი ტონის შესატანად:

*volevo chiederti... რაღაც მინდოდა მეტხოვა შენთვის.*

ვფიქრობთ, ქართულშიც იგივე მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე, როდესაც მთქმელი „არბილებს“ თავის კატეგორიულობას (შდრ.: რაღაც მინდა გთხოვო). ისევ იტალიურთან მიმართებაში სერიანი თვლის, რომ ამ შემთხვევაში უფრო უპრიანი იქნება ვისაუბროთ „განზრახვის იმპერფექტზე“ (*imperfetto d'intenzione*), ვინაიდან ის შეიძლება გამოვიყენოთ არა მხოლოდ თხოვნის შესასუსტებლად, არამედ მოსმენის მზადყოფნის გამოსახატავად; მაგალითად, მაღაზიაში გამყიდველმა ფართოდ გავრცელებული “Desidera?”-ს (რას ინებებთ?) ნაცვლად, შესაძლებელია, ასე მოგვმართოს: “Desiderava?” (რა გნებავდათ?). [Serianni, 2000:327] როგორც წესი, ამ მნიშვნელობით წარმოდგენილია ზმნა *volere* (ნდომა) და მისი სინონიმები; აი, კიდევ ერთი მაგალითი, საუბარი გამყიდველსა და კლიენტს შორის:

- *Che cosa desiderava signora? რას ინებებთ/რა გნებავთ [გნებავდათ] ქალბატონო?*

- *Mah, volevo due etti di prosciutto. ორასი გრამი ლორი მინდა [მინდოდა]. [Dardano, 1997:321]*

კიდევ ერთი შემთხვევა (თუმცა ამით არ ამოიწურება ზოგადად ამგვარი შემთხვევები), როდესაც წარსული უსრული დრო არ შეიძლება გადმოცემული იქნას უწყვეტლით ქართულში, ეს არის ე.წ. ჰიპოთეზური იმპერფექტი (*imperfetto ipotetico*), რომელიც გავრცელებულია სალაპარაკო ენაში და უფრო ფორმალურ ვარიანტში მას შედგენილი პირობითი კილო ანაცვლებს:

*Facevi meglio a stare zitto – კარგს იზამდი (ხოლმეობითი), გაჩუმებულიყავი (მეორე თურმეობითი). [Dardano, 1997:321]*

*Se potevo, venivo – რაც იგივეა რაც: Se avrei potuto, sarei venuto – რომ შემძლებოდა, (მეორე თურმეობითი) მოვიდოდი (ხოლმეობითი).*

### დასკვნა

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული აღწერის (*imperfetto descrittivo*), განმეორებადი (*imperfetto iterativo*) და ნარატიული ან ისტორიული უსრული დრო (*imperfetto narrativo*) – გამოხატავს რეალურად მომხდარ მოქმედებას. მათგან პირველი ორი ქართულში უწყვეტლის მწკრივით გადმოიცემა. ისტორიული უსრული დრო იტალიურში ძალიან სპეციფიკური დროა და ის ქართულში წყვეტლის მწკრივით გადმოიცემა.

რომანულ ენებში დასტურდება იმპერფექტის არადროული (ე.ი. არაწარსულის) - „მოდალური“ მნიშვნელობებიც; მათ გააჩნიათ საერთო მახასიათებელი - რეალური სამყაროდან სხვა, მთქმელის მიერ შექმნილ ირეალურ სამყაროში გადასვლა. ჩვენ წარმოვადგინეთ იმპერფექტული დროის მოდალური ხმარების შემთხვევები ქართულ ენასთან მიმართებაში. ესენია: ჰიპოქორისტული (აღერსობითი), ონირიკული (სიზმრის) იმპერფექტი და ლუდიკური (თამაშის) იმპერფექტი, რომელშიც უსრულით გადმოცემული მოქმედება ქართულში უწყვეტლის მწკრივით ვერ გადმოვა, ვინაიდან სიტუაციის წარსულში დისტანცირება გამოიყენება იმისათვის, რომ მოხდეს რეალური მოვლენის სინამდვილე/რეალობიდან (*actuality/reality*) ჰიპოთეზურ, ირეალურ სამყაროში გადატანა. ამ შემთხვევებში, როგორც ქართული თარგამანები გვიჩვენებს, რომანული ენებისაგან განსხვავებით, ქართულში თამაშის დაგეგმვის ან სიზმრის გადმოცემისას რაიმე განსაკუთრებული გრამატიკული დრო არ გამოიყენება. ქართულში შესაძლებელია ლექსიკურ დონეზე ლექსიკური მარკერის - „ვითომ“ - გამოყენება, რომელიც ყოველთვის არ არის წარმოდგენილი და რომელსაც რეალურიდან ირეალურ სამყაროში გადაჰყავს როგორც მოთამაშე ბავშვები ისე სიზმრის მთხრობელიც.

რაც შეეხება „შემარბილებელ“ იმპერფექტს, „შერბილების“ მნიშვნელობით „ნდომა“ ზმნა ქართულშიც შეიძლება უწყვეტლით გადმოვიდეს, მაგრამ სხვა შემთხვევებში ჩვენ თავაზიანობის გამოხატვის სხვა სტრატეგიებს მივმართავთ.

სალაპარაკო ფორმაში გავრცელებულ ჰიპოთეზურ იმპერფექტთან დაკავშირებით კი აღვნიშნავთ, რომ შეუძლებელია მისი უწყვეტლით გადმოცემა, ის უნდა გადმოიცეს მეორე თურმეობითა და ხოლმეობით.

### ლიტერატურა

1. გეგუჩაძე ლ., - მწკრივის ფორმების სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, #2, გვ. 111-119. თბილისი. 1978.
2. გოგოლაშვილი გ., - ქართული ზმნა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი. 2010
3. შანიძე ა., - ქართული გამატიკის საფუძვლები. თსუ გამომცემლობა. თბილისი. 1953.
4. Baranzini L. Ricci C., - Semantic and pragmatic values of the Italian imperfetto: Towards a common interpretive procedure, *Catalan Journal of Linguistics* 14. 2015.
5. Bazzanella, C. - “Modal” uses of the Italian indicativo imperfetto in a pragmatic perspective. *Journal of Pragmatics*, 14 (3). 1990
6. Bertinetto, P.M. - *Tempo, aspetto e azione nel verbo italiano. Il sistema dell’indicativo*. Firenze: Accademia della Crusca. 1986
7. Comri B., - *Tense*. Cambridge University Press. United Kingdom. 2000.
8. Dardano M., Trifone P., - *La nuova grammatica della lingua italiana*. Zanichelli. Bologna. 1997.
9. Fleischman S., - Temporal distance: A basic linguistic metaphor, *Studies in Language* 13:1. 1989.
10. Grevisse M., - *Le bon usage*. 9th ed. Gembloux: Duculot. 1969.
11. Imbs P., - *L'Emploi des temps verbaux en francais moderne*. Paris: Klincksieck. 1960.
12. Palmer F. R., - *Modality and the English Modals*. 2013
13. Pietrandrea P., - *Epistemic Modality. Functional Properties and the Italian System*, *Studies in Language Companion Series*. John Benjamins Publishing Company. 2005.
14. Serianni L., - *Grammatica, Sintassi, Dubbi*. Garzanti. 2000
15. Warnant, L., - "Moi, j'etais le papa... L'imparfait preludique et quelques remarques relatives a la recherche grammaticale". In: *Melanges de grammaire francaise offerts a M. Maurice Grevisse pour letrentieme anniversaire du Bon usage*, 343-66. Gembloux: Duculot. 1966.

## საილუსტრაციო მასალა

1. Eco U., - Il Nome della Rosa. Tascabili Bompiani. 2000
2. ეკო უ., - ვარდის სახელი.(ხ. ცხადაძის თარგმანი),„დოგენე“. თბილისი. 2012

Maia Javakhidze

**Teaching Tenses in Romance Languages  
(Peculiarities of Past Imperfective)**

**Abstract**

In the present article we discuss the usages of Italian indicativo imperfetto (*imperfetto*) that are to be considered while we are teaching to Georgian speaking students. The imperfective temporal use is characterized by the association of two components: [+past] – as a temporal feature and aspectual one [+imperfective]. Imperfect usually marks the duration of an event in the past ('durativity'), the contemporaneity of two events in the past, or a past habit ('iterativity'). The event described by the verb is presented as having a certain duration, as in the process of taking place, from “internal” perspective. In Italian as in other Romance languages there are also other – “modal” uses, in which it refers to a non-past state. We underline here only several “modal” usages of Italian imperfect (*imperfetto*):

1. Oneiric *imperfetto* is that of the account of a dream. This use is traditionally described as expressing a transition from the real world to irreality.
2. Ludic use that covers uses of the imperfect limited to a specific type of discourse that sets up and negotiates scenarios in children’s play.
3. 'Hypocoristic' imperfect, which refers to the use of past which occurs in a marked variety of discourse addressed by adult speakers (mainly women) to young children and pets with whom they have a certain familiarity.
4. 'Imperfetto ipotetico', i.e. the one used in if-clauses: which underlines the impossibility of the action expressed by the verb in imperfective.
5. The mitigation use or ‘politeness’ use of the imperfect, which conveys not past but present temporal reference.

The analysis of *hypocoristic*, *oneiric* and *ludic* uses of past imperfective and their translations in Georgian show that there is not any special past tense for expressing the above mentioned usage of imperfect, but the special lexical marker („as if“) appears for expressing oneiric and ludic ones. Only *imperfective of modesty* (attenuative) of the verb “want” allows the past imperfective form in Georgian. To the *Imperfective of hypothesis* (*Imperfetto ipotetico*) which is highly spread in colloquial language always correspond the II subjunctive and the conditional in Georgian.

რეცენზენტი: პროფესორი ც. ახვლედიანი

## შინაარსი

**ენათმეცნიერება Linguistic****ლელა ავალიანი**

არაბული ყალიბის მოხელეობის სახელები აჭარულ დიალექტში.....9

**ეკატერინე არჩვაძე**

ვეტექსტი როგორც მეტყველი სუბიექტის მიზანდასახულობის გამოხატვის საშუალება (XX საუკუნის ინგლისური და ქართული მხატვრული პროზიდან შერჩეულ მასალაზე დაყრდნობით).....15

**ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია**

სიტყვათა სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში.....23

**რამაზ გორგაძე, სოფიო იმედაძე**

რამდენიმე არაბული ნასესხობის შესახებ ქართულ-სომხურ საერთო ლექსიკაში.....31

**ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი**

ნგლისური ნასესხობების სემანტიკური ჯგუფები და მათი პრაგმატული რეალიზაცია თანამედროვე ქართულ ენაში .....40

**Яговкина Елена**

К вопросу о семиотике личных имен .....60

**მანანა მიქაძე**

ლიტერატურული ალუზიები და ენობრივი პარალელები ნ. ბარათაშვილის „მერანისა“ და ა. მიცკევიჩის „ფარისის“ მიხედვით.....64

**ლიტერატურა Literature****ნონა ამბოკაძე**

1924 წლის აჯანყება და მისი რეცეფცია ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალში“ .....72

**ლილიანა გოგიჩაიშვილი**

პარადოქსი, როგორც მხატვრული ხერხი, ჯონ დონის ლექსთა ციკლში *La Corona* .....77

**ნინო თურმანიძე, შოთა როდინაძე**

სარფი და სასაზღვრო მოტივი XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში.....87

**ნათია იაშვილი**

„სიბრძნე-სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი.....97

**ეთერ ქავთარაძე**

ისტორიული თემატიკა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში .....105

**ნინო ჯოხაძე**

მარიო ვარგას ლიოსას რომანის „ქალაქი და ძაღლები“ ცენზურის ძირითადი მიზეზები ფრანსისკო ფრანკოს ესპანეთში.....111

**პედაგოგიკა Pedagogic****იაგორ ბალანჩივაძე, ქეთევან მიქაძე**

ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეები საქართველოში.....123

**მარიამ კილანავა, ელგუჯა დეისაძე**

სამოქალაქო განათლების თემატიკის ინტეგრირება VaKE მეთოდით ინგლისური ენის სწავლების პროცესში.....130

**მეთოდოლოგია Methodic of Teaching****Rusudan Gogokhia**

Types of reading, specifics and role in foreign language teaching.....138

**ნათია გაბაშვილი**

უცხო ენის შემსწავლელთა ტიპები და მათი სწავლის სტილი.....145

**Natia Gabashvili**

Enhancing Communicative Skills in EFL Students.....151

**Medea Diasamidze**

The Benefits of Using Electronic Media in Teaching English Language .....156

**ნინო სამნიძე**

“მზარდი აზროვნება” ქეროლ დუეკის თეორიაში და სწავლების  
 სტრატეგიები მის განსავითარებლად  
 (ინგლისური ენის სწავლების მაგალითზე) .....161

**მაია ჯავახიძე**

გრამატიკული დროის სწავლებისათვის რომანულ ენებში  
 (ნამყო უსრული დროის თავისებურებები).....168